

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

24 თებერვალი 2012

№4(160)

მწერლები და ხალხი

ნაპოლეონი ხარისხთვალაზე

გრიგოლ კ. რობაქიძის მოთხოვა

ემზარ კვიტაიშვილი ჯანსულ ჩარკვიანზე

გიორგი გოგოლაშვილის დაფანტული ფიქრები

გრიგოლ აბაშიძის ბიოგრაფიული ნატეხები


სევარიონ ნადირაძის ლირიკული ციკლი

პოეტი გზადყოფნის მისტერიიდან

ნინო სიხარულიძის ლექსები

ფრიდეშ კარინტის ნოველა

ლირსების კორიდა



შირვანისი

იზარდვ. მცველი ჯოგილა	2	ლუკა სალია როგორ აღვხარდოთ აცე არის თუ არა შეცასების სისტემა მარახელობა?
თარსები მომავლისათვის საქართველოს პერიოდი	4	ზურაბ მარშანია ღირსების კორიდა
საქართველოს პერიოდი	6	ლია კუხიანიძე ნაკოლეონი ხარისხისალაზე
ფიქი და განვითარები	8	გიორგი გოგოლაშვილი დაფარული ფიქრები
ექსარგე-ინიციატივა	12	გივი ჩხეგუაშვილი „უსამართლობას ვერ ვეგუაბი“ (მოამზადა ნინო ჩხეკვეშვილმა)
პროგრამა	13	გრიგოლ კ. რობაქიძე ჩვენი — მაცის დრო
პროგრამა	17	სევარიონ ნადირაძე აღსდევი მოსევ და სხვა ლექსები
სეისტიკა	21	ნინო სიხარულიძე შენი ტოლი გოგონები და სხვა ლექსები
ასეისტიკა	23	ანტონიო მაჩაბლი ი რუსი განათლებისათვის
ასეისტიკა	24	მიგელ დე უნამუნო მხერლები და ხალხი
ფიქრობი	27	ევა ბუჯიაშვილი პოეტი გზადყოფის მისტერიიდან (ჯემალ აჯიაშვილი)
შტრიხები აორტიკოსათვის	31	ემზარ კვიტაშვილი სიცოცხლისა და სიყვარულის დაგავავიდრებელი (ჯანსულ ჩარკვიანის 80 წლის გამო)
ჩამი ააჩარა ქალაქი რეარქტაჟი	36	იოსებ ჭუმბურიძე ქართულ ენას 300 ჩააცხადეს ნიცხვას?
კრიტიკა	38	ელენე ამალლობელი „ცრემლად დაგდნარის გულითა...“ (ალექსანდრე ყაზბეგის გახსენება)
კრიტიკა	40	ნინო ვახანია ეპოქის საფიქრული (ნიკოლოზ ჩუბინიძის „უგემური საკითხავი“)
ლიტერატურული სხემები	41	მირანდა ტყეშელაშვილი საქმიანი, მოტივირებული და არგუმენტირებული მიცნებული კვლევა (ირმა რატიანის „ტექსტის და ქრონოტოპის“ პრეზენტაცია)
გადი კაშისა	43	როსტომ ჩხეიძე დარღვი ფარული (გრიგოლ აბაშიძის ბიოგრაფიული ნატეხები)
მოგონებათა სეისტი	51	ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე მ, როგორ ჩაერა, რად ჩაესვანა მეგავარსპეციალი მზიური შექით?!? (რამაზ ჩხიცვაძე)
ახალი ლიტერატი	54	გურამ ყორანაშვილი ფრიად საჭირო მონოგრაფია (ტერაზ კალანდაძის „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“)
უცხოური ლოვალა	57	ფრიდეშ კარინტი რო ტაეას შორის
გამოხატვება	58	ელგუჯა თავბერიძე მოულოდნები ფინალი (როალდ დალის ნოველა „კაცი სამხრეთიდან“)
საორგო	60	დავით ჭელიძე ლეგენდა 75 ლეისაა! (გურამ მინაშვილი)
მოზაიკა	63	გენიალური ფალსიფიკორი

ორკვირეული ქურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩუბინაშვილის №41
 რედაქტორი – (995 322) 96_20_62
 რეკლამა – (995 93) 65_93_68
 გავრცელება – (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 322) 96_20_62
 E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
 პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
 პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
 მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
 სტილისტ-ეკრექტორი – ნინო დევანიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
 ოპერატორი – თამარ ჩხელაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
 გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: იოსებ ჭუმბურიძე, ირაკლი კავთიაშვილის ფოტოეტიუდი
 ალპბი, შვეიცარია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 9 მარტს



ლუკა სალია

როგორ აღვიარდოთ

ანუ არის თუ არა შეფასების სისტემა მკრახელობა?

კაცობრიობის ისტორიაში აღზრდის თემა ერთ-ერთი უძველესია. დროინი იცვლებიან, მარამ მარადიულად რჩება საფიქრალი: როგორ უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა, რომ ის განათლებულიც იყოს და ზნეობრივიც.

ამ ფიქრის რეალშია მოქცეული გამოჩენილი ფრანგი პედაგოგის, სელესტენ ფრენეს წიგნი „პედაგოგიური ინვარიანტები“. მასში წარმოჩენილია ორიგინალური სისტემა აღზრდისა, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მასწავლებლებისა და შშობლებისთვის. ცნობილია, რომ ფრენეს ახალი სკოლის მეთოდიკა წარმატებით განხორციელდა საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

რა არის ფრენეს მეთოდიკის მიზანი? ბავშვის აღზრდა და სწავლება ცხოვრებისთვის მოსამზადებლად.

და რად უნდა იცეს ეს ბავშვი? ადამიანად, რომელსაც ექნება შრომის დიდი სიყვარული, ინტელექტი, წესირება, კულტურა, საზოგადოებაში პარმონიული არსებობის უნარი და სხვებს მოქცევა ყოველთვის ისე, როგორც უნდა, რომ მას მოქცენენ. ასე რომ, აღზრდის ეს სისტემა ზნეობრივ ღირებულებებს ეფუძნება და მთავარია სიყვარული, რომელიც წარმოშობს პპტიმიზმს, არიადნას გორგალივით რომ უნდა გაუძლვეს ადამიანს ცხოვრების ლაბირინთებში.

რა არის ლირსება ამ წიგნისა, რომელიც ახალ პედაგოგიურ სისტემას აცნობს მეითხველს?

უპირველეს ყოვლისა, სტრუქტურა, რომელიც აღზრდის მეთოდიკას იმგვარად აწვდის პედაგოგსა და შშობელს, რომ ისინი კითხვის პროცესშივე ჩაერთონ და საკუთარი თავი გამოსცადონ, რამდენად არიან მზად ყოველივე იმისთვის, რასაც ფრანგი პედაგოგი სთავაზობს. აქვე აღვინიშნავთ, რომ წიგნი ორი ნაილისაგან შედგება: პირველი უშუალოდ პედაგოგებისთვისაა დანერილი, მეორე — შშობლებისთვის, მაგრამ ფრენე აღზრდის პროცესში თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს სკოლასა და ოჯახს, ამიტომაც საგულისხმოა რჩევები, რომლებიც შშობლებმა უნდა გაითვალისწინონ, რათა მათი შვილები ღირსეულ ადამიანებად აღიზარდონ.

აღზრდის ამ სისტემაში შემოთავაზებულია 32 პედაგოგიური ინვარიანტი.

რა არის ინვარიანტი? „რაც არ იცვლება, რაც მუდამ არსებობს ნებისმიერ ქვეყანასა და ვითარებაში“.

ორიგინალური ამ წიგნში ისაა, რომ სწორედ ამ ინვარიანტთა შეთავაზებით, მკითხველი-პედაგოგი არა მხოლოდ გაეცნობა აღზრდის ახალ მეთოდიკას, არამედ ერთგვარად გამოცდის კიდევაც თავს.

როგორ?

ყოველ ინვარიანტს უნდა უპასუხოს. სამი არჩევანია ასეთი პასუხებით: მწვანე შუქი, ყვითელი შუქი, წითელი შუქი.

მწვანე შუქის პასუხის არჩევანი საუკეთესოა: „მწვანე შუქი ეძლევა მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც საესაბით ეთანხმება მოცემულ ინვარიანტებს... მათი გამოყენება უყოყმანოდ შეუძლიათ აღმზრდელებს. ინვარიანტები დროში გამოცდილია“.

„ყვითელი შუქი ეძლევა მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც ზოგ გემთხვევაში ეფექტურია, თუმცა გარკვეული საფრთხის შემცველიც, იგი განსაკუთრებულ ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს“.

„წითელი შუქი ეძლევა მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მოცემულ ინვარიანტებს, ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავემშვიდობოთ“.

რაც მთავარია, ცალკეული ინვარიანტი უბრალოდ კი არ არის შეთავაზებული, არამედ ახსნილ-განმარტებული და ცხოვრებისული მაგალითებით განმტკიცებული.

გთავაზობთ რამდენიმე ინვარიანტს შერჩევით.

ინვარიანტი: ბავშვის ბუნება არაფრით განსხვავდება ზრდასრული ადამიანის ბუნებისაგან.

ბავშვი ნორჩი ხესავით იზრდება და თანდათან ეგუება გარემოს. იგი თქვენნაირი პრინციპების დაცვით ცხოვრობს. თქვენსა და მას შორის განსხვავება ბუნებასა კი არა, განვითარების დონეშია, ამიტომაც ვიდრე გაკიცხავთ ან დასჯით ბავშვს, თავს ჰკითხეთ: მის ადგილზე რომ ვიყო, როგორი რეაქცია მექნიზმიდა? როგორ მოვიცეოდი?

მწვანე შუქი: თუ შეეცადეთ რომ მიგელოთ ეს ინვარიანტი.

ყვითელი შუქი: შეიძლება თეორიულად კი ეთანხმებით, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ ვერ ბედავთ მის გამოყენებას?


წითელი შუქი: ეგებ თქვენს ქცევას განაპირობებს აზრი იმის შესახებ, რომ ბავშვი თავისი ბუნებით თქვენგან განსხვავებულია?

ცხოვრება — აი, ყველაზე დიდი გამოცანა, რომლის ამინდის გზები და საშუალებანი უნდა შეასწოროს სკოლაში.

32 ამგვარი ინვარიანტის გულისყურით შესრულება, ფერთა ბალანსი ზუსტ წარმოდგენას შეგიგმით, სნამდდებულები რაგვარი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური შეხედულებანი გაქვთ. ისიც წარმოჩდება, სამომავლოდ რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება და რა ცვლილებები შეიტანოთ თქვენებულ აღზრდის სისტემში.

აյ წარმოდგენილია, მაგალითად, ასეთი ინვარიანტები:

„სკოლაში ბავშვის ქცევა დამოკიდებულია მის ფსიქოლოგიურ გან-



„ოქტავა“

დასაწყისი 16 საათზე
ანჯაფარიძის 16

წყობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე“ (მესამე ინვარიანტი);

„არავის, არც ბავშვსა და არც უფროსს, არ უყვარს, როცა რამეს უბრძანებენ“ (მეოთხე ინვარიანტი);

„ნებისმიერ ადამიანს ურჩევნია თვითონ აირჩიოს სამუშაო, თუნდაც ეს არჩევანი მისთვის სასარგებლო არ იყოს“ (მეშვიდე ინვარიანტი);

„ამ ქვეყანაზე არავის უყვარს ფუჭი შრომა, რობოტებით მოქმედება, არავის არ ეხალისება რაიმე სამუშაოს შესრულებას სხვის ჩანაფიქრის მიხედვით, მით უფრო, თუ ეს ჩანაფიქრი მისთვის უცხოა და გაუგებარი“ (მერვე ინვარიანტი);

„აუცილებელია შრომის მოტივირება“ (მეცხრე ინვარიანტი);

„ცოდნის ათვისების ყველაზე ეფექტური გზაა არა დაკვირვება, ახსნა და დემონსტრაცია – ტრადიციული სწავლების ძირითადი ხერხები, არამედ შემცირების ბუნებრივი და უნივერსალური მეთოდი“ (მეცამეტე ინვარიანტი);

„მესასიერებას, სკოლა რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მათინ აქვს ფასი, როცა იგი ჩართულია ექსპერიმენტული მოსინჯვის პროცესში“ (მეთოთმეტე ინვარიანტი); „დაზიპირება ცოდნას არ ნიშნავს, — უთქვამს ფრანგ ფილოსოფოსს, ჰუმანისტ მიშელ დე მონტენეს“.

„ტრადიციული სკოლა ავითარებს მხოლოდ აპსტრაქტული აზროვნების უნარს, რაც შორსა დგას რეალური ცხოვრების მოთხოვნებისაგან“ (მეჩვიდმეტე ინვარიანტი);

„არავის, არც ბავშვსა და არც დიდს, არ უყვარს ზედამ-ხედველობა და დატუქსვა. ორივე ამას ალიქვამს, როგორც ღირსების შელახვას, მითუმეტეს, თუ ეს საჯაროდ ხდება“ (მეოცე ინვარიანტი).


დღეს, თანამედროვე აღზრდის სხვადასხვა მეთოდი-კაში, პოპულარულია თამაშის მეთოდი. ფრენეს ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვს და ამგვარ ინვარიანტს გვთავაზობს:

„ბავშვის ბუნებრივი საქმიანობა არის არა თამაში, არამედ შრომა“ (მეთორმეტე ინვარიანტი). მისი აზრით, შეცდომა ჯერ კიდევ საბავშვო ბალიდა იწყება, იქიდან ოჯახში გადადის. შინაურებიდან არავინ ცდილობს საოჯახო საქმეებში ჩართოს ბავშვი და ამიტომაც იგი ცხოვრობს სრულიდ უსაქმურად, მას მხოლოდ ამოაშით გამოიხატობა ევალება. სწავლების შემდგომ საფეხურებზე ვითარება იცვლება, თამაშის შესაძლებლობაზი მცირდება, მაგრამ დაწყებით და საშუალო სკოლებში მთელი ყურადღება სავარჯიშოებსა და დავალებებზე გადადის, რომელიც, სამწუხარიდ, მხოლოდ ზედაპირულ ინტერესსა იწვევს, ისიც იშვიათად და არანაირად არ შეესაბამებიან ნარმოდგენას ბუნებრივსა და მოტივირებულ შრომაზე.

სელესტენ ფრენეს აღზრდის სისტემა კი „ნამდვილი შრომის პედაგოგიკაა“.

ამგვარივე განსხვავებული შეხედულებაა წარმოჩენილი ამ ინვარიანტი:

„მოსწავლეთათვის ნიშნების დანერა და მათი კლასიფიკაცია პრინციპშივე მცდარი მეთოდია“ (ოცდამერთე ინვარიანტი);



აქ დამარწმუნებლადაა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ნიშანი არის უფროსის განსჯა ბავშვის ნაშრომზე. მას აზრი ექნებოდა, სამართლიანი და ობიექტური რომ ყოფილიყო, რაც ნაწილობრივ შესაძლებელია მარტივი სწავლებისას, მაგალითად, არითმეტიკულ მოქმედებათა შეთვისებისას. მაგრამ უფრო რთული სამუშაოს შესრულებისას კი, როცა საჭიროა ყურადღება დავუთმორთ ლოგიკურ აზროვნებას, მოსწავლის გაგების უნარსა და ამა თუ იმ მომენტში მის სულიერ ვითარებასაც კი, „ყოველგვარი შეფასების სისტემა მკრეხელობაა“.

მაგალითად, როგორ შეიძლება გაიზომოს და შეფასდეს მოსწავლის აბსტრაქტული აზროვნება და მისი შემოქმედებითი უნარი, მეცნიერული თუ ისტორიული ალლო?

დაბოლოს: შეასრულეთ ეს — 30-ე ინვარიანტი:

„აღზრდის საფუძველია პიროვნების ღირსების დაცვა. მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთპატივისცემა სკოლის განახლების ერთ-ერთი მთავარი პირობება“. მწვანე შუქი: თქვენ უკვე ახორციელებთ ამ ნესს.

ყვითელი შუქი: ცდილობთ, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებთ.

წითელი: ჯერ შორსა ხართ სკოლის ჰუმანიზაციისგან.

როგორც აღვინიშეთ, ეს ინვარიანტები დიდი პედაგოგიური გამოცდილების, ტრადიციისა და ნოვაციის ორიგინალური სინთეზის ნაყოფია, ამიტომაც იქცევს ყურადღებას.

წიგნის მეორე ნაწილი მშობლებთან გასაუბრებაა. აქ მეცნიერი მათ ერთგვარ გულგრილობაში ამხელს: „აი, ბატონებო, დატოვეთ ოქვენი შვილი სკოლის კართან. როგორ მოქცევიან აქ? რა მეთოდებით ასწავლიან? რა საშუალებებს გამოიყენებენ? არაფერი არ გაინტერესებთ? საქმე სახლს, ბაღს ან მანქანას ხომ არ ეხება? რამდენჯერ უთქვამთ, ბავშვი თუ ნიჭირია, აუცილებლად მიაღწევეს წარმატებასო, მაგრამ ხომ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თქვენი შვილი ნაკლებ განათლებულ, ცუდად აღზრდილ და დამაზინჯებული ფისიკის ადამიანად იქცეს? ამის გამო წყველა-კრულებას გაუგზავნით არა სკოლას, არა სასკოლო შენობის უვარებისობას, არა გადატვირთულ კლასებს, არამედ მასწავლებელს, რომელმაც სასწავლი ვერ მოახდინა“. ამგვარი კითხვებით ფრენეს იერიში მიაქვს მშობლის გულგრილ დამოკიდებულებაზე სკოლის მიმართ და ამ საუბრებით წარმოაჩენს ყველა იმ კომპონენტს, რომელთა ერთობლიობა ქმნის აღზრდის სისტემას. ამ კომპონენტთაგან კი ერთ-ერთი მშობელია, რომელიც აქტივურად უნდა ჩართოს უკეთესი სკოლის მშენებლობის საქმეში.

ვფიქრობთ, სელესტენ ფრენეს პედაგოგიური მეთოდიკის გაცნობა და დანერგვა ხელს შეუწყობს ქართული საგანმანათლებლო სისტემის დახვეწიანა და გამდიდრებას.

ყოველივე ამას კი ვერ გავეცნობილი, რომ არა ციალა კალმახელიძისა და კასმეგ კუდავას ძალისხმევა, რომელთაც შესანიშნავად თარგმნეს ფრანგ პედაგოგის ნააზრევი, წიგნად კი გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2010 წელს გამოსცა.

ზურაბ მარშანია

ღირსების კორიდა

არ ვიცი რატომ, მაგრამ 1936-1939 წლის ესპანეთის სამოქალაქო ომი, მილიონი ადამიანის სიცოცხლე რომ შეინირა, ჩემში კორიდის ასოციაციის ინვენის. კორიდისა, სადაც მამაცი ტორეადორი გამძვინვარებულ ხარს შებმია შეურიგებელ ბრძოლაში.

კორიდას მოტრფიალენიც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგენიც. ვერავის განვსჯი, მაგრამ ჩემთვის ძეველებურ და მოხდენილ სამოსში გამოწყობილი ესპანელი კაბალიერო — ტორეადორი ეროვნულ, ტრადიციულ დარებულებათა სიმბოლო. ხარი კი ზემოაღნიშნულ ფასეულობათა და ყოველივე ზნეობრივისა თუ სულიერის გასანადგურებლად მომართული რევოლუციისა.

მართალია, ათას წელზე შეტი ხნის წინათ პირენეის ნახევარკუნძულზე გაჩენილი კორიდა რომაელთა მიერ დანერგილი სისხლიანი სანახაობების გამოძახილია, მაგრამ რატომძაც მჯერა, რომ ტორეადორისა და ხარის ოთაბრძოლა ესპანეთის ისტორიის ანარეელიცაა. იმ ესპანეთისა, რომელსაც მრავალი საუკუნე უხდებოდა ბრძოლა ურჯულოებთან ენის, მამულისა და სარწმუნოების გადასარჩენად.

ოდესალაც უდიდესი მსოფლიო იმპერიის მემკვიდრე — ესპანეთის სამეფოში მომქალავრებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა ფატალური ხასიათი XIX საუკუნის დამდეგს მიიღო. ქვეყანა ოკუპირებულ იქნა მეზობელი საფრანგეთის მიერ. დამოუკიდებლობის აღდგენამ ვერ შეარბილა ესპანეთის დაღმასვლა. ერთიმეორეს მისდევდა გადატრიალებანი, შეთქმულებები და შეიძა ომები (რომლებიც კარლისტური ომების სახელით არიან ცნობილი). დამხობილი და გაძევებულ იქნენ ესპანეთიდან დედოფალი მარია-კრისტინა, მოგვიანებით კი მეფე ალფონსო XII.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი პოლიტიკური მოლვანის ანტონიო კანოვას დელ კასტილიოს ძალისხმევით 1876 წელს მიღებული იქნა დემოკრატიული კონსტიტუცია და ვითარება ერთგვარად განიმუშტა, სტაბილურება ქვეყანის ვერ დაისადგურა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისში ესპანეთი დამცირებულ და ღირსებაშედახულ სახელმწიფოდ გადაიქცა, რომელიც კატასტროფულად დამარცხდა ხანძოებები „ამომავალ“ მსოფლიო იმპერიასთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ ომის შედეგად, სადაც ამერიკელები კუბელ სეპარატისტებს ეხმარებოდნენ, ესპანეთმა კუბასთან ერთად სხვა ოკეანის მიღმა ტრიტორიებიც დაკარგა (ფილიპინები და კუნძული გუამი).

რევოლუციონერებმაც ამ დროს ნამოყვეს თავი. მარქისტებმა ესპანეთის სოციალისტური-მუშათა პარტია დააარსეს, ანარქისტებმა კი შრომის ნაციონალური ფედერაცია.

ერთი სიტყვით, 1920-იან წლების მიჯნაზე ესპანეთი განსაცდელში იყო. მისი მერყევი მეფე ალფონსო XIII ვერ

აუდიოდა პერმანენტულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისებს.

სუსტი სახელმწიფო, როგორც წესი, შინაგან კრიზისთა განმუხტვას სამხედრო ავანტიურების საშუალებით ცდილობს ხოლმე. ესპანეთიც ჩაება გაუთავებელ კოლონიურ ომში მარკოს ტერიტორიაზე, სადაც მის ორ ძირძეველ ანკლავს — მელილიასა და სეუტას — მარკოელ სეპარატისტთა მხრიდან საფრთხე დაემუქრა. სწორედ მარკოში გამოჩენილო საბრძოლო გმირობით გახდა ცნობილ ესპანეთში ფრანსისკო ფრანკო დე ბამონდე.

შეაც ლაქად შევიდა ესპანეთის ისტორიაში 1921 წელი, როდესაც მისი ჯარები სასტიკად დამარცხდნენ მარკოში. სამხედრო კატასტროფიზის ლოგიკური შედევი იყო შიდაბოლოტიკური რევენუს გაძლიერება. მემარცხენე და მემარჯვენე ძალების მიერ ინსპირირებული პუტჩის მრავალრიცხოვანი მცდელობანი, რასაც 1923 წელს მეფის ალფონს XIII-ს თანხმობით, გენერალ პრიმო დე რივერას მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება და სამხედრო-მონარქიული დიქტატურის დამყარება მოჰყევა.

„ნიჭიერი“ და „სიმპათიური“ დიქტატორები დიდი იმ ისტორიაშია. როგორც წესი, უნიფორნი და ამაზრზენი ჭარბობენ ხოლმე. არც მიგელ პრიმო დე რივერა ყოფილა გამონაკლისი და დიქტატურამ ესპანეთში შვიდიოდე წელიც ვერ გაძლო, ისე დაემხო 1930 წლის იანვარში.

ალფონსო XIII ეცადა დემოკრატიული მმართველობის აღდენებას 1876 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. ქვეყანას მართლაც მიეცა რეალური შანსი ნასულიყო თავისუფლებისაკენ, მაგრამ „რევოლუციის მსახვრალმა ცელმა“ არ დაინდო სუსტი ესპანერი დემოკრატია.

იმდღარა სოციალურმა პოპულუზმა იმპერიური გადატრიალების მოსამზადებლად შეიქმნა კომიტეტი, სამი პოლიტიკოსის — მანუელ ასანის, ნისეტო ალკალა სამორას და ალეხანდრო ლერუსის — შემადგენლობით.

1931 წლის 12 აპრილს მუნიციპალური არჩევნები მრავალრიცხოვანი დარღვევებით, გაყალბებებითა და მემარცხენეთა ტრადიციად ქცეული ძალადობის ფონზე ჩატარდა. 12 აპრილსავე მთელი ესპანეთი მემარცხენეთა მხარდამჭერების მრავალათასიანმა დემონსტრაციებმა მოიცვა. გაისმოდა მონარქიის დახმობის მოწოდებები.

14 აპრილს რევოლუციური „ტრიუმვირატის“ ინიციატივით ხელისუფლება ხელში აიღო თვითმარქევია დრობითა მთავრობამ, ნისეტო ალკალა სამორას ხელმძღვანელობით, სადაც უპირატესად სოციალისტები იყვნენ ნარმოდენილები. მონარქიის დაემხო ალფონსო XIII ევენიდან გაიძაცა. ესპანეთში რესპუბლიკა გამოცხადდა.

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ თითქმის ყველა რევოლუციური ლიდერი, „ტრიუმვირატის“ სამიერ წევრის ჩათვლით, მშვენივარდ გრძნობდა თავს პოლიტიკაში მონარქიისა და პრიმო დე რივერას დიქტატურის პირობებში. პარლამენტის წევრებიც იყვნენ და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ეკავათ საკმაოდ მაღალი თანამდებობები!

ესპანერი რევოლუციის ზეობას ზღვარგადასულ სოციალურ პოპულუზმათან ერთად თავპრუდამხვევი სისწრაფითა და შესაშური შეუპოვრობით გატარებული „პროგრესულ რეფორმებიც“ მოჰყვა, რომლებიც მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად ხოლო გმირობით გახდა ცნობილ ესპანეთში:

— ქვეყნის ისტორიაში არნახული და რესპუბლიკური მთავრობის მიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ სანქციონირებული ქაპანეთის კათოლიკური ეკლესიის დევნა-შევიწროება, რომელიც არამარტო იდეოლოგიურ და ანტიკლერიკალურ ხსიათს ატარებდა, არამედ ხშირად ტაძრების ნგრევა-გადაწვისა თუ სხვა სახის ვანდალიზმის სახეს იღებდა;

— ეროვნული არმიის დაკნიება და ფაქტობრივი დაშლა (გამოცდილი და ომგამოვლილი ვეტერანი გენერლებისა და ოფიცირების სამსახურიდან დათხოვნა, მათი გამოუცდელი მაგრამ პოლიტიკურად ერთგული, რევოლუციური კადრებით ჩანაცვლება, ესპანეთის უდიდესი ქალაქის სარაგოსას სამხედრო აკადემიის დახურვა და ა.შ.);

— სკოლებიდან და უმაღლესი სასანაცვლებლებიდან ეროვნული სულისა და ტრადიციულ ღირებულებათა გამოდევნა;

— რესპუბლიკური მთავრობის ლია თუ ფარული ხელშეწყობით საკუთრების უფლების მასობრივი, თვითხებური და კანონსაწინააღმდეგო ხელყოფა;

— ოპოზიციურად განწყობილ პირთა აღვირასხილი პოლიტიკური დევნა (1931 წლის აგვისტოშივე შექმნილი ე.ნ. „პასუხისმგებლობის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის“ მეშვეობით).

ლოგიკურად ჩნდება კითხვა. მონარქიულ რეჟიმთან თანამშრომლობისათვის რატომ იდევნებოდნენ ზემოთ აღნიშნული საპარლამენტო კომიტეტის თაოსნობით მხოლოდ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები და სამხედროები, როდესაც მონარქიულ ხელისუფლებასა და დიქტატურასთან 1931 წლის რევოლუციამდე არანაკლებინტენსიურად თანამშრომლობდნენ რევოლუციური ხელისუფლების ლიდერები?

იმიტომ ხომ არა, რომ უკლებლივ ყველა რევოლუციის პარადგიმა ერთნაირად ბინძურია?

ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის მიერ გატარებული ზემოაღნიშნული „რეფორმება“ მაღლ ზედმეტად რადიკალური აღმოჩნდა თვით „ტრიუმვირატის“ წევრებისთვისაც კი. რევოლუციონერებს ჯერ ნისეტო ალკალა სამორა გაემიჯნა, მოგვიანებით კი მის მაგალითს ალეხანდრო ლერუსმაც მიპარა.

სამოქალაქო ომის დაწყებისათვის კი „ტრიუმვირატიდან“ რევოლუციურ ხელისუფლებას მხოლოდ მედიდური მანულ ასანია შემორჩა.

რესპუბლიკური მთავრობისადმი მხარდაჭერის კლება სულ უფრო შესამჩნევი გახდა, რასაც დაემატა ესპანეთის ყველაზე ბრძოლისუნარიანი სამხედრო ფორმირების — სამოქალაქო გვარდიის პუტჩი, მისი სარდლის გენერალ სან ხურხოს მეთაურობით.

მართალია რევოლუციურმა ხელისუფლებამ მოახერხა პუტჩის ჩახშობა, მაგრამ რესპუბლიკური მთავრობის უუნარობამ და არაკომპეტენტურობამ საკმაოდ არასასურველი გავლენა იქონია 1933 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე, სადაც მემარჯვენე ოპოზიციამ გაიმარჯვა.

რევოლუციური ორწლეული, ანუ „პირველი რესპუბლიკას“ ჰპოქა, დასრულდა. ესპანეთის ახალი მთავრობა მკვეთრად გაემიჯნა მმართველობის რევოლუციურ მეთოდებს. სწორედ ამიტომ შეარქვა ამ ხანას ესპანეთის მემარცხენე პრესამ „მავი ორწლეული“.

არჩევნებში დამარცხების მიუხედავად ოპოზიციაში დარჩენილი რევოლუციონერები ყველაზერს აკეთებდნენ ვითარების დესტაბილიზაციისათვის, რომლის მწვერვალიც მათ მიერ ორგანიზებული შეიარაღებული აჯანყება გახდა ასტურიას და კატალონიაში. მემარცხენე პარტიის მა ადგილობრივმა სეპარატისტებმა კატალონიის დამოუკიდებელი რესპუბლიკაც კი გამოაცხადეს. სამთავრობო ჯარების ძალისხმევით კატალონიის სეპარატისტულმა რესპუბლიკამ სულ მცირე დროის განმავლობაში იარსება. უფრო ხანგრძლივი და სისტელიანი გამოდგა „სოციალისტური ჯანყის“ ჩახშობა ასტურიაში.

სამწუხაროდ, მემარჯვენე-ცენტრისტულმა მთავრობამ ვერ მოახერხა სტაბილურობის მიღწევა და პრეზიდენტმა ნისეტო ალკალა სამორამ 1936 წლის თებერვლისათვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა.

რევოლუციონერები არჩევნებისათვის მათ პოლიტიკურ მონინააღმდეგებზე ტრადიციულად უკეთ მოემზადენენ და მემარჯვენებისაგან განსხვავებით მოახერხეს კონსოლიდაცია. შეიქმნა მემარცხენე-რევოლუციური „სახალხო ფრონტი“, სადაც სოციალისტებსა და მემარცხენე რესპუბლიკელებთან ერთად კომუნისტები და ანარქისტებიც გაერთიანდნენ.

მართალია 1936 წლის თებერვლის საპარლამენტო არჩევნებში „სახალხო ფრონტმა“ სულ მცირეოდენი უპირატესით გაიმარჯვა, მაგრამ 1931-1933 წლებში ესპანეთის რევოლუციური პარლამენტის მიერ საკუთარ „თარგზე მოჭრილი“ საარჩევნო კანონმდებლობის წყალიბით (რომლის გაუქმება მემარჯვენეთა უნიათო დემოკრატიული მმართველობის დროს ვერ მოესწრო), „სახალხო ფრონტს“ საპარლამენტო მანდატების დიდი უმრავლესობა ერგო.

რევოლუციური რევანში ფაქტობრივად გაყალბებული არჩევნების შედეგად შედგა.

აშკარა გახდა, რომ „მეორე რესპუბლიკას“, ანუ პროკომუნისტური დიქტატურის ხელმეორედ დამყარებას



ბრძოლის ველზე დაცემულთა ესკორიალი

(თუნდაც 1931-1933 წნ. „პირველი რესპუბლიკის“ ტერო-რის სავალალო გამოცდილების გათვალისწინებით) ძალი-ან დიდი ალბათობით შეიძლებოდა მოჰყოლოდა სამოქა-ლაქო რმი.

შეიძლებოდა კი ესპანეთში სამოქალაქო ომის თავიდან აცილება?

თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლებოდა! მაშინაც კი, რო-დესაც რადიკალური სოციალისტის მანუელ ასანიას გასაპ-რეზიდენტებლად სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობი-დან ძალადობრივად გადააყენეს ნისეტი ალკალა სამორა.

თვით ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ასანიამაც კი იგრ-ძნო მისთვის სავალალო შედეგების მომტანი „ქარიშხლის“ მოახლოება და სოციალისტური პარტიის კონსტრუქტიუ-ლი ფრთის ლიდერთან ინდალესიო პრიეტოსთან ერთად სცადა ჩამოყალიბებინა მემარჯვენე ოპოზიციისათვის მისაღები მინისტრთა კაბინეტი.

თუმცა, „მგზნებარქ რევოლუციონერის ფრანსისკო ლარგო კაბალიეროს წინააღმდეგობის დაძლევა ვერ მო-სერხდა და ეროვნული ტრაგედია გარდაუვალი გახდა.

ესპანური საზოგადოების პატრიოტულად განწყობილ ნაწილში საბოლოოდ განმტკიცდა იმის რწმენა, რომ:

* რევოლუციონერთა დარჩენა ხელისუფლებაში დაუშ-ვებელი იყო;

* „სახალხო ფრონტი“ კომუნისტური ინტერნაციონა-ლის პირმშოს წარმოადგენდა და მისი საბოლოო მიზანი კომუნიზმის დამყარება და ესპანელი ერის განადგურება გახლდა.

საინტერესოა, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე გან-ვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ის აქსიომა, რომ სამოქალაქო ომს არც თპოზიცია აჩალებს და არც „გარეშე ძალები“. სამოქალაქო ომის მიზეზი მხო-ლოდ და მხოლოდ ხელისუფლების წინდაუხედაობა, თავ-დაჯერებულობა და ზღვარგადასული სიხისტეა. დაუნდო-ბელი, თხხელიანი ძმათამკვლელი ომიც ესპანეთში რევო-ლუციურ-რესპუბლიკური მთავრობის სწორედ ზემოთ აღ-ნიშნული მმართველობის შედეგად გახდა გარდაუვალი.

მაინც რატომ დამარცხდა რესპუბლიკური ხელისუფ-ლება? ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ რევოლუციური ტერორის წინააღმდეგ აჯანყებულ ესპანურ არმიას ერის საუკეთესო წარმოადგენდა მხარი. იმ წარმოადგენდა რომ ის ეროვნული ლირსების შელახვა სიკედილზე უარესი გამოდგა.

სამოქალაქო ომის სისხლისღვრას კი მართალია წლე-ბის შემდეგ, მაგრამ ფრანკოს სიცოცხლეშივე (1959 წელს) მოჰყვა ძმათა შორის შერიგება. ამის სიმბოლოდ ესკორია-ლის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად, „პრძოლის ველზე დაცემულთა ველის“ გასხის საზემო ცერემონია გახდა. იმ მემორიალისა, სადაც 1936-1939 წლების სამოქა-ლაქო მმართველი მებრძოლი ესპანელი მეომრები გვერდიგვერდ წვანან საერთო ძმათა სასაფლაოში.

ესპანელებმა მოიგეს „ლირსების კორიდა“ და ამიტო-მაც მოახერხეს ფრანკოს სიკედილისთანავე ევროპული ტიპის ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, რო-მელიც სამაგალითოა მსოფლიოში, როგორც ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებით, ისე ადამიანის უფლე-ბათა და თავისუფლების დაცვის უაღრესად მაღალი დო-ნით.

ლია კუხიანიძე

ნაკოლეონი ხარისხვალაზე

...მართლაც და, რა უნდოდა 2011 წლის 3 სექტემბერს, ოქროსფერი შემოდგომით აფერადებულ და თბილ-ტყბილი მზით გასხივოსნებულ შაბათ დღეს ნაპოლეონს რაჭაში, შა-ორის ტბაზე. იქ, სადაც ჩემი ყოფილი (თუ შეიძლება კლასი ყოფილი იყო) კლასის მოსწავლეებს, უკვე მეორე კურსე-ლებს, ზოგს მინდონზე მოეკალათებინა, ზოგს ქვაზე, ზოგი ფეხზე იდგა და ტბაზე უეცრად გამოჩენილ, აბრძუშის თეთრი ლეჩაქივით აფარფატებულ, ზლაზვინით მიმავალი ნისლის ფთოლების ფონზე ნაპირზე მდგომ როსტომ ჩხეი-ძეს გულისყურით უსმენდა, რომლის მონათხრობი ნაპო-ლეონ ბონაპარტზე უბრალოდ ლექცია კი არ იყო, არამედ გულის ნაწილის სამზეოზე გამოტანა სხვების გრძნობების შესაძრავად, რადგან თვალი უნდა გადაგვევლო ცხოვრე-ბისთვის იმ კაცისა, რომელმაც ადამიანთა მოდგმას ამო-სახსნელ ამოცანად დაუტოვა თვითდახასიათება, „ჩემი სა-ხელი იმდენხანს გაძლებს, რამდენსაც ღმერთისა“, ჯერ ბოლომდე ვერავინ რომ ვერ ამოხსნა.

რას გულისხმობს ბონაპარტიზმის ფენომენი, რა ხიბ-ლავს მისით გატაცებულთ, რომლებსაც აზრის სითამამე, განცდების სიმძაფრე, კეთილშობილური მიზნების დასახვა და მისთვის ბრძოლის დაუკებელი სწრაფვა, მიზებდავად იმისა, სად და რომელ ეპოქაში ცხოვრობენ, ერთმანეთს ამ-სგავსებს, უკვე ასაკოვნები კი სიამოვნებითა და სინანუ-ლით იგონებენ თავიანთი ახალგაზრდობის ბონაპარტის-ტულ ხანას, განვლილი ცხოვრების „ქარიშხლისა და შეტე-ვის“ დროს. სიამოვნებით, იმიტომ, რომ არნივის მართვეს ჰეგვინენ, სინანულით-შეუძლებელი შესაძლებლად რომ ვერ აქციეს.

...თუმცა სანამ შაორზე მივიდოდით, მანამ იყო შარშან-დელი სექტემბერი. ჩვენი (გასტუდენტებული XII კლასისა და როსტომ ჩხეიძის, რომელთანაც მათ რამდენიმეწლიანი ურთიერთობა აკადემიკებთ) „მეგრული ტური“, რომელმაც „შემოდგომის შეხვედრების“ იდეა გაგვიჩინა და წელს რა-ჭას ვეტუმრეთ.

ნიკორწმინდა, თავისი განუმეორებელი ნიკორწმინდუ-ლი ხილით, სათონ სახის სტუდენტი-რესტავრატორი ანა ხონელიდის საინტერესო საუბრით ეკლესიაში ახლადაღმო-ჩენილი ჯაფარინისებისა და წულუკიძების გამოსახულება-ზე და მამა გაბრიელით (ერისკაცობაში მერაბ კობახიძე), თბილისის უნივერსიტეტის ყოფილი მეცნიერ-მუშაკა, ქა-ლაქელი ბიჭი რომ იყო, თავისი ქალაქური ცხოვრებით, მიზ-ნებით, თავისი ყოფა რომ მოსწონდა და უკვირდა და ვერ გა-ეგო, უფროსი კოლეგები რატომ ნატრობდნენ, „ეჭ, ნეტა ერთი ხელი ჩვენს ჭუუზე გვაცხორაო“, ვერ წარმოედგინა, სოფელში თუ იცხოვრებდა და მით უფრო, მღვდელი თუ იქ-ნებოდა, მაგრამ 1986 წელს ჩამოვიდა, 9 წელი მასწავლებ-ლობდა და... მართლაც რომ შეუცნობელია გზები უფლისა.

ტაძრის ეზოში ვისმენით მამა გაბრიელის სევდიან-იუმორიან ამბებს რაჭასა და რაჭველებზე, თავიანთი მდგო-

მარეობის გამო მუდამ სტუმრის მდგომარეობაში რომ არიან, 6 თვე სარჩო-საბადებლისათვის სხვაგან წასული, 6 თვე სახლში — სტუმარივით. შინ დაბრუნებულებმა თუ მაინც-დამაინც ვერაფერი მიიტანეს, თავს იმით იმედებდნენ „ოჯახს ხომ მაინც მოვაკელით ჩვენი თავიო“. რაჭა ათ თვეს ჩამომსვლელების ნატვრაშია. დაიძრებიან რაჭველები ყველა კუთხიდან საადაფომოდ და ხალისობენ იმერლები, „დაიწყო რაჭველების პერელიოტიო“. 500 კაცი სხავლობდა ნიკორნმინდის სკოლაში, სხვა სოფლებშიც არ აკლდა სკოლებს კონტინგენტი, ახლა კი მხოლოდ ნიკორნმინდის სკოლა და ისიც მცირერიცხვანიო. ზევით, ნმ. გიორგის ეკლესის ნანგრევებია, კარგ ამინდში ზღვასაც დაინახავ, თუ მეორედ ამოხვალოთ, აუცილებლად განახებთ, მიუხედავად სიძნელეებისა, რაჭა არ დაიცლება, მერწმუნეთო.

მერე ბარაკონი. რაჭის ზვიადი ერისთავის როსტომის ძვალთშესალაგი, დაწყებული წირვა, სტუმრების მოკრძალება და რაჭველების ხაზგასმული თავაზიანიბით მასპინძლობის გამოხატვა.

...და შაორი. ნაპოლეონ ბონაპარტი. კაცი ლეგენდა (სახელი ბრენდი, როგორც ახლა ამბობენ). კაცობრიობის უდიდესებასაც რომ აღემატა. თავისი მცონბინი ორ ნაწილად რომ გაყო, ნაპოლეონისტებად და ანტინაპოლეონისტებად, პირველთათვის იყო და არის რევოლუციონერი, გმირი, თითქმის მესია, მეორეთათვის — ტირანი, უზურპატორი, ანტიქრისტე. იყვნენ და არიან მესამენიც, შეფასებებში უფრო ზომიერი, მაგრამ ყველა თანხმდება იმაზე, რომ ნაპოლეონი ნაპოლეონია.

არ ვიცი, რამდენად შესავერად მიიჩინეს ჩემმა მოსწავლეებმა შაორის ტბის ნაპირი საფრანგეთის იმპერატორზე სასაუბროდ, რადგან ვერ დაფარეს გაკვირვება პასუხზე, რომელიც მიიღეს შეკითხვაზე, რაზე იქნებოდა საუბარი. ნაპოლეონს ნამდვილად არ მოელოდნენ, მაგრამ როცა როსტომ ჩეიძეებ თხრობა დაიწყო შეკითხვით, „როგორ გგონიათ, შეიძლებოდა თუ არა, ნაპოლეონს შაორზე გაეცლო“, და იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ნაპოლეონისადმი გაგზავნილი წერილიდან მოყოლებული წარმოგვიდგინა უწყვეტი ჯაჭვი იმ ქართველებისა, რომლებიც, სანამ ნაპოლეონი ცოცხალი იყო, ქვეყნის გათავისუფლებასა და ხსნას მის სახელს უკავშირებდნენ, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მისივე პიროვნების გაცნობა-გაანალიზებასა და ნაქმნარის განსჯების ხედავდნენ შეველას, ყველასათვის ცხადი გახდა, თემაც და ადგილიც შესანიშნავად იყო შერჩეული.

სულ სხვა საუბრის თემა როსტომ ჩეიძის „და უამისა მე ვარ იმედი“, ნაპოლეონიადას კიდევ ერთი ფურცელი („ჩვენი მწერლობის“ რამდენიმე ნომერში რომ იქნებოდა), როგორც თვითონ უწყვეტის, მისი მცირე მონოგრაფი-

ათა ციკლის ნაწილი, ლიტერატურულ-ისტორიული ცდა თუ თეზისური მონაზი, რომელშიც ნაპოლეონი კიდევ ერთი მიზეზია მის მიერ ქართული სულის კვლევის გაგრძელებისა, ისე ოსტატურად წარმართული, რომ მისით, როგორც აღვნიშნეთ, ქართული სულის სიღრმეების ჭვრეტაც ხდება და ქართული ლიტერატურით თვით ნაპოლეონის პიროვნების საინტერესოდ, „ქართულად“ წარმოსახვაც.

ავტორი მისთვის დამასასიათებელი თავმდაბლობითა და მოქრძალებით კი არქმევს ამ კვლევას ცდას, თეზისურ მონაზაზს, მაგრამ სინამდვილეში ესაა არაჩვეულებრივი ჩვენება იმისა, რუსეთისგან დაპყრობილი საქართველო, გონიერი საქართველო, რა თავანენირვით იბრძოდა და გარგული დამუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღსაღებად. გადა-

ქართულებას სამკედრო-სასიცოცხლოდ შებმული, უდიდესი იმპერიის ორ გუბერნიად ქცეული, თავისი დიდი შეილების ცხოვრებით, ნაზრევითა და მხატვრული ლიტერატურით როგორ უსწორებდა მხარს მსოფლიო ლიტერატურის „გრანდებს“ და ამით ადასტურებდა თავის მარადიულ მისწრაფებას ევროპული, ანუ საკაცოპრიო ღირებელებებისაც ვენ.

როსტომ ჩეიძე ისეთ კონტექსტში განიხილა შილერის, გოეთეს, ბაირონის, ბარათაშვილის სახელები, ისე გაიაზრა ნაპოლეონის სახე მათ შემოქმედებაში, როგორც მათივე პოეტურფილოსოფიური „მეს“ წარმოჩნდის საჯილდაო ქვა და ეს ისეთი ხელოვნებით გვიჩვენა, კიდევ უფრო გამძაფრდა ტრაგიზმი იმისა, რა ძნელია იყო ევროპელი ბაირონი და ათასჯერ უფრო-ქართველი ბარათაშვილი.

მანიც რატომ ჰქონდა ასეთი ხიბლი ნაპოლეონს ქართველისათვის და წაიღო თუ არა დრომ ამ ხიბლის გამომწვევი მიზეზიბი. როსტომ ჩეიძის მონათხრობი მხოლოდ ძალიან კარგი ლიტერატურული ცდა იქნებოდა ქართული ლიტერატურიდან ამიზრდილი ნაპოლეონის სახის ჩვენებისა, ამით ეროვნული თვითშეცნობის გაღრმავებისა თუ ერთიც, მეორეც და რაღაც მეტიც, ამაში მხოლოდ თხრობის დასასრულს დავრწმუნდებოდით.

მართალია, ბატონშა როსტომმა საუბარი იქიდან დაიწყო, 1815 წლის 7 მარტის დილიდან, სოფელ ლამიურთან, „ნაცირისფერსერთუევიანი და სამკუთხაქუდიანი მარტოკაცი“, კუნძულ ელბიდან გამოქცეული ტყვევა, მის წინააღმდეგ გამოგზავნილ მისავე ჯარისკაცებს მღელვარედ რომ მიმართავს, „მეხუთე რეგიმენტის ჯარისკაცებს, მცნობად თუ არა?“ „დიახ, დიახ დიახ? — პასუხმა მწერივები უნდა გაირბინოს“, „ნაპოლეონი სერთუეს იხსნის და გულმკერდს იღელავს: — რომელ თქვენგანს სურს ესროლოს თავის იმშერატორს? ესროლეთ“, მაგრამ მანამ ხომ იყო ის არაჩვეულებრივი წლები, რომლის



როსტომ ჩეიძე, ლილე ხვადაგიანი, ლია კუხიანიძე

მსგავსს უკეთესი მომავლის მნატვრელი ყველა ქართველი თავისი მამულისთვის ისევე ისურვებდა, როგორც იმ კაცს, ვისაც ქვეყანა ფეხზე დაეყნებინა და თანამემამულებისათვის დაკარგული ღირსება აღდგინოს.

ნაპოლეონი უკიდურეს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ საფრანგეთს ღვთის წყალიბასავით მოევლინა. ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე იდგა. გრძელდებოდა ომი აესტრიასა და ინგლისთან. სახელმწიფო ხაზინა ცარიელი, ხელისუფლება კი უძლური იყო, როიალისტების აჯანყებანი კიდევ უფრო დიდ საფრთხეებს რომ უქმნიდა. ნაპოლეონმა შეცვალა და ალადგინა ყველაფერი. მოიპოვა მშვიდობა, დაამყარა წესრიგი. შეიმუშავა ახალი კანონები. „ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსი“ — საფრანგეთის ეროვნული სამაყე, თანამედროვე ეგრიკის სამართლის I სამოქალაქო კოდექსი, რომლის დამუშავება-შედგენაში ლომის წილი მიუძლვის (102 სხდომიდან 57 პირადად ესწრებოდა), რომელიც გულისხმობდა პიროვნების უფლების დაცვას, კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, საკუთრების უფლებას, მოლაპარაკების თავისუფლებას, რელიგიათა თანასწორობას (ამის გამო, როგორც ამბობდნენ, მან „საფრანგეთს ღმერთი დაუბრუნა“), და ყოველივე ეს გადმოცემული იყო ისე წათლად, დახვეწილად, ლაკონურად, რომ იგი იმთავითვე აღიარეს ლიტერატურულ შედევრად. სტენდალი ფრანგული ენის სიმდიდრის გასაცნობად და შთაგონებისთვის ყოველდღე კითხულობდა ნაპოლეონის კოდექსის წყალის წარმატებებს. პოლ ვალერიმ სრულიად კანონზომიერად უწოდა მას „ფრანგული ლიტერატურის უდიდესი წიგნი“.

„ჩემი ჭეშმარიტი დიდება 40 მოგებული ბრძოლა კი არაა, ისინი ერთმა ვატერლოობ ამოშალა, არამედ ის, რაც მუდამ იცოცხლებს — ესაა ჩემი სამოქალაქო კოდექსი“, ალინინავდა თავად ნაპოლეონი.

სოფლის მეურნეობა ნაპოლეონმა „საფრანგეთის უპირველეს ინტერესად“ გამოაცხადა. გაზარდა წარმოების დონე. განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე აყვანა განათლება და სამოქალაქო აღზრდა. გააძლიერა ოჯახისა და მამულის პატივისცემა. შემოილო ახალი უმაღლესი ჯილდო — საპატიო ლეგიონის ორდენი და... გარკვეული პერიოდი გამათავისუფლებლად მოევლინა ხსნის მომლოდინე ქვეყნებს.

განა რა არის ზემოაღნიშნულში ისეთი, რის ხილვასაც საჟეთარ სამშობლოში ქართველი დღემდე არ ნატრობს?!?. ამიტომ იყო იმ დღეს შაორის პირას ნაპოლეონის სახელი არა მხოლოდ წარსულის აჩრდილების გამომხმობი, არამედ უფრო მეტიც, რადგან იქ სახელმწიფო ორგანიზაციების მაგრამ მისი ხელახლი დაკარგვის საშიშროების თვალნათლივ დამნახვა ახალგაზრდა ქართველები იდგნენ. შთამომავალნი იმ ქართველებისა „საფრანგეთის ხელი ქვეყანა რომ არ ჰქონდათ საასპარეზოდ, მაგრამ რაც ბედს ერგუნებინა, დასჯერებოდნენ და მას უბნობდნენ და ამ რეალში ლამობდნენ მიუღწევლის მიღწევას... თუმცა გზას ხომ მაინც კვალავდნენ სახელმწიფოს აღდგენისაკენ“ (როსტომ ჩხეიძე).

როსტომ ჩხეიძეს იმ დღეს არ უთქვამს ის სიტყვები, რომლითაც ამ-თავრებს მონოგრაფიაში „და უამისა მე ვარ იმედი“ მიმართას მკითხველისადმი:

„...ისე ნეტა თუ მართლა შეიკრა კომპოზიციური ქარგა და სახელდახლოდ ჩანიშნულმა მინაწერებმა აშიებზე უეცრად მხატვრულ-დოკუმენტური ფორმა შეიძინა?!..

თუ არა, დღიურის ფურცლებად ხომ მაინც გამომადგება...“

მაგრამ ზემოაღნიშნული კითხვის პასუხი კი ცხადად გამოკვეთა, კომპოზიციური ქარგაც შეიკრა, მხატვრულ-დოკუმენტური ფორმაც მიიღო, დღიურის ფურცლებმი ჩარჩენის საშიშროებაც ასცდა და კიდევ ერთი მუხტი შემატა იმ ახალგაზრდა ქართველის სულს, რომლის ცხოვრების კრედო, ნაპოლეონის ფრანგებისადმი ნათქვამისა არ იყოს, ასე შეიძლება გამოიხატოს: „შეუძლებელია — არაქართულია“. ამისათვის კი ღირდა ნაპოლეონის ჩევნითან ერთად ყოფნა შაორზე.

P.S. „შემოდგომის შეხვედრების“ მომავალ ადგილად გონიო დავთ-ქვით. ნეტა ხელი არ შეგვეძლებოდეს.

გიორგი გოგოლაშვილი

დაფარული ფიქრები

„პოეტი მაიც ერთი ლექსი...“

უცნაური ფიქრი გამიჩნდა: მომესურვა, გამოკითხვა ჩამეტარებინა, დუტუ მეგრელის რომელიმ ლექსის თუ გაიხსენებდნენ, გარდა ლექსისა „მე პატარა ქართველი ვარ“. სამცუხაროდ, სხვა ლექსი ვერავინ გაიხსენა; არადა, ვისაც ვკითხე, პატარა ქართველის ამბავი ყველამ იცოდა; დუტუ მეგრელის სახელიც ყველას გაეგონა; ამჯერად იმას არა აქვს ალბათ მნიშვნელობა, ხუთსტროფიანი ლექსის ორი სტროფი რომ გახდა პოპულარული და ყველასათვის მისაწვდომი „დედაენის“ წყალობით.

მთავარი სხვა რამეა: თითქმის ყველამ იცის ლექსი „პატარა ქართველი“ და პოეტი დუტუ მეგრელი...

სხვა სურვილიც გამიჩნდა: ვთხოვე, რაფიელ ერისთავის რომელიმ ლექსი გაეხსენებინათ, გარდა ლექსისა „სამშობლო ხევსურისა“. გაუჭირდათ ჩემი შეკითხვის ადრესატებს; კი, ზოგმა „სწავლობს გიგლა ტიტინა“ გაიხსენა, ზოგმა ისიც იცოდა, რაფიელმა სულხან-საბას „სიტყვის კონა“ რომ გამოსცა და ბოტანიკური ლექსიკონი შეადგინა... ლექსი კი — „სამშობლო ხევსურისა“ ყველამ იცოდა...

ეს ყოველივე ლაშა გახარის ლექსმა გამახსენა: „პოეტი მაიც ერთი ლექსია, ობლის ცრემლივით ცამდე მართალი!“...

ჭეშმარიტად! ერთი ლექსისა ის, რაც დუტუ მეგრელს პოეტად აქცევს! და ეს ასე იქნება საქართველოში მანამ, სანამ ქართველს სურვილი ექნება, პატარა ქართველმა ამ ლექსით შეაბიჯოს პოეზიის სამყაროში და თავისი ქართველობით იამაყოს.

ერთი ლექსისა ის, რაც რაფიელ ერისთავს პოეტად აქცევს... და ეს ასე იქნება საქართველოში მანამ, სანამ ქართველს სურვილი ექნება, პატარა ქართველმა ამ ლექსით შეაბიჯოს პოეზიის სამყაროში და თავისი ქართველობით იამაყოს.

მართალი ხარ, ლაშა, პოეტი თუნდაც ერთი ლექსია...

„პატარა ქართველი“

იაკობ გოგებაშვილს ხელთ ჰქონდა დუტუ მეგრელის ხუთსტროფიანი ლექსი, რომლის სამი სტროფი მოხსნა: აი, მოხსნილი III და IV სტროფები: „ქვეყნის თვალი ეს ქვეყანა ღვთის მშო-

ბლისა არის წილი, ბევრ მნარე დღეს მოსწრებია და უნახავს ბევრიც ტკბილი: ხან თუ მტერი აოხრებდა, იყო მღვრელი ცრემლის ცხარის, ბრწყინვალე დროც დასდგომია, დრო დავითის და თამარის“.

V სტროფი პირველის ვარიანტი იყო და, ცხადია, ისიც გაიწირა.

იაკობმა „დედაენაში“ ხუთი სტროფიდან მხოლოდ I და II სტროფები შეიტანა და „მე პატარა ქართველი ვარ“ ამით საყოველთაოდ ცნობილ და საყვარელ ლექსად აქცია. ლექსის შეკვეცას, როგორც ჩანს, ავტორი გაულიზინებია; იაკობი იძულებული იყო, განემარტა: ეს ორი სტროფი იმიტომ შევიტანე, რომ იგი „ნათლად საზღვრავს მამულის, სამშობლოს შემეცნებას... რაც შეეხება ორი სტრიქონის (ე.ი. სტროფის — გ.გ.) გამოტოვებას ბ-ნი დუტუს ლექსიდან დან, ეს იძულებული ვიყავ მომექდინა შემდეგი მოსაზრებით: საღი მამულიშვილობა ძვირფასი საუნჯევა; მაგრამ გადაჭარბება ასუსტებს და ამდარებს. ჩევნი კალმისანი გამოტოვებულს სტრიქონებში საქართველოს ქვეყნის თვალად სთვლის და ეს კი გადაჭარბებული ქებაა... გამოტოვებულს ორი სტრიქონის არც საიმისო კავშირი აქვს წინა და შემდეგ სტრიქონებთან“... აზრიც მეორებობო და „ამიტომ ლექსი არაფერს ჰყავრავს ამ საჭირო გამოტოვებით“...

იაკობი რომ გენიოსი იყო, ამითაც ჩანს: ამგვარი შემოკლებით მან ლექსასა და მის ავტორს უკვდავება მიანიჭა....

„სტუმრიანობას გილოცავ!“

„სტუმრილეთისაა!“ — ეს საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმაა. ვაჟა-ფშაველა გვახსოვს, რა თქმა უნდა: „დღეს სტუმრია ეს ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“, ანდა ჯოულია რომ ცოლს ახარებს: „აა, სტუმრი მოგვვარე, დვითის წყლობაა ჩვენზედან...“ არა ეს მხოლოდ ფრთიანი ხალური გამოთქმა ანდა ლამაზი პოეტური ფრაზები... ერთ ასეთ ფაქტს შევესწარი:

თელავში სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის შემდეგ ახმეტას ვესტუმრეთ, კვეტერა ვნახებთ და მერე ჩილოყაშვილების მამულში სუფრა გაგვიძალეს. ახმეტის გამგებელი გვმასპინძლობდა. სუფრის მოლოდინში ვიდეექით და ვსაუბრობდით. გლეხმა ჩამოიარა; ოციოდე ცხვარს მორეუავდა; ჩვენ მოკრძალებით თავი დაგვიკრა; გამგებელს ხელი ჩამოართვა და მიესალმა, „სტუმრიანობას გილოცავ!.. გამგებელმა მადლობა მოახსენა... იმ საღამოს იქ ყოფნას სხვა ლაზათი შესძინა ამ მისალმებამ...“

ჭეშმარიტად: ქართველი კაცისთვის ღვთის წყალობაა სტუმრი...

გერიკაცის შეგონება

სიჭაბუეში ერთ იმერულ სუფრასთან ვიჯევექი. ხალხმცირე სუფრა იყო. თამადამ დედმამიშვილების სადღეგრძელო თევა; მოისურვა, ჩვენ-ჩვენს რიზე გვეთქვა, ვინ რამდენი დედმამშვილი გვყავდა. ვინ — სამიო, ვინ — ოთხო, ვინ — მეტი და ვინ — ნაკლები. ჩემი რიგიც მოუიდა; ვთქვა სადღეგრძელო და მორცხვად დავამატე, ერთი და მყვას-მეტქი. ერთმა მოხუცმა თანამეონახემ შენიშნა ჩემი „გაჭირვება“ და დამამშვიდა:

—დედმამიშვილი რომ ცოტა გყავს, ნუ გრცხვენია, შეილო, ეს შენი ბრალი არაა; შენი ბრალი ის იქნება, ცოტა მეგობარი რომ გეყოლება... სახეც მახსოვს იმ ბერიკაციას, ხმაც და სიბრძნით სავსე გამოხედვაც...

ამპობს რუსთველი და გულისხმობს — ძართული ენა



1930 წელს გამოვიდა

აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“ — უმნიშვნელოვანების მონოგრაფია-სახელმძღვანელო ქართული ენისა. ამ წიგნზე და მის საფუძველზე შექმნილ სახელმძღვანელობზე თაობები აღიზარდა და იზრდება.

როცა მჭირდებოდა ეს წიგნი, ბიბლიოთეკიდან გამომქონდა. მერე ბედად ბუკინისტური წიგნის მაღაზიში შემხვდა. ცხადია, შევიძინე. ყველა ცალი, რომლითაც მისარგებლია ადრე, ყდაშემოცვეთილი იყო ან მეორეულ ყდაში იყო ჩასმული. იმ ცალს, რომელიც შევიძინე, თითქმის ხელუხლებელი ყდა აქვს. გარეკანზე ანერია „ქართული ენის გრამატიკა“ და ახატია შოთა რუსთაველი (ცნობილი ნახატი — პროფილით რომ დგას). ცოტა კი მეუცნაურა და ამიტომ შევამოწმე, სადაც ხელი მიმინვდა, მაგრამ მოძიებულ ცალებს ყდა ან არ ჰქონდათ შერჩენილი, ან ხელახლა იყო ჩასმული ყდაში. ქალბატონ მზექალა შანიძეს მივაკითხე, ვაჩვენე ეს წიგნი. როგორც გაირკვა, აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკას“ ყდაზე არაფერი ეხატა. შოთა რუსთაველი იმას დაუხატვინები წიგნის გარეკანზე, ვისი საკუთრებაც იყო ადრე ჩემი წიგნი (სამწუხაროდ, არ ანერია ვწინახობა წინანდელი პატრონისა).

ქართული ენის სახელმძღვანელოს ილუსტრაცია არც სჭირდება და არც უხდება, მაგრამ თავისთავად საინტერესოა „ქართული ენის გრამატიკას“ საყდე „ილუსტრაციად“ რუსთაველის გაზრდება: ამის გამკეთებლისთვის რუსთაველი და ქართული ენა ერთი ყოფილა... ლმერთმა უშველოს!

„გულმოგებული“ რეცეზერები ანუ ავტორ-გამომცემელთა „ეშაკორგანი“

კარგა ხელის წინათ გამომცემლობა „განათლებამ“ ენათ-მეცნიერების ინსტიტუტში „ვეფხისატყოსნის“ ენის საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნი გადმოგზავნა სარცეცნზიონდ. წიგნი რეცეზითისათვის ალექსი ჭინჭარაულს გადასცეს, როგორც „ვეფხისატყოსნის“ ენის უბადლო მცოდნებს. მე არ მინახავს მსგავსი რეცეზია: ბატონი ალექსი წერდა ჩვეული პირდაპირობით, პროფესიონალიზმით, დაუნდობელი იუმორით; მოკლედ, ამ წიგნის დაბეჭდვა არ შეიძლებაო... ავტორმა და გამომცემელმა იუშმაკის: წიგნს დაანერეს „რეცენზენტი ა. ჭინჭარაული“ და წიგნი გამოვიდა, ცხადია, შენიშვნები არ გაუთვალისწინებიათ... ასე „მოი-

გეს” რეცენზინტის გული. დაბეჭდილი წიგნის რეცენზინტის პროტესტს რაღა აზრი ჰქონდა: წიგნი წიგნად დარჩა...

თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე კოლეგის ორტომეულის პირველი წიგნი განიხილებოდა. რეცენზია ბესარიონ ჯორბენაძემ ნარმოადგინა; მძიმე რეცენზია იყო. როგორც ჩანს, წიგნი უკვე იბეჭდებოდა, ამიტომ აქაც იეშმაკეს გამომცემლებმა: წიგნს რეცენზინტად ბ. ჯორბენაძე დააწერეს და მცირე მინაწერიც გაუკეთეს: პირველი წიგნის მიმართ გამოთქმულ საგულისხმო შენიშვნებს მეორე ტომში გავითვალისწინებოთ!.. ასე „მოიგეს” რეცენზინტის გული. დაბეჭდილი წიგნის რეცენზინტის პროტესტს რაღა აზრი ჰქონდა: წიგნი წიგნად დარჩა...

ზუგდიდელმა ნაცნობმა მ. და ც. ძაბაშვილის „ნაშრომის“ ხელნაბეჭდი მომიტანა; ავტორები ამტკიცებდნენ, რომ მსოფლიოს ყველა ენა მეგრულიდან წარმოიშვა; მსოფლიოს ყველა ენის ყველა ანბანს ერთ-ერთი მეგრული ბეგრა უდევს საფუძვლად; რომ მეგრული ყველაზე მდიდარი ენაა მსოფლიოში და მისთანანი... ავტებენი, რომ ეს იყო ცრუმეცნიერება; ამგვარი რაიმეს წიგნად გამოცემა კი არა, გაფიქრებაც კი უხერხული იყო... როგორც ჩანს, ავტორებს ჩემი აღმფოთება გადასცეს და... რამდენიმე ხნის შემდეგ დიდი, სქელყდიანი წიგნი „ენის წარმოშიბის საიდუმლო“ მომართვეს ვრცელი, მაღლიერების გამომხატველი წარწერით; წიგნს გაშლით ეწერა: რეცენზინტი პროფესორი გიორგი გოგოლაშვილით... ცხადია, ნანას ხელნაწერთან შედარებით წიგნში არაფერი იყო შეცვლილი... „კვლავ აღმფოთდა რეცენზინტი“; პროტესტის წერილები გამოაქვეყნა გაზეთებში „საქართველოს რესაულიკა“, „სიტყვა“, „ურნალში“, „ბურჯი ეროვნებისა...“ მერე რა? დაბეჭდილი წიგნის რეცენზინტის პროტესტს რაღა აზრი ჰქონდა: წიგნი წიგნად დარჩა...

და ვინ იცის, რამდენი ასეთი წიგნი დარჩა წიგნად...

მერე რაო? — მეტყვის ვინმე. — არაფერი, ორი სიტყვა ჩემთვის ვთქვი...

სახელი და პიროვნება...

გვარი ჩიბურდანიძე იმერეთში არცთუ საამაყო გვარი იყო. „ვინა და ჩიბურდანიძეო“, — აგდებით იტყოდნენ. მაია ჩიბურდანიძის დამსახურებაა ის, რომ ამ გვარს ეს ირონიული წიუანის მოეხსნა... .

ლუარსაპი მეფეთა სახელი იყო. ლუარსაპ მეორე წმინდანად შეირაცხა... ქართლ-კახეთისა და იმერეთში XIX საუკუნეში დოკუმენტების მიხედვით ეს სახელი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელია; XX საუკუნის დასაწყისში კიდევ არქემედნენ ამ სახელს; ილიას „კაცია-ადამიანის?!“ შემდეგ ეს სახელი არაპოპულარული გახდა. მეტიც, საზოგადო სახელის დატვირთვაც მიიღო: „მომრავლდნენ ლურსაპები“... და დღეს თითქმის აღარავის ჰქვია... არად კარგი სახელია...

მურმანი, განსაკუთრებით მთაში, უარყოფითი სახელი იყო. ვწერდი ერთგან, მთიულეთში სუფრაზე სტუმარს რომ ესახდნენ მურმან, მურმანო, დისახლისმა იყოთხა, მურმანს რად ეძახითო. ასე ჰქვიაო, უთხრეს თურმე. არ დაიჯერა, ასეთ კარგ ბიჭს მურმანი არ ერქმევაო...

მურმან ლებანიძის დამსახურებაა, ეს სახელი დღეს უარყოფით ასოციაციას რომ არ იწვევს... მურმანი, მუხრანი, ანა... — ათეული წლებია ერთად ითქმის...

პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ გამოაქვეყნა გურიის, იმერეთისა და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ოჯახების აღწერა (ცალ-ცალკე წიგნებად). გამომცემელმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მხოლოდ ერთ ოჯახში ერქვა ერთ ბავშვს აკაკი (აკაკო) — როსტომ წერეთლის იჯახში (XIX საუკუნის 40-იანი წლებია)... სწორედ ამ აკაკოს — დიდი აკაკი წერეთლის — დამსახურებაა ის, რომ XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ეს სახელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელია...

აღარას ვამბობ „ვეფხისტყოსნის“ გმირთა სახელებზე...

თემა თავისთავად საინტერესოა... დღეს აკაკი წერეთლს ვკითხულობდი და, როგორც მეგობარი მწერალი იტყვის, უნებლიერ წამომაგონდა...

ყველაზე დიდი საიდუმლო ანუ სიზმრის ფანტაზია

რეზო ინანიშვილს სიზმრის თემაზე რამდენიმე ჩანაწერი აქვს. ერთგან გაკვირვებული წერს — საიდან ქმნის ჩემი სული ამ გრანდიოზულ სურათებს... ხშირად გაოცებული ვასმერ, ვინმე დალაგებით აზრიან სიზმარს რომ თხრობს, როგორც კინოფილმს. დედამ იცოდა ასეთი სიზმრები... მეტყიც: წინასწარმეტყველური სიზმრები ჰქონდა: რომელიმე შეუძლოდ რომ შევიქნებოდით, დედა იძღლევე დარეკავდა სოფლიდან, როგორ ხართ, ცუდი სიზმარი ვნახეო... .

უცნაურია: სიზმარს ვერ ვიმახსოვრებ, უფრო შთაბეჭდილება, განცდა მრჩება მებესიერებაში; ხშირად ეს განცდა იმდენად მძაფრია, დიდხანს გამყვება და მტანჯავს, თუმცა იმ ამბის აღდგენას ვერ ვახერხებ, რამაც ეს განცდა შემიქმნა... ერთი ასეთი უცნაური განცდა ბავშვობიდან მომდევს, თუმცა რა არის, ამის თქმა არ შემიძლია...

თუ მახსომდება სიზმარი, იმდენად უაზრო და ულოგიეროა, მოყოლაც კი მრცვენია: ჩემს გონებაში ასეთი უაზრობა (შეიძლება ითქვას, სისულელე) როგორ წარმოიშვა-მეტები...

ერთ ქადაგებაში ილია მეორემ ბრძანა, ყველაზე დიდი საიდუმლო ადამიანია... ჭეშმარიტად!..

სიბერი — შირთა უფრო ძნელი ზირი

რუსთაველი რომ გენიოსია, არახალია, მაგრამ სანამ სიბერე მომადგებოდა, არ მიმიქცევია ყურადღება ერთი ადგილისათვის; ხომ გახსოვთ, როსტევანს რომ ათქმევინებს:

„მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელაო...“

ჭეშმარიტად, სიბერეზე უფრო ძნელი ჭირი არ არსებობს... არადა, ეს ახალგაზრდა კაცმა თქვა... და კიდევ:

სიბერე — ჭირთა უფრო ძნელი ჭირი... — აი, სადაა ფესვები საბას ლექსიკოლოგიური აზროვნებისა!..

შეარჩეობული წონასწორობა

ყოველთვის მიკვირდა: მთაწმინდაზე ილია და აკაკი ტაძრის სხვადასხვა მხარეს რატომ არიან დაკრძალული-მეთქი. მე მგონი მიგხვდი: ისინი აწონასწორებენ ამ უწმინდეს სივრცეს... სხვაგვარად „წონასწორობა დაირღვეოდა“...

„ეს აუსახლია“

2010 წლის 15 დეკემბერს, ანა კალანდაძის დაბადების დღეს, მთაწმინდაზე ავედით. ანას საფლავთან, სოლომონ დოდაშვილის საფლავის მხარეს, ვიდექით. ქალბატონი თი-ნა ყანდარელი (ანას რძალი — ძმის ცოლი) ჰყვებოდა: ანას საძინებელში არაფერს ვეხებოდი; წიგნების კარადა არა-სოდეს გამიღია. გარედან თუ გადავწენდი მტვერსო. ანას გარდაცვალების მერე ვნახე, სასოფლაოთან სოლო-მონ დოდაშვილის წიგნი ედო. როგორც ჩანს, უკანასკნე-ლად ამ წიგნს კითხულობდათ...

და დასძინა: ანა სოლომონ დოდაშვილის გვერდით არის დაკრძალული...

ქალბატონ ანას სჩვეოდა გამოთქმა — „ეს აუსახლია“...

გაიც რა არის აარონიში?

პარონიმების ლექსიკონი გადმომცეს სარეცენზიოდ. პა-რონიმები ისეთი სიტყვებია, რომლებიც ბერობრივად ერთმანეთს ჰქავს, რაც მიზეზი ხდება მათი ალრევისაო. ეს განმარტება პირობითია: გააჩნია, ცოდნის რა დონე აქვს მკითხველს, ვისთვისაც არის გამიზნული ეს ლექსიკონი, რადგანაც სიტყვათა ესა თუ ის წყვილი შეიძლება ერთ შემ-თხვევაში მივიჩნიოთ პარონიმად, სხვა შემთხვევაში — არა: ბერს ცნება და მცნებაც არ ერევა ერთმანეთში, ზოგს კი...

რამაზ ქურდაძე მიყვებოდა: ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სვანეთში გამანანილეს მასნავლებლადო. მეა-თე კლასში ერთი ყალთაბანდი მოსნავლე მყავდა. როცა ვერაფერი მოვუხერხე, გადავწყვიტე, დორექტორთან წა-მეყვანა. მოვკიდე ხელი და მიმყავს. შეშინდა და ხვეწნა და-მიწყო: აფერისტო მასნავლებელო, არ წამიყვანო დირექ-ტორთან. ამან მთლად გამაციფრა. მივიყვანე. რა მოხდაო, მკითხა დირექტორმა. განვუმარტე, ასე იქცევა, ასე-მეთქი და დავამატე: წაცვლად იმისა, ბოლიში მოიხადოს, აფერის-ტო მასნავლებლოს მექანის-მეთქი. სიცილი აუტყვადა დი-რექტორს: მაგას უნდოდა პატივცემულო ეთქვაო; ერევა ერთმანეთშიო...

ჰოდა, იმ მოსნავლისათვის აფერისტი და პატივცემუ-ლი პარონიმები ყოფილა...

მაინც რა არის პარონიმი?

ორად გაყოფილი დრო

სადღაც წავიკითხე, ერთიდან ხუთ წლამდე დრო ძალი-ან ნელა გადის, ხუთიდან ოთხმოცამდე — ჩქარი მატარე-ბელივითო.

ხუთი წლის მიჯნად დადება როგორ აიხსნება, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად შემიმჩნევია: ჩემი დრო ორად არის გაყოფილი — სკოლამდე და სკოლაში შესვლის შემდეგ. ის, რაც სკოლაში შესვლამდე მოხდა (1955 წლამ-დე), მგონია, რომ ძალიან დიდი ხნის წინათ იყო; ხოლო ის, რაც სკოლის პერიოდიდან დღემდე მოხდა, თითქოს გუშინ იყო... და ეს მხოლოდ ახლა არ მგონია, ასეა თითქმის სულ...

არ ვიცი, როგორ გავიგო, როგორც მიჯნა წიგნიერ და არაწიგნიერ სამყაროს შორის?..

ახდენილი ოცემა

ნინო ნაკაშიძის მოგონებას ვკითხულობდი: „მაშინ ექვ-სი წლის ვიყავი... როდესაც სკოლაში შევედი, „დედა-ენას“ ვსნავლობდა, მასნავლებელმა ნინო ქიქოძემ გვიმბბო, რომ მას უნახავს „დედა-ენის“ დამწერი იაკობ გოგებაშვილი... ჩვენი ბაგშვებისათვის იაკობის ნახვის სურვილი ოცნებად გადაიქცა“ და გამახსენდა:

კურსების საშუალო სკოლაში ქართულ ენას მასნავლი-და შესანიშნავი პიროვნება და პედაგოგი გიორგი გაბრიაძე. ქართული ენის გავევთილზე აკაკი შანიძის სახელმძღვანე-ლოს რომ აიღებდა ხელში, სიამაყით ჩაურთავდა ხოლმე, აკაკი შანიძი მასნავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტშიო... და აკაკი შანიძე ასეთივე საოცნებო კაცად გვესახებოდა ჩვენც...

...და მე ეს ოცნება ამისრულდა.

თვითგამოცხადებული

და

თვითაღიარებული

ეს ორი ტერმინი, მე მგონი, მანამდე არ არსებობდა; ოთხმოცდათიან წლებში დამკვიდრდა პოლიტიკურ ლექ-სიკონში. და პოლიტიკაში იხმარება ურჩ რესპუბლიკათა მიმართ. ვფიქრობ, შესაძლებელია სხვა სფეროშიც გადა-ვიტანოთ და დავამკვიდროთ.

მაგალითად, თვითგამოცხადებული დისიდენტი. ამას წინათ ერთ მოგონებათა წიგნს ვკითხულობდი. ნაცნობი ავტორი საუბრობდა 70-იანი და 80-იანი წლების საზოგა-დოებრივ მოვლენებზე. ეს ვყელაფერი ჩემ თვალწინ ხდე-ბოდა და თითქოს ძალიან უცხოვა არაფერი უნდა თქმული-ყო; თქვენ წარმიიდგინეთ, ითქვა: თურმე ეს ჩემი ნაცნობი იმ პერიოდში ძალიან აქტიური დისიდენტი ყოფილა; ამის გამო ჯარშიც კი გაუშვიათ და ასე შემდეგ... და რადგან სხვამ ამის თაობაზე არაფერი ვიცოდით, ადგა და წიგნი დაწერა თავის დისიდენტურ წარსულზე... მეორე წიგნიც წავიკითხე — 90-იანი წლების მოვლენებს იხსენებდა ავ-ტორი; თურმე, საბჭოთა კავშირი მას დაუნგრევია; იმპე-რია კანკალებდა მისი შიშით... მე არც ასეთი დისიდენტი გამეგონა... მე მგონი კარგი ტერმინია — თვითგამოცხადე-ბული დისიდენტი...

ერთ პროფესორს ვიცნობ. რამდენიმე ათეული წელია, წერს, იძახის, ახალი გრძალიტიკული კატეგორია აღმიგვაჩი-ნეო; აკაკი შანიძემ ვერ შენიშნაო. როცა აკაკი შანიძემ ეს მოხსენება მოისმინა, თქვა „სრული გაუგებრობააო“. ეს აზრი გამოაქვეყნა კიდეც დიდმა მეცნიერმა; მერე რა, „აღ-მოჩენის“ ავტორი არ ცხრება; აკრიტიკებს, ებრძევის იმათ, ვისაც არ სჯერა მისი აღმოჩენისა; არადა არავის სჯერა... ჰოდა ასეთ ფაქტს უნდა დაერქვას თვითაღიარებული აღ-მოჩენა...

დასკვნა: ტერმინებმა თვითგამოცხადებულმა და თვი-თაღიარებულმა გამოყენების სფერო უნდა გაიფართოოს...

გივი ჩუგუაშვილი

„უსამართლობას 30 ვერაბერი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— რჩებინის დაკარგვა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ისევ და ისევ საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სრულად ფლობდე შენს თავს, შენს საქმეს, გრძნობდე და იზიარებდე შენი იჯახის, მეგობრებისა და კოლეგების ტკივილს თუ სიხარულს.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი“)

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით ალმაშენებელი, ქეთევან წამებული.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი, გუდიაშვილი, ვან გოგი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ფალიაშვილი, ლალიძე.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ზურგიდან რომ არ მოგეპარება და სიმართლეს დაუფარავად გეტყვის.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათონებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მდიდარი შინაგანი ბუნება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ჩემი პროფესია (მსახიობი).

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ყველა, ვინც ჩემთვის იდეალია, ხოლო ასეთები არც თუ ისე ცოტაა.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— უსამართლობას ვერ ვეგუები.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ყურადღებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ზოგჯერ გონიერას ემოცია უსწინებს.

— თქვენი ნარმოდგენა პედინიერებაზე?

— საქმის დიდი სყვარული და მუდმივი ლტოლვა საყვარელი, რჩეული ადამიანისკენ...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— უარყოფა იმისა, რაც მე-16 კითხვის პასუხად გითხარით...

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— როგორიც ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი წითლით.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა (სხვები გვტოვებენ ზამთარში, ბელურა კი — არასიდეს).

— თქვენი საყვარელი მნერალი?

— რუსთაველი, მიხეილ ჯავახიშვილი, გამსახურდია, ჭაბუა ამირეგიბი, ჯეკ ლონდონი, მერიმე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, აკაკი, ტერენტი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მაია წყნეთელი, ანა ფრანკი, ანა კარენინა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— თამარი, ნესტანი, თეკლე, ეკატერინე.

— რას ვერ იტანა ყველაზე მეტად?

— საქმის დაუმთავრებლობას, გაურკვევლობას.

— ისტორიული პირვენება, რომელმაც თქვენი ზიზლი დამსახურა?

— შაპ-აბასი, ჩინგიზ-ხანი, თემურ-ლენგი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ლირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას ვანიჭებ იმას, რომ ვაშენება დემოკრატიულ ქეყყანას. ყოველ შემთხვევაში ამის მცდელობა მანც ვაკეს. იმედი, საქართველო, როგორც სახელმწიფო, დემოკრატიული გზით განვითარდება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ისევ და ისევ მსახიობისა.

— როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— არავინ მნახოს, როგორი ვიქენები გარდაცვლილი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ვფიქრობ, ძლიერი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ამ კითხვაზე ცოტა მიჭირს პასუხის გაცემა, მაგრამ ჩემი თავიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებ, რაც უნდა მდგომარეობდნ გამოვანილი ვიყო, ძალიან მალე ვატიობ ადამიანს, მით უფრო მეტი ღირსების მატარებელია იგი.

— თქვენი დევიზი?

— წყალწალებული ხავს კი არ უნდა მოეჭიდო, ხელი უნდა გაანძრიო და წყლიდან აუცილებლად ამოხვალ...

— თუკი ოდესმე შესვედებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შენ აგუიდებ კაცობრიობის ცოდვებს და ქვეყანა გადარჩება!



გრიგოლ კ. რობაქიძე

ჩვენი — მეცის დრო

ჩვენი ვულკანის გზის გადაღმა, ჭექა-ქუხილის მთაზე განმარტოებით მდგარი ბებერი მუხის ტოტებში ხუთინი შემძრალიყვნენ; ყველას თითო ჭოვრიტი ეჭირა, მაგრამ ერთს „ბეისბოლკა“ ეხურა თავზე, მეორეს „უშანკა“, მესამეს ფესკაზე ზევიდან ჩალმა შემოეხვია, მეოთხეს კიპა დაეკოსა და მეხუთეს კი სულაც ძევლი ჩინელი მანდარინების მომრგვალებული სამკუთხა ქუდის მსგავსი, უცნაური, ზანზალაკებიანი თავსაბურავი.

— ბოლაგე?

— უფ, არაა...

* * *

ერთ არცთუ ისე მშვენიერ სალამოს, არასამთავრობო, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება „სრულიად გეოგრაფიულ წარმონაქმნით გაერთიანება პოსტკატასტროფული გამოწვევის წინაშე“ თავის მორიგ, ყოვლად უზრო და არაფრისმომცემ თათბირსა თუ კონფერენციას მაინც ბრიყვული სიჯიუტით ატარებდა; სალამოს კი მართლაც არ ეთქმოდა მშვენიერი — თავსხმა წვიმა დროდადრო წყდებოდა და სამივე, ნაწყენი, შეურაცხყოფილიცა და, ასე განსაჯეთ, ერთობლივი ძალისხმევით „გადარჩენილი“ მზეც კი ერთნაირი დაუნდობლობით აცხუნებდნენ დედამინისგან დარჩენილ უწესრიგო და თითქმის სრულიად სასოწარკვეთილ მრავალკუთხედს; თან ქარიც ქროდა. ძალუმ ძლიერი.

და, ამინდ-უამინდობას თავიცა და ტანიც რომ დავანებოთ, ეს ჩვენი, ხვენნადალსხნუკაურსა და პოპოკაკატეპეტლს შუა ძლიერ ჩაკვეხებული, უმაღლესი საბჭოს წინაშე შიშალდინას მოხსენებას რომ ისმენდა ამ ამოხუთულ და ღმერთისგან სამუდამოდ დავიწყებულ დარბაზში, სულაც არ ფიქრობდა მშვენიერებაზე, მით უმეტეს იმ საღამოსი და მეტადრე კი იმისა და გამო რომ აეს შიშალდინა წითელი ხით ნაკეთი, მოპლატინებული ტრიბუნიდან მოურიდებლად და თავხედურად, ჩვეული მონოტონური რიტ-მიკით, სიამოვნებით აფრევევდა გესლა და ბოლმას:

— ...ჯერ კლაუჩევსკაას, კორადკსკაიას, ფუძიამასა და კილიმანჯაროს უმსგავსო მაგალითებით გამოწვეული აუიოტაჟი არ მიმცხრალა საზოგადოებაში, ახლა კიდევ ეს ყოვლად არადემოკრატიული, მეტსაც ვიტყვი და ხმამაღალ ბრალდებებსაც არ მოვერიდები — ანტიგლობალისტური გამოხდომა! დიახ! საუბედუროდ ჩვენს რიგებშიც გაჩნდნენ ტროის ცხენები, უფრო სწორად კი, ყოველთვის იყვნენ მაღლულად, ახლა კი ნილბები ჩამოიხსნეს და ცინიკურად, ყოვლად უსინდისოდ შემოაპარეს ჩვენს რიგებში, პირდაპირ ვიტყვი — ჯაშუში და უფრო მეტიც — მტერი!

დარბაზი აჩოჩქოლდა; უსიამოვნო შფოთი ბუზებრივიც იქნებოდა ასეთი გამოსვლის შემდეგ, მაგრამ ის, რო-

გორც ყოველთვის, ხელოვნურად გააათასაგა ულტრა-მემარცხენე ფრაქცია „ჰა, თორემ!“-ის აქტივისტთა ჩვეულმა აგრესიულობაში.

— უუ, სირცხვილი!

— ...და თავის მოჭრა! თან ახლავე!

ჩვენი მშვიდად ილიმებოდა და თვალებით აწყნარებდა თითქოს გულწრფელად შეწუხებულ ვეზუვისა და გეკლას; სწორედ მათი რჩევა-

თხოვინთ ეახლა ამ სწორების სხდომას, თორემ... 400 წელზე მეტი სრულდებოდა, რაც არ ამოფრქვეულა; რაის ამოფრქვევა?! ადგილიდანაც არ იძროდა, ეს უწნაური გარემოება კი ამ არასამთავრობო, მაგრამ საერთაშორისოს კიდევ უფრო ძაბავდა და აშინებდა — რაღაცას ამზადებს! მისი დუმილი იმდენად მრავლისმეტყველად მიაჩნდათ, რომ ათასგარი კომპრომეტირების შემდეგ ფიზიკური ლიკვიდაციაც დაუპირეს, მაგრამ ვეზუვიმ 400 წლის წინანდელი მოვლენები გაახსენა და გადაიფიქრეს, ალბათ დროებით.

ჩვენი ვეზუვის ბავშვობიდან იცნობდა და მასში ეჭვი არც ეპარებოდა, მაგრამ სულ სხვა საქმე გახლდათ გეელა.

ჩვენს თვალინი დაუდგა ერთი კვირის წინანდელი საბედისნერო სალამო, როცა ეს ორნი სტუმრად ენვიცენ; ავღანური ყაყაჩოებით გახალისებულ სუფრას მიუსხდნენ და სატაცურისა და ტრაუფელების გარნირიანი, შებრანული მწყებით გარშემორტყმული უზარმაზარი ხოხობი და მთის ბროლში ჩაციებული „მანავის მწვანე“ მოხუცმა კამერდინერმა საკუთარი ხელით მიართვათ.

ვეზუვი, როგორც ჭეშმარიტი ესთეტი, ვერცხლის თასით ხელში აშკარა სიამოვნებით ათვალიერებდა ჩვენის ერთ-ერთ გატაცებას — ათასგარი ზომისა და ფორმის ქვებით შექმნილ ლაბირინთსა და მის თიხისა თუ ლითონის მინიატურულ ბინადართ.

— თავს ვიქცევ, სხვა რა საქმე მაქვს, — დაიმდაბლა თავი ჩვენმა.

— აპ, აპ, — თავი გადააქნია ვეზუვიმ, — საოცრებაა! რა ნერვები უნდა?! ბარაქალა!

თითქმის სულ ეს იყო, რაც იმ საღამოს ჩვენმა და ვეზუვიმ მოახერხეს და ერთმანეთს უთხერს, რადგან გეელა მადიანად ილუქმებოდა და ლაპარაკობდა... ლაპარაკობდა გაუჩერებლად, თითქოს განსაკუთრებული მიზნის გარეშე, ცოტა ფამილიარულად და ხაზგასმული კეთილგან-წყობით, რაც ჩვენსას, არაა, არ გამოპარვია:

— მაგარი ყაყაჩოებია! ძან მაგარი! მაგრამ, აი, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, ამას ხომ გერჩივნა, ეკადორული ვარდებით დაგვევედროდი? ვიცი, რომ ვარდს ყვავილი არ გირჩევნია... ან ეს? კი, ლაპარაკი არაა, მაგარი



ლვინოა, ძაან მაგარი! მაგრამ, აი, 100% ვიცი, რომ „კრისტალი“ გირჩევნია...

— დრო იცვლება. ჩვენც ხანდახან, — ჩაურთო ჩვენმა, მაგრამ გეკლა ლაპარაკობდა...

— შენც იხეირებ! დაფიქსირდები, მოგცემენ სტატუსს, აირჩევ სახელს, ანგარიშსაც დაგიმრგვალებენ და... მოგცეცს ლეხნა! არ თქვა ახლა, შავი ჯიპი არ მინდაო! ჰოდა, არ უნდა ამას მაგდენი ფიქრი! აქ ერთ კონტა აეროპორტსაც ჩადგამ და ეგ არი! ან ამ ბებერის სიფათს როდემდე უნდა უყურო? პორტუგალიური სააგენტო ვიცი ერთი, გოგოები არიან? აუუ! მაგრამ შენ ისე არ გაიგო, ამას ხოხობი შეუწივა?! ძაან მაგარი...

— ხოხობი, ალპათ, მზარულმა შეწვა, — საფუძვლიანად შენიშნა ვეზუვიმ, — მაგრამ დანარჩენში მართალი ხარ, ვარდები, „კრისტალი“, ჯიპი...

— ჰოდა, ჩვენ მაინც გვითხარი რამე! მთელი სამყარო ხომ შეცვალე მაგ შენი დუმილით?! — აიტაცა გეკლამ, — ჩვენ მაინც აგვისხენი, რას აპირებ?

ჩვენმა ვეზუვის თვალებში შეხედა და ისევ არაფერი უთქვამს.

გეკლა აფეთქდა:

— დაუფიქრდი! სხვა გამოსავალი არის?! თუ ისე დაჩანაკდი, რომ იმ კრეტინ „ალტერნატივისტებზე“ ფიქრობ?! კარგი, რა! მეტი არაა ჩემი მტერი, მაგათ რამე რეალურად უნდოდეთ! დაფინანსდებიან ბოლო-ბოლო და ეგ იქნება! მაგრამ შენ უსტატუსოდ?! აუ, მე კი არ მეხალისება ამდენი ტლიკინი, უბრალოდ, მაგარს გბალეშიკობ! თან შენ რომ ამოიფრევევი რა იქნება?! ძაან მაგარი! აი, უმაგრესი!

რომ აცილებდა, არც ჰო ჰერნდა ნათქვამი ჩვენს, არც არა და ვეზუვიმაც, მხარზე კოცნისას, ჩუმად ჩაულაპარაკა:

— შენ იცი, როგორც გადაწყვეტ, ისე იქნება, მე გელოდები.

... და, აი, ახლა ჩვენი მშვიდად უსმენდა საყოველთაო აყრანტალების ფონზე კიდევ უფრო გაგულისებული შიშალდინას გამოსვლის მაინცმონობონშე-ნარჩუნებულ დასკვნით ზანილ:

... და კატეგორიულად მოვითხოვ რადიკალური ზომების მიღებას ამ ეგრეთ წოდებული „ლინიალური“ ელემენტების უგნებელსაყოფად, რათა ალარ მიცეცო შესაძლებლობა, შექმნან ნოვიერი ნიადაგი ჩვენს ვულკანურ ყოფიერებაში ანტიდემოკრატიული განწყობილებისათვის! (მქუხარე ტაში!) დაბოლოს, უბრალოდ, არ შემიძლია, არ ავბობორდე და არ ამოვაფრევით პირადად ჩემი და ჩვენი ფრაცია, „ჰა, თოროგ!“-ის სახელით პოზიცია მამალ ძროხებთან დაკავშირებით! დიახ! ჩვენ აუცილებლად დავიჭროთ ყველა მამალ ძროხას თუნდაც ყველაზე ბერე თოახმი! ხოლო თუკი, როგორც ჩვენი ოპონენტები ირნიულად ამტკიცებენ, მამალი ძროხა ბუნებაში არ არსებობს, ჩვენ შევქმნით მას! მადლობა ღმერთს(!), ჩვენს დიად და საამაყო დროში მიღწევები კლონირებასა და ბიოტექნილოგიებში ამის საშუალებას იძლევიან თუ იძლევა, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და, თქვენის ნებართვით, ბატონო ვიცე-სპიკერო, ამ ოპოზიციონერ ვაჟაბატონებს მივმართავ — ნუ გადაგვაყოლეთ ამ თქვენი ენის სიჩმინდეს! ცოტა გათანამედროვდით, ვულკანიზაცია ბოლოს და ბოლოს!

გამამხნევებელი სტვენის, ტაშისა და „ჰა, თოროგ!“-ის შეძახილების ფონზე შიშალდინამ ძვირფასი ტრიბუნა დატოვა; რაც შეეხება მის ბოლო რეპლიკას, ის მიმართული იყო ვიცე-სპიკერ ეტნასა და ჩვენი მეგობარი ვეზუვის მიმართ — პირველს, ბოსტის მიუხედავადაც კი!, მობეზრდა ეს ისედაც ცხადშედეგიანი, პათეტიური მონოლოგისტერია და აპირებდა ჩაქუჩით ხელში შეეწყვიტა ყოველ რეგლამენტს გადასული გამოსვლა, მეორებ კი თავს გაღიმების უფლება მისცა „მამალი ძროხების“ ხსენებაზე.

ამის შემდეგ ამ არასამთავრობო, მაგრამ საერთაშორისო რააალაცის კონფერენციაზე ხანმოკლე გეგმიური შესვენება გამოცხადდა.

* * *

ფოიეს კუთხეში ხელში მოუკიდებელსიგარიანი, თავ-ჩაქინდრული და განმარტოებული ვეზუვი ისევ ჩვენმა ანუგება:

— კარგი, ჰო, მოხდა-მოხდა, არ აბობოქრდე ახლა შენც...

— წამოდი, გარეთ გავიდეთ, წინა სხდომაზე ფოიეში მოწევაც აკრძალეს ამ დამთხვეულებმა.

ჩვენს გაცინა:

— აქ მეპატიურებოდი ეს ვულკანივით კაცი?

დარბაზგარეთეთილებანწყობილი, ვითომმომბოდი-შებელი, კედლებსაკარული და გზის დამთმობი „ჰა, თოროგ!“-ის აქტივისტების ჯგროზლვა ყინულმჭრელი ხომალდებივით გააპო ორმა ვულკანმა.

გასასვლელის ხელმარცხნივ ბოლოსწინა კარს უვემოვნებოდ ექროსფერი აბრა ჰექნდა, ზედ გულისამრევად მოლურჯო-მოშავო წარწერით „კაბ. 317. გონივრული და შორის გამიზნული ნაბიჯების ფონდის სალარო. მოლარე ი. ისკარიოტელი“; რომ ჩაუარეს, გაიღო და მადლობის ძახილით, ჯიბეში შევსებული ანგარიშის ჩეკით, შუბლისძარლვანწყვეტილი, მაგრამ ორშაურიანივით სახეგაბრნწყინებული გეკლა გამოხტა, ესენი კი შეამჩნია, მაგრამ დორ, ადგოლი და გარემოება სრულიად ურცხვად არ შეამჩნია:

— დამელოდეთ, მე ეტნას დაველაპარაკები, ყველაფერი კარგად იქნებაო, — მიაძახა და ფოიეს ლაბირინთში გაუჩინარდა.

მზების დაუნდობლობასა და წვიმებს შორის უწოდავ დამბას დაემთხვე შესვენება. ვეზუვიმ სიგარას მოუკიდა, ჩვენმა — ჩიბუხს.

— გასაგებია, რომ უკან აღარ შემოხვალ... ხომ იცოდი, ასე რომ იქნებოდა, — ვეზუვი ჩვენს თვალებში აღარ უყურებდა, — სამ დღეში მოგაკითხვეს აღმასრულებელი, რას იზამ?

— რა უნდა ვენა? 400 წელია, ხმას არ ვიღებ და მაინც ათასი სისულელე მომიგონეს, წარმომიდგენია, ჰო რომ ვითხო, რა ლეგენდებს შეთხზავენ!.. ოლონდ ამჯერად, ალბათ, კარგს...

ვეზუვის თვალები აენთო:

— საუკეთესოს!!! ჩვენო, იქნებ, მართლა დაფიქრდე, ა? ხომ ხედავ, მარტი შენ მაინც ვერაფერს ცვლა? მეც მოგემატები და რა? ერთის მაგივრად ორ სიზიფეს დაგვიძახებენ... თანაც შენი საქმე! გა-ა-კე-თებ! ვერ ხედავ, რა კრეტინები არიან? ვერაფერს ცვდებიან, მარტო საფრთხეს გრძნობენ...

პლატონ-არისტოტელე ამბავი იყო.

ჩვენის ლიმილის რაობას მიმხვდარ ვეზუვის მალევე ჩაუქრა თვალები:

— კარგი, მაპატიე... შევეძი, იწყება.

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ამბის მიმტანასაც არ დავტოვებთ! — ისმოდა დარბაზიდან გუგუნი.

— უჟკ, — ვეზუვი შენობაში შებრუნდა.

ჩვენი ამბის უაქტუალურესი კითხვა ამჯერად შედარებით მოულოდნელად გაისმა:

— აბა, რას აპირებ?

არცთუ სასიამოვნო
შთაბეჭდილებებისგან გა-
დაღლილმა ვულკანმა ახ-
ლალა შენიშნა ჩრდილში
კონსპირაციულად შემა-
ლული სამი სილუეტი —
კლიუჩევსკაა და ფუძიამა
იყვნენ, მესამეს არ იცნობ-
და და მის თვალიერებაში
პასუხი დააყოვნა.

— ეს მონბლანელია,
გაიცანი... ესეც უსტატუ-
სოა ჯერჯერობით, — ტკი-
ვილით გაულიმა ფუძიამამ;
ნლების განმავლობაში ეს
კეთილშობილი იაპონელი
ისე შეცვლილიყო, თავის
აჩრდილსლა ჰეგვადა.

— გასაგებია, — ჩვენმა
დიდი ხნის უნახავ კლიუ-
ჩევსკაიასაც შეავლონ თვა-
ლი, ისევ ისეთი ზორბა,
ქორფა და, რაც მთავარია,
პირდაპირმზერიანი. თუმ-
ცა კვლავ ოდნავ უხეში
იყო; — რას უნდა ვაპირე-
დე? არც შევპრუნდი... სამ
დღეში პასუხს ვეტყვი.

— ისე, რომ იცოდე, —
აროხობდა კლიუჩევსკა-
ია, — სულ ფეხებზე მკიდია მაგათი ვაჭრობა! კიდევ ცო-
ტას ვაცლი და სულაც პოლონურ ალტერნატივას აღვად-
გენ! ესეც ჩვენიანა, — თავი გადააქნია მონბლანელის-
კენ, — ჰო, არარატმა მოგიკითხა! — და ვადაიხარხარა.

— მომიკითხა? — ვითომ გაიკვირვა ჩვენმა, — რა ვი-
ცი, მაგის მინიმუმ 4-5 წარმომადგენელი „ჰა, თორემ!“-ის
ბენურში ისხდნენ, იმათ მოგვეთხე?

კლიუჩევსკაია?! — კონფუზიონე! — როგორც ვეზუვი
იტყოდა; ჩვენი წამით კიდევ დატკება ნასროლი მაგმის სი-
ზუსტით და გამოთხვების შემდეგ თავისი, ჩვენი ადგი-
ლისკენ დაადგა გზას.

* * *

მოურავს ვუწოდებდით, მაგრამ სრულიად არაჩვენე-
ბური სახელი — ჯემიზი ერქვა, თანაც კატასტროფულად
შლალი ბაკენბარდები მოეშვა ჭორფლიან სახეზე და ამი-

ტომ — კამერდინერმა თავის ადგილას დაბრუნებულ და
დაუყოვნებლივ მძლავრად აბოლილ ჩვენს ორი ამბავი და-
ახვედრა:

— რომლით დავიწყო, ჩემო ბატონო? ერთი კარგია,
მეორე კი უმნიშვნელოდ ცუდი.

— უმნიშვნელო არაფერია, ჯემიზ, დროა, დაიმახსოვ-
როთ; ცუდით დააწყეთ.

— დიახ, ჩემო ბატონო. თქვენი „ლეპ-ტოპი“ გარდაიც-
ვალა.

ვულკანმა მხრები აიჩება:

— კარგა ხანია, ბან-
ქოს ნამდვილი ქაღალდი
მომენატრა პასიანსისთ-
ვის; იმან კი აქამდე რომ
გაძლო, ისაა გასაკვირი!
მთავარი კომპაუტერი ხომ
არის მხეცივით?

— დიახ, ჩემო ბატო-
ნო! და გრაფი კალიოსტ-
რო გეახლათ, ასე ბრძანა,
ჭექა-ქუხილის მთაზე ვი-
ყავი და შენი ბატონი რომ
არ მენახა, კიდევ 3000 ნე-
ლინადს ვერ დავიცდი-
დიო; სტუმრების ოთახში
მოვასვენე, ვასადილე და,
ახლა, თუ არ ვცდები,
თვლემს.

— კეთილი. რომ გა-
იღვიძებს, ჩემს კაბინეტ-
ში მოაბრძანე.

— დიახ, ჩემო ბატო-
ნო. ყავა?

— ჰო, ჩემო კარგო.
„ენისელიც“.

* * *

ჩვენი საწერ მაგიდას
მიუჯდა და ზანტად და-
ინწყო საქაღალდეების
ფურცლვა; სათაურებს კითხულობდა და მერე ორ თუ სამ
სხვადასხვა გროვად ახარისხებდა ჩუმი ბუტბუტით:

— „გველვეშაპის სასიცოცხლო განაჩენი“, არ გვინდა,
აქეთ... ბუხარში... „პოლკოვნიკი კავშირზე ალარ გამო-
დის“, ჰმ, აქტუალურია, მაგრამ არა, ესეც აქეთ... „საბე-
დისწერო მგზავრი“, რა დროს ესაა? — სანაგვისკენ...
„აიანგი“ — ნეტა ერთი თქვენ! „აფთარი“, ვნახოთ, ვნა-
ხოთ, სახიფათოა, იტკვირება... „სარკისმილელი ანგელო-
ზი“, აუ, ამას აქ რა უნდა?! „ევას ალსარება“...

ჯემიზმა იქვე მდგარ პატარა მაგიდაზე თითქმის უხმა-
უროდ დააწყო თურქულყავიანი ფინჯანი, ყინულით სავსე
ჭიქა, „ენისელი“ და კითხვით შეხედა ვულკანს; გაბოლილმა
ჩვენმა ალერსიანი თავის ასეთივე დაწენევით გაისტუმრა.

— აპაა! „აერობარი. ეპიზოდი VII. ვარდი, შროშანი,
იასამანი“. ამას ვეძებდი... კარგია! ასსეეე... „როცა მაღა-
ზიები დაიკეტა“, „ნულოვანი სიჩუმე“, „ნიკოლოზ „მუნ-



მხატვარი ბატონი გაგნიძე

ჯი“, „ყინულის ტახტრევანი“, „აწმყოს გარეშე“... არა, არა, არა! აი, ეს ვნახოთ, — და ჩვენმა, მორიგი საქალალ-დით ხელში, პატარა მაგიდასთან გადაინაცვლა.

ტიტულ-ფურცელზე ნაბეჭდი სათაური გასაოცარ მო-გონებებს აღვიძებდა ჩვენში:

„რევინინგემი

ნაწილი I

(ფრიდრიჰ ზერო (მამზადებელი) —
კომმუნის დროის პირველი მეფე“)

ჩვენმა „ენისელი“ სირჩაში ჩამოისხა, ცას ახედა, ერთბაშად გადაკრა და წამით გაირინდა; მერე გულმერდჩამთბარმა — ვულგანი იყო! — ყავა მოსვა და პირველ გვერდს დახედა:

„2222 ნელი ქრისტეშობიდან.

დედამინა.

მზე — შუბისნვერზე.

სიგრილე მუსიკასავით.

თეოტრი მარმარილოს მაღალ კოლლონადებში მი-მობნეული საზოგადოება; სამსავე დროში და სამივე განზომილების, მარადიული მღელვარება უდრტვინვე-ლად განფენილია.

— თქვენ უდიდებულესობავ...“

ჩვენი წამოდგა, ნელა მოაქერა საწერ მაგიდაზე გა-დაჯგუფებული ყოვლად ქალალდი:

— ჯემიზ, ალი! — და ელვის სისწრაფით აღმოჩენილ, გა-ვარვარებულ, მოტაცურნი, შემლილ ბუხარში მოისროლა...

რა თქმა უნდა, სიცარიელე, ქალალდთან ერთად.

* * *

— რაღა ფრანკულად ვიმეტყველო? ან არაბულად? შენ გეტყვი მხოლოდ, მეგობარო ჩემო, სამელნევ...

„სიგიუსი უკანასკნელი საფეხური“ — ვიღაცის სიტყ-ვები მოაგონდა გულგანს.

დანალვლიანდა...

— „ვულგანი „მწვანე“ — მე ალარასდროს ამოვიფრქ-ვევი!“ — სასიამოვნო პარიტონმა მკაფიოდ წაიკითხა ჩვე-ნის დაწერილი, გრაფი კალიოსტრო მის მხართან იდგა და ჩვეული იდუმალებით ილიმებოდა, — უკაცრავად, ჩემი ძეირფასო, ხომ იცით, რომც არ დამენახა ნაწერი, ისედაც სიამოვნებით გამოვიწნობდი თქვენს ნააზრევს.

— რა თქმა უნდა, გრაფ, — გაულიმა ჩვენმაც; ამ ადა-მიანის მორალს თანაუგრძნობდა, ლოგიკასაც თითქოს სდევდა ბოლომდე, მაგრამ მეტაფიზიკა — ეს ყველაზე მე-ტად ატყვევებდა მასში... საით? საით?! ახლა მაინც სა-ით?!, — დაბრძანდით, გეთაყვა.

მოიკალათეს; ცას ახედეს — მთვარე არ ჩანდა.

— ჯემიზ, სახურავი! — ბრძანა ჩვენმა.

ღრუბლიანი ზეცა უმაღ შეცვალა საუცხოო მოზაიკით მოოჭვიდმა გუმბათმა; 100000 სანთლით გაჩახჩახებული ჭაღი ნელა დაეშვა ზემოდან, ფანტასტიკური გაბარიტების დარბაზი გაანათა და ოცდაათიოდე მეტრის სიმაღლეზე გაჩერდა; ამავე დროს ჭრიჭინების ჩუმი ხმაური წყნარად ჩაანაცვლა „ვენის ტყის ზღაპრების“ საუცხოო ჰანგებმა.

— და რატომ „მწვანე“, ვულგანთა მეფევ? ერთი მიბრ-ძანე!

— მხიარულ გუნებაზე ხართ გრაფ, — ჩვენმა სირჩები „ენისელით“ ბოლომდე შეავსო, — მე კი...

— თქვენ, ჩემო კარგო, ისევ დარდსა და თქვენი მელნი-სებრ შავ კარგის მინებებიხართ... აბა, ასე როგორ შეიძლება?

— თქვენთვის ადვილი სათქმელია... ნუთუ ვერ ამჩ-ნევთ...

— ვამჩნევ!

ჩვენმა წარბები ამშვილდა:

— მაშინ?

— აპ, დაივიწყეთ, ჩემო კეთილო, ყველაფერი დაი-ვიწყეთ — ის თქვენი ლვთაებრივი ვულგანიაც, ტყუილიც, „ფიარიც“, ეს ამორალისტური მოჩვენებითობაც, ეგ თქვენი კოონტები და აფთრებიც! დედამიწაზეც ნუ დარ-დობთ — უყურადღებოდ არ დატოვებს შემოქმედი!

კალიოსტრო წამოდგა და დარბაზში გაიარ-გამოიარა — ათასი ფერის სიფრიფანა აბრეშუმი კიდევ უფრო ამშვენიე-რებდა მათ წატიფ სხეულებს — უზადო გემოვნებით მორ-თულ დარბაზში ასობით ფერის დაფარულატებდა, მათ შორის კი თითქოს ასი წლით გაახალგაზრდავებული, ბედნიერლიმ-ლიანი ჯემიზი მაინც მკაცრი გაბლენძილობით დააბიჯებდა და თავისებური წესრიგის დამყარებას ცდილობდა... მაგრამ, ო, ეს ლვთაებრივი ფერიები! ნებისმიერი სასურველი ტონა-ლობის წყნარი, მერდისმიერი, მაგრამ მხიარული მათი სიცი-ლი სულაც არ უშლიდათ თამაშში ხელს ჩვენის უზარმაზარ სამეფო დოგ აქტეონსა და მის დიდრონ ლიპზე ეშმაკურად თავმოკატუნბულ ჩვენსავე ფერფლისფერ კორატ ვანგას.

— ნახე, ვულგანო, რა მუსიკა?! რა ფერიები?! აპ! — კალიოსტრომ გადაკრა, — ან რა საუცხოო კონიაკ? და რა შესაძლებლობები! შენი შესაძლებლობები, ვულგანო, შენი! თუნდაც ამ ჭერის ორნი? მაგარი იყო! აუუ, ძაან მა-გარი! — და თვალი ჩაუკრა.

უასაკო გრაფი ხარხარებდა, რაც ერთობ უზერულო იყო მისთვის; ჩვენსასაც რა ექნა? — გაიღიმა და გვერდით ჩაფრენილ ისიფერ ფერისა ავლანური ყაყაჩუქად გადაუჭირა... სად, სჯობს, არ გავამშილოთ.

— ყველაფერი დაივიწყე, ვულგანო! სულ სხვა დრო მოდის! სულ სხვა! ჩემი არ გჯერა? — და კალიოსტრომ მივიწყებული საწერი მაგიდიდან ჩვენს ერთ-ერთი საქ-ალდის ტიტულ-ფურცელი მიანოდა:

„ამბავი იმაზედ, თუ როგორ შეთანხმდნენ ავგური, ლაოკონი, სიბილლა, კასსანდრა და ნოსტრადამუსი, რომ, შესაძლოა, ისინი ცდებოდნენ.“

ჩვენს ფურცელი ხელიდან გაუვარდა.

აქტეონ და, ასე განსაჯეთ, ვანგაც დიდხანს აშტერ-დებოდნენ, როგორ ფორთხავდა სიცილისგან გვერდე-ბატკიფული მათი პატრონი მარმარილოს იატაკზე ვიღაც უცნობ, შავკამზოლიან კაცთან ერთად.

* * *

მესამე საღამოს ჯემიზმა ალმასრულებელი ჩვენის სა-ხელით ცივზე ცივი უარით გაისტუმრა; საღამო კი წვიმი-ანი გამოდგა და გაოგნებულმა ალმასრულებელმა პირის დალებაც ვერ მოასწრო, რომ ზეციდან ზევსის ეტლის გრგვინვა მოისმა და ჭექა-ქუსილის მთაზე განმარტოე-ბით მდგარ მუხას მეხა დაეცა; ბებერ ხეს არაფერი დამარ-თია, მხოლოდ მის ტოტებში შეყუული ხუთი უცნაური არსება გადამზიფებული მსხლებივით დაენარცხა შიწას.

ვულგანი ჩვენი კი ბოლავდა მშვიდად.



სევარიონ ნადირაძე ტრადიციული პოეტური კულტურის ერთგულ ყმად რჩება და არის ამ ერთგულებაში რაღაც ისეთი, რაც სიმპათიით განგაწყობს მისი ლექსების მიმართ.

კონფენციური ლექსის წერა პასუხისმგებლობასთან ერთად დიდ სიფრთხილესაც მოითხოვს.

პასუხისმგებლობა როგორც ისტორიის დაფასება და სიფრთხილე როგორც თანამედროვეობის წინაშე გაღებული ხარკი. როგორც თვითონვე წერს, „სიტყვის ბაგირზე“ უნევს გავლა და საფიქრებელია, რომ ეს არც პოზაცა და არც გაუცონბირებელი მეტაფორა, არამედ განდობა და აღიარება იმ რეალობისა, რომელშიც ის მართლაც იმყოფება. მან თავს მიუსაჯა ერთგულება და მოთმინებით იხდის თვითონვანაჩენის საზღაურს.

ადვილი არ არის იმ უპრალებისა და სისადავის მილნევა, რასაც კონფენციური ლექსი ითხოვს. ხიფათით ალსავესა ამ ქეყუნაზე არც ლექსით ცხოვრებაა იოლი, მაგრამ სევარიონ ნადირაძემ იცის, რას აკეთებს; იცის, რა უნდა და საიმ მიდის.

სიკეთის რჩმენა ასაზრდოებს მის პოეტურ მიზანს. სჯერა უკეთესი მერმისისა და ლექსის უკვდავებისა.

ბავშვის თვალებით უყურებს სამყაროს და დარბაისლური ნაბიჯებით ზომავს მანძილს ყოველდღიურობიდან პოეტურობამდე, უსასონიდან სასოებამდე, დასასრულიდან დასაწყისამდე.

სევარიონ ნადირაძე

* * *

* * *

რაც გითხარით, მშვიდობით,
(მიპასუხეთ ასევე-)

სულ ყველგან ფეხს გიდებენ,
სულ ყველგან შხამს გასმევენ.

არსად ალარ გწყალობენ
ჩემს პატარა ლაბუებს,
ნუთისოფლის კანონებს,
რა ვქნა, ვერ შეგაგუეთ.

შურდული აქვთ უვიცებს,
მიზანშია მაღლობი,
მინდორ - მინდორ წუ იფრენთ
ჭიკჭიკით და გალობით.

გამოხსენით უჯრები,
გამოალეთ კარები,
ვიდრე დაგმუნჯებენ,
ვიდრე დაგბრმავებენ.

რაც გითხარით, მშვიდობით,
(მიპასუხეთ ასევე-)
სულ ყველგან ფეხს გიდებენ,
სულ ყველგან შხამს გასმევენ.

მეტაცი

მეტეხი ყელს იღერებს,
თან ძველ სიზმარს იგონებს,
კიძეებად იყენებს
ჩემი ლექსის სტრიქონებს.

ეს აღმართიც ამაყად,
რომ დაპყურებს ქალაქებს,
ქვაფენილად რითმებს და
მეტაფორებს ალაგებს...

უკვე ვერაფერს ვერ დაგპირდები.

ახალს ვერაფერს გამოვიგონებ,
დღეს ლექსი სუნთქავს ჩემი ფილტვებით,
და ჩემი გულით ფეთქავს სტრიქონი,

სულ ზედმეტია ახლა სიტყვები,
როცა ვარსკვლავებს ვატყობ კარებანს,
ღამეს უჭირავს მთვარე თითებით,
ვაი, რომ უცებ ხელი გაეშვას?!

საცუთროს

სულ ტყუილად ეცდები,
გამიტაცო დინებით...
დელგმითა და შფოთითა!
უკვე ჩემი ლექსები,
ჯადოსნური ჯინები
ამოვუშვი ბოთლიდან...

დონ კიხოტი და ნაცარევენია

რომ გადაფაროს ჟამი ღალატის,
რომ წინ აღუდგეს დროის სიმძიმეს,
დღე მაღალ მთებში მზის მუზარადით,
დონკიხოტივით გამოიღვიძებს..

ნარიყალიდან თავს რომ გვევლება,
მართლა ციხეა, მართლა მეხია?
თუ დონკიხოტის გასამხნევებლად
დევზე შემდგარა ნაცარევენია?

* * *

ფანჯრიდან ჩემს ქალაქს გადავყურებ,
სარემელში ხე გაშლის აფრებს ნელა,
მეცნიბა ყოველი გაზაფხული,
რომელიც ამ ხიდან აფრენილა.

ქუდი კვლავ ირიბად დავიხურე,
გზა არის უბრალო — ქვაფენილი,
მეცნობა ყოველი ნაფეხური,
რომელიც ამ გზაზე გაფენილა...

* * *

ოთარ რურუას

ნისლებს ამოვაცმევ
მთის ჩაქურებს,
მკერდში გადაგმალავ
მოლალურებს,
პოეტებს ვერ იტანთ?!
ქვით ჩაქოლეთ!!!
ლექსებს არ ატკინოთ,
ოლონდ გული...

აღსდევი მოსვა

აქ ისტორია კედლებიდან ტირის და გოდებს,
ცოდვილს ეგვიპტე ენატრება,
ასე მგონია...
გთხოვ, გაგვიძეხი რძის ქვეყნისკენ,
აღსდექი მოსევ!!!
მდევარი ისევ სისხლიანი ფარაონია...

დელავს და დრტვინავს ფარაონის
ციხე ტიალი, გვწყურია, გვშია,
წყდება უკვე რწმენის სამანი,
აღსდექი მოსევ, ჩვენთან ერთად იხეტიალე,
გვაჭამე მწყერი, დაგვაპურე ციურ მანანით...

დრო აღარ გვინდობს,
მედროვე კი თვალებს აცეცებს,
ფორთხვით და ლიქნით,
შეძახილით, ტაშით დროულით...
მედროვესა ყველა სკამი,
ყველა კვარცხლბეკი,
რომ ჩავიმუხლოთ
ადგილს ვერსად ვეღარ ვპოულობთ...

აქ ისტორია კედლებიდან ტირის და გოდებს,
ცოდვილს ეგვიპტე ენატრება,
ასე მგონია...
გთხოვ, გაგვიძეხი რძის ქვეყნისკენ,
აღსდექი მოსევ!!!
მდევარი ისევ სისხლიანი ფარაონია..

* * *

მივიკვლევდი წერაქვით
ამ ბილიკებს ღორლიანს,
რასაც თქვენ ლექსს ეძახით,
ჩემი თბილი ქოხია,

უნდა რწმენით იწვოდე!

ღაღადებენ ნიშნები,
როცა ლექსს ვწერ, იცოდე,
ქოხში გეპატიურები...

ვით დურგალი, ვით ხურო,,
ვცხოვრობ ჩემთვის ისვევ...
თქვენც ლექსს კი არ კითხულობთ,
ჩემს თბილ ქოხში ისვენებთ.

მალე

მალე ჩამთავრდება
ძველი ვოდევილი,
მორჩა!!! — დავიძახებ
ალბათ გაგიუგით,
ქარში გაფანტული
ხმელი ფოთლებივით,
ფეხში მედებიან
ჩემი ნაბიჯები.

ცაიგს

შალვა პეტრიაშვილს
მიჰყვები აღმართს დაუსრულებელს,
და ფეთქავს, ფეთქავს, ფეთქავს
დილის მზე,
და ისე გტკივა სხვისი გულები,
რომ საკუთარი გადაივიწყე...

თუ გინდა კარი შემოხურე,
ცხოვრება მაინც ზღაპარია,
იმდენი გული შემოგყურებს,
იმდენი გული გაბარია..

მე და შენ

მე და შენ ბედს არ ვუჩივით,
ვაგრძელებთ ერთად ხეტიალს
და გვიკვირს ვიწრო ქუჩებში
მზეც როგორ შემოეტია...

ზურგს უკან

ზურგს უკან კბილები გაილესეს,
მე ვფიქრობ რატომდაც აკაკიზე,
ყოველდღე ყოველი კაი ლექსი,
"მეგობარ პოეტებს" მაკარგვინებს...

ლექსით ვარ ყველაზე უმდიდრესი,
რითმები ზოდებად ლაგდებან,
"ძმები" კი სრულიად უმიზეზოდ
მტრის გათხრილ სანგრებში მაგრდებიან...

* * *

შენიდბულია ისევ დარბაზი,
ისევ ლიმილი მტკიფა ბაგეზე,
და შიშით ხელში, როგორც ჯამბაზი,
ისე გავდივარ სიტყვის ბაგირზე...

ცეტა

გამიტყუებენ სადმე ნისლები,
და რომ არ შევრჩე ნილების ქოროს,
მსურს გავაუქმო სხვა შუქნიშნები
და ბეღურები დავტოვო მხოლოდ...

* * *

ფურცელზე თვალებს აცეცებენ,
ლექსები —
მელნის ნამცეცები..

გთვარე

ღამის ჰორიზონტზე ბუტავს ვილა,
ირგვლივ ლაბირინთის კედელია.
მთვარეც პოეტივით გულუბრყვილოდ
ფიქრობს, რომ სამყარო კეთილია...

ზეცა ვარსკვლავებით აშრიალდა,
ისევ ოცნებაში დარჩა კიბე,
მთვარეც პოეტივით ბავშვია და
ტირის ხელები, თუ არ ჩაჰეთ...
ისევ ვხმაურობ

ისევ ვხმაურობ ლექსებიდან ბგერებით,
მრავალნერტილებით,
მავანს ფეხებში ვედები და,
მავანს თვალებში ვეჩხირები...

ჩანან დალლილი ფარდებიდან,
როლები ენაკვიმატები,
ლექსებთან ერთად ვმთავრდები და
ლექსებთან ერთად ვიბადები...

შეიფარეთ

ყოველ სტრიქონს სულ ამაოდ ვეფერე,
ფეხს აიდგამს, მიმატოვებს მაშინვე!
ჩემი ლექსი თუ შინ შემოგეპარათ,
ნუ გააგდებთ, შეიფარეთ ბავშვივით...

თუ უეცრად მშობლად ამოგირჩიათ,
დამილოცეთ მადლიანი ხელებით,
სამშობლოსთვის ძგალობელი ჩიტები,
მტრებისათვის ალგეთელი ლეკვები...

ზამთარი

ზამთარი ქარში გაიზარდა,
ირგვლივ გრადუსი მინუსია,
ნუხელ კი თოვლში წაიქცა და
მშიერი მელებიც მიუსიეს...

ბალიშზე თავი ფხიზლად მიდევს,
რა დაემართა?! — ჩემთვის ვფიქრობ...
მზეს ვინ ოხერი გააღვიძებს,
მამალმაც, რომ არ დაიყივლოს?!

პოეტი

ბუხართან ელის იგი მუზებს,
მერე კი ლექსებს — თოთო ბავშვებს —
კალამს როზგივით გადაუჭერს
და ფეხშველებს გაყრის კარში.

* * *

გაჰყვება ქარებს შორეული, თეთრი ქორნილი,
დრო ისე ჩქარობს საჭეს ვეღარ დაიმორჩილება...

ისმის ხორხოცი, მზე ტორტმანებს, როგორც სჩვევია,
ქვეყნის ბოლოში სახიფათო მოსახვევია...

* * *

მიწა ვნებებით მიმონებს,
შეჩერდი, ზეცა ღალადებს!!!
ჩემს ცოდვას ჰქვია სიმონი,
ჩემს სინდისს ჰქვია ღაზარე...

* * *

ზოგი სამშობლოს შაურად ყიდის,
ზოგი მანეთად, ზოგი ზოდებად,
მატარებელი თავისთვის მიდის
გაყინულ მგზავრებს არც ელოდება...

თბილი ვაგონი ფლიდებს აბოდებთ,
მათხოვრის ხონჩა ბავშვებს, ხეიბრებს,
მატარებელი გინვევთ ბანქოზე
ვინც შეახტება ის იხეირებს.

ბოლო თქვენა ხართ?! იტყვის ბოდიშით,
ცრემლებს მოინმენდს როგორც ნაცემი,
და ცივ ბაქნებზე ხვალის ლოდინში
იყინებან ლექსის კაცები...

ზოგი სამშობლოს შაურად ყიდის,
ზოგი მანეთად, ზოგი ზოდებად,
მატარებელი თავისთვის მიდის
გაყინულ მგზავრებს არც ელოდება...

მისახლეობა

მთის წვერზე ვხედავ ტაძარს მეასეს,
ჩემკენ იღვრება შუქი ულევი
და დღე ქადაგებს შემკრთალ მწვერვალზე
ანდრია პირველნოდებულივით.

რწმენაა ვაზი და არჩევანი
და მესხეთიდან ჯვრებად, ტაძრებად,
ნორჩი ლერწი და მნიშვე მტევანი,
ბოდბის ქედისკენ მიემართება...

მთებზე რომ რწმენის შუქი კიაფობს,
ცას რომ ეკუთვნის ახლა სრულებით,
ვერ გამიგია ტაძრებია, თუ
გრიგოლ ხანძთელის ნაფეხურები?!...

ჩემი ბილიკი რატომდაც დელავს,
ერთი წიგნი კი მოჰყავს სალოცავს
და როცა მთა და მწვერვალი ყველა
თრთოლვით კითხულობს
„ვეფხისტყაოსაანს“.

დილა თენდება, როგორც ლაზარე...
და დგას პოეტი მთავარ მეისრედ...
ხოლო ციხე და ყველა ტაძარი
თვალებს აპარებს თამარ მეფისკენ...

ტრისტან გახაურს

ფშავში ხარ ახლა, მთას
მიყრდნობილი,
მკერდში მფეთქავი
ლექსი-ქვითკირით,
ქალაქში ტოვებ ავტომობილებს
და საახალწლოდ მორთულ ვიტრინებს..

ვხვდები ძმობილო, რაც გაქვს გუმანში,
ფშაველის სიტყვა ვიცი მახეა,
დაპნეულ თბილის ყველა უბანში
ბეჭებზე დასცემს შენი კაფია...

თან ვარსკვლავების დაგაქვს
კრებული,
ლექსის შეჯიბრში ღამენათენებს,
ჩამო, კაფით დამარცხებული
ქალაქი ფეხზე წამოაყენე...

ფშავში ხარ ახლა მთას
მიყრდნობილი,
მკერდში მფეთქავი
ლექსი-ქვითკირით,
ქალაქში ტოვებ ავტომობილებს
და საახალწლოდ მორთულ
ვიტრინებს...

იმედო ჯახუას

ამბობდი მუდამ ლექსით დასჯილი:
— ირგვლივ ლექსების ქარიშხალია...
კაცი ლომივით ფაფარაშლილი
ამსხვრევ და ტოვებ ლექსის გალიას...

შენი ტაძარიც, შენი მეჩეთიც,
იბადებოდა მხოლოდ რითმიდან,
მთელი ცხოვრება კალმით ეძებდი
გასასვლელს ლექსის ლაბირინთიდან...

ჩამინდავდი გულ-მკერდს არაყით,
ნაკვერჩხალივით ძმისთვის ღვიოდი,
ეძებდი კარებს გაუბზარავი,
მაგრამ ლექსიდან ვერ გადიოდი...

ამბობდი მუდამ ლექსით დასჯილი:
— ირგვლივ ლექსების ქარიშხალია...
კაცი ლომივით ფაფარაშლილი
ამსხვრევ და ტოვებ ლექსის გალიას...

შობის დამა

ამ დღეს ბავშვივით ველი და ვლელავ,
იმედის ნერგი ცოცხლდება ჩემშიც,
შობის ღამეა, ვარსკვლავი ყველა
სოფლის გომურებს უჭირავთ ხელში ...

დააქვს ბალთაზარს მხრებით ოცნება,
გადმოსავლელი ზღვა და მთებია,
ისე შეიკრეს სუნთქვა ბოსლებმაც,
თითქოს სასანაულს ელოდებიან...

სხვანაირია მწყემსების ზეცაც,
ლოდინისაგან გზაც კი მოკლდება,
არ შეგეშინდეთ, დღეს ყველა დედას,
მუცელში ჩვილი გაუტოკდება...

ამ დღეს ბავშვივით ველი და ვლელავ,
იმედის ნერგი ცოცხლდება ჩემშიც,
შობის ღამეა, ვარსკვლავი ყველა
სოფლის გომურებს უჭირავთ ხელში...

* * *

სიტყვას
ბეთლემში აქვს
წმინდა ფესვი,
ჩვენთან შობა მოდის
თეთრი კვიცით,
და თუ უფლის ენა
ჩვენს გულს ესმის,
მაშინ ვარსკვლავების
ენაც ვიცით...



ნინო სიხარულიძეს შეუძლია ჯადოსნური ჯოხის ერთი მოქნევით აუტანელი სიმძიმილი ჩიტის ფრთებით გაამსუბუქოს.

ეს არის ოსტატობაც და ხასიათიც.

პოეტური ხასიათი კი ისეთი რამეა, მას ვერც შექმნი და ვერც გამოიმუშავებ. ასეთად დაიბადა, ასეთად ჩამოყალიბდა, ასეთად დარჩება: უშუალო, გულწრფელი, თავმდაბალი, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების კარგად მცოდნე და შემფასებელი.

ძნელი მისახედრი არ არის, თუ რა იმაღება ამ მხიარულ ტონალობებში, ამ მსუბუქ რით-მებსა და ტეხილ რიტმებში, რომლებიც შორეული სიმღერის ფრაგმენტებივთ იზიდავს სმენას.

შემთხვევითი აქ არც ტერენტი გრანელის ალუზიებმა და არც ლადო ასათიანის ეფემერა. ყველაჯერს აქვს თვითი მიზეზი და საფუძველი. არის ნინო სიხარულიძის ლექსებში რალაც ისეთი, რაც ამ ორ ურთიერთგანსავავებული პოეტის იდეაური სიმბიოზისაკენ მიგვანიშნებს.

სიმძიმილი და ფრთება! პოეტურ-შემოქმედებითი ოქსიმორონი თუ ფსიქოლოგიური ეკ-ლექტიზმი? ალბათ არც ერთი და არც მეორე, არამედ მესამე — პოეტის ინდივიდუალობა ანუ, როგორც ზემოთ ითქვა, ხასიათი, რომელიც უდავოდ „ექსკლუზივის“ ნიშანს ატარებს.

ამიტომაც, კიდევ უფრო მეტ ინტერესს ინკვეს ის, რაც ამ ერთი შეხედვით ნაივური ლექსების სილრმეში მოჩანს — ტრადიციულისა და სუბიექტურის სინთეზი, გამომსახველობა და მერძნობიარობა, ნამდვილობა და დამაჯერებლობა.

ნინო სიხარულიძე

* * *

მე ამ ცეცხლთან ვერ გავთბები,
იმიტომ, რომ სხვისია,
გულო, სხვისი ნურა გინდა,
ას რა საკადრისია!
მე ამ ქალაქს დავუჩოქებ,
იმიტომ, რომ ლირისია —
რაც რომ ნაღდი ლექსი მითქვამს,
ერთიანად მისია.
ძველი სიყვარულის ეშით
გული ამომიგსია,
მერე რა, რომ ქარი დარდებს
დაარიგებს ნისიად,
მერე რა, რომ ვერ გავიგე
გვირილები ვისია —
ცეცხლთან მაინც არ გავთბები,
თუ ეს ცეცხლი სხვისია.

მესამე

ღრუბელი ღრუბელს ეფლირტავება,
— სად ხარ, გრანელო? გაზაფხულია
და ამ ჩიტი სულ არ ეპიტნავება.
მისი ბუდე რომ დაკარგულია.
საღამო მშვიდი და ტოტი ტოტთან,
და ჩიტი ჩიტთან, მზე კი გულშია,
ისე მაცდურად ძეგრს აკაცია,
ეტყობა, ისიც გადაკრულშია.
ჰო, ჩიტი ექნება ახალი ბუდე,
შენ მიაცილებ ბალდახინს ვისა?
არა — სიცოცხლე? არა — სიკვდილი?
ეგ დაწყევლილი მესამე მტრისას!
ეგ დაწყევლილი მესამე გდევნის
და გარშემოა მიეთმოეთი,
არც სააქაოს, არც საიქიოს

არა ხარ, რადგან გქვია პოეტი!

ჩიტი ბუდეში გაირინდება,
შენ კი პირისირ ხვდები გრიგალებს,
არსად ჭერი და არსად მოყვასი
ვინც დაგიყვავებს და შეგიბრალებს —
აღარსად გელის თავშესაფარი,
სულო, დალილო და მაინც შლეგო,
სულ ეწამები, რადგანაც ნილად
ეგ ნავსიანი მესამე გერგო...

* * *

როცა სიყვარული ქრება, ლექსში რიტორიკა ჩინდება,
მავიწყდება გაზაფხული და ზამთარი მახსენდება.
მოცარტის და ბიზეს ნაცვლად ვისმენ ჩაიდანის შიშინს,
დღო მებრძვის და მეშინია ხან შამათის, ხან კი ქიშის —
ეს დღეები, უსახური, სახრჩობელას ყულფებს მოჰვავს,
თითქოს ქარში ქანაბენ, ბორგავს ქარი, გულიც ბორგავს —
გამუდმებით მობუზღდუნება, ლამის მზეზე ვეძებ ლაქებს,
სუყველაფერს ვინუნებ და აღარაფერს აღარ ვაქებ.
ჰო, ასეა: სანთელივით გულიც ინვის, ინავლება,
ენატრება მზის სტუმრობა, სიოს შემოფრიალება,
და თუ ამას ვერ ეღირსა, გული დნება, გრძნობაც ჭკნება,
როცა სიყვარული ქრება, ლექსიც მასთან ერთად კვდება.

სახლობანა

მე აღარ ვითვლი დღეებს უშენოს,
რადგან შენთანაც ვიყავ უშენოდ.
ახლა არ მითხრა, — ღრუბლებს ახედე,
ისევ საწვიმრად მოიღუშნები.
მესტუმროს წვიმა, ნანატრი წვიმა,
მომიკაცუნოს ზედ გულისკარზე,
დაიმახსოვროს ჩემი თვალები
და მიპასუხოს ყველა კითხვაზე.
ახლა არ მითხრა, რომ დავიკარგე,
რომ ისევ წვიმის კუნძულზე ჩავრჩი,
აქ მირჩევნია — აქ სუნთქვას სიტყვა,
დროც რაინდია და არა ჩარჩი.

აღარ ვიკითხავ, რა ამინდია,
არც ჭორის ვარცლში არ გავცრი წუთებს,
ნუ შემახსენებ ნეკერჩხლის ხეებს,
ეს შემოდგომა ცეცხლს რომ შეუნთებს —
ნუ შემახსენებ ძველ კინოკადრებს,
შავ-თეთრი ფილმი დასრულდეს უნდა,
ჩვენ სახლობანა წავითამაშეთ,
თუმცა, თამაშზე მეტი რამ გვსურდა —
ახლა პატარა ჩიტი ნიბლია
მიმზერს უიღბლოს, თანაც იღბლიანს
და აღარ ვითვლი დღეებს უშენოს,
რადგან შენთანაც ვიყავ უშენოდ.

შეი ტოლი გოგონები

ჩემს შვილს — სანდროს

სულ სარკის წინ ტრიალებენ, ღიმილს ფარად მოირგებენ,
ჭრელი ქალაქის ქუჩებში რას ნატრობენ? რას ეძებენ?
უწვიმია წუხელ, თურმე, გუბეები გაჩერილა,
მეთხუთმეტე გაზაფხულის დაათენდათ თავზე დილა
და ელიან მეთხუთმეტე ვარაის გაშლას, ის ფეთქვას,
როგორ მინდა, ერთ-ერთ მათგანს შენი მონატრება ერქვას —
ლექსის ბალში სეირნობდეს, ზღაპრის ქუჩას დაესახლოს,
არც ძალიან შორს იყოს და არც მაინცდამაინც ახლოს.
სიყვარულის ხსნებაზე ვის უჩქარის გული, ნეტა,
ფიქრი ქარად მოეხეტა, რომელია ჯულიეტა?

განალური ლექსი

მინდა, მყავდეს დედა — მინდა, მყავდეს შვილი
და არ მკენდეს ქარი, ავად აღრენლი,
თვალში კრთოდეს სხივი, ბაგეს აჩნდეს ღიმი,
არ სკდებოდეს გული — დაჭიმული სიმი.
მინდა, იყოს მხარი, ძლიერი და სანდო,
ჩემი დარდის გუდა რომ თამამად ვანდო.
მინდა, ითქვას სიტყვა — სიყვარულის მხსნელი
და ამ სიტყვის პოვნა სულ არ იყოს ძნელი.
მინდა, გზას ჰერცებეს და არ იყოს მრუდე,
სახლი — სახლს და არა ასპიტების ბუდეს.
მინდა, ქართულ კვირტებს არ დაატყყდეს მეხი
და იმედის ფესვებს არ დაადგან ფეხი.
მინდა, მყავდეს შვილი — მინდა, მყავდეს დედა,
ამ ბანალურ ლექსში მე ოცნებას ვბედავ.

* * *

ქალები, რომლებიც სიყვარულზე წერდნენ ლექსებს
— უკვე გათხოვდნენ.
— ქალები, რომლებიც საყვარლებზე წერდნენ ლექსებს
— უკვე დაბერდნენ.
ქალები, რომლებიც ცისარტყელებს მიელტვოდნენ
— უკვე დამძიმდნენ.
ქალები, რომლებიც იდეალებს ეძიებდნენ
— უკვე დაბრძენდნენ.

და მაინც, მაინც... ვით წინილა გამოტეხს ნაჭუჭს,
ისე ეხლება გულცივობის მაღალ კედელს უმწეო ლექსი,
უმწეო და განუწლილ წვიმით თუ ცრემლით,
ვილაცა მაინც შემომჯდარა ბედისწერის საქანელაზე
და ფინჯან ყავაზე კი არა,
სტრიქონების ტაბლასთან გელით.

დედაჩემი

ჩემი შვილის ნაცვლად ნათქვამი

სულ მავინცდება, დავუსხა წყალი მზესუმზირის ამ
მოწყენილ ყვავილს.
მნათობს კი არა, მე მიმზერს მუდამ და მუდამ ჩემი
დანახვა უნდა.
მე კი, რადგანაც ძალზე მარდი ვარ, დღედაღამ
აღმა-დაღმა დავრბივარ —
დამყვება მისი დალლილი მზერა, რომელსაც ჩემი
სიკეთის სჯერა.
ვერ შევუსრულე დანაპირები: ვერ გადავფურცლე
მისი სიზმრები
და თუნდაც ერთხელ, თუნდაც მცირედი, ვერ მიგანოდე
პეშვით იმედი —
სულ მავინცდება, დავუსხა წყალი მზესუმზირის ამ
მოწყენილ ყვავილს...

* * *

ლადო ასათიანს

ნასიცხარი ვარ, ლამდება,
შორს გაზაფხული ხმიანობს,
შენ ისევ გაგვიანდება, დაღლილო ადამიანო.
მოდი, ათასში მიცანი, გადამარჩინო იქნება,
მოდი, უნაზეს მუსიკად და
მაცოცხლებელ სიტყვებად.
მოდი, ყაყაჩი მომგვარე, სიზმრად ნანახი ფერია
და ნუ დამძრასაც, თუ ლექსში ნალველი გამოერია.
მოდი, დავეცეთ ბარდნალას,
ჩამოვებარდნოთ რითმებად,
მე ახლა უნდა ამოვთქვა რაც მერე ვეღარ ითქმება...
ნასიცხარი ვარ, ლამდება,
შორს გაზაფხული ხმიანობს,
გზა-კვალი არ აგერიოს,
დაღლილო ადამიანო.

* * *

სახადივით მოვიხადე სიყვარული,
სახადივით მოვიხადე ცხოვრება —
არც ვინუნებ, არც ვინუნებ, რაც რომ იყო,
მხოლოდ მემახსოვრება.
კვალი? კვალი, იცოცხლე-თქო, დამამჩნია,
რაც ყველაზე დიდ სახსოვრად ჩავთვალე:
ნაოჭების აბლაბუდა სახეზე და
დამსხვრეული ვარდისფერი სათვალე...

ანტონიო მაჩადო ი რუისი

განათლებისთვის

ჩემს მეგობარს, ახალგაზრდა მეცნიერს, ორტეგა ი გა-
სეტს უკვე ერთ-ერთ წერილში ვწერდი იმის თაობაზე, რომ,
ჩემი ღრმა რწმენით, ესპანური ცხოვრებისეული ყიდა თუ
გამოცდილება „ფოლკლორის“, ანდა უფრო სწორად, გლე-
ხური ფსქოლოგის დიდ გავლენას განიცდის-მეთქი. დღეს
კი მინდა ამ გარემობაზე, რაც ეჭვი არ მეპარება ჩემამდეც
შეუმჩნევიათ, მათაც გაამახვილონ ყურადღება, ვისაც გა-
ნათლების ბედი ანუხებს. ეს განზრახვა მას შემდეგ კიდევ
უფრო განმიმტკიცდა, რაც დონ მანუელ კოსიოს ლექციას
გავეცანი, რომელშიც საგანგებოდ აღნიშნავდა, ყველაზე
მიზანშეწონილი იქნებოდა საუკეთესო მასწავლებლები
სწორედ სოფლის სკოლებში რომ გაგვემნესებინაო.

ესპანეთში მთავარი და განმსაზღვრელი ხომ ზნეობა და
ადათია, თუმცა თვალის ერთი გადავლებით შეიძლება
სრულიად საპირისპიროც კი მოგეჩვენოთ. ლამის კლასი-
კურიც კი გახდა ესპანეთის იერი, რის ვაი-ვაგლაბითა და
ტანჯვა-წვალებით რომ მოიპოვებს პურს თავისი არსობი-
სას მაშინ, როცა მის ალალმართალ მხრებზე მუქთამჭა-
მელთა მთელი გუნდი დაბუდებულა და თან კიდეც მბრძა-
ნებლობს. არის კი ის სურათი დამაჯერებელი? ადვილად
დამეთანხმებით და არც იმის ნარმდებენა გავიწირდებო-
დათ, ეს სურათი ცოტა შეგვესწორ-შემოგვესწორებინა, ამ
დამცრობლ-დაბეჩავებული გლეხხსთვის ერთი შევენირი
ნიღაბი მოგვერგო და ხელისუფლებაშიც წამოგვესკუპები-
ნა. სულ ბოლო დრომდე — მომავალზე ვერაფერს ვიტყვით
— ესპანური აზრი თუ გონი უპირატესად სოფლური, გლე-
ხური იყო, თუ არა პირველყოფილი (მთის ბინადრებისა არ
იყოს). უპატიებელი იქნებოდა არ დაგვენახა, რომ ესპანე-
თის პოლიტიკურ წყობაში სწორედ უბირი მოსახლეობის
ხმათა უმრავლესობითაა არჩეული და წარმოდგენილი
გლეხური აზროვნების მთელი ლირსებაც და ულირსობაც.

თუ ამ ხალხის შესწავლას არ შევუდებით, ვერც ვერასო-
დეს ჩავწედებით ესპანური ცხოვრების დასაბამიერ საფუძვ-
ლებს; არადა, ორი ძალა გვიბიძებს და მიგვაქანებს გარდუვა-
ლი კატასტროფისკენ, სწორედ რომ გვიბიძებს, კი არ წარგვ-
მართავს, რადგანაც შეუძლებელია უგუნურება წარგვმართავ-
დეს; ხოლო არცერთ ასეთ ძალაში ქალაქური გავლენის კვა-
ლიც კი არა ჩანს, ორევე სოფლურა; ესაა ხელისუფლება და
ეკლესია, უფრო სწორად, ბობოლები და ბერები; ისინი კი, თუ
ერთ შემთხვევაში ერთად მოქმედებენ, მეორეში — ცალ-ცალ-
კე და ზოგჯერ კიდეც მტრობენ ერთი მეორეს, ოღონდე ეგ არის,
მუდამ სათავები მოექცევიან ხოლმე და ერთს ცხოვრებასაც
თავის დაბა ასვამენ, თავიანთ ფერსა და იერს სძენენ. ამას
თქვენ ხალხმრავალ ქალაქებში ვერ დაინახავთ, რადგან იქ ჩვე-
ულებრივი ორომტრიალი და გაცხოველებული მოძრაობაა,
თუმცა არც დიდად მნიშვნელოვანი, ხელს გიშლით შეიგრძნოთ
ის ძალა, რაც მთელ ამ ორგანიზმს წარმართავს. თქვენ თით-
ქოს საკუთარი წება-სურვილით დადიხართ გემბაზე, იცით
სად მითხვართ, მაგრამ გემის გეზი კი თქვენთვის უცნობია.
ერთს მაინც ვიტყოდი, წუ შეიძულებთ ამ ძალებს, მაგრამ ამით
იმის თქმა მინდა, მათან შებრძოლებას ისევ მათი გაცნობა

გერჩივნოთ-მეთქი. ვი-
სურვებდი მოაზროვნე
ადამიანთა ყურადღე-
ბაც მომემართა მისენ
და თან არც ეღიტის
რისხვა გამომეწვია. ად-
ვილი მოსალოდნელია
მათშიც აღმოჩნდეს პე-
დაგოგიკის წყარო და
სათავე... შესაძლოა... ას-
ეგა თუ ისე, მაინც სჯობს
იმ გზით ვიაროთ, საი-
თაც მივდოდით.

საუკეთესო მასწავ-
ლებლები ყველაზე შო-
რეულ, მიყრუებულ სო-
ფლებში უნდა გაიგ-
ზავნონ, ამას ამბობდა დიდი ესპანელი პედაგოგი და მართა-
ლიც გახლდათ — თუ ქალაქი სოფლად ნამდვილი მასწავ-
ლებლების ნაცვლად უანდარმებსა და ხარების ბრძოლის სუ-
რათებს გაგზავნის, მაშინ ადრე თუ გვიან სოფელი თვითონ-
ვე გაგზავნის ხელისუფლების სათავეში თავის წურბელებსაც
და ვაჭრებსაც, ბობოლებსა და ვაი-მწერლებსაც, ამასთან უნ-
ივრესიტეტებსა და აკადემიებსაც არ მოაკლებს ასეთებს.

მაგრამ არც ის კმარა, რომ მარტო მასწავლებლები —
ანუ ისინი, ვინც ასწავლიან — გაგზავნონ, მათ ამავე დროს
უნდა ისწავლონ კიდეც, ისწავლონ სოფელი და გლეხური
სული, ე.ი. კიდეც ასწავლონ და კიდეც ისწავლონ.

როცა გაიძახიან, ესპანეთს უპროველეს ყოვლისა კულ-
ტურა სჭირდება, საკამათო არ არის, მაგრამ ცოტა გაუგე-
ბარია, ეს ხომ იგივეა, განაცხადო, ავადმყოფისათვის აუცი-
ლებელია ჯანმრთელობა. აბა იმას რა მტკიცება უნდა, რომ
ავადმყოფს სჭირდება ჯანმრთელობა, მშიერს — პური,
უბირს — კულტურა. ეს ხომ უდავო ჭეშმარიტება. მაგრამ
ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ავადმყოფი ავადმყოფო-
ბაზე მეტია, ასე თუ ისე, და ავადმყოფობა მარტო ჯანმრთე-
ლობის უქონლობა არ არის; ისიც კარგად უნდა გავიგოთ, რა
ვნება მოაქეს მიკრობ X-ს, ან ბაცილა უ-ს ფილტვებისა თუ
კუჭისთვის. ალბათ კარგად მოგეხსენება, რომ გაუნათლე-
ბელი ადამიანის ტვინი მთლად ცარიელი ფურცელი არ არის;
იმის მტკიცებასაც გავბედავდი, რომ უმეცრება მრავალგვა-
რია და ჩვენც გვმართებს თავი ცოტა შევინუხოთ და ასეთ
უმეცარსაც გაუგეოთ; კიდევ იმასაც დავძინდი, ერთი, ყვე-
ლასათვის საერთო კულტურა არ არსებობს-მეთქი, რომ
კულტურა მრავალგვარი თუ მრავალმხრივია, და რომ ადა-
მიანი, ვინც ერთ რომელიმე კულტურას ვერ მისწვდება, მე-
ორე სცადოს და შეითვისოს. მაბასადამე, ადამიანთან მისი
თავის ქალის გასაზომად კი არ უნდა მივიდეთ, არამედ იმის
გასაგებად, შიგ რა უდევს. სწორედ ამ მოსაზრებით ვლაპა-
რაობ განათლების საკითხებზე ფოლკლორიდან გამომდი-
ნარე, რომ ჩემი ნათქვამი სწორად გაიგონ.

ესპანეთის ეკონომიკიზაციის იდეა ჩვენ სახელოვან კოსტას
ეკუთვნის, მაგრამ ამ საკითხის უშაუალო განხორციელებაზე
დღესდღეობით ცოდნის ამაღლების კაშირში ზრუნავენ, რაც
შესაძლებლობას უქმნის ბევრი სტუდენტებს განათლება
საზღვარგარეთაც შეიძინონ. მაგრამ ამასთან ხალხური სუ-
ლის მკვეთრობა არანაკლებ მიყოფიერ შეიცვლიან მივაქცი-



ოთ ყურადღება. ესეც ცხადია, თუმცა ზოგჯერ ყურად არ იღებენ. საუბარი იმაზე კი არ არის, რომ ერთი მიმართულებით ვიყუროთ და სხვა გზა არ დავინახოთ, არა. ის დრო წავიდა, როცა ყოველი ექიმი თავის წამალს პანაცეად სახავდა. ჩვენშიც არიან ახალგაზრდები, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში რომ სწავლობენ. ძალიან კარგია, რამდენიც უნდა იყვნენ, მაინც არ კმარა. ამის გარდა ისეთი ადამიანებიც საკმაოდ არიან, რომლებიც არქივებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობენ, მათ ხომ ის კეთილშობილი სურვილი ამოძრავებთ, რომ დღის სინათლეზე გამოიტანონ ჩვენი კულტურა და ისტორია; ოლონდ ასეთები ცოტანი გვყავს, არადა, მეტი გვინდა. მაგრამ ვინ იყისრებს წარსულის კვლევას, რაც ჯერ კიდევ ცოცხლობს ანგონა და ჩვენს ხალხში? ესპანეთში ქვები ღალადებენ და გამონას უხმობენ.

ესპანეთის ლიტერატურის დღევანდველი აღორძინებისთვის ნიმანდობლივია ესპანეთის სინამდვილის აღქმა და მასთან უშუალო სიახლოევე; უნამუნო, ბაროხა, ასორინი, ვალიე-ინკლანი — თუკი „98-იანელთა თაობიდან“ მარტი ზოგიერთს დავასახელებთ, სწორედ ამ დიდებული კოშორტის ღვანლის შედეგია, რომ ესპანეთის ახალი ხედის თვალსაზრისი ჩამოყალიბდა, ეს უკვე ცხადად ჩანს და თვალს წუ დავხსუჭავთ — ეს მგზნებარე პატრიოტიზმის ახალი ტალღა, შეიძლება ამ მწერლების შემოქმედებაში ეგზოტიკური სახეებიც საკმაოდ ჩანს, მაგრამ ის არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი მთავარი ღირსება ესპანერი ცხოვრების უშუალო, დაკვირვებული, დაძაბული გულისყურით შესწავლა იყო; მათ ხომ ფეხით მოიარეს მთელი ქვეყანა და ლამის დაკვალეს მთელი ესპანეთი. სახელმწიფოს მათვის არანაირი დახმარება არ გაუწევია. მერედა, რა სიყვარულით იკვლევდნენ ხალხის ცხოვრებას, ან რამდენი რამ აღმოაჩინეს ისეთი, რაც აქამდე არ ვიცოდით; ეგბ შემეერამათონ, მათ ხომ ჩვენი შიდა ცხოვრების სინამდვილე გარე სინამდვილეს დაუპირისპირესო. არ შევედავები, ესეც ისევე სწორია, როგორც ის, რომ აუცილებელი და დიდად საჭიროა გამოიყივლით ესპანერი სული, და რომ პედაგოგიური მეცნიერების ვალია სწორედ ამ გზას დადგეს.

ამას წინათ გამოქვეყნებულ მიგელ დე უნამუნოს სტატიაში, რომლის სათაურია „ამისა თუ იმის საწინააღმდეგოდ“, დიდებული ბასკი არგენტინელი რობასის წიგნთან დაკავშირებით განათლების საკითხებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ; სტატიაში „არგენტინი“ იგი დაახლოებით ამას ამბობს — ერის აღორძინება, რაზეც რობასი წერს, სკოლიდან უნდა იწყებოდეს, არგენტინაშიც და ესპანეთშიც სკოლა უნდა გახდეს სწორედ ეროვნული სულის აკვანიო. ეს უდავოა, თუ არ გვინდა, რომ სკოლები სულ უსარგებლოდ დარჩეს — ეს კი საგესტით შესაძლებელია, რაც უნდა გაიზარდოს მათი რიცხვი, — უნინარეს ყოვლისა, მათ ესპანეთის ჩამოყალიბებაზე უნდა იზრუნონ. განა ვიცით, რას წარმოადგენს ეს-პანელი და რა შეიძლება მისგან დადგეს?

მიგელ დე უნამუნო

გრეჩენი და ხალხი

ამას წინათ მადრიდის ყოველკვირეულ გაზეთში „ახალი მსოფლიო“ გამოქვეყნდა ბალდომერი არხენტეს, ნიჭიერი, განათლებული და, რაც მთავარია, მეტად გავლენიანი პუბლიცისტის წერილი, რომელსაც ზუსტად ისეთივე სათაური ჰქონდა, რაც ჩემს ამ წერილს და, ეტყობა, იმდენად საყურადღებოდ მიიჩნიეს, რომ მექსიკის „ლათინურ პროგრესშიც“ გადაბეჭდეს და შენიშვნაც დაურთეს, რომელშიც წერდნენ, მაშიც გამოიტანებილი ზოგიერთი მოსაზრება ჩვენთვისაც იმდენადვეა საგულისხმო, რამდენადაც თქვენთან, ესპანეთშიო. მაგრამ მე ესა თუ ის საკითხი მაინც სადაოდ მეჩვენა როგორც ლიტერატურის განვითარებისა თუ აყვავების, ისე ხალხის კულტურული დონის ამაღლების თვალსაზრისით და, ამდენად, უპასუხოდ ვერ დაეტოვებდი.

არხენტე წერილში თავის წარმოსახვით თანამოსაუბრეს შესჩივის იმის თაობაზე, ესპანეთს ბეოტეას ადარებენო, და მწერალი, ფურნალისტი, ლიტერატორი თუ პოეტი თურმე ხალხზე სულ უმნიშვნელო, ან სულაც არანაირ გავლენას არ ახდენს; მერე პასუხს არც ელოდება და თავის ზოგიერთ დაკვირვებას უზიარებს; თავიდან კიდეც ეთან-ხმება, ის ინტელექტუალური გავლენა, რასაც მწერალი თავის ეპოქაზე უნდა ახდენდეს, მართლაც ძალიან მწირიანა.

„ფუტი კარგად განაფული კარძების გარჯა, — ამბობს იგი, — როცა ხალხის ცრურწმნებასა და შეხედულებებს უპირისპირდებიან, მათა ხმა მაინც დაიკარგება უდაბნოსა შინა და რაგინდ ღრმა და ღრებულ აზრებს გამოთქვამდინენ, მაინც ამაოდ ჩაივლის მათი სიტყვაცად და საქმეც, სულერთია ყურადღ მაინც არ მიიღებენ იმ რწმენას, რა-საც ჩვენი ხალხი ასე დაუნანებლად ფლანგავს უქმისიტყვაობაში. არა, უკვალოდ არ ჩაივლის არც მათი სიტყვა და არც მათი საქმე, თავის ნიშანს მაინც დაუტოვებს გორქას. მწერლებზე ასეთ ზემოქმედებას კი ის მოჰყვება, რომ ერთნი განზე გადგებიან, განცალკევდებიან, მეორენი ამბოხდებიან, ხოლო უმეტესობა, დაკინებულები, არც იმაზე იტყვიან უარს, თუკი მფარველები გამოუჩინდებიან, მათ სამსახურშიც ჩადგებიან, თუნდაც მონობის ფასად, და მძარცველთა და მოღალატეთა ხელქვეითობასაც კი არ იუკადრისებენ, გინდაც ისინი აშკარად ჩამორჩებოდნენ მათ განათლებისა თუ ლირსების დონით“.

მე კი ის სურათი მელნით ჩამუქებული უფრო მეჩვენება, ვიდრე სიმართლით. ესპანელი მწერლის გავლენა ხალხზე, არა მგონია, იმაზე ნაკლები იყოს, ვიდრე სხვა, წენისმიერი ქვეყნის მწერლებისა თავიანთ ხალხზე, და თუ ჩვენ, ვინც ვწერთ, ხშირად ვწერებულებთ, ყურადღებას არ გვაქცევენო, ამით იმის თქმა კი არ ვგინდა, ხალხზე ჩვენი გავლენა არა-ფერში ჩანსო, არამედ იმას ვგულისხმობთ, ჩვენი გავლენა მათზე ჩვენს ეკონომიკურ შემოსავალზე არ აისახებათ. სიმართლე ითქვას, იმას კი არ ვჩივით, ყურადღებას არ გვაქცევენო, არამედ — ჩვენი წიგნები არ იყო-დებათ. შეიძლება მწერალი მაინც ახდენდეს გავლენას მასაზე, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ ადამიანებზე მაინც. თანაც წიგნები ცოტა ეყი-დებოდეს, სხვებს კი — მეტი. გავლენას კი უმნიშვნელოს ახდენდნენ, რადგანაც სულიერი გავლენა, თუკი ამ საზომით მივუდგებით, ესპანეთში თუ რომელიმე ნანარმოებს მოუხდებათ, აღმოჩნდება, რომ ეს იქნებოდა ბერტოლდოს, ბერტოლდინია და კაკასენის თავგადასავლები.

ამის შემდეგ არხენტეს წარმოსახვითი თანამოსაუბრე, ანუ თვითონ არხენტე, როცა ამ მოვლენებზე მსჯელობს, მკაცრად განსჯის იმ მწერლებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით ხალხის ჩამორჩენაში.

„ის მწერლები, რომლებიც ყველაფერს სოციალურ მდგომარეობას აბრალებენ, რადგან მათ არც ანგარიშს უწევენ და ამიტომ არც

მიჰყვებიან, არც ეკამათებიან და არც აქებენ, იძულებული არიან ავიდნენ ტრიბუნებზე და ერთომანეთს ეკამათონ, თვითონვე გაუწიონ რეკლამა თავიანთი მომავალ ნაწარმოებებს. ამ მწერლებს იმის გამბედაობაც არ ჰყოფნით, ერთი პატარა გამოცდა მოუწყონ საკუთარ თავს და ჰყითხონ, ვა-ითუ ამ სატკივრის მიზეზი ჩვენშივე ძევს და ჩვენშივე უნდა ვეძიოთ მისი სათავეო“.

და აპა, ინყება კიდეც სინდისის გამოცდა და ამაზე არ-ხენტე ამბობს: „მწერლები არ წერენ მასისთვის და არც მა-სას ესმის მათგან თავიანთი წესილისა თუ სურვილის გამო-ძახილი, მათი ტკივილისა თუ სიმღერის ექო, ვერც იმ სინათ-ლეს ხედავენ, საოცნებო მინისკენ მიმავალთ იმ გზის ბოლო-ში რომ სურთ დაინახონ, საითაც იმ იმედით მიიღონან, იქ მაინც არ განიცადონ იგივე ტანჯვა და უსამართლობა“.

რა დიდებულია! და რამდენად ყალბია სიღრმისეულად! რადგანაც პირველყოვლისა, ყოველი მწერალი, თუკა საკუ-თარ თავს პატივსა სცემს და ესმის თავისი დანიშნულების არ-სი და მნიშვნელობა, კარგს იზამდა თუ მასისთვის არ დაწერ-და, და კარგადაც იქცევა, თუ არც წერს მათ საამებლად და სა-სარგებლოდ, ანდა უფრო სწორად, არ წერს ხალხზე. მასამ არათუ არ იცის თავისი სატკივარისა თუ სურვილების ამბავი, არამედ ისიც ვერ გაუგია, სად არის მისი სადარღებლის ფეს-ვები, რადგანაც როცა კაცს თავი სტკივა, საბაბი შეიძლება სულ სხვა ორგანოში იყოს და სულ სხვაგან უნდა ეძებოს მიზე-ზი.

ამის მერე არხენტე გვეუბნება, არ უნდა დავშორდეთ ხალხს, რაკიდა სწორებ ხალხშია ძალაცა და ვნებაცო. არა, არცა ძალა და არცა ვნება არ არის ხალხში და არც არაფერია იმზე მყიფე და წარმავალი, როგორებიც არიან ის მწერლები, რომელთაც პოპულარულებს უწოდებენ. ამის მერე „სპილოს-ძვლის კოშკზე“ საუბრობს, თუმცა კი „სპილოსძვლის კოშკა“ ნდობა დაკარგა და ლამის შემზარავ ციხედაც კი გადაიქცა. ჩვენ კი გამართებს გავიდეთ მოედანზე და საჯაროდ ვაბრძო-ლოთ ხალხისთვის, ღლონდ ხალხისთვის ბრძოლა იმას სულაც არ ნიშნავს, რომ უსათუოდ მათ რიგებს შეკუერთდეთ და მათ-ში ავითქიფოთ, ანდა ჩვენი ხმა შეკუერთოთ მათ გაურკვე-ველ ღრიალს. საჭიროა და კიდეც უნდა ვიბრძოლოთ ხალხის-თვის, მისი კეთილდღეობისთვის, მაგრამ მათ საპირისპიროდ კი უნდა ვიაროთ, თუნდაც ეს იმის ფასად დაგვიჯდეს, რომ ცხოვრების საუკეთესო წლები მარტობასა და განდეგილო-ბაში გავლიოთ, მნდა სულაც არასოდეს დადგეს ჩვენთვის უა-მი პატივისა და ღირსებისა, ვიდრე გათენდებოდეს დილა, რო-ცა გარიყულობისა და სიძულვილის გზას გავივლით.

მაგრამ სამაგალითო და მისაბაბი ცხოვრებაც ხომ არის. ამისთვის თუნდაც იძსენის ცხოვრებაც კმარა, ვინც წლები გაატარა თავის სამშობლოსგან მოწყვეტილმა, ბოლოს კი მაინც დაბრუნდა, რათა თავისი მწარე და სასტიკი გულწრ-ფელობის ნაყოფი ეგემა. მეორე გახლავთ კარდუჩი, უდრე-კი სული, რომლის გულმხურვალე პატრიოტიზმა აიძულა თავისი სათავავანო სამშობლოსთვის, იტალიელი ხალხისთ-ვის საძულველი ეწოდებინა.

ამ დიდმა იტალიელმა პატრიოტმა 1873 წლის აგვისტოში ლიგის ყრილობაზე სიტყვა რომ წარმოთქვა სახალხო განათლების შესახებ, ამავე ღროს ილაპარაკა ლიტერატუ-რაზე, ხალხურს რომ უწოდებენ.

„ჩვენი სიბერის კიდევ ერთი ნიშანი ის არის, რომ უანრ რატომდაც გამოვაცალევებთ ხოლმე და სხვა ჟანრების

გვერდით არც ვახსე-ნებთ, მაგრამ ყოველი უანრის ლიტერატურა თავისი მომწიფების ხანაში და თავისი შე-საძლებლობების მი-ხედვით ხომ მაინც ხალხურია და ამის სენებაც აუცილებე-ლია, ესეც არ იყოს, მისი პირველი სახე მე-ტად თუ სკლებად მა-ინც ხალხის მიერაა შექმნილი. როდესაც ცივილიზირებულ, ჩვეულებრივ ეპიკაში იბადება რაიმე ლიტე-რატურული სკოლა და იმთავითვე ინყებს არსებობის გაგრძე-ლებას, ერთადერთ აზრს იმაში ხედავს, რომ ხმამაღლა გა-ნაცხადოს თავისი დამოკიდებულება ხალხურობისადმი და საზეიმოდ წარმოადგინოს ხალხური ლიტერატურის სახეობა-ნი. ისიც სჯერა, რომ ვალდებულია და იმის უნარიც შესწევს, შექმნას ლექსები, რომანები და სხვადასხვა წიგნი საგანგე-ბოდ ხალხისთვის, მათივე სულითა და ენით გაჯერებული. როდესაც ასეთი რა მ ხდება, იმ საუკუნეს, მინდა ვთქვა, შეიძ-ლება ჰქინდება ბევრი რამ უპირატესიც, თუმცა ისიც გასაგე-ბია, რომ საკამად დაშორებული იქნება სიყმანვილისა და ხე-ლოვნების ახალგაზრდულობისგან. ასეთ ლიტერატურას, თა-ვადვე უკვე მოხუცს, ხალხი წარმოუდგენია დიდ ბავშვად, მი-ტომ ზღაპრებს უამბობს და ძილისპირულს უმღერის. რაღა თქმა უნდა, არც ბებერი უნდა რომ გამოჩენდეს და ამიტომ ფე-რუმარილით ითხეპნება, თუმცა ამ მძიმე გარჯაში დალლილ-დაქანულს ოფლი წურწურით რომ ჩამოსდის, ის ფერუმარი-ლიც ჩამოელვნითება და ბოლოს ამ სენტიმენტალური სურვი-ლისა თუ მცდელობის მერე გამოჩენდება მხოლოდ უზნეო და ანგარებიანი დედაბრის ნამდვილი სახე“.

აი, ასე და ამგვარად განაგრძობს კარდუჩი და ამბობს, რომ ხალხის დანინაურება ისტორიული აუცილებლობაა, ოლონდ არც უნდა მოინდომოს და არც სცადოს ხელისუფ-ლებაში მოსკოლა, წესწყობილების სათავეში ჩადგომა და მი-თური — ძალის გამოყენებით. „გაზაფხულის თქეში მაინც შეაღწევს სოციალურ გარემოში, დაარღვევს მეკვიდრეო-ბითობას და ყველაფერს ერთმანეთში აურდაურევს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო, რელიგია, ხელოვნება მართლაც წმინდად განახლდება; მაშინ კი ხალხი ბოლოს და ბოლოს მი-აღწევს ერთიან, თანასწორ და თავისუფალ არსებობას“.

მეტიც, ამასობაში, დავძენდი მე, ყველაზე ადგილი იქ-ნებოდა, რომ ის მწერლები, რომელთაც უნდოდათ ხალხის დონეზე დამდგარიყვნენ, თვითონვე გადაეღობოდნენ და დაბრკოლებდნენ პლების ხალხად გადაქცევის წმინდა საქმეს, უკვე ამ გზაზე დამდგარი ხალხის სვლას.

არადა, ხალხისგან განზე კი უნდა დადგეს, დაის, უნდა გა-მოცალევედეს მათგან მათსავე სასიკეთოდ და მათთვისსვე-ის, ვინც მწვერვალზე ავიდა, სწორედ იქიდან უნდა მოუხმოს ხალხს, გამალოს ხელები და შეეგებოს, ოღონდ თვითონვე კი არ უნდა დაეშვას ქვევით, ვითომ გზის საჩვენებლად, რადგან შეიძლება თვითონვე დაკარგოს გეზი და ველარც მათი გამხ-



ნევება შეძლოს ისე, როგორც მწვერვალიდან შეძლებდა.

არ არის სწორი, თითქოს ხალხს არ ესმოდეს და ვერც
გაუგებს იმ მწერლებს, ვინც მასზე მაღლა ავიდა; ძალიან
კარგადაც ესმით, თუმცა ეგებ ნანილობრივ. და აյ მე აზ-
რად მომდის და ჩემს მკითხველებსაც მინდა შევახსენო
„დონ კიხოტსა და საბაზის ცხოვრებაში“ რომ მაქვს აღწერი-
ლი მწყემსებთან რაინდის საუბრის ამბავი; მათ შეიძლება
ბევრი არაფერი ესმოდათ, რაზეც ის ესაუბრებოდათ, მაგ-
რამ ძალიან კარგად გრძნობდნენ, რისი თქმაც სურდა.

კარდფუჩი ამბობს, რომ პოპულარული ლიტერატურის ამ ენამოქარგულ ადამიანებს ხალხი დიდ ბავშვად რომ მიაჩინათ და ასეც არის, ხოლო ისინი, ვინც ბავშვებისთვის წერს, ბავშვებივით იქცევიან და მათ უბირი მშობლებივით ელაპარაკებიან, რომელთაც ჭვინიათ, შვილები უკეთ გაუგებენ, თუკი ენამოჩილებით დაელაპარაკებიან.

მართლაც ცოტაა რამ მსმენია იმაზე დასანანი და უნიათო, როგორიცაა კონფერენციები, სახალხოს რო არქევეკები. როცა გარკვეული კულტურის ადამიანი ცდილობს პოსულარობა მოიპოვოს, მაშინ უფრო უუნაროდ და უსახოდ წარმოაჩენს თაგეს და ისიც არაერთხელ მსმენია, როცა უფრო ფრთხილსა და წინ-დახედულ მშრომელ ხალხს, — ამისთან სუბიექტებს რომ უს-მენენ, წამოუძახიათ — „მანც ვინ ვეონიგართ ამ ტიპს!..“

ერთი საქმეა განხე დადგე ასეთი ლიტერატურისგან, რომელსაც არც სული გააჩნია და არც ვნება, ცივი და უნაყოფოა, როგორც ამბობს არხენტე, და მეორე — ძალიან განსხვავებული — ხალხთან სიახლოვე.

„დრო და დრო, — განაგრძობს არხენტე, — გაისმის მეტად მწვავე და ჯიუტი შენაშენებიც, კეთილშობილი სულის ადამიანებს რომ აღმოხდებათ ხოლმე შეურაცხყოფის, სიმდაბლის, მორჩილებისა თუ სულმოკლების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ცალკეული აღშეფოთებისა და ბოლმის შეძახილების მიღმა ეს-პანური მწერლობა მაინც ნერგავს თავისი ეგოიზმის ბალნარს“.

ასეთივე მწვავე და შეუბოვარი იყო ამგარი უსუსურობის ნინააღმდეგ კარდუჩის კეთილმობილი სული; მაგრამ არასდროს დაშვებულა და არც გარეულა ხალხში ესოდენ ღრმა პოეტი, მართლაც დიდად პოპულარული პოეტი იტალიისა, ვინც თავის „ბარბაროსულ ოდებში“ იმთავითვე აღმიაღლა ხმა გამოყენებითი პოეზიის ნინააღმდეგ, რაც ასე იყო ხალხში გამჯდარი, რომელიც უძრტვინველად თვლემდა შეტვეულ მკლავებზე.

სხვათა შორის, შეიძლება სწორიცაა ეგოიზმზე ნათევა-
მი სიტყვები, მაგრამ არც ისაა ნაკლებ სარწმუნო, რაზეც
არხენტე დასქენს, თვით მნერლის ხელთაა თავისუფლების
მოპოვებათ, თუკი გაიგებენ, რომ თუ გინდა უფრო ძლიერი
იყო, პირველი ცოდნა და კულტურა კი არ არის, არამედ გუ-
ლი, ოღონდ განა გული კი ისეთივე ძნელად მოსახები არაა, როგორც კულტურა და განათლება?

დაბოლოს დაასკვნის: „როცა ხალხის გულისტყვიფილი აირევლება მწერლის სარკეში და სოციალური ყოფის მოლოდინი მოექცევა დაწერილ სიტყვებში, როცა მწერლები მარტო თავიანთი ცხოვრებით არ იცხოვრებენ და არც თავიანთი სარგებლისთვის, სანამ თავიანთ სულსა და წვლილს არ მიუძღვნიან თავიანთი მოდგმისა და დროის, დროისა და მოდგმის ხალხს, რათა დაუბრუნონ მას ძალა და გავლენა, რაც ალუდგენთ ერთიანობის გრძნობას, მწერლებიც იგრძნობენ, რომ მათ ძარღვებში დაუვლის გამაახალ-გაზრდავებელი და გამაძლიერებელი სისხლა, ჭეშმარიტების, სიკეთის სული, ურომლისოდაც მთელი მათი ინტე-

ლექტუალური შრომა ტყუილუბრალოდ გაიფლანგებოდა”.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, რასაკეთირებელია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხს კარგად მაინც არ ესმის თავისივე სატივოარი და ვერც მათ სცნობენ, ვინც ამას უკეთესად გამოხატავს. აյგი ხშირად ხდება, როცა თაღლით ექიმბარებას უჯრო უჯერებენ, ვიდრე გონიერსა და მათი სენის კარგ მცოდნე ექიმს.

არხენტის წერილში, თუ ჩავულრმავდებით, სხვათა შორის, კარგი განზრახვითა და ალაგ სამართლიანადაც, მაინც სცვი- ვის დემოკრატიული სოფიტში, რაც ასე თუ ისე მაინც საშიშია თვითონ ხალხის საფისაც და მათვისაც, ვინც ამას ქადაგებს.

„ხალხს სძულს სიმართლე“ — უთქამის მწერალს, და მართლაც სძულს, როცა სიმართლე არ არის მათთვის სასი-ამოვნო. ხალხს ის მოსწონს, როცა ეპირფერებიან, ართო-ბენ და ატყუებენ, თუმც შეიძლება ადრე თუ გვიან კიდეც შეიძულოს თავისი მაამებლები, მლიქენელები, გამრთობე-ბი და მატყუარები და კიდეც დაგმოს ისინი. სწორედ ასეა, ვიმეორებ და კვლავაც გავიმეორებ. ამიტომ ვიბრძოლოთ მისთვის და მის სანინაალმდევოდ.

ძალიან კარგად აეხსნიდი — არადა არ უნდა ავხსნიდე — რომ მავანი და მავანი მწერალი თავსაც კი იწონებს, რომ ასეთი უნდობლობა დაიმსახურა; მშვენივრად მესმის — არადა, არ უნდა მესმოდეს — როცა ამას ღირსებად მიზრნე-ვენ და ვერც სიკეთეს მომკიან მომავალში და ვერც სი-ძულვილს, მხოლოდ დაცინვასა და შეურაცხყოფას, სხვა ვერაფერს. ისე არავის თანაფურძობობ, როგორც მარტო-სულებს, ვინც განერიდა ხალხს, ისე ვითარცა ქრისტე გა-ნერიდა მათ, როგორც მეფეებ გამოკხადება მოუნდომეს.

და თუ მერე დაიჩივლებენ, არ გვისმენენო, ბუნებრივიცაა და სამართლიანიც მათი ჩივილი, რადგან ესმით, ხალხი მაინც ხალხია და მეტი არაფერო. ეს ჩივილია ერთი ის გზა და საშუალება, რაც მათ გამოაჭიბლებთ და აამოძრავებთ, რათა აღარ იყვნენ, რაც აქამდე იყვნენ და არ დაკარგონ თავიანთი ხალხურობა.

დიდი უბედურება, მართლაც დიდი უბედურებაა, რაც ჩვენ ლიტერატურას თავს დაატყვდა, ის იყო, რომ ზოგიერთმა მწერალმა რატომლაც მოინდომა, ხალხს კი არ დაპირისპირებოდა, არამედ მათთან გათანაბრებულიყო და შეთანხმებულიყო. აკი სწორედ ამ განზრახვისა და მიზნისგან მოღვაწეობის ჩვენი კომიტეტი თეატრის გაუფასურება.

არა, არ უნდა ვიქეადაგოთ, ვითომშდა ხალხი უგუნურია და ამისთვის სამაგიეროც მიეზღვებაო. ეგებ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, უგუნურობა სიამორნებას ანიჭებთო. ეს ძალიან კარგად მოეხსენებათ ჩვენს მნერლებაც.

ასელა მინდა ვთქვა, ეს სულგრძელი და ნებაყოფლობითი განდეგომა ხალხისგან ეგონიშმის მიზეზი არ უნდა იყოს-მეთქი, არც ვნების ნაკლებობა და არც ხალხისადმი ინტერესი, აკი ისიც ხშირად ხდება, როცა სწორედ ამ ინტერესი-დან მომდინარეობს.

რაც შეეხება იმ საზღლურს, რაზეც არჩენტე თავისი წე-
რილის ბოლოს ლაპარაკობს, ის იქნება, რომ იმ დრომდე
მოიცადოს, სანამ ხალხი თვითონვე არ ავა იმ მწვერვალზე,
საიდანაც თვით მწერალი მოუქმობდა მათ და ხელგაშლი-
ლიც შეეგებებოდა.

ეკა ბუჯიაშვილი

პოეტი

გზადყოფნის მისტერიიდან

მიდის...

უკვე ვისაუბრეთ, ახლა მემშვიდობება და მიდის...

რაღაცნაირი სიმსუბუქით მიარხევს ჩანთას — ალპათ საკუთარი ლექსებით, თარგმანებით.... მაღალი რანგის პოეზიით სავსეს.

ამ ხალხის ისტორია გზადყოფნის ისტორიაა.

მათი კულტურაც გზაში იქმნებოდა და თითქოს ეს ხვედრი გასიმბოლოვებულა მის ბედისწერაშიც.

სულ საქართველოსა და ისრაელს შორისაა.

სულ გზაშია.

თუმცა ამბობს, რომ ეს ძალიან ბევრს აძლევს, რადგან მერე სხვა თვალით უყვრებს სამყაროს.

ეს „სულ სხვა ხედგა“ მის შემოქმედებაში აისახება.

თუმცა მე რა უნდა გითხრათ, ჯემალ აჯიაშვილი თქვენც იცით ვინ არის. უბრალოდ, ახლა საქართველოშია, თავისი ორიგინალური სონქტებიც გამოაქვეყნა უურნალში „ჩვენი მწერლობა“ და ამ საპაპით გვინდოდა შევხვედრილიყვათ.

როგორც იქნა მოება თავი.

თუმცა ეს წერილმანებია, თანაც უკვე ჩავლილი და მკითხველისთვის ნაკლებად საინტერესო. თქვენ აი, ეს დაგაინტერესებთ:

მიუკაუნა და... გამოხედვა

ლექსებს ბაგშვიობიდან წერდა.

პედაგოგი ჰყოლია შესანიშნავი — ტერენტი ყიფიანი. სამამულო ომში იბრძოდა. მერე გადაასახლეს და უკვე ნაციონალი ქართულს ასწავლიდათ. აი, ამ კაცს ერთხელ მისი ლექსების განხილვა მოუწყვია, ერთი ლექსის შესახებ კი უთქვამს:

— ამას პოეტიც მოაწერდა ხელსო.

ეს წლების წინათ იყო.

ერთ-ერთი მაშინდელი ლექსი „სულხან-საბა დავით გარეჯის მონასატერში“ დღესაც ზეპირად ახსოებს და აბიბობს, რომ მართლაც სიამოვნებით მოაწერდა ხელს.

— ხმამაღალი ნათქვამია, — თუ მოაწერდი, კიდეც უნდა დამებეჭდა, მაგრამ თუ ასე გაინტერესებთ, გეტყვითო.

რაյო თვითონ არ დაუბეჭდავს, მე ამ უფლებით ვერ ვისარგებლებ, ისე კი მუსიკა, რომლითაც გაჯერებულია ჯემალ აჯიაშვილის პოეზია, ჯერ კიდევ იმ დროიდან მოდის თურმე.

მერვე კლასში იყო მაშინ, იმ მასწავლებელს რომ უთქვამს:

— ქენგან დიდი პოეტი დადგება, ხელი არ გაუქვა ამ საქმესო.

და ასე — ტერენტი ყიფიანისგან ხელდასხმულს — მოჰყებება და მოჰყებება ის უჩვეულო მადლი, პოეზიის დიდ სივრცეებთან რომ გაზიარებს.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა — საარსული ენისა და ლიტერატურის განხრით. პირველივე კურსიდან თარგმანა რუდაქის შედევრი „სიბერის ელევია“.

მას თუ ჰკითხავთ, დაეს ამ თარგმანსაც მოაწერდა ხელს, რადგან ახლაც ფიქრობს, რომ კარგი გამოუვიდა.

ერთხელ კი უკვე მოაწერა — „პირველ სხივში“ (7, 1966 წ.) რომ დაიბეჭდა, მაშინ.

იმავდროულად თავის ლექსებსაც წერდა.

მერე აღმოსავლური კულტურის ძირებმა დააინტერესა, ძველეგვიპტური სიმღერებით დაიწყო — ამენტოტეპ IV-ისა და ნეფერტიტის დროინდელით. შემდეგ სისხლის-მიერი წინაპრების მიგრაციით დაინტერესდა, ეგვიპტიდან გამოსვლის მერე კი ბიბლიურ სამყაროში ჩაიძირა.

— რა გასაკირა, აქ ხომ მთელი აღმოსავლური მისტერიაა კოდირებული, როგორც გილგამეშის ეპოში, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში დაკარგული იყო და ამის გამო თითქოს ამოვარდა ისტორიიდან; აი ბიბლია კი ყოველთვის საკაცობრიო კულტურის თანამდევი იყო.

რატომდაც თარგმანს უფრო უხადა ხარკი, ვიდრე ორიგინალურ პოეზიას.

— რატომ მოხდა ასე? — ვეკითხები.

— რა გითხრათ, ძალიან დაუდევარი ვარ. ბევრი რამ მიდევს დაუბეჭდავი. ამის გამო გული მტკივა. ჩემს ესე-გზი და დრამატულ პოემებზე რომ არაფერი ვთქვა, უამრავი სონეტი და სხვა უანრის ლექსი არ გამომიქვეყნება.

სონეტი კი მაინც სხვა რამაბა.

სონეტს ხელი არ უნდა მოაწერო, ვიდრე არ დარწმუნდები მის სრულყოფილებაში, რადგან ეს ის უანრია, აპსოლუტურ სისრულეს რომ მოითხოვს შენგან.

სონეტი ან შედგება, ან არა — განსხვავებით, ვთქვათ, ტრიოლეტისგან, რომელიც ბევრად უფრო იოლი ფორმაა — მეტადრე იტალიური სონეტი: დანტესი, პეტრარკასი განსაკუთრებით შექელანებულოსი, თუნდაც ჯორდანი ბრუნისი. შექსპირი, მაგალითად, ფორმის თვალსაზრისით (გარითმის სისტემა და სხვ.), შედარებით უფრო მსუბუქია.

ამ მსუბუქსაც და მძიმესაც როგორ გაართვა თავი, კარგად იცნობს მეითხელი მისი წიგნიდან „გარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა“, რომელშიც ზემოთქმული ავტორების გარდა გაერთიანდა მონძაემონ ჩიკამაცუ, რაინერ მარია რილე, ნელი ზაქსი, პეტერ პუხელი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ოსიპ მანდელშტამი, ბორის პასტერნაკი...

„ნებისმიერი პოეტი, მეტადრე მთარგმნელი, ნებსით თუ უნდებლიერთ, „სულთა მიგრაციის“ კანონს ემორჩილება და დროსა და სივრცეში მოგზაურობს. შენც — თითქოს წარმოსახვითი არგნით ხელში — დააბიჯებ ათასწლეულებში და უამთა წიაღ გადანახულ საგანძურს აუნჯებ; ხან ვის მიუკაუნებ კარზე და ხან ... თუ გამოგხედეს დანტეზ, პეტრარკამ, შექსპირმა... და მათთან შემოქმედებითი დიალოგი მოხერხდა, ხომ კარგი, თუ არადა — რა გაეწყობა“, — ჯემალ აჯიაშვილის სიტყვებია.

რომ მიუკაუნა და... რომ გამოხედეს, ეს მკითხველმა კარგად იცის, ამიტომ ამაზე აღარ გავაგრძელებ, სჯობს თვითონ მას მოუსმინოთ.

* * *

— სად უფრო კარგად ვრძნობთ თავს, თარგმანში თუ საკუთარ ლექსებში?

— ამ წუთას საკუთარში. საერთოდაც — საკუთარში. თარგმანს ბევრი მომენტი ახლავს თან. ჯერ ჩერეკის, ასე ვთქვათ, „შავი“ სამუშაოსი, მერე კი — პირწმინდად შემოქმედებითი. რაც ამ მუშაობისას დაგროვდება სულში, ის უნდა ამოიბერტყყო. საკუთარი ლექსი კი... მაინც განწყობილების ამბავია, ყოფილა შემთხვევა სამი-ოთხი სონეტი დამინერია ერთბაშად, რაც თითქოს წარმოუდგენლია.

— თქვენ თარგმანშიც საკუთარი სამყაროდან ამოდიხართ. აკი ამიტომაც ამბობთ ხოლმე: ეს თარგმანი კი არა, თარგმანებაამ...

— როგორ გითხრათ, არის ნაწილი, რომელიც, ამ სიტყვის ძირეული, „რეგლამენტირებული“ გაებით, თარგმანია — მაგალითად, ფსალმუნები, რომლებსაც სხვანაირად ვერ თარგმნი, თავისი კანონიკა აქვს; მაგრამ არის თარგმანები, ვარიაციის სამუალებას რომ იძლევა, ისევე როგორც, ვთქვათ, „დელ’არტეს“ თეატრალური ესთეტიკა, განვრცობის შესაძლებლობას რომ გულისხმობს. ცხადია, ეს თარგმანის უნივერსალური სახეობა არ არის, ასეთი ინტერპრეტაციის უფლება მხოლოდ ალაგ-ალაგ გაქვს...

— თარგმანის ამ ფორმის შესახებ გამიგონია: უფრო მთარგმნელის ლექსებია, მისი განწყობილებანიო...

— კი, ასე ამბობენ. მე მიმაჩნია, რომ ყველა გზა — თუ მას ნიჭიერად მიჰყევება მთარგმნელი — გამართლებულია. ვიცი ისეთი თარგმანებიც, თავიდანვე მკვდრადშობილი რომ არის...

— ასეთი თარგმანი თქვენ ერთხელ მუშიას შეადარეთ...

— ასეა, თუ თარგმანი — და, საერთოდ, ნებისმიერი ნაწარმოები — ლიტერატურულ პროცესი არ მონაწილეობს, მართლაც ქრესტომათიულ კუბოში ჩაწოლილ მუშიას ემსაგვესება (მაიაკოვსკის მეტაფორა). ცოცხალი პროცესების მონაწილე მხოლოდ ნიჭიერად დაწერილი ლექსი და ნიჭიერი თარგმანია. თარგმანს თავისი სიძნელები აქვს...

— მახსოვს, წლების წინათ, ჟურნალ „ომეგას“ სალონში შეხვედრისას თარგმანის თავისებურებებზე რომ მსჯელობდით, ალნიშნეთ: ეს ისეთი პროცესია, როცა ნებისმიერი თეორია უკან მიღევნებულ ლამპარს ჰგავს.

— რა თქმა უნდა. ახლაც ასე ვფიქრობ. არსებობს თარგმანის თეორიები, ძალიან საჭირო და ფასეული, მაგრამ შემოქმედებითი პროცესი ისეთი რამაა, ამ თეორიებს ვერ დაეყრდნობი. ეს მერე სწავლობენ, იკვლევენ და აანალიზებენ თეორეტიკოსები ამა თუ იმ თარგმანის თავისებურებებს.

— ორიგინალური ლექსებისა და საინტერესო თარგმანების გარდა თქვენ გაქვთ საგულისხმო თხზულება — მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის — „გამოიღვიძე ქარო“, რომელიც ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს უძღვნით. ამ თვალსაზრისითაც თუ აგრძელებთ მუშაობას?

— მაქვს ესეების ციკლი, რომელიც მინდა წიგნად გამოცევა.

ქართველი ებრაელობის გზა გადაჯაჭვულია მთელი მსოფლიოს ებრაელობის გზასთან. ლევ ტოლსტოის უთქვამს: ამ ხალხმა პირველმა გაიგონა ერთი ღმერთის ხმა,

პირველმა შეიცნო ერთლმერთიანობა და სადაც მიდიოდა, იქ მიჰქონდაო.

„ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი — უფალი, ჩვენი ლმერთი“ — ეს იყო უდიდესი ნახტომი კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც ძირულად განსაზღვრა მისი შემდგომი გზა; როცა ებრაელი ხალხი დაიფანტა, მას მთელ მსოფლიოში თან დაპქონდა ერთლმერთიანობის იდეა. ბევრი რამ შეიტანა სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრებაში, მაგრამ ასევე ბევრი რამ შეითვისა სხვა ერებისა და კულტურებისგან. ქართველი ებრაელობა თავისი მსოფლმხედველობით, ფსიქიკით ბევრ რამები დაემსგავსა ქართველს — 2600-წლოვანი თანაცხოვრების შედეგად. ასევე მოხდა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელთა შემთხვევებშიც — ისინი იმ კულტურის ნაწილად იქცნენ და, როცა დაბრუნდნენ ალთქმულ ქვეყანაში, ყველამ თავისი მსოფლედვა, ტრადიციები, თავისებურებანა მიიტანა თან. ახლა ისრაელში ეს ყველაფერი ერთ დიდ ქაბში იხარშება და ყალიბდება. ვფიქრობ, ეს არის ახალი, დიდი კულტურის დადგონების პროცესი, რომლის შედეგებიც ათწლეულების შემდეგ გახდება ცნობილი.

ქართველი ებრაელობის გზაც არ იყო ერთგვაროვანი. ბევრი ზიგზაგი დაჲყვებოდა. ეს ყველაფერი ლოკალურ სივრცეს არ გულისხმობს, ჰერმეტული არ არის, ამიტომ, მინდა მასშტაბი და განვითარებილი არ წიგნსაც ჰქონდეს. მართალია მას პირობითად „ქართველი ებრაელის გზა“ ერქმევა, მაგრამ ეს გზა მთელი ებრაელობის ბედისნერის ფონზე წარმოჩნდება, სულ სხვა კუთხით გამოიკვეთება ჩვენი ყოფაც, ურთიერთობებიც — ასეთი ქართული, ასე ძვირფასი რომ არის ჩემთვის.

ქართული სლოვის ნაკართვევი

მთელ მსოფლიოში გაფანტული ქართველი ებრაელობის ყოფა არ არის ერთნიშნა. ასევე ისრაელშიც. საგულისხმო პროცესები მიმდინარეობს ყველა სოციუმში. არიან ძალიან მაღალ საფეხურზეც სხვადასხვა სფეროში — მათ შორის, პოლიტიკაში, მეცნიერებაში (მეტადრე ზუსტ მეცნიერებაში). ისრაელის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — ქნესეთში — დღეს სამი, საერთოდ კი მეხუთე ქართველი ებრაელია არჩეული, რაც ძალიან ბევრია ასეთი მცირერიცხოვანი თემისათვის, მით უმეტეს — 120-კაციანი პარლამენტის პირობებში. სხვათა შორის, მთელი ყოფილი საბჭოური სივრცის რეპარიანტებიდან ქნესეთის პირველი ნევრი სწორედ ქართველი ებრაელი იყო. არაჩვეულებრივი მიღწევები აქვთ მედიცინაში, სპორტში... ღიოტერატურაშიც არიან წარმატებული — რამდენიმე მათგანზე შეგვიძლია ყოველგვარი შეღავათების გარეშე, მოწინებითაც კი ვილაპარაკოთ. რაც შეეხება მუსიკას, მხატვრობას, კინემატოგრაფს, აქ დიდ საერთაშორისო აღიარებასთან გვაქვს საქმე, რაც ცალკე მსჯელობის საგანია...

უფროსი თაობის დიდი ნაწილი კი... 70-იანი წლების თბილისში დარჩა — ცხოვრების ნესით, ინტერესებით, მსოფლედვით... მათთან შეძლებთ მოუსმინოთ იმუამინდელ მუსიკას, ნახოთ იმდროინდელი ფილმები... და საერთოდ, ვისაც გენატრებათ ის თბილისი, ამ ოჯახებს უნდა

ესტუმროთ. როცა ნოსტალგია წამომეძალება, მე სწორედ ასე ვიქტევი ხოლმე.

ახალგაზრდები კი... ბუნებრივია, სადაც იბადებიან, იქაურები არიან უკვე. დაახლოებით ათი წლის წინათ ისრაელში შეიქმნა „ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი“, რომელსაც ფილიალები მთელ მსოფლიოში აქვს. მისი მიზანი და ძირითადი დანიშნულებაა ის, რომ სხვა-დასხვა ქვეყანაში გაფანტულ ქართველ ებრაელობას დროდადრო შეახსენოს, საიდან მოდიან, ვინ იყვნენ, ვის-თან ერთად გამოიარეს 26 საუკუნე, სად არის მათი ძირები. თავიანთი უურნალი და გა-ზეთიც აქვთ — ცხადია, ქართულ ენაზე. რამდენიმე ნომერს მეც გავუნიერდა ერთაქმორბა.

ჩემი ვაჟი კი ამზადებს სამე-ნოვან გაზეთს — სახელწოდებით „წამი“ — სადაც იბეჭდება მასალები ქართული ყოფით, საქართველოს ხსოვნით ნაკარნახევი. ახლახან იყო წერილი საბა კლდიაშვილზე, ვინც ებრაელთა ერთ-ერთი დარბევისას სასიკვდილოდ გასწირა თავი და ამ ერმა მას მსოფლიო ხალხთა წმინდაში შორის მიუჩინა ადგილი.

სამი ახავი ერთი სათქმელისთვის

იყო ერთი ბეჭდუნი ბიჭი...

არა, ზლაპარს არ გიამბობთ, არც ლეგენდას გიყვებით. ეს ბეჭდუნი ბიჭი მართლა იყო.

შართლა მწერეშავდა თხებს ყუმრანის მთებთან.

მართლა დაკარგა ისინი და ქებნა-ქებნაში მართლა წა-აწყდა გამოქვაბულს, რომელშიც შესვლა შეეშინდა და კენჭი ისროლა შიგნით.

გამოსცა ხმა გამოქვაბულმა რაღაცნაირი, თითქოს ჭურჭლის...

შევიდა ბიჭი და ნახა სურა გრაგნილებით. ბევრი იფიქ-რა თუ ცოტა, ამაზე დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, ცნობილი ის არის, რომ მენაღეს წაულო.

ამ სცენას შემთხვევით წანებდა ინგლისელი ბიბლიოგ-რაფი, რომელიც გაოგნდა თურმე, რადგან ნაპოვნი ეტრატები 2000 წლის წინანდელი ბიბლიური ხელნაწერები აღმოჩნდა.

ისრაელის სახელმწიფო მაშინ არ არსებობდა და ეს სიმდიდრე ამერიკაში მოხვდა. მერე, შექმნის პირველივე ხანებში, ისრაელის სახელმწიფო უზარმაზარი თანხა გაიღო და გამოისყიდა თავისი ეროვნული სიმდიდრე.

ამ განძს, „ყუმრანის გრაგნილების“ სახელით ცნობილს, ბინა მიუჩინეს საგანგებოდ აგებულ სამუზეუმო კომპლექსში, „წიგნის ტაძარში“, რომელსაც იმ სურის

ფორმა აქვს, რომელშიც ეტრატები იპოვნეს და კონსტ-რუირებულია ისე, რომ კატასტროფის შემთხვევაში მთლი-ანად ჩადის მინაში და თან ჩააქვს განძიც.

ეს იმისთვის, რომ თუ იდესმე ჩვენი ცივილიზაციის დარჩეს უდიდესი სიმდიდრე კაცობრიობისა — „წიგნთა წიგნი“.

* * *

მოხდა ასეთი მტკიცნეული — სხვა რომ არაფერი ვთქვათ — ამბავი რუსთაველის ფრესკა რომ შელახეს ჯვრის მონასტერში, წმინდა მინაზე.

მერე ეს დაზიანებული ფრე-სკა ბერძენმა მამებმა ვითომ აღადგინეს — აქაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სახელდახე-ლოდ და ლამის საბოლოოდ გაა-ნადგურეს.

მაშინ ამ ფაქტს ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა — ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მხრი-დანაც და იქაური ინტელიგენცი-ისგანაც, განსაკუთრებით ჩვენი ყოფილი თანამემამულებისგან. იმხანად ბატონი ჯემალი დესპა-ნის მოვალეობას ასრულებდა და მის მხრეზეც გადაიარა მაშინ-დელმა მოვლენებმა. საქმეში იქაურ სიძველეთა დეპარტამენ-ტიც ჩაერთობდა ასე — დიდი ხმა-ურის შემდეგ — ფრესკა შეძლე-ბისდაგვარად აღდგა.

გაუგებრობანი კი მერეც იყო. ვიღაც თითქოს მიზანმიმოართუ-ლად, გეგმაზომიერად მუშაობ-და საამისოდ.

— არაფერს ვამტკიცებ, არც ის მინდა, პოლიტიკური სარჩელი დავუძო ამ ყველაფერს, უბრალოდ ფაქტს აღვ-ნიშნავ: რატომდაც ეს ყველაფერი დაგმთხვა იმ დროს, როცა ჯვრის მონასტერში რუსული წარმომავლობის ბე-რები გამოჩნდნენ.

ცალკე საკითხია ჯვრის მონასტერი, რომელსაც კარგა ხანია ბერძნული საპატრიარქო ეპატრიონება და ერთობ სა-ორქოფო პოზიცია უქირავს მის ქართულ კუთვნილებასთან დაკავშირებით. საერთოდ, ბერძნულ საპატრიარქოს დიდი გავლენა აქვს. ისრაელის საკანონმდებლო ორგანო — ქნე-სეთიც — იმ ტერიტორიაზეა, რომელიც ქვეყნის ხელისუფ-ლებას ბერძნული მხარისგან იჯარით აქვს აღებული, ამი-ტომ ამ საკითხებთან მიმართებით, ისრაელი ლავირების პო-ლიტიკას არჩევს, არადა იყო დრო, ისეთი დროც იყო, როცა...

* * *

ჰყავდა იერუსალიმს ცნობილი მერი, ტედი კოლეკცი, რომელიც 28 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქა-ლაქს — თანაც იმ რთულ დროს, 1965-1993 წლებში.



ჯემალ აჯიაშვილი

უყვარდათ ტედი კოლეკი ისრაელში, არაერთი კარგი საქმის თაოსნობის და კიდევ — პიროვნული თვისებების გამოც.

თავისი გეგმები ჰქონდა მას ისრაელის სახელმწიფო მუზეუმის შესახებაც, რომლისგანც შორს არ მდებარეობს ჯვრის მონასტერი.

და აი, ერთ-ერთ შეკრებაზე უთქვამს ტედი კოლეკს:

— მინდა ეს ყველაფერი — ჯვრის მონასტერიც და ბიბლიური სიძეველებიც — ერთ ტურისტულ არეალში მოვაწყო, რომ ერთიან კომპლექსად მოიაზრებოდეს.

ეს იყო 1988 წელი.

მერე საქართველოში ყველაფერი აირია.

მერე ტედი კოლეკიც გარდაიცვალა და თავისი ფიქრებიც და გეგმებიც თან წაიყოლა, არადა....

— თავისი დროზე აღბათ უფრო უმტკივნეულოდ, პოლიტიკურ დონეზე შეიძლებოდა ჯვრის მონასტრის საკითხს რეგულირება, — ამბობს ბატონი ჯემალი, — უცხოეთში არსებულ ქართულ სიძეველეთაგან ჯვრის მონასტრის ბადალი ხომ არაფერი მოგვეპოვება, მითუმეტეს, რომ ის იერუსალიმის ცენტრშია, წმინდა მინაზე, რომლის ყოველი გოჯი წარმოუდგენლად ძვირად ფასობს.

სხვათა შორის, ბეთლემთან ახლოს, ერთ-ერთ პატარა სოფელში, ბიზანტიური ეკლესის ფილებს შორის აღმოჩნდა უძველესი ქართული წარწერაც (სავარაუდოდ მე-5 საუკუნისა), რომელიც ვანგებურთაველს მიენიჭება.

მასონებს, როცა პირველად ჩავედი ისრაელში, საქართველოს „გრუზიას“ ეძახდნენ, აღბათ იმიტომ, რომ სსრკ-ს სივრციდან ემიგრირებული ებრაელობის დიდმა ნანილმა რუსულის გარდა სხვა უცხო ენა არ იცოდა.

შემდეგ ძველ ებრაულ ენციკლოპედიაში აღმოჩნდა, რომ იქ ეს ქვეყანა „გეორგიად“ იყო მოსხენიებული.

ამაზე დაფუძნებით ისრაელის ენის აკადემიიდ განიხილა საქართველოს საელჩოს დაჟინებული თხოვნა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების წინაშე შუამდგომლობა აღდრა, რომ თანამედროვე ებრაულ ენაში ოფიციალურად დაკანონებულიყო საქართველოს ძველი, ტრადიციული სახელწოდება „გეორგია.“

ამას დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა: ეს იყო მასობრივი ცნობიერების შემობრუნება, რადგან ყველასთვის გაცხადა, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის რალაც სუროგატული დანამატი კი არა, უდიდესი ისტორიის ქვეყანა გახსლდათ...

ქვეყანა, რომელსაც უძველესი ძირები აქვს წმინდა მინაზე.

და კიდევ ერთი სურათი

— ლიტერატურიდან შორს გადავუზიეთო, — ამბობს ბატონი ჯემალი.

არადა აქ, საქართველოში ეს ამბებიც ძალიან აინტერესებთ.

ოცდაექვსსაუკუნოვანმა თანაცხოვრებამ ხომ ქართული სინამდვილის, ქართული ისტორიის, ქართული ყოფისა და ცნობიერების ნაწილად აქცია ეს ხალხი.

— კარგი, დავუბრუნდეთ ლიტერატურას, თქვენი სონეტების გამოცემას როდის გვპირდებით?

— უახლოეს მომავალში, — ამბობს — გოგი წერეთლისა იქნება მხატვრობა. აგრე უკვე რამდენი ხანია მელოდება (იობის მოთმინება ჰქონია), მაგრამ ის გარემოება, რომ აქ არ ვარ, ძალიან მიშლის ხელს. ალბათ უახლოეს ხანში გამოვცემ...

— გამოუბეჭენებელი თაგმანებიც მაქვსო, თქვით, ახალი რა შემატეთ?

— გერმანულენოვანი ებრაელი პოეტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ნელი ზაქსის ლექსები. საინტერესო პოეტია ძალიან. ბიურგერულ ოჯახში დაბადებული, გერმანულ კულტურაზე აღზრდილი, მის გარეშე თავი ვერც წარმოედგინა, მაგრამ... მერე დანერა ლექსები — უდიდესი ტრაგიზმით გაჯერებული, კრემატორიუმის კვამლით გაუღენილილი, რომლებშიც მთელი ებრაელობის მრავალსაუკუნოვანი გოდება ისმის.

1966 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

ორმა მწერალმა მიიღო მაშინ ეს პრემია: შმუელ აგნონმა და მან.

ნობელის პრემიის გადაცემისას სიტყვა წარმოოთქვა:

— შმუელ აგნონი წარმოადგენს ებრაელთა სახელმწიფოს, მე კი — ებრაელთა ტრაგედიას...

კიდევ ტირსო დე მოლინასა და კალდერონის დრამატული პოემები ვთარგმნე, კარლო გოკის „ლურჯი ურჩეულიც“ არ გამომიქვეყნებია. 150-მდე ფსალმუნი, კიდევ — ძველებეგვიპტური საგალობლები და სპარსული პოეზიის ნიმუშები...

მერე იმასაც მიმხელს, დანტე ალიგიერის „დვთაებრივი კომედიის“ თარგმნა რომ უნდა.

— იქ ისეთი მუსიკაა...

არა, თარგმანი კი არსებობს, მაგრამ ერთი და იმავე ნაწარმოების რამდენიმე თარგმანი ხომ მის სხვადასხვა შრეს ხსნისო.

კიდევ იმასაც მიზიარებს, რომ არსებობს საოცნებო თხზულება, რომლის თარგმნა ძალიან უნდა, მაგრამ მის სახელწოდებას არ მიმხელს.

— აი, თუ ვთარგმნე, მერეო...

მერეო და... მიდის.

სულ ერქარება.

სულ გზაშია.

არ მიკვირს — ამ ხალხის ისტორია ხომ გზადყოფნის ისტორიაა.

ეს ხვედრი გასიმბოლოებულა მის ბედისნერაშიც.

გასვლისას კი:

— იცი რატომ არიან ებრაელები უფრო ხშირად ვიოლინის დიდოსტატები? — მერეობება.

— არ ვიცი, — მხრებს ვიჩერიავ.

— იმიტომ, რომ ვიოლინის ტრაერება იოლია, როიალისა — არაო.

მერე დერეფანშიც ვაცილებ და ვუყურებ, როგორ მიდის და მაქვს თავისი ჩანთა — ალბათ საკუთარი ლექსებით, თარგმანებით, გზადყოფნაში შექმნილი მაღალი რანგის პოეზიით სავსე.

რაღაცნაირი სიმსუბუქით მიაქვს.

ამბობენ: საკუთარი ტვირთი კაცს არ ამძიმებსო...

ემზარ კუიტაიშვილი

სიცოცხლისა და სიყვარულის დამამკვიდრებელი

(ჯანსულ ჩარპვიანის
დაპადების 80 წლის გამო)

ჯანსულ ჩარკვიანი იმთავითვე სამოციანელთა მძღავრი, უნიჭირესი თაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი იყო, საამისოდ საჭირო ყველა უნარი ჰქონდა და ასეთად რჩება დღემდე. სამოციანელთა თაობა, მწერლების გარდა, მხატვრებს, მოქანდაკეებს, მუსიკესებს, ხელოვნებათმცოდნეებს, რეჟისორებს, არქიტექტორებსაც აერთიანებდა და, ბედნიერი შემთხვევის გამო, მათგან საუკეთესოებმა, თავი მოიყარეს ახალდარსებულ უურნალ „ცისკრის“ გარშემო, რომლის პირველი რედაქტორი იყო უალრესად და გვენილი გემოვნების, დიდად განათლებული მწერალი და მთარგმნელი, ახალგაზრდობის გზის გამკალავი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და საზოგადო მოღვაწე ვახტაგო ჭელიძე.

მოგვიანებით, ვახტაგო ჭელიძის მიერ დანერგილი ტრადიციები ლირსეულად გააგრძელა ჯანსულ ჩარკვიანმა; იყო თერთმეტი წლის განმავლობაში რედაქტორობდა „ცისკარს“ და უნდა ითქვას, ეს პერიოდი გადამზევეტი, ყველაზე ნაყოფიერი იყო ამ უურნალის არსებობის მანძილზე. „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა უმრავლესობა მეოცე სუკუნის მეორე ნახევრის იმ უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებისა, რომლითაც დღევანდელი ქართული მწერლობა ამაყობს.

თანამედროვეობის უბრნებინვალესი მხატვარი, ამოუწურავ შესაძლებლობათა ფერმწერი ზურაბ ნიუარაძე ახლაც გაუნელებელი სიამოვნებითა და აღტაცებით იხსენებს 1961 წლის აგვისტო-სექტემბერს, როცა ახალგაზრდა მწერალთა და ხელოვანთა სამი ჯგუფი (მოსკოვი, გორკი, თბილისი) იტალიაში გაემგზავრა, ხოლო მთელი დელეგაციის თავკაცად ჯანსულ ჩარკვიანი იქნა არჩეული. ასე შინარსიანად და მხიარულად დრო ჩემს ცხოვრებაში არ გამიტარებია, ჰყვება ზურაბი, მოსაწყენად ერთი წუთითაც არ გვეცალა — ეს იყო სიმღერების, ხალისის, იუმორის, ანეკდოტების ნამდვილი კასკადი, გონებამახვილური კალამბურების ფორმერვერი. სხვადასხვა ეროვნების პოეტები და მსახიობები გაოცებულნი შესცეკროდნენ ჯანსულს — ერთი კაცისგან ვერ წარმოედგინათ ენერგიისა და ფანტაზიის საუთი სიუზვე, მიზნებისა.

იმ დაუკინებარ მოგზაურობაში ჩვენი განუმეორებელი, ქართული მწერლობის კლასიკოსად შერაცხილი, სამშობლოს ნინაშე ვალმოხდილი და ამჟამად მთაწმინდის სავანები დამკიდრებული ოთარ ჭილაძეც იმყოფებოდა და იტალიის საკმაოდ საფუძლიანად მოხილვამ სასიკეთო კვალი დაატყო სამივე მათგანის შემოქმედებას.

ჯანსულ ჩარკვიანმა მაშინ შექმნა ლექსების მშენიერი ციკლი „ხმელთაშუა ზღვის ნიუარაძი“. ფლორენციაში, უფიცის ზღაპრულ გალერეაში ბოტიჩელის შედევრის („ვე-

ნერას დაბადება“) ნახვამ მას დააწერინა მღელვარე, ფერადოვანი სტრიქონები, რომელიც იტალიური რენესანსის უზადო მცოდნესა და თაყვანის მცემელს ზურაბ ნიუარაძეს უძღვნა. „ვარდებითა და ხორბლისფერ თმებით“ შემოსალ-ტული სიყვარულის ღვთაების ქებათაქება ასე მთავრდება:

მე ვდგევარ შენს ნინ,
სული მელევა
დიდი სიცოცხლით გადარეული
და ნიუარაძი ჩამდგარ ვენერას
ზღვაში და ცაში უთროთის სხეული.

ასეთივე ძალისა და გაქანებისაა ღვთისმშობლის ფრესკაზე დაწერილი სუფთა უდერადობის, პაეროვანი, ბროლივით გამჭვირვალე ლექსი, რომელიც ჯანსულს სიყრმის მეგობრის, ოთარ ჭილაძისთვის მიუძღვნია:

ნუ გააღვიძებთ,
ფურთები აქვს ნაზი,
ნუ გააღვიძებთ,
სული აქვს წმინდა.
ის სიზარშია, ბოროტ სულს დასდევს
და სხივი მოაქვს ღრუბლების ციდა.

თვით ოთარ ჭილაძეს აღნიშული მოგზაურობის წარუსოცემა შთაბეჭდილებებმა დააწერინა ერთ-ერთი უძლიერესი პოემა „იტალიური რვეული“, რომელშიც იშვიათი ოსტატობითა და გზნებით არის დახატული „მარადიული ქალაქის“ — რომის — გრანიტოზული პანორამა, თავბრუდამხვევი ექსპრესიონის წარმოდგენილი მისი მრავლისმომსწრე და ბევრის განმსაზღვრელი ნარსული, შედარებით უშვილოველი თანამედროვე ყოფა.

ყველაზე ნაყოფიერი და გაუხუნარი იტალიაში მოგზაურობა ზურაბ ნიუარაძის ჯადოსნური ფუნქციისთვის აღმიჩნდა.

იმანად შესრულებულმა შედევრებმა სათავე დაუდო პოეზიის მადლით განათებული უძვირფასესი ნამუშევრების დიდ სერიას; იტალიური მოტივები, მკვეთრ, თამამ, ზოგჯერ კი ნაზ, გარდამავალ ფერებში წარმოსახული ქუჩის სცენები აქამდე ასაზრდოებს ზურაბ ნიუარაძის ზღვარდაუდებელ შთაგონებას.

ჯანსულ ჩარკვიანთან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ახლო მეგობრობა მაკავშირებს, უამრავი რამის გახსენება შემიძლია. არასოდეს დამავიწყდება მისი სითბო და თანადგომა, როცა ცხოვრებაში არაერთი უბედურება განვიცადე.

1967 წლის შემდგომა იყო. მძიმე ავადმყოფობა, ფლტვის ინფარქტი, რამდენიმე თვის გადატანილი მქონდა და მითხრა — ჩემ სოფელში უნდა წავიდე, ლეჩხუმში, სურვილი მაქვს თან წაგიყვანო, საუკუნეს მიტანებული ბაბუაჩემი ეფრემ ჩარკვიანი გაგაცნო, შენი თვალით ნახო, როგორი კაცის შთამომავალი ვარო. მართლაც ზღაპარივით მახსოვს ცას მიბჯენილი ულამაზესი სოფელი სურმუში, ნამდვილი მახვში, თეთრწერა, ცოცხალი ნინაპარი ჯანსულისა, რომელიც კვლავ ბრეგედ გამოიყურებოდა, ჩემინთან ერთად უჯდა პატრიარქალური ნესრიგით გამლილ სუფრას და პატარა ჭიქით თავის გამოხდილ ცეცხლივით არაყსაც სვამდა. პოეტური სულის კეთილად მოლიმარი სხვანაირი მოხუცი იყო, ძველი მონადირე. სიკვდილს თურმე „უცხო ფრინველს“ ეძახდა და მაღალ ჯანსულმა კიდევაც დაუნერა ამავე სახელწოდების საუცხოო,

მთელ მის შემოქმედებაში გამორჩეული, ქართული მითოსი-დან ამოზრდილი თავისუფალი ლექსი. ბუნებრივია, ასეთ სა-თაყვანებელ კაცს მადლიერი შთამომავალი კლანჭებდალესი-ლი „უცხო ფრინველის“ საძიძგნად ვერ გაიმტებდა და მთე-ლი ლექსი ისეა გაწყობილი, რომ იმ ფრთხის ავი შრიალი აირიდონ, ხორაგით, საჭმელ-სასმელით დაზვინული სუფრა დაახვედრონ სვავივით გაუმაძლარ მომხდურს და როგორმე უკან გააბრუნონ. ლექსში შემწოთება იგრძნობა:

**იმ უცხო ფრინველს ჰქვია, სახელი
ჰქვია...
ამას მე ვამბობ, შენი შვილიშვილი,
შენი,
შენი ჯანსული, შენი სისხლის
ნითელი ტოტი.
თარიგონს მოდგა უცხო ფრინველი,
მოდგა,
ოი, აბა გვეშინოდეს,
ოი...**

ერთი შეხედვით მოუხეშავად, საგანგებოდ დატეხილ მღელვარე სტრიქონებაში თითქოს გენიალური სვანური „ზარის“ ხმა ზრიალებს, მაგრამ ფინალი სიცოცხლის ნამდვილი აპოთეოზია — პოეტი კლდესავით უდრეკე ბრძენ მოხუცს ცოცხალ ხატად ტოვებს, ხმამაღალ სამადლობელს უუბნება, თავის ჯოშს, მოდგმას მზის ნათელი რომ აჩვენა. სხვანაირად არ ითქმებოდა ეს არწივისებური შეძახილი:

**აბა, გიხარდენ,
ეფრემ ჩარკვიანო,
ოთხმოცდათხუთმეტი წლის
ეფრემ ჩარკვიან!**

ჯანსულ ჩარკვიანი სიცოცხლის მოტრფიალე და დაუღალავი მომძერალია. პოეტის ყოველი სტრიქონი სამშობლოს სიყვარულით სუნთქავს და მისი თვალით დანახულ სურათში მშობლიური ქვეყნის პეიზაჟები შეიგრძნობა. მან კარგად იცის, რაგონ მოსაფრთხილებელი და საფერებელია ბუნების ყველაზე დიდი, აუხსნელი სასწაული და ამიტომაც არაფერს იშურებს, მინიერი მშვენიერება მთელი მომხიბლაობით რომ წარმოაჩინოს:

**რადგან სიცოცხლე ერთი ბეწოა,
სიცოცხლეს სული უნდა უბერო...
შენ ანანურთან ნამომენიე,
ულამაზესო თეორო ღრუბელო.**

ამ უფაქიზეს ლირიკულ ჩანახატს შეღამების მეტად თავისებური, მოულოდნელი და კონტრასტული სურათი ამთავრებს, რაც ოდნავადაც არ არღვევს, არ ანელებს სასურველ განწყობილებას, სამუდამოდ გვამახსოვრდება:

**სიმწვანე გატყდა და მოითენთა,
მთვარეზე იჯდა ავაზა შავი,
ჩემ სულში იდგა შენი სითეთრე
და გალმა იყო ლამაზი ფშავი.**

ჯანსულ ჩარკვიანს არასოდეს დაუყვით; უპირველეს ყოვლისა, თვითეულ მათგანში ლირსებასა და სიკეთეს ეძებს. ადრე ჩარკვიანები

თბილისის ძველ უბანში, ჯაფარიძის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, სადაც ქართველი, რუსი, სომები, ებრაელი, აზერბაიჯანელი, ქურთი ერთ ოჯახად გრძნობდნენ თავს და ამაზე პოეტს ძალზე თბილი, აღერსანი ლექსი („სოლოლაკში“) აქვს დანერილი — გაცოცხლებულია „ქალაქური სულის ამინდი“, ხოლო ფინალური სტროფი იმ სამუდამოდ ჩავლილი დროის, გაფრენილი სიყმანვილის ნაღვლიანი მონატრებაა:

**კვლავაც მივდივარ ქუჩით, ნაცნობით,
ქუჩას სიძველე ადგას მთლიანი,
ნეტავი იმ დროს, როცა კაცობით
იზომებოდა ადამიანი.**

ამ რამდენიმე ხნის წინათ „რუსული კლუბის“ პრეზიდენტიმა, პატივცემულმა ნიკოლოზ სვენტიცკიმ მითხვა, რომ დადად აფასებს ჯანსულ ჩარკვიანის შემოქმედებას და პირვენებას, სასიხარულოა, უკვე ტრადიციად ქცეულ რუსულ-ქართული პოეზიის ფესტივალებში ასეთი შემართებით, ახალგაზრდული ენერგიით რომ მონაწილეობსო. მერე ქართულად დასძინა (იგი წმინდა ქართულით მეტყველებს): ჯანსული ნამდვილი ქალაქელი კაცია და მინდა, ჩვენს უურნალში საკადრისად გამოჩენდესო. „ნამდვილი ქალაქელობა“ ყველამ ვიცით, რასაც ინშანას და თბილისის საპატიო მოქალაქე, შოთა რუსთაველისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი მუდამ ბოლომდე ამართლებდა ამ შეფასებას.

ნლევანდელი რუსულ-ქართული პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის („სიზმრები საქართველოზე“) დროს, ივნისის თვეში, მონამე ვიყავი, როგორი დაუფარავი სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს თანატოლები, დიდი ხნის უნახვა მეგობრები იური რიაშენცევი (მან, როგორც მთარგმნელმა, განსაკუთრებული ამაგვა დასდო ქართულ პოეზიას) და ჯანსულ ჩარკვიანი, ისხსნებდნენ ერთმანეთის ლექსებს, თბილისა და მოსკოვში ჩატარებულ პოეზიის საღამოებს, ყველაფრიდან ჩანდა, როგორ მონატრებოდათ ერთმანეთი. ჯანსულმა მაშინვე დაპატიჟა, ხვალ ჩემი ოჯახის სტუმარი იქნები და ვინც გინდა მოიყვანეო და როცა იურიმ უპასუხა, სამწებაროდ, თვითმფრინავის ბილეთი ჯიბეში მიღებეს და ხვალ აღრე დილით უნდა გავფრინდეო, მასპინძელს ძალიან დასწყდა გული, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, მათი ეს ამაღლელებელი შეხედრა უკვალოდ არ ჩაივლიდა, ერთმანეთს მოიკითხავდნენ, მეგობრულ მიმოწერას გააგრძელებდნენ.

სხვა გზა არ არსებობს — რუსული და ქართული კულტურების, ლიტერატურათა დაშორება ჩვენს ხალხებს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს. ის მტკიცე, ურთიერთსიყვარულზე დამყარებული კავშირი, რასაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში წინა თაობის სახელოვანმა პოეტებმა — გალაკტიონ ტაბიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ, ვალერიან გაფრინდავილმა, სიმონ ჩიქვანიძემ, ირაკლი აბაშიძემ, გრიგორ აბაშიძემ და სხვებმა ჩაუკარეს საფუძველი, რაც შეიძლება, მალე უნდა აღდგეს. ბორის პასტერნაკთან, სერგეი ესენინთან, ოსია მანდელშტამთან, ბენედიქტ ლივშიცთან, ანა ახმატოვასთან, ნიკოლოზ ზაბოლოცკისთან, ნიკოლოზ ტიხონოვთან, არსენი ტარკოვსკისთან და სხვებთან მათი მჭიდრო მეგობრობა და ინტენსიური მთარგმნელობითი მოღვაწეობა რომ არა, მრავალსაუკუნვიანი ქართული პოეზია ბევრს დაკარგდა და მთელ მსოფლიოში.



მამუკა ჩარკვიანი, ჯანსულ ჩარკვიანი, გიორგი თურმანაული, გურამ ჯარიაშვილი, ემზარ კვიტაშვილი, ზურაბ კიკნაძე, ირაკლი გოგოლაური, ჭაბუა ამირეჯიბი, ალექსანდრე პაპავა, თამაზ ჩხერიმელი ფოტო აკადემიკოს ნიკო კეცხველისა (არავის ხეობა, 28 ივლისი, 1973)

ყველას ხიბლავდა ჯანსულ ჩარკვიანის ერთი გამორჩეული ოვისება — ადამიანებთან კეთილი ურთიერთობის თანდაყოლილი ნიჭი. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ მას საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში და საზღვარგარეთაც ჰყავდა გულითადი მეგობრები. მას-სოვს, როგორი სიახლოვე ჰქონდა ევგენი ევტუშენკოსთან, იმავე იური რიაშენცევთან, ბელა ახმადულინასთან, ანდრეი ვოზნესენსკისთან, ბულატ ოკუჯავასთან, რიმა კაზაკოვასთან, იუნა მორიცთან, ნატაშა სოკოლოვსკაიასთან, მიხეილ სინელნიკოვთან და სხვებთან, თავისებურად აგრძელებდა ზემოთ ნახსენებ ტრადიციას.

ჯანსულ ჩარკვიანის მიმართ მუდამ დიდ სითბოსა და ყურადღებას ამჟღავნებდა უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსი, ლექსის დიდოსტატი, ქართული პოეზიის უკრაინულ ენაზე უბადლო მთარგმნელი მიკოლა ბაუანი. ნამდვილ ძმებად თვლიდა ჯანსული თავის თანატოლ უკრაინულ პოეტებს — ვიტალი კოროტიჩის, ივან დრაჩის, მიკოლა ვინგრანოვსკის.

სამაგალითო იყო მისი მეგობრობა სომეხ კოლეგებთან. თბილისში ხშირად სტუმრობდნენ მას არტაშეს კალანტარიანი, ვარდეგეს პეტროსიანი, არტაკ ვოსკანიანი, არუთინ ჰოვნათანი (იგი ახალციხეში დაიბადა, ჯანსულის მთელი წიგნი თარგმნა და ერევანში „სომეხ ჩარკვიანს“ ეძახდნენ). ჯანსულ ჩარკვიანმა სხვებზე ადრე თარგმნა მეოცე საუკუნის უდიდესი სომეხი პოეტის ავეტიკი ისააკიანის ლირიკა.

ჯანსულ ჩარკვიანის ლექსებს უხვად თარგმნიდა ნიჭიერი მოლდაველი პოეტი და რეჟისორი ემილ ლოტიანუ. იგი საგანგებოდ ჩამოიდიოდა თბილისში მეგობრის სანახავად და, ცხადია, არც ჯანსული დარჩენილა ვალში, ქართულად აამეტყველ. მისი ლექსები.

ბალტიისპირეთის პოეტებიდან აღსანიშნავია ჯანსულის მეგობრობა ლატვიელ მარის ჩაკლაისთან და ლიტველ იუსტინას მარკიავიჩუსთან, რომლისადმი ლექსიც აქვს მიძღვნი-

ლი.

„ცისკარში“ რედაქტორობის დროს ჯანსულ ჩარკვიანმა სამწერლო ასპარეზზე გამოიყვანა მაშინ სრულიად ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ყმანვილი იმრა მამედლი. ქართულად დაწერილმა მისმა ლექსებმა, ოსტატობის მხრივ, ყველაზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. შემდგომში ჯანსულმა მას რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ათარგმნინა აზერბაიჯანულად. ბრწყინვალედ შესრულებულმა ამ თარგმანმა იმრა მამედლის თავის სამშობლოში საყოველთაო აღიარება მოუპოვა. ამჟამად ბაქოში ცხოვრობს და ყურადღებით, პატივისცემით არის გარემოსილი.

ცნობილ იუგოსლაველ პოეტ მიროსლავ ჯურევიჩთან ერთად, პოეზიის პრესტიულ ფესტივალზე, ჯანსულ ჩარკვიანი გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა და ამის მერე ისინი კიდევაც დამეგობრდნენ. ყველაფრის ჩამოთვლა და აღნუსხვა ძნელია.

იმის თქმაც საჭიროდ მიმარინა — მთელ ქართულ პოეზიაში ვერ დავასახელებთ მეორე პიროვნებას, ვისაც ახლობლების, მეგობრებისადმი ამდენი ალალად ნათევამი ლექსი მიეცლვნას. ეს ადამიანები სხვადასხვა პროფესიის, ასაკის, ეროვნების, ხასიათისანი არინ და მათი გვარ-სახელი რომ ამოვნეროთ, ჩვენს წინაშე უზარმაზარი გალერეა გამწკრივ-დებოდა. ყველა ისინი პოეტმა სიყვარულით გააერთიანა.

ვერც იმას ავუვლა გვერდს, რომ ჯანსულ ჩარკვიანს საკმაოდ მნარე ენა აქვს, აურაცხელი გამკენწლავი, გამაბიაბრუებელი ეპიგრამების ავტორია, მაგრამ უსაზღვროდ კეთილი გულის გამო, საბოლოოდ, თვით მოსისხლე მტერსაც არ გაიმტება. ამ მხრივ იგი ჭემბარიტი ქრისტიანი, დიდი აკაკის განუხრელი მიმდევარია.

* * *

ვინ მოთვლის, თავისი ცხოვრების მანძილზე, რამდენ ადამიანს უანგაროდ დახმარებია ჯანსულ ჩარკვიანი, რამ-

დენისთვის გაუმართავს ხელი.

ფშავში, მაღაროსკარში, ცხოვრობდა ერთი დიდებული, სულითაც და გარეგნობითაც ლამაზი ვაჟკაცი, ხალხური პოეზიის იძგიათი მცოდნე გოგი თურმანაული (სამწუხა-როდ, ნაადრევად გარდაიცვალა). იგი განსაკუთრებულად ჭაბუა ამირჯიბს და ჯანსულ ჩარკვიანს ემეგობრებოდა.

ერთ ზაფხულს რამდენიმე ადამიანი გოგი თურმანაულმა ოჯახში მიგვიპატიუა, ჩემებურად უნდა გაგიმასპინძლდეთო. ჭაბუა ათვის უფროსი და საყვარელი მეგობარი, გულაგის ჯურლულებში მასავით წლობით ნატანჯი პიროვნება, ფრიად ნათელი გონებისა და ფართი განათლების პროფესორი ალექსანდრე პაპავა წამოიყანა. ჩევნთან იყო მარად დაუვიწყარი თამაზ ჩხერიელი, საუკეთესო მთარგმნელი და მრავალმხრივი ლიტერატორი, ზურაბ კინაძე, თვალსაჩინო მეცნიერი და მთარგმნელი. ჯანსულს ახლდა ვაჟიშვილი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, საუცხოო საესტრადო მომღერალი და არაერთი სიმღერის ავტორი მამუკა ჩარკვანი. ზღაპრული დრო გავატარეთ არაგვის ხეობაში, ბევრი რამ ვნახეთ.

მახსოვს, ერთხელ ჩევნს სიახლოეს „ვილისი“ გაჩერდა და მანქანიდან უნივერსიტეტის ლეგენდარული რექტორი, ქართული ბუნების ნამდგილი მინდა, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი გადმობრძანდა. ერთად შეკრებილ ამდენ კარგ ხალხს სად ვნახავ, აპა, დამწერივდით, სურათი უნდა გადაგილოთ და თავისი ფოტოაპარატი მოიმარჯვა. თბილისში დაბრუნებულებს სათითაოდ გამოგვიგ ზავნა სამახსოვრო წარწერით დამშვენებული მაშინდელი გადაღებული სურათი და დღემდე საუთავად ვინახავ ჩემს ალბომში.

იმავე წლის სექტემბერში ჯანსულმა გულთბილი ბარათი მიიღო გოგი თურმანაულისგან, ჩევნი თანდასწრებით გახსნა „ცისკრის“ რედაქციაში. ყველას მოკითხვას გვითვლიდა და ბედნიერებას გვისურვებდა. მერე პირადად სწრდა რედაქტორს — მანდ ამა და ამ სკოლაში ერთი ფშაველი ქალა ასწავლის ქართულს, გონიერი, უნარიანი გოგოა და ვიღაცებს მისი იქიდან გაშვება სწადიათ, გთხოვ, არავის დააჩავვინო, შენთვის ეს ისევე იოლია, როგორც ჩემთვის არაგვიდან კალმახის ამოყანაო.

ჯანსულს ამის წაეკითხაზე გაეცინა. მაშინვე აიღო ყურ-მილი და რომელიაც გავლენიან მოხელეს დაურეკა, გააცნო საქმის ვითარება და ათ წუთში იმ „ფაქტები ქალას“ საქმე მოაგვარა, ბუზს ვერავინ აუფრენს, უბატონოდ ხმას ვერ გასცემენ, გვითხრა.

არასოდეს დამავიწყდება „ცისკარში“ გამოქვეყნებული, გოგი თურმანაულის მიერ ჩანერილი უცნობი, მართლაც უნიკალური „ნატიოლები“. ერთი მათგანი ნამდვილი შედევრია, ყველა დიდი ბოეტი მოაწერდა ხელს. იგი თავის მცირე ჩანახაზში მოჰყავს რევაზ ინანიშვილს. მას რესთაველზე შეხვედრია ბოეტი მაყვალა მრევლიშვილი, რომელსაც ახალი წაკითხული ჰქონდა ხსენებული სამღლოვარო ლექსი. გაოგნებულ მაყვალა მრევლიშვილს, ვინაც კარგად იცოდა პოეტური სიტყვის ფასი, წამოუძახია: აუჟ, ამისი მთქმელი ნამდვილი გიუია! (გიუბაში, ცხადია, მთქმელის უზომო ნიჭირება იგულისხმა). აი, უპრალო ფმაველი დედაკაცის ეს „ნატირალიც“, სოფლის ბოგანოს რომ იგლოვს:

**მახვდია, ბეჩავ იერემო,
დასდევა სიღარიბის ჯოხი...
მინანიც დაილოცებიან,**

შიშველი მაგიმალნეს ხორცი.

მაღაროსკარში, სუფრაზე მსხდომთ, გოგი თურმანაულმა ერთი საკვირველი, დაბალ შაირზე გაწყობილი ლექსი წაგვიკითხა, ღრუბელმოხვეული კლდის მწვერვალი იყო დახატული, ათი-თორმეტი სტრიქონი თუ იქნებოდა (მერე ვეძებდი და ვერცერთ კრებულში ვერ მივაგენი), ფოლადის სატევარივით ზრიალებდა მისი ხმა. ყველანი მოვინუსხეთ. იმდენი წინდახედულება ვერ გამოვიჩინე, გვერდზე გამეხმო, მეთხოვა და ის ლექსა ჩამენერა. ახლა მწარედ ვნანობ.

* * *

ფრიად სასიხარულოა, რომ მეხუთე ფესტივალის კვალდაკვალ უურნალმა „რესულმა კლუბმა“, ივლისის ნიმუში, თავისებურად ალინშნა კლასიკური სისადგით აღბეჭდილი ერთ-ერთი საუკეთესო რესი ლირიკოსის იური რიაშენცევის დაბადების ოთხმოცი წლისათვათ და წასაკითხად მიმზიდველი ეს მასალა („ოსტატის კლასი“) დიდი გემოვნებით, უნაკლოდ მოუმზადება ჩვენს ნიჭიერ უურნალისტს წინა ზარდალიშვილს.

მეხუთე ფესტივალის დღეებში იური რიაშენცევამ ჩაატარა მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო სემინარი „პოეზია თეატრსა და კინოში“, რომლის წამყვანი იყო პოეტი და დრამატურგი ელენა ისავეა. უურნალში შეკუმშულად, ცოცხლად არის წარმოდგენილი მათი დიალოგი.

იური რიაშენცევი გულაბდილად ამბობს, რომ მისი ნაღვილიანი, მელანქოლიური განებულიერი ლირიკა მცირე შემოსავალს აძლევს და იძულებულია დროდადრო სულ სხვა ხასიათის, მსუბუქი, იოლად გასაგები ლექსები წეროს თეატრსა და კინოში ჩართული სიმღერებისათვის. იგი საგანგებოდ საუბრობს „პაროლიეს პროფესიაზე“, რასაც განსაკუთრებული მოქნილობა და ალლო, რეჟისორთა და მაყურებელთა მოთხოვნების გათვალისწინება სჭირდება.

პოეტი სიმოვნებით იგონებს ადრე საქართველოში გატარებულ დაუვიწყარ დღეებს, როცა იგი მასთან დამეგობრებული, სამწუხაროდ, უკვე გარდაცვლილი, ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორის ალექსანდრე ბასილაძის ძალზე მეღოდიური მიუზიკლის („არგონავტების მხიარული მოგზაურობა“) შექმნაში მონაწილეობდა და ეამაყება, რომ იმხანად რამდენიმე მოხდენილი ტექსტი დანერა.

არაჩვეულებრივი ექსპრესიო, გატაცებით ჰყვება იური რიაშენცევი, მრავალმხრივი ნიჭის ლუსია გურჩენკოს თხოვნით, ფილმისათვის — „მისი ახალგაზრდობის რეცეპტი“ — ფანტასტიკურად მოკლე დროში თუ როგორ დაწერა სხვადასხვა მიზანდასახულობისა და ტონალობის წარწერი, რაც უკიდურესადაბაკას და მდიდარ ფანტაზიას მოითხოვდა.

იური რიაშენცევი დაიალოგის დასვენით ნაწილში კვლავ აღნიშნავს, რომ ნამდვილი პოეტი საკუთარი ლექსებით თავს ვერ ირჩებს და იგი იძულებულია თარგმანებს მიპყოს ხელი (გავისასწორო ბორის პასტერნაკი, ანა ახმატოვას, არსენი ტარევსკისა და სხვათა მაგალითები), ანდა ესტრადისა და კინოსათვის წეროს. ლირიკოსის ცხოვრება არცერთ ეპოქაში არ ყოფილა დალბინებული. ამაზე მეტყველებს თუნდაც შექსპირის თანამედროვეს, ფილი ინგლისელი პოეტისა და დრამატურგის ბენ ჯონსონის მნირენათებაში — ვერ დამისახელებთ პოეტს, ვისი ლექსებიც მის ცხოვრებას უზრუნველყოფდეს.

„რესული კლუბის“ ამავე ნომერში დაბეჭდილია იური რიაშენცევის სამი ლექსი და თამამად შეიძლება ითქვას — ეს ლექსები ერთ-ერთი საუკეთესოებია იმათ შორის, რაც

რუს პოეტებს, სხვადასხვა დროს, ჩვენს სამშობლოზე დაუწერიათ. მაგალითისათვის მოვიტან მხოლოდ ერთ სტროფს იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ სასიამოვნო გარემოში გრძნობს იგი თავს, როდესაც თბილისში იმყოფება:

**Не понимаю, почему,
Но я в вечернем этом граде
почуял вдруг, как гость в дому,
Что дом хорош не гостя ради!**

ვისურვებდით, რომ ასეთი ალერსიანი, სიყვარულით სავსე დამოკიდებულება თბილისში ჩამოსულ ყველა მის სასურველ სტუმარს მომავალშიც ჰქონდეს.

* * *

იშვიათად მინახავს ისეთი პარმონიული, კეთილი წყვილი, როგორც ჯანსუდ ჩარკვიანი და მისი მეუღლე — დიდად განათლებული ლიტერატურობი (იგი სანაქებო, დახვენილი ლექსების ავტორიც გახსავთ) და მეცნიერი ირმა ჩხეიძე არის. ჯანსუდს ცხოვრების მექანიზმი სიყვარულის, ერთგულების, მადლიერების დამადასტურებელი ოცდახუთი ერთმანეთზე უკეთესი ლექსი აქვს მიძღვნილი და ჩანს, ბოლომდე არ ამოუწურავს სათქმელი. თუ რაოდენ ფაქტიზე და პოეტური სულის პატრონია ირმა ჩხეიძე, ამას მთელი უშუალობით გვიმზეს მისი ლექსი „ირინოლა“, რომლის ტექსტზეც მამუკა ჩარკვიანმა ქართული ესტრადის დამამშვენებელი, მეტად პოლულარული სიმღერა შექმნა. ბერე ჩვენგანი მოუხიბლავს ამ სიმღერის გულშიჩამნედომ ჰანგებს:

**ყვავილების ნამქერი
ნაულია ლელიანს,
მე რომ გელი, იცოდე,
ისე არსად გელიან.**

თვითონ ჯანსუდ ჩარკვიანი უამრავი სიმღერად ქცეული ლექსის აგტორია და, ამ მხრივ, დღევანდელ ქართულ პოეზიაში მეტოქეობას ვერავინ გაუწევს. მარტო ჩვენმა ნიჭიერმა კომპოზიტორმა რუსულან სებისკერაძემ ჯანსულის ლირიკულ ლექსებზე ორმოცამდე ძალზე მელოდიური სიმღერა შექმნა. უმრავლესობაში აშკარაა ხალხურ ხმებთან სიახლოვე, რაც პოეტის ეროვნულ ხასიათზე, ლალ ბუნებაზე მეტყველებს:

**ჩუმად გაგიყვან მინდორში,
ჩუმად დაგისხამ ლვინოსა,
ისეთ სიმღერებს გიმღერებ,
თვალს ცრემლი მოედინოსა.**

ჯანსუდ ჩარკვიანის პოეტურ და მუსიკალურ ოჯახზე სრული წარმოდგენა ვერ შეგვექმნება, თუ არ ვახსენეთ, ქალიშვილის — თაკოს მხრიდან — მისი თხუთმეტი წლის საამაყო შეილიშვილი, ფენომენალური ნიჭიერების პიანისტი ირმა გიგანი, ვისი იშვიათი ტალანტიც დღითიდღ ძალას იკრებს და ვისაც სულ მალე აღფრთოვანებული მსმენელები ფეხზე დაუდგებიან მსოფლიოს უდიდეს, ყველაზე სახელმოხვეჭილ საკონცერტო დარბაზებში, ოვაციებს გაუმართავენ.

* * *

ჩარკვიანების ოჯახს მუდამ რაღაცნაირ ინტიმს მატებდა ოთახის ძალები, ლამაზები და სასაცილოები, ნაირნა-

ირი ბანტებით დამშვენებულები, რომლებიც მუდამ სითბოთი და სიყვარულით იყენებ გარემოსილნი. ჯანსულმა ძალიან განიცადა ერთი მათგანის — იაპონური ხინის — „პონის“ სიკვდილი და გულდანყვეტის გამომხატველი, ადამიანური სევდით განმისჭვალული ლექსი უძღვნა. როცა პოეტმა ნახა, როგორ ღონემიხდილი მიესვენა ტახტზე და მძიმედ სუნთქვადა ერთ დროს სიცოცხლით აღსავსე მოუსვენარი არსება, ცრემლები მოადგა და თავისთავად დაიბადა ჭირისუფლური, მთრთოლვარე სტრიქონები:

**მე სიმართლის თქმა მიყვარს,
ვერ ვუღალატებ სინდის...
რა მაყეფარიც იყავ,
ისე ვერ შეხვდი სიკვდილს!**

...

**დაცარიელდა სახლი,
სახლიდან მინდა ნასვლა,
შენზე ლამაზი ძალი
არ შემხვედრია არსად.**

ამ ნატიფმა ლექსმა შორეულად გამახსენა „ჩვენი უმცროსი ძმების“, ცხოველების უსაზღვროდ მოყვარული სერგეი ესენინის გახმაურებული შედევრი, პოეტმა გენიალური მსახიობის, კაჩალოვის ძალს რომ უძღვნა.

ჯანსუდ ჩარკვიანმა კარგა ხანია შეუმცდარი ინტუიციით იგრძნო, რომ ჩვენს მოზარდებს, ახალ თაობებს გულგრილობისა და წინაპართა საუკუნოვანი ტრადიციებიდან განდგომის, გაუცხოების შემაშფოთებელი ნიშნები და-ეტყო და ოცდაათი წლის წინათ დაწერა ყმანვილებისადმი მიძღვნილი მღელვარე ლექსი („ოცი წლისანო!“), რომელშიც იგი მხურვალედ ემუდარება მათ, განუხრელად იარონ „მამათა კვალზე“ და ეს ცეცხლოვანი მოწოდება თავიდან ბოლომდე რეფრენად გასდევს მთელ ლექსს:

**ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
ჩემი მინის და
ჩემი წყლისანო...**

...

**ოცი წლისანო,
ოცი წლისანო,
სიყვარული არ
გადაისწავლოთ!..**

ეს ლექსი დღესდღეობით კიდევ უფრო აქტუალურია და უფრო საგანგაძოდაც უდერს, თუმცა მისი ავტორი არ არის ის პიროვნება, ასე იმადა რომ გადაიწუროს იმედი, უკეთესი მომავლის შუქი არ დაინახოს.

მე არ განმიხილავს ჯანსუდ ჩარკვიანის მრავალი საუკეთესო ლექსი („მზისადმი“, „ლამაზი სიკვდილი“, „ბეთანია“, „თმოგვი“, „თოვლი“, „სოლეტრამონტო — მზის ჩასვლა“, „პატარა გოგო დამეკარგა“, „ასტორია“, „ერთის პირობით“, „კანარის ჩიტი“, „პოეტის სიკვდილი“ და სხვები), უფრო მის მისაბად ადამიანურ თვისებებზე გავამახვილე ყურადღება, შევეცადე დიდი ხნის მეგობრის, ახლობლის მართალი პორტრეტი დამეხატა.

პოეტი იმიტობ იძალება ამ ქვეყანაზე, რომ სიკეთე, სიცოცხლის ხალისი და რწმენა, ადამიანთა შორის სიყვარული დამკ-

იოსებ ჭუმბურიძე

ძართული ენას 306 ჩააცხავს ნიცვებს?

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სერიოზულ პროექტებს ახორციელებს და თბილისელ სწავლულებს ერთდროულად ოთხი წიგნის წარდგინებაზე ეპატიუება.

* * *

თანაც, ეს არ იყო წარდგინება წარდგინებისთვის. ეს იყო წარდგინებაზე მეტი.

საინტერესო მსჯელობა მნიშვნელოვან და საჭიროობო საკითხებზე.

გნებავთ, დისკუსიაც...

* * *

თელავის უნივერსიტეტი ამერიკასავითაა. იქ ყოფილი რექტორებიც რექტორებად რჩებიან.

ხსენებულ წარდგინებას სამი რექტორი ესწრებოდა — ორი ყოფილი და ამჟამინდელი.

მონანილენი სამივეს მაღლობას უხდიდნენ:

ბატონ როინ ჭიკაძეს — კარგი საქმის საფუძვლის ჩაყრისათვის;

ბატონ გიორგი გოცირიძეს — პროექტების უშუალოდ განხორციელებისა და დაფინანსებისათვის;

ქალბატონ თიბათინ ჯავახიშვილს — იმისთვის, რომ ღირსეულად აგრძელებს მათგან დაწყებულ საქმეს.

* * *

ორი პროექტიდა ოთხი წიგნი.

პროექტი პირველი: „**XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა**“.

წარმოგვიდგინეს პირველი ტომი: ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. ტომის რედაქტორები — ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორები ქეთევან გიგაშვილი და მარიამ ნინიძე.

ენელია, წარმოიდგინო წიგნიერი ქართველი, ვისაც ეს ფაქტი არ გაახარებს.

მით უმეტეს, რომ ეს აკადემიური გამოცემაა, სრულყოფილი სამეცნი-

ერო აპარატურით, პასპორტებით, შენიშვნებით, კომენტარებით, საძიებლებით.

თანაც, „სამეცნიერო აპარატში, პირველად ამგვარი უნივერსიტეტის თხზულებათა გამოცემის ისტორიაში, ერთმანეთისგანაა გამიჯვნული კომენტარები და საძიებლები. კომენტარებს წინ უძლების პასპორტები, სადაც მკითხველი მიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ“.

ორწლიანი თავდადებული შრომის ნაყოფი.

ნარდინებაზე ქეთევან გიგაშვილი იტყვის: „პირველი ტომის გამოსვლას ისე ველოდებოდი, როგორც პირველი შეილის, მარიამის, დაბადებას“.

არანაკლებ ამაღლებებელი იქნება პროფესორ ნანა რჩეულიშვილის გამოსვლა:

„ორმოცი წელია, პედაგოგიურ საქმიანობას მივსდევ და ამ ორმა წელმა გადასწონა დანარჩენი იცდათვრამეტი — იმდენი ემოცია და სიხარული ახლდა ხელნაწერებზე მუშაობას. ისინი ხომ წმინდა ნაწილები ითავა. უშუალოდ, პირველად შევხებ ბარათაშვილის ხელნაწერებს, სოლომონ დოდაშვილის ჭირითა და ვაბით აღსავსე წერილებს“.

ძნელია, ამ სიტყვებს რაიმე დაამატო. არც საჭიროა.

* * *

პროექტი მეორე: „აულის ენები — კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმები — გლობალიზაციის პირობებში (წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)“.

ამ პროექტით სამი წიგნი წარმოგვიდგინეს.

პირველი: პროფესორ მაყვალა შიქელაძის მონოგრაფია — „**წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია**“.

რედაქტორი — პროფესორი თელო უთურგაძე.

მეორე: **წოვათუშური ტექსტები** (შემდგენლები — მაყვალა მიქელაძე, არსენ ბერთლანი, ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ცისკარიშვილი).

რედაქტორი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვაჟა შენგელია;

მესამე: ქეთევან გიგაშვილის მონოგრაფია — „**თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები**“.

* * *

ყველაზე მეტი წოვათუშურზე ითქვა.

ენაზე, რომელსაც დღეს სამიათასამდე მოსაუბრელა (ნახევარი სოფელი) შემორჩა;

ენაზე, რომელიც „გმირულად კვდება“;

რომელიც, ბიოლოგიურ არსებასავით, თავდაცვის ინსტინქტს ავლენს და ქართულ ენაში გადართვას ცდილობს.

რომელმაც ქართულის გავლენით გაიჩინა წოდებითი ბრუნვა...

* * *

წარდგინებაზე შევხვდით ახალგაზრდა წოვათუშპოეტს მანანა ბუქურაულს,



ვინც ქალბატონმა მაყვალა მიქელაძემ ასე დაგვიხასიათა: „ცხოვრობს ზემო ალვანში, სოფლის განაპირას. მამაპაპეულ სახლში, რომელიც მეშინია თავზე არ ჩამოენგრეს. ცხოვრობს მარტო და ჰყავს ოთხი ძაღლი, რომელთაგან ერთიც არ არის მისი, ყველა ძემოკედლებულია. წერს არაჩვეულებრივ ლექსებს. ერთ-ერთში მოთხრობილია, თუ როგორი შეწუხებული დაუხვდა შინ მისულს ენა, როგორ ჩაიკრა გულში, როგორ ჩააცვა წინდები, გაათბო... ისეთი გაპიროვნებაა ენისა, რომ შეუძლებელია, არ შეგძრათ“.

მანანას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუმთავრებია; შემდეგ პროფესიონალი ჯონდო ბარდაველიძის ასპირანტი ყოფილა.

დღეს კი უმუშევარია.

მთლად უმუშევრადაც ვერ ჩავთვლით, რადგან ჩვენს პროექტშია ჩართულიო, — დასძინა ქეთევან გიგაშვილმა.

ასე რომ, პროექტიც არ არის მხოლოდ პროექტისათვის.

ის ადამიანებსაც დიდ შეებას ჰყვრის. თვითონ ქალბატონი მაყვალა მიქელაძეც ამის თვალსაჩინო მაგალითია.

ამ პროექტში ჩართულობამ გადაატანინა უდიდესი ტრაგედია — შეილის სიკვდილი.

სამ თვეს შეინიდან არ გამოდიოდა.

ამ პროექტმა გამოიყვანა.

ამ პროექტმა ათქმევინა: „წაქცევა ადვილია. ძნელი ფეხზე დგომაა. ხეები ზეზეურად კვდებიან. მეც ასე უნდა მოვკვდე“.

რა დროს სიკვდილია?!

პროექტმა გადაარჩინა.

პროექტმა და სტუდენტებმა.

ეგონა, რომ ძაბით შემოსლლ ლექტორს აღარ ისურვებდნენ. პრიქით მოხდა — უამრავმა აირჩია.

შევიდა აუდიტორიაში და სტუდენტებს განუცხადა:

„ნუ შეგაშფოთებთ ჩემი სამოსის ფერი. ის გამოხატავს მწუხარებას, რომელიც თქვენ არ შეგეხებათ. მხოლოდ ჩემთან იქნება“. ...და ვინ არ ისურვებს ასეთ პროფესიონს!

ნარდგინებაზე იყო მსჯელობა, შენიშვნები, დისკუსიაც კი.

საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს პროფესიონებმა იზა ჩანტლაძემ, ზურაბ ჭუმურიძემ, გიორგი გოგოლაშვილმა, ავთანდილ არაბულმა, ვაჟა შენგელიძმა, პატა ნაცვლიშვილმა...

საერთო აზრი კი ასეთი იყო: ხსენებული ორი პროექტით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეტად საჭირო ნაშრომები შეიქმნა. ასე კარგად დაწყებული საქმე კი შეუძლებელია, კარგადვე არ გაგრძელდეს.

ვთქვით, რომ იყო შენიშვნები და სურვილები.

უძველია, მათ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქეთევან გიგაშვილის მიერ შემოთავაზებულმა ახალმა ტერმინმა — ენის გადართვამ, შესაბამისი ინგლისური ცნების შესატყვისად რომ მოუფიქრებია.

ვფიქრობ, საკმაოდ მარჯვედაც.

ის უმრავლებობისთვისაც მისაღები აღმოჩნდა.

ქართულში გადართვას ცდილობსო...

ქართულის მიბაძვით, წოდებითი ბრუნვა გაიჩინაო...

ღმერთი, რჯული, ამას წოვათუშური თავისი წებით აკეთებს.

ქართულს ამ საქმეში არ უდევს ბრალი.

პირიქით, ის მის ბედზე წუხს.

წოვათუშურს არ ეშინა ქართულის...

ქართული უფრო წუხს წოვათუშურზე, ვიდრე წოვათუშური საკუთარ ბედზე;

ამის სიღრმისეული ახსნაც ქალბატონი მაყვალას ნაამბობში გამოჩნდა: „პაპაჩემის ძმა განთქმული მეზღაპრე იყო. ხშირად გვიყვებოდა ზღაპრებს. ყველა ზღაპარს ასე იწყებდა: „ჩვენი, ქართველების, დიდი მეფის, თამარის დროს...“

და უცებ წოვათუშურს გამოუცხადეს, ქართველები არა ხართო.

ხალხი ტიროდა!“

აი, რატომ არ ეშინა წოვათუშურს ქართულისა!

აი, რატომ ცდილობს ქართულში გადართვას!

წარდგინებაზე მყოფს მიხაროდა, ასე რომ წუხდნენ წოვათუშურზე — „გლობალიზაციის პირობებში საფრთხეში მყოფ ენაზე“.

მაგრამ ეს კითხვებიც არ მასევნებდა:

ქართულზე, როგორც „გლობალიზაციის პირობებში საფრთხეში მყოფ ენაზე“, ვინ იწუხებს?

მართლაც, ვის უფრო მეტი ჭირისუფალი ჰყავს — პატარა წოვათუშურს თუ დიდ ქართულს? თუ (საკითხავი, აი, ეს არის!) რუსთავისა და ამერიკისოფის ორივე ერთნაირად პატარა და უმნიშვნელოა?

ქართულ ენას ვინ ჩაკრავს გულში, ვინ ჩაცმევს წინდებს, ვინ გაათბობს?


თვალწინ დამიდგა პეტინის ქუჩა, რომელსაც გამსახურდიას სახელი ჩამოაცილებს და სადაც დღეს ქართულ წარწერას ძნელად თუ იხილავ.

კიდევ კარგი, თვალწინ დამიდგა გოგოლაშვილის წიგნიც „ბედი ქართული ენისა მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან“.

მთლად უჭირისუფლო არც ქართულია! გულს ამის იმედიც მიმაგრებდა:

ენას, რომელიც მეორე ენის ბედზე ასე წუხს, თუნდაც მთელი ქვეყნისერებისაგან განაწირს, ღმერთი არ გასწირავს.

ქართულს ის ჩაცმევს წინდებს, ის ჩაკრავს გულში...



ელენე ამაღლობელი

„ცრემლად დამდნარის გულითა...“

□

ალექსანდრე ყაზგეგის გახსევება

ბოლო დროს რატომმაც არაერთხელ გაისმა, თითქოს ალექსანდრე ყაზბეგი ყველაზე დაჩაგრული და შეუსწავლელი მნერალი იყოს, რაც სიმართლეს არ შეეფერება. რასაკვირველია, ამ რაგის მნერალი და პლიტიკური მოაზროვნე ლირსია, რომ კიდევ უფრო ხშირად ტრიალებდეს მისი სახელი და თხულებანი სალიტერატურო მიმოქცევაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაკივინწყოთ რაც გაკეთებულა და კეთდება.

უკვე მესამე წელია 20 იანვარი, ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების დღეს, მნერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალამოები იმართება საინიციატივო ჯგუფისა (ანი გელაშვილი, შალვა ელოშვილი, ლიზი ჩქარეული) და ალექსანდრე ობელიანის საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით.

პირველად სამების ტაძარში ალინიშნა, სადაც მნერლის შემოქმედება შეფასდა.

შარაშა ქართული ლიტერატურის მუზეუმში ყაზბეგის შემოქმედების ოეთაზე შექმნილი ილუსტრაციების გამოფენა გაიმართა — მხატვართა თვალით წარმოჩნდა მნერლის არა მხოლოდ ცნობილი რომანები, არამედ ნაკლებად ცნობილი თხულებებიც და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ალექსანდრე ყაზბეგს ჩავარდნა არ ჰქონია, მის კავკასიურ ილიადაში, როგორც ძვირფას მოზაკაში, ყოველ კენჭს თავისი ადგილი აქვს".

ამჯერად კი თეატრალუზებული საღმოთო ალინიშნებოდა იუბილე მნერლისა, ვინც ტრაგიკული ბედისნერის მიუხედავად, მოახერხა ის, რომ განასაზღვრა ქართულ პროზა და ქართული ლიტერატურა საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა.

ანსამბლი „ჯვარული“ ხსნიდა შეკრებას — თითქოს იმ მაღლალი მთების გუგუნი ჩამოჰქონდა ბარში, ყაზბეგისა და ვაჟას მთების გუგუნი: რომ არ დაცხებოდა ეს ბრძოლა, ვიდრე თუნდაც ერთი რუსი ჯარისკაცი დარჩებოდა ქართულ მინა-წყალზე.

საღამოს როსტომ ჩხილიძე უძღვებოდა, ვისაც ბიოგრაფიული რომანიც მიერქვნა ალექსანდრე ყაზბეგისათვის და კიდევ განესაზღვრა მისი ადგილ ქართულ მნერლობაშიც და ეროვნულ ცნობიერებაშიც. ახლა კი კიდევ ერთხელ შეგვასენებდა მნერლის ცხოვრებისა თუ შემოქმედების გზას.

აი ამ ფოტოზე, დარბაზშიც რომ გამოუფენია, ალექსანდრე ყაზბეგი ორმოცი წლისაა, არადა სამოცდათი წლის კაცს კი დამგვანებია.

ადრე გაეტეხა ცხოვრებას — სულიერადაც და ფიზიკურადაც.

ტრაგიკული ხვედრი ერგუნებინა ბედისნერას — ტრაგიკულიც და ჰეროიკულიც, რადგან სწორედ მას უნდა აღედგინა ის სულისკვეთება, დაშრეტილი რომ ეგონათ,

მის მოთხოვებსა და რომანებში კი მთელი სრულყოფილებით გამოჩინდა.

თვითონ გრიგოლ ორბელიანიც კი აღფრთოვანებული იყო — ის, ვისაც დაკარგული ჰქონდა იმედი სახელმწიფო-ებრიობის ალდგენისა — მიაჩინდა, რომ საქართველო უნდა დარჩენილიყო რუსეთის იმპერიის ფარგლებში და თუ ასე შეძლებდა თვითმყოფადობის ნიშნების შენარჩუნებას, ეს იქნებოდა ყველაზე დიდი მიღწევა...

აღფრთოვანებულიყო და „ქართველი ჰომეროსიც“ ეწოდებინა ალექსანდრე ყაზბეგისთვის, ვისაც წარმოუდგენლად ეჩვენებოდა საქართველოს გადაქცევა რუსეთის განაპირა პროვინციად.

აკი ვაჟა-ფშაველასთან ერთად კიდეც აღადგენდა იმ ეროვნულ სულისკვეთებას, ასეთი ხელშესახები რომ იყო „ვეფხისტყაოსანში“ და ახალი სიმძაფრით წარმოსახვდა რუსთველისეულ სიყვარულსაც.

ამ სულისკვეთებით გამსჭვალულან მისი გმირებიც, იმთავითვე ასე რომ შეიყვარა მკითხველმა. „ელგუჯას“ ბედი კი სულაც მათ გადაეწყვიტათ, ასოთამწყობებს, რომლებიც ვერ შეგუებოდნენ მთავარი გმირის სიკვდილს ნაადრევად და უთხოვიათ მნერლისათვის: იქნება ელგუჯა მხოლოდ მძიმედ დაიჭრას და როგორმე გააგრძელო ეს ნაწარმოებიო.

იძულებული შექმნილა გაეგრძელებინა და ნამდვილი „ელგუჯაც“ სწორედ მერე დაინიება — ის, რომლის ფინალური ეპიზოდიდანაც ახლა მსახიობი ლელა მახნიაშვილი წაუკითხავს ნაწყვეტს შეკრებილებს და საოცარი ექსპრესიოთა და სასტატობით გააცოცხლებს ნაწარმოების გმირებს.

თუ ვინმე ედგა მხარში, უნინარესად ვაჟა-ფშაველა, ლექსიც რომ მიეძღვნა ალექსანდრე ყაზბეგისათვის მისი გარდაცვალების შემდეგ. სწორედ ამ ლექსს კითხულობდა შეკრებაზე მსახიობი გოორგი არაბული. რომლითაც არა მხოლოდ პორტრეტი, ტრაგიკული სახებაც წარმოსახულა მასში მნერლისა, უზარმაზარ იმპერიას რომ ჩასდგომოდა კრიჭაში: „მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯრითა, ცრემლად დამდნარის გულითა, დალლილი მტრისა ჯავრითა“.

არადა, პაპა, გაბრიელ ყაზბეგი, ერთ-ერთი გავლენიანი პიროვნება იმდროინდელ საქართველოში, სწორედ ამ იმპერიულ ზრახვათა აღმსარებელი ყოფილი კაბერე 1804-1812 წლებში კახეთისა და მთიულეთის აჯანყებათა ბედი, საბედისნეროდ ჩარეულიყო და ბედუკულმართად შემობრუნებოდა ეს ჩარევა ალექსანდრე ბატონიშვილსაც და საქართველოსაც, თორემ ვინ იცის...

ვინ იცის როგორ წარიმართებოდა ყველაფერი.

ეს ვერ ეპატიებინა პაპისათვის.

თავის სისხლსა და ხორცს დაპირისპირებოდა და ჯერ ესეც კმარიდა ტრაგიზმისათვის, მაგრამ არც ცხოვრებას დაეკლო ტკივილი თავის ოლორიშოლოებზე.

სასტიკად მოექცა თავისი თანამედროვება.

ისიც კი დააბრალეს, ეს რომანები და მოთხოვებები მისი დანერილი არ არისო, სიცოცხლეშივე გააგონეს და სიკვდილის მერეც არაერთხელ აუგორეს.

და გასული საუკუნის 20-იან წლებში ვახტანგ კოტეტიშვილი იძულებული გამხდარა ამ თემაზე დაეწერა წიგნი და დაესაბუთებინა, რომ ამ ძვირფასი მემკვიდრეობის შემნერი სწორედ ალექსანდრე ყაზბეგი იყო იყო.

არადა, ილიას ჯერ კიდევ როდის სჯეროდა.

აკაკისაც სჯეროდა — შესანიშნავი ლიტერატურული პორტრეტიც დაუხატავს მწერლისა, პორტრეტი, ნიმუშიც რომ არის იმისა, როგორ უნდა წერდეს მწერალი მწერალზე.

გალაკტიონიც აღეფრთოვანებინა. ორ სიტყვაში მოუქცევია ყაზბეგის პიროვნების სიდიადეც და ტრაგიზმიც: „ნმინდანი და შეშლილი“.

— ისე მძაფრად არავის გამოუხატავს თანამედროვე მშეფოთავარე ცხოვრების დრამა, როგორც ალექსანდრე ყაზბეგსო, — ამბობს და იმასაც დასძენს, რომ ყველაზე მეტად სწორედ მას ჰქონდა ეკლებით დაჩრივლებილი შებლი.

იქნებ ყველაზე მეტი ერთგულებითაც იდგა ხევის სა-დარაჯოზე და შეარებაზე ნინო მარსაგიშვილი — ლელთ ღუნიას შთამომავლად რომ წარუდგება საზოგადოებას და ექსპრომტად დაწერილ ლექსს წაიკითხავს, მიძღვნილს ალექსანდრე ყაზბეგისადმი — ასეც მიმართავს მწერალს: „პატარა ხევის დიდ შეციხოვნეს“.

თუმცა ეს მერე, ჯერ კი თენგო ავსაჯანიშვილის ლექსს კითხულობს გიორგი არაბული, რაკი თავად პოეტს ყაზბეგიდან ჩამოსვლა ვერ მოუხერხებია უამინდობისგან ჩახერგილი გზების გამო და ამიტომაც მის თაყვანისცემას მწერლისადმი მსახიობი უზიარებს შეკრებილებს.

სახელი და დიდება კი სიცოცხლეშიც არ დაკლებია ყაზბეგს.

მასზე დიდგვაროვანი კაციც თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნებოდა იმდრონდელ საქართველოში, თუმცა...

ბოგანონდ კი გარდაიცვალა.

განიავა მამა-პაპათავანი გადმოცემული აურაცხელი ქონებაო, — ამბობდნენ.

— მაგრამ თუ ღრმად ჩავიხედავთ მის სამყაროში, სულ სხვაგვარად დავინახავთ „განიავებასაც“ ქონებისა, რუს-თის სამსახურში რომ ჰქონდათ ნაშვინი მის მამა-პაპას.

ვერა, ვერც ამას შეეგუებოდა ალექსანდრე ყაზბეგი, ქარს გაატანდა ასეთ ფუფუნებას და ამითაც ზნეობრივ ნიმუშად დარჩება ჩვენთვის, — როსტომ ჩხეიძე იტყვის ამასაც, მსახიობი გია ჯაფარიძე კი მის ბიოგრაფიული რომანიდან „ყაზბეგიანა“ სწორედ ფინალურ თავს წაიკითხავს — „დეპეშა მოპასანთან და... ვირი აეროსტატით“ — დრამატულ ეპიზოდს, როგორ გადიოდა ნუთისოფლიდან მწერალი, რომელმაც ბევრი რამ განსაზღვრა ქართულ მწერლისაში და რას გადევნებოდა იმდრონდელი საზოგადოებრიობა.

„სოფელსა შინა იყო და სოფელმა იგი ვერ იცნოო“ — ამ სახარებისეულ ალუზიასაც თუ წამოგვაგონებს, თუმცა...

— ვფიქრობ, როსტომ ჩხეიძის „ყაზბეგიანაც“ საკმარისია, რომ განიაზღვროს ალექსანდრე ყაზბეგის ადგილი ქართულ მწერლისაში, — ამას შეერებაზე თემურ ჩალაბაშვილი აღნიშნავს, — მახსოვეს ჩემს სიჭაბუკეში ჩახუტებულებს გვეძინა მის წიგნებთან. ის იყო ნების, სიყვარულისა და იმედის მასწავლებლი. ამით გამოვარჩევ ყაზბეგს, თორებ იმ მთებისა და ბუნების სიდიადის წარმოჩენა რა გასაკვირია მისგან.

იმასაც გაიხსენებს ბატონი თემური, ზვიად გამსახურდიასთან ერთად გულქან რაზიკაშვილს რომ ეწვიონენ. გაოცებული ისმენდა მათ საუბარს გულქანი, მერე კი:

— ეჱ, საწყალი სანდრო ძია და მამაჩემი ვაჟა-ფშაველა! — ამოიოხრა თურმე.

გაკვირვებულებს რომ შეუხედავთ სტუმრებს, ყაზბეგზე ვამბობო, — უთქამის.

ყველაზე დიდი ვაჟა-ფშაველა უძლვნიდა ლექსა.

მათი ერთადერთი ფოტოც შემორჩენილა.

ვაჟა — ჩოხაშია, ყაზბეგს — პერანგი აცვია.

ყურძენი უნატრია იმ შეხვედრისას.

ზამთარი ყოფილა. გაქცეულა ვაჟა და დუქნიდან მოუტანია.

— რაი მოგსვლია? — უკითხავს ყაზბეგისათვის.

— არაფერი, საავადმყოფოდან მოვდივარ, — უპასუხია მას.

თურმე გამოქცეულიყო საავადმყოფოდან.

ფიზიკურად და სულიერად გატეხილი.

ვერა, ვერ შეგუებოდა საქართველოს გადაქცევას რუსეთის განაპირა პროვინციად.

— ეჱ, საწყალი სანდრო ძია და მამაჩემი ვაჟა-ფშაველაო, — მათ აუზდენელ ოცნებაზე წუხილიც თუ ამოჰყოლოდა ამ ამოხვერას.

ეს ოცნება კი განსაზღვრავდა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას, მერე მიმდევრებსაც რომ გაიჩინდა და სკოლასაც კი შეემნიდა ქართულ მწერლობაში.

ოთარ ჩხეიძე რომანში ვასილ ბარნოვის შესახებ მთელ თავს უძლვნის ალექსანდრე ყაზბეგისა და ვასილ ბარნოვის ურთიერთობებს, ყაზბეგის მოდერნისტულ ძიებებს, და ევროპულ სიმაღლემდე აზიდავს მის სახელს — არა მხოლოდ ქართულ, მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეშიც. ამიტომაც არც ის იყო შემთხვევითი, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნის სალამინ ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა თეატრში გასრულდა ნაწყვეტით სწორედ ამ სცენაზე დადგმული სპექტაკლიდან „უკვდავების ზღაპარი“ — პიესის ავტორი ოთარ ჩხეიძეა, რეჟისორი კი ამ თეატრის ხელმძღვანელი მიხეილ ანთაძე.

ბატონი მიხეილი შეერავს სალამისაც, კიდევ ერთხელ რომ აღნიშნავს ალექსანდრე ყაზბეგის ღვანლსაც და იმ საქმის მნიშვნელობასაც, რასაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება უდგას სათავეში როსტომ ჩხეიძის თაოსნობით და მადლობას გადაუხდის მას ამ ყველაფერისათვის.

* * *

აი, აქ კი, ამ ფოტოზე ალექსანდრე ყაზბეგი ორმოცი წლისაა, არადა სამოცდაათი წლის კაცს დამგვანებია.

ადრე გატეხილიყო — სულიერადაც და ფიზიკურადც.

აუზდენელ ოცნებაზე დარდს თუ შეერყია მისი სულიცა და ჯანიც.

მტრის ჯავრიც ჩაჰყოლოდა საფლავში და ახლა მისი შემოქმედება აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს სახელმწიფო ბრძოლის მთლიანობისა და სიმტკიცისათვის — კიდევ უფრო მეტი ძალითა და უნითა.

— ვიდრე თუნდაც ერთი რუსი ჯარისკაცი დარჩება ბერიულ მინა-წყალზე, — გუგუნებდნენ მთები.

ყაზბეგის მთები...

ვაჟას მთები...

ქართული მთები გუგუნებდნენ...

და, ჩვენდა საბედისწეროდ, ახალ ათასწლეულშიც, ტკივილიანად გაისმოდა მათი ექო.

ნინო ვახანია

ეპოქის საფიქრაში

შურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული პირველივე პუბლიკაციებით ცხადი გახდა, რომ ნიკოლოზ ჩუბინიძე მწერლია — თავისი სათქმელით, გამოხატვის თავისებური ფორმით, საკუთხავი სტილით, ხელწერით. ნიგნში „უგემური საკითხავი“ თავმოყრილმა რამდენიმე მოთხრობამ ეს შთაბეჭდოლება სავსებით დაადასტურა და კიდევ უფრო განამტკიცა.

თემა მოთხრობებისა ჩვენი თანამედროვებაა, ჩვენი ყოფა. ამავე დროს ეს ნანარმობები, ცხადია, აირეკლავს ზოგადადამიანურ სატკივარსაც.

ზუსტი, თავის ადგილას გამოყენებული ირონია, რომელიც ნიკოლოზ ჩუბინიძის სტილს ერთ-ერთი დამასასითებული ნინაია, სასიამორი და საინტერესოს ხდის მის თუნდაც უგემურ საკითხავებს. ნანარმობები ყურადღებას იქცევს ფორმითაც — ჩართული ნოველები მოთხრობის სიუჟეტთან არის დაკავშირებული (თავდაპირველად მკითხველს ასე შეიძლება სულაც არ მოეწვენოს). საბოლოოდ ყველა პატარა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შენაკადი მთლიანდება, კომპოზიცია შეიკვრება, მოთხრობა მთავრდება, თხრობით აღძრული განცდა კი დიდხანს ჩრება.

სიკედილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემა გარეგნულად ლამაზი ფორმით, სახალისოდაა მონოდებული. ირონია აქ თვითმიზანი კი არა, სათქმელის გამოხატვის საშუალებაა. ამქვეყნიურ ამაოებაში ჩართულთ ხომ თითქმის სრულიად არ გვახსოვს იქთა ნაპირი, სამუდამო ცხოვრება. ადამიანის არსის, რაობის, ამქვეყნიური დანიშნულების შესახებ ფიქრისთვისაც არც დრო გვაქვს და არც სურვილი.

საყარაო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქალისთვის ერთადერთ ნუგებად ქალიშვილი რჩებოდა, რომელც, როგორც მოთხრობიდან ვიგებთ, საზღვარგარეთ სწავლობდა. თითქოს გზა ნაპონია. შეიძლება სულიერი სიმშვიდის მიღწევა მას შემდეგაც, რაც სიკედილმა ასე ახლოს ჩაუარა ქალს და უამრავი ფსიქოლოგიური პრიბლება შეუქმნა. მკითხველიც იმის მოლოდინშია, რომ ქალიშვილი შეუმსუბუქებს დედას ცხოვრებას, გაუგებს, ყოველ შემთხვევაში, შეცდება მაინც მისი გრძნობების გაგებასა და დაფასებას, მაგრამ... სრულიად მოულოდნელი ფინალი — შვილი არალეგალური პროსტიტუციისთვის ყოფილა თორიოდე თვის ნინათ დაკავებული...

მოდი და ამის შემდეგ შეცდომად ჩაუთვალე აბიტურიენტს პასუხი: ადამიანი მდაბალი, პირველყოფილი ინსტინქტების ტყვეა, მის ცხოვრებას სექსი და გაუტანლობა ნარმართავს...

არადა, არ მოგვწონს, ეს რომ ასეა. ვცდილობთ, ოღონდ გამოსწორებას კი არა, სხვის თვალში უკეთ გამოჩენას. მთე-

ლი ქვეყანა, როგორც ავტორი ამბობს, მაინცდამაინც ამ აფორიზმება გაგიუებული: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, თუმცა სინამდვილეში ყოველი სხვა, ანუ მატერიალური მოსახვეჭელი სახელზე ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩინა და ვცდილობთ ჩვენი უკეთურება აფორიზმით გადავფაროთ. რად გინდა, საშველი მაინც არ არის...

ორიგინალური ფორმის მოთხრობა „ჯვარს ეცვი“ თავის უცნაური თუ გაურკვეველი თუ იდუმალი პერსონაჟებით.


კაცი და ქალი ჰო დიდ თავსატებს არ გვიჩენ, მაგრამ ეს სხვა კაცი და სხვა ქალი ვინ არიან? რაში დასჭირდა ავტორს? ან ჩვენ რად გვინდდა? რა თემა უნდა, როგორც ყველა ლიტერატურული ნანარმოების პერსონაჟები, ისინიც ჩვენა ვართ, ისინიც ხალხშია და ხალხის ნაწილია. ეს „ჯოს“ რატომდღ უნდა შეიცვალოს „ჯოისით“? მარტო ირონია თუ... სასიამოვნო და საანტერესოა, რომ აუტორის ყველა სტილური ხერხი, ამ თვალსაზრისით ყველა ძიება შინაარსისგან განზე კი არ დგას და თვითმიზნად კი არ არის ქცეული, არამედ სათქმელის უკეთ გამოხატებას ემსახურება, ეპოქის ხასიათს ირეკლაგს და ეპოქისავე ნიშნითაა აღბეჭდილი.

ერთი ფიქრით კინალამ ქალთმოძღვეობა დავაბრალე მერიალს (ევრიპიდესვით), განსაკუთრებით „ნინია და ქეთუსას“ ნაკითხვის შემდეგ. მაგრამ მალევე ვიგრძენა, რომ თხრობა სიძულევილით კი არა, სიყვარულითაა გამსტვალული. სიყვარულითა და შიშით, რომ ყველაფერი არ დაინგრეს და თავზე არ ჩამოგვემხოს; რომ არ გვთანთქას გლობალიზაციამ თუ ათასნაირმა ევროამერიკულ-აფრო-ავსტრალიურმა ჭირმა. იმის სურვილითაა დაწერილი, რომ შეიძლება და მშობლებს კვლავ უყვარდეთ ერთმანეთი, პატივს სცემდნენ, თანაუგრძნობდნენ ერთომეორეს; რომ ჰარმონია არ დაირღვეს, და თუ მაინცდამაინც დაირღვევა, საბედისნერო არ აღმოჩნდეს ცალკეული ადამიანებისთვის, ოჯახებისა და მთელი ქვეყნისთვისაც.

ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, თავზარდამცემი იყო „ნინია და ქეთუსას“ და „უგემური საკითხავის“ ფინალი. მე არ ვფიქრობ, რომ ამ მოთხრობების პერსონაჟთა ხასიათები ტიპურია და მთელი საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი (ლეროთო, გვიხსენი!), მაგრამ ასეთ პერსონაჟთა შექმნა არც მარტო ავტორის ეპატაჟურობით აიხსნება. აქ, აღბათ, უფრო ცალკეული ცხოვრებისეული შემთხვევების გამადატრებულად აღქმა, რაც არათუ ბუნებრივი და სასურველი, მე ვიტყოდი, აუცილებელიცა.

ამ პატარა გამოხმაურებაში რამდენჯერმე გავიმეორე, ეპოქის საფიქროალს წარმოსახავს, ეპოქის სულს აირევალავს-მეთქი. უნდა მაპატიოთ ტავტოლოგია იმიტომ, რომ „ხორცის ფასი“ სწორედ ეპოქის, ჩვენი ყოფის ამსახველია.

პერსონაჟთა და ზოგჯერ ავტორის მეტყველებაც გაჯერებულია უარგონთ, ქუჩური მეტყველებით, ე. წ. სლენგით. ამ მხატვრულმა ხერხმა თითქმის წალევა თანამედროვე მწერლობა. ნიკოლოზ ჩუბინიძის ნანარმოებებში ყურს არ ჭრის თვით უცენტურო სიტყვებიც კი, თხრობის კონტენტში შემოდის იმის ახსნა-გამარტებაც, რატომ არ დაბეჭდა სრულად ესა თუ ის სიტყვა და რატომ არის გამოტოვებული მასში



ორი ასო. ერთი სიტყვით, ფორმა და შინაარსი ერთმანეთს განაპირობებს, ერთი მთლიანობაა და ნაძალადევი და თავსმოხვეული არაფერია. „ხორცის ფასის“ ფინალი სტილურად სრულიად განსხვავდება მოთხრობის დანარჩენი ნაწილისგან (და სხვა მოთხრობებისგან). ამაღლებულია, დახვენილი, ოდნავ არქაიზობულიც კი. ამ სტილური აღრევით კიდევ უფრო გამოიკვეთა არამარტო 21-ე საუკუნის ქართველის, არამედ საერთოდ, ადამიანური ყოფის ტრაგიზმი, ლირებულებათა გადაფასების მტკუნებული პროცესიც, მომავლის შიშიც და იმის იმედიც, რომ ეს შიში ფუჭი, მათ აღმოჩნდება.

კრიტიკული წერილების მიხედვით წიკოლოზ ჩუბინიძე ჩვენ წინაშე ნარმოჩნდება, როგორც უაღრესად განათლებული, ღრმად მოაზროვნე, შესანიშნავი ანალიტიკური უნარის მქონე, გემოვნებიანი ავტორი. ხოლო ის ერთადერთი ესეი,

რომელიც ამ წიგნშია დაბეჭდილი (უფრო ადრე უურნალში გამოქვეყნდა და კიდეც მოიყოლა შესაფერისი გამოხმაურებანი), გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამ უარის შედევრია. წერო ოთარ ჩხეიძეზე ისე, რომ არ გადააჭარბო და არც არაფერი დააკლო, დიდი პიროვნების პორტრეტს შეჰმატო კიდევ ერთი, საინტერესო შტრიხი, თან ისეთ ენობრივ ყალიბში მოაქციო, ისეთი ექსპრესიით დაწერო, რომ მკითხველის გულისყური და ინტერესი ერთი წუთითაც არ გაანელო, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია და დიდ ოსტატობას მოითხოვს. ეს ესე დამაშვენებდა მსოფლიოს საუკეთესო ესეების ნებისმიერ კრებულს, რომელიც კი შესაძლოა გამოიცეს. რა გოთხა, გულწრფელად მეხარება ნიკოლოზ ჩუბინიძისა, რომელსც აქვს რამდენიმე წიგნი, უწვრილესი ასოებით რომ აწერია „ნიკას! ოთარ ჩხეიძე“. და... მეტი არაფერი.

ლიტერატურული ცხოვრება

საქმიანი, მოტივირებული და არგუმენტირებული მეცნიერული გამოკვლევა

(ირმა რატიანის „ტექსტის და ქრონოტოპის“ პრეზენტაცია)

„ევროპის სახლში“ ივანე ჯავახიშვილის სახელმისამართის სახელმისამართის სახელმისამართის უნივერსიტეტის პროფესორის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის ირმა რატიანის წიგნის — „ტექსტი და ქრონოტოპი“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გამოიცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ.

გამოკვლევა მოიცავს თეორიულ და კულტუროლოგიურ პრობლემათა ფართო სპექტრს. მასში დამტუშავებულია მხატვრული ტექსტისა და დრო-სივრცული მოდელების მიმართების პრობლემა, რაც ძალზე აქტუალურია თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერებისათვის. ნაშრომი სრულია ახალ რაკურსში განიხილავს მთელი რიგი მწერლების, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილისა და ილია ჭავჭავაძის, აგრეთვე, ვლადიმირ ნაბოკოვის შემოქმედებას.

შეხვედრა გახსნა პროფესორმა მაკა ელბაქიძემ. მანვე მიანიდა სასიამოვნო ინფორმაცია: განსახილველი წიგნით დაინტერესება მდებარე დიდი უცხოელ ლიტერატურათმცოდნებთა შორის, რომ მისი გამოცემა 2013 წელს დაგეგმილია ინგლისში.

სიტყვა მოითხოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ირაკლი კენჭოშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ წიგნის წარდგენა „ევროპულ სახლში“ სიმბოლურია, რადგან ნაშრომი ქართული ლიტერატურის ევროპულ რადიუსზე გამართვის წიმუშია. ქართულ მეცნიერებაში ასეთი წიგნის არსებობა თამამად შეიძლება მივიჩიოთ ახალი ერთს დასაწყისად. ესაა საქმიანი, მიტივირებული და არგუმენტირებული მეცნიერული გამოკვლევა.

პროფესორ ინგა მილორავას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ხანგრძლივად უმუშავია ამ საკითხებზე, გამოკვლეული აქვს ღროისა და სივრცის პარადიგმა ქართულ მოდერნიზმი, ირმა რატიანის წიგნმა უამრავი ახალი იმპულსი შესმინა, ბევრი სიახლე გააცნო და ნაცნობი პრობლემები სხვა თვალით დაანახა:

— წლების წინათ, როდესაც ჩენ, ახალგაზრდა მეცნიერებმა, ამ პრობლემების შესაცვლა დავიწყეთ, ხელთ სრულიად არაფერი გავგაჩნდა, არ არსებობდა ან ძნელად მისაწვდომი იყო სპეციალური ლიტერატურა. დღეს კი, თუნდაც ამ ნაშრომის სახით, სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს მთელი ბიბლიოთეკა აქვთ ერთ წიგნში თავმოყრილი. ირმა რატიანის „ტექსტი და ქრონოტოპი“ წმინდა თეორიული, მეცნიერული წიგნია. ის წესით არ უნდა აღმიავდეს არაგითარ ემოციას, მაგრაც როდესაც ტექსტის ვკითხულობდი, ვფიქრობდი, რა სასწაულია ადამიანად ყოფნა, რომ მას შეუძლია მოახერხოს, ასე მწყობრად დაალაგოს და გადმოსცეს ამგვარი აზრები. წიგნი იმიტომ გამოიდა ხარისხიანი, რომ დაწერილია სიყვარულით, შინაგანად თავისუფალი ადამიანის მიერ.

— ჩემთვის, როგორც მკვლევრისთვის, ამ წიგნში ბევრი რამ იყო ახალი, — ალნიშნა თავის გამოსვლაში კონსტანტინე ბრეგაძემ, — დღეს, როდესაც ასე აქტუალურია ქართული ლიტერატურის ინტეგრაცია ევროპული კვლევების სივრცეში, მსგავს ნაშრომთა დაბეჭდვა სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. შეიძლება ითქვას, ირმას წიგნი ერთ-ერთი პირველიცაა ამ მიმართულებით. ეს არ არის წმინდა კომპარატივისტული კვლევა, არამედ, ინტეგრალური ლიტერატურათმცოდნების წმიუში, სადაც ჩართულია სხვადასხვა დისციპლინები, ინტერდისციპლინური კვლევები. ნაშრომში გამოყენებულია გონის მეცნიერებათა ცველა მიღწევა: ანთროპოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნების დაამკიდრა ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორია. მეტიც, ეს თეორია მან ძალიან კარგად მოარგო სულ სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა ესთეტიკური მიმართულების მწერლობასა და ტექსტებს. წიგნი იმიტაცია არის განსაუკუთრებული, რომ ამ ნაშრომში პირველად მოხდა ქრონოტოპის შესრულება ილიას პროგრამის შესრულების შესრულება და არა მეტადამეტური შესრულება. აქამდე ის მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ქრისტიანული მეტადამეტური შესრულება.

განიხილებოდა. ახალი თეორიებით მიღებომა იღიას ტექსტებისადმი მნიშვნელოვანი მოვლენაა. გერმანულენოვან სივრცეში დიდი პატივია, თუკი ნაშრომს უწოდებენ „Standart Werk“-ს, რაც ნიშნავს, რომ ის არის სტანდარტი ანუ ეტალონი, საორიენტაციო და გასათვალისწინებელი მომავალი კვლევებისათვის. ამ წიგნის სახით, ხელთა გვაქვს „Standart Werk“.

მაკა ელბაქიძე გამოეხმაურა გამომსვლელს და აღნიშნა, რომ ირმა რატიანის მიერ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკიდრებული ლიმინალობის თეორია მან წარმატებით გამოიყენა შეუა საუკუნეთა ლიტერატურის, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ თეორია მხოლოდ ერთი ტიპის ლიტერატურისათვის არაა განკუთვნილი და მომავალში მისი გამოყენების სპეცტრი კიდევ უფრო გაფართოვდება.

პროფესორმა ნანა ფრუიძემ დაადასტურა, რომ თეორიამ მნიშვნელოვნად მოიკიდა ფეხი ქართულ სამეცნიერო წრეებში. მისი გამოყენება უკვე დანერგილია როგორც ძველი ქართული მწერლობის (მ. ელბაქიძე, ა. ლეთოდიანი), ისე ანტიკური მწერლობის (რ. ცანავა), ისტორიოგრაფიისა და საისტორიო წყაროთმცოდნეობის (მ. ჩხარტიშვილი) კვლევისას. გამომსვლელი, აგრეთვე, დაეთანხმა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქრონოტოპის ჭრილში იღია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევა სიახლეა და აქამდე არ განხორციელებულა, — ირმა რატიანი იღიას ამ მიმართულებით კვლევის პიონერია. როგორც თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა, ისიც განაცხადა, რომ ეს წიგნი უკვე ძალიან ადგებათ სტუდენტებს.

— ითვლება, რომ სათაური თვალია ნანარმოების, — ბრძანა პროფესორმა თენციზ კიკაჩეიშვილმა. — ამ წიგნის სათაურში ზუსტად არის გათვალისწინებული ტექსტისა და ქრონოტოპის ურთიერთმიმართება. მანვე ხაზი გაუსავა გამოკვლევის მწყობრ კომპოზიციას. აღნიშნა, რომ ჩვეულებრივ ჯერ თეორიულ ნაწილს წარმოადგენს ავტორი და მერე ააგებს ნაშრომს, მაგრამ ამ წიგნის ავტორმა წინა პლანზე წამოსწინა საკუთარი ხედვა, რაც უთუულ მისი მეცნიერული გაბეჭდულების, თავდაჯერებულობისა და არა ამბიციის დასტურია.

პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ თავისი გამოსვლის დასაწყისში „მოიბოდიშა“, რომ ლიტერატურათმცოდნების წრეში მას დაუინებით ლინგვისტად მოიხსენიებენ და იქვე დაამატა, დღეს, როდესაც ასეთი სიღრმით ხდება დარგების დაახლოება, ანაქრონიზმია ისეთი ენათმეცნიერი, ვინც არ იცნობს ლიტერატურათმცოდნების პრობლემებს და პირიქით. მანვე შენიშნა, რომ ქრონოტოპის კვლევა იღიას „მგზავრის წერილების“ სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში. აღნიშნა ისიც, რომ ვერ გაიზიარებს ვარაუდს, თითქოს იღია ამ ტექსტის წერისას არ ფიქრობდა ქრონოტოპ-

ზე. შეუძლებელია არ ეფიქრა და ისე შეექმნა ამ ტიპის თხზულება: ოთხი წელიწადი არის ქრონოსი, თერგი ტოპოსი, ლელთ ლუნია კი ორივე ერთად. ტექსტი მთავრდება იმაზე ფიქრით, როგორ გაგრძელდება ეს ქრონოსი (როგორ მიმიღებს ჩემი ქვეყანა უცხოეთიდან ჩამოსულს?). იღიასთვის საქართველო რუსეთის სამხრეთი, განაპირა პერიფერია კი არ არის, არამედ — სამშობლო. რუსეთი კი უცხოა, სხვაა, ის არ არის სამშობლო, არამედ მონინაალმდევეა, რომელსაც უნდა დამორდეს. ამაზე საუბრობს თვით ლელთ ლუნიაც და ასეთი დასკვნების საშუალებას იძლევა ქრონოტოპის ჭრილში იღიას მთელი შემოქმედების კვლევა, რაც ირმას წიგნის დიდი დამსახურებაა.

ზაზა პაზანიძემ დარბაზიდან ისროლა რეპლიკა, ირმა რატიანმა ზუსტად შეარჩია წიგნის წარდგენისთვის დრო და სივრცეო. გამოსვლასას კი დასძინა, რომ ქართული მასალის ჩართვა ინოვაციურ თეორიულ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანი და კარგი საქმეა. ის ასევე გამოეხმაურა წინა გამომსვლელებს, აღძრავს თუ არა ემოციის მკითხველში წმინდა და სამეცნიერო თეორიებზე დაფუძნებული გამოკვლევა, და ხაზი გაუსვა ირმა რატიანის წერის მანერას: და უშუალოდ იმ ფრაზას, რითაც ის ამ-თავრებს თავის წიგნს:

— ძალიან მოულოდნელი და ემოციურია ამ ტიპის გამოკვლევის ავტორისეული დასასრული: „ვიმედოვნებთ, რომ წიგნში დასმული პრობლემები საინტერესოა, აქცუალური ხასიათისაა და მათი მასტაბური კვლევა სამომავლოდაც გაგრძელდება. ამ იმედით გტოვებთ.“

ლევან ბრეგაძემაც აღნიშნა, რომ რატომლაც ხშირად დავიძენ ემოციური შეუთავსებლობის გამო, ესეისტებსა და თეორეტიკოსებს შორის.

— ლიტერატურათმცოდნები თეორიის გარეშე ახლომხედველები ვართ, რალაცას კი ვამჩნევთ, მაგრამ როგორც კი თეორიის სათვალეს მოვიმარჯვებთ, მაშინვე ყველაფერი გამოიკვეთება, მაციონ კონტურებს შეიძენს. ახალი თეორიები დორთისთან ერთად მოდის, ცხოვრება გვასწავლის, ხოლო მეცნიერული საჭიროება მოითხოვს. კომპარატივისტიკა თავის დროზე შეცვალა სტრუქტურალიზმი, შემდეგ — პოსტსტრუქტურალიზმი, და როგორც ერთ დროს უმნეო ვიყვით სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის ტერმინების წინაშე, ასევე ვართ ახლაც — ლიმინალიბის წინაშე. შევჩერევით ერთ თეორიას, გავითავისებთ და მერე მოდის ახალი. თავზარი გვეცემა, განსაკუთრებით უფროსი ასაკის მეცნიერებს, რამდენჯერ მოგვინია გადაიარაღება. აქამდე მე და ჩემი თაობა ვსწავლობდით უფროსი კოლეგებისაგან, ახლა კი ვსწავლობდით უმცროსი თაობისგან.

...ყველა გამოსვლის რეზიუმე იყო: „წიგნი წარმოადგენს ახალ სიტყვას ქართულ ლიტერატურათმცოდნებაში“.

მირანდა ტყაშელაშვილი



ირმა რატიანი

როსტომ ჩხეიძე

დარღი ფარული

□

გრიგოლ აბაშიძის პიოგრაფიული ნატახები

უკვე განცლილი ცხოვრებით შექრთალს
შორით მომახის: „მორჩა, ნახვამდის!
რად გაუფრთხილდი ამდენხანს შენს თავს,
ვის უნახავდი, რას უნახავდი?!”

გრიგოლ აბაშიძე

ციცათქმის მაგივრი

— ლადო ასათიანის ის ეპიგრამა გეცოდინება: ყველა
დაუჭირეს აპოლონს დის მეტი, მაინც არ მოიშალა აპლო-
დისმენტი.

— დაახ, როგორ არა... ეს ორი სტრიქონი მთელ ეპოქას
იტევს.

— იტევს, მართლა იტევს...

გრიგოლ აბაშიძე ერთხანს დუმს, რაღაცას განსჯის გუ-
ნებაში, თქმაც სურს და ვერც ამოუთქვამს... მძაფრი გუ-
ლისჭიდილის შემსწრე ვედები... ფსიქოლოგიური დუღლისა
საკუთარ თავთან... თითქოს რაღაც სხვაზე აპირებს სიტყ-
ვის გადატანას, მაგრამ ბოლოს მაინც გამუღავებას ამჯო-
ბინებს, დიდი ხნის ნაგროვები, დაგუბებული ტკივილისათ-
ვის გზის გახსნას:

— მთელ ეპოქას იტევს და... ასე მგონია, ჩემზეც იყოს და-
წერილი... ჰო... ჩემზე... ლადოს მე არ ვუგულისხმივარ, ვინც
იგულისხმა, ყველამ მაშინვე ვიცოდით — აპოლონ მახარაძე...
მაგრამ აქედან რომ ვავყურებ, კიდევ ბევრს ესადაგება და,
მათ შორის, ჩემს ბიოგრაფიასაც... მამაჩემი სამჯერ დააპა-
ტიმრეს. პირველად სიმამრის დაკრძალვიდან წაიყვანეს, უკა-
ნასკნელი პატივის მიგებაც არ აცალეს მიცვალებულისადმი.
მაშინ კი დაბრუნდა ციხიდან და მეორედ დატუსალებულიც
გამოიუშეს, მაგრამ 37 წელი მასაც მიწვდა და ათწლიანი გა-
დასახლება მიუსაჯეს. დააპატიმრეს ბიძაჩემიც და ციმბირი-
საკენ მიმავალ ეჭაპმივე დაილუპა. ჩემი უფროსი ძმა დახვრი-
ტეს, ცოლი კი გადაუსახლეს. მანამდე ქალი ჩეკაში რომ დარ-
ბოდა, იქნებ ქმარი როგორმე დაგიხსნაო, პატარა გოგონა გა-
უცივდა და დაეღუპა. ჩემს სიძესაც არ აცდა რეპრესიების
ტალღა — მასაც ათი წლით მიუსაჯეს გადასახლება.

ერთხანს ხმას ვერ ვიღებ, ალარც ვიცი, რა ვთქვა. მერე კი:
— მთელ ოჯახისათვის მოუცილიათ და ეგაა.

— ეგრე იყო, ეგრე... და ამის შემდეგ მე ტაში უნდა მეკრა
ჯალთებისათვის, აზელა და ამდენი ტკივილი რომ მომა-
ყენეს... მკაცრად მოითხოვდნენ და სხვა გზას კი ვერ ვხე-
დავდი, რათა ცხოვრებიდან არ გავრიყულიყავი და რაღა-
ცის გაკეთება შემტლებოდა... ნურავის მოსთხოვა, რომ მაინ-
ცდამანინც მამაშენივით მოქცეულიყო... ოთარს სხვა ძალა
აღმოაჩნდა... მე ჩემი ხედრი მერგო...

გრიგოლ აბაშიძეს სევდიანი მზერა აქვს, ძალიან სევდი-
ანიც, ხმაშიც დარდი ეღვრება და სულ უფრო და უფრო ემა-
ტება, გახსენებას გახსენება მოსდევს, აუჩქარებლად, მაგ-
რამ განუწყვეტლივ.

ამ ეპიზოდთაგან ზოგიერთი მის მემუარულ ჩანაწერებშიც
აღმოჩნდება, ორიგინალური მხატვრული ხერხი რომ გამოე-
ძებნა მისი კომპოზიციური ქარგის ასაგებად — ეპიურ თხრო-
ბას კი არ გაჰყვებოდა, ქართული ანბანის რიგზე შეუდგებოდა
ცალკეულ პორტრეტთა თუ სილუეტთა წარმოსახვას.

რვეულის თავფურცელს ასეც წააწერდა: ანი, ბანი, განი...

დაბარათების სისტემისა არ იყოს, თავიდან მასალის
თავმოსაყრელად დაისაჭიროებდა, მერე და მერე კი სულაც
კომპოზიციურ საყრდენად მოიმარჯვებდა.

I. ანი, ბანი და, განი და...

და ალბათ იდუმალი მზერით გახედავდა გახტანგ VI-ის
აჩრდილსა და ქართული ანბანის პირველ ასოთა მისებურ
გათამაშებას მძაფრი ტრაგიზმით განმსჭვალულ უსათაუ-
რო ლექსში, რომელიც მეფე-პოეტს იქნებ საკუთარ ეპიტა-
ფიადაც ევარაუდა:

**რანი და, მოვაკანი და, სახლი და კარი, ბანი და,
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, განი და...**

ეს ან-ბან-განი, თავისი გამჭვირვალე მინიშნებითა და
მარჯვედ მოძებნილი რიტმიკით, დრამატული ცხოვრების
თავბრუდამხვევ სურათებსაც წამოშლიდა და იმგვარ პანო-
რამადაც ერთანაბეჭდოდა, ვახტანგ VI-ს ბევრ სანაურს რომ
გაუჩენდა განკითხვის უმის წინ — როგორც მოღვაწესა და
როგორც ადამიანს. ზნეობრივი იმპერატივის მოთხოვნა არ
დაანებებდა, რაიმე მიეჩემალა თუ განზრას დაევინებინა
გარდასულ დღეთაგან, და დაე გულუშებიშრად წარმდგარიყო
ორთავ სოფლის წინაშე, რასაც ტოვებდა და საითაც მიისწ-
რაფონდა („ხორცას მრავალი დაგაკლე, სულს მივეც იქი რჯა-
ნი და, ვაი-ვაა, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი და!“).

რა უცნაურად მიესადაგა მშობლიური ანბანი პიროვნე-
ბის ასერიგად მღელვარე ბიოგრაფიას.

უცნაურად თუ... სწორედაც ზუსტად, ადამიანური ბი-
ოგრაციის ხერხემალს რომ ქმნიდა ძალდაუტანებლად და
ისლა დაგრჩენოდა, ეს ხერხემალი შენი ცხოვრებისათვის
შეგეთანადებინა.

ანი, ბანი და, განი და...

ვახტანგ VI-ის ლექსში არ ჩატოვებდნენ ამ პოეტურ გა-
თამაშებას და, ამ მიგნებით მოხიბლული, მოინდომებდნენ
მის ძალაზე აგებას თავთავისა ვერსიფიკიული ვარჯი-
შობებისა, გრიგოლ აბაშიძე კი თავისი ბიოგრაფიის საფე-
ხურებად განსაზღვრავდა, ბიოგრაფიის, რომლის აღუნე-
რაობაც არ ეგებოდა.

ის კი არა, მხატვრული ქარგა მშეკრეულებული უნდა შემოეფარ-
გლა, თხრობა დაუსრულებლად რომ არ გაჭიროებოდა.

იმთავითე ლიტერატურული და საზოგადოებრივი
ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, უამრავ თვალსაჩინი
პიროვნებას იცნობდა, ლირსეულ და ულირს ადამიანთა და-

უსრულებელ ნაკადს ჩაევლო მის თვალწინ, მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობა ბევრთან გაება, მოქსენებოდა სამწერლო და სამთავრობო კულუართა ისეთი ამბები თუ დეტალები, რაც ჯერაც დაფარული რჩებოდა, არადა, მათი მომარჯვებით თუ იქნებოდა შესაძლებელი არაერთი მოვლენისა თუ ადამიანური ქმედების ანალიტიკური განსჯა, მართებული ახსნა, მათ მამოძრავებელ საკყისში წვდომა, ფსიქოლოგიური სარჩულის გამომზეურება.

ანი, ბანი, განი...

ანბანი – თხულების არქიტექტონიკის განმსაზღვრელადაც და სათავსურადაც.

ამ ორიგინალური კომპოზიციური ქარგის მიგნება ძალიან გაახარებდა და მოკლე წინათქმაში საგანგებოდ ამიტომაც აღნიშნავდა:

– ანბანზე განცყობილ თხრობას ერთი სიკეთეც აღმოაჩნდა; ანბანის რიგი ისეთ რამესაც გაგახსნებს, ჩვეულებრივ, გაბმულ თხრობაში რომ არ მოგაბონდებოდა.

და მოადევნებდა ქართული ანბანის დითირამბსაც, ერთ-ერთისას მსოფლიოს თოთხმეტ ანბანს შორის.

მცირე წიგნის გარეკანში მოქცევა ეს მემუარული ჩანწერები კარგა ხნის შემდგე, ჯერ უურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე რომ იხილავს მზის სინათლეს და გამომცემლობა „პეგასი“ განმეორებით მიაწვდის მეოთხველს. წიგნის მთავარ ძარღვე ეს მემუარები განსაზღვრავს და კიდევ მწერალთა კავშირის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა „ლაშარელას“ ისტორიულ წყაროთა თაობაზე, ერთგვარი შევსების მიზნით კი დაერთის ორი სტატია „ვეფუსტყაოსანზე“, დავით წერედიანის მიერ გადმოღებულ სვანურ სამოადირეო ბალადასა („თამბი“) და ჯემალ აჯაიშვილის მიერ თარგმნილ შუა საუკუნეთა ებრაულ პოეზიაზე.

ჩინებული, მეტად მიმზიდველი კომპოზიციური ჩარჩოც მოერგო ამ წიგნს.

წაემდვარა ემზარ კვიტაიშვილის მიერ ზუსტი შტრიხებითა და ფერწერული მონასმებით შესრულებული გრიგოლ აბაშიძის ლიტერატურული სილუეტი.

და დაერთო თამაზ ნატროშვილის მართლაც „იშვიათი სილამაზის ესეი“, რომელიც ეძღვნება „ლაშარელას“ ფინალურ სცენას და გვირგვინდება შემძრელი აკორდით – იმ გახმაურებული სტრიქონებით („იმასაც მოკლედ უვლია, გრძლად ვინც გვეგონა იარა...“), რომელიც არც ხალხურია და არც სინამდვილეში არარსებული თურმან თორელისა, არამედ ის პეშვი გახლავთ ეს მწარე ჭეშმარიტებით განმსჭავალული შედევრი, რომელიც – წყლის დარად – 1957 წელს გაუწიოდა გრიგოლ აბაშიძემ 1221 წელს ხუნანის ველზე დაჭრილ ლაშა-გიორგის.

ბედამ ინება ისე, რომ ეს სამი ადამიანი, ვინც ჩვენ-ჩვენი მხრივ დავუკავშირდით ამ წიგნის შედეგენა-გამოცემას, გრიგოლ აბაშიძის სტუმრები ვიყავით მის უკანასკნელ დაბადების დღეზე და ფრიად ვიწრო წრეში.

ჩვენს გარდა იქ თარ ჩხეიძეც იმყოფებოდა. ვახტანგ ჭელიძე და გორგი ნატროშვილიც მოდიონდენ, მაგრამ ორივემ ცუდად იგრძნო თავი და გზიდან მოუხდათ შინ გაბრუნება.

ემზარ კვიტაიშვილი თავის სილუეტში საგანგებოდ იხსენიებს ამ პურიბას და მასპინძლის მიერ სტუმართა შერჩევას სიმბოლური, ბრძნელი უესტის მნიშვნელობას ანიჭებს: რათა ქართველ მწერალთა ტრადიციულ ოჯახებში თაობებს შორის გამამთლიანებული ჯაჭვი არ შესუსტებულიყო და

თანამოაზრე, ერთი მომავალზე მზრუნველ მწერლებს ერთ-მანეთან მჭიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდათ.

იმასაც დასქენის:

– ჩემდა მოულოდნელად (საამისო თვისებებით ნამდვილად არ გამოვირჩევი), მთხოვა თამაღიბობა გამენია.

ეს იმიტომ, რომ დიდი სუფრის გაძლოლას არ მოინდობებს, იქ ვერ იგრძნობს თავს ჩვეულ ამპლუაში, ვთქვათ, ჯანსულ ჩარკვიანივით, თორემ მცირე საკრებულოში იმ სა-ლამოს ჩინებულად ითამადა.

სამადლობელ სიტყვაში გრიგოლ აბაშიძე ამასაც იტყვის:

– ემზარისაგან ყურადღებით განებივრებული ვარ, ყოველდღე ან უნდა დარეკოს, ან მოვიდეს, გული გამიხალისოს, გამამხნევოს, ახალი წიგნებითა და გამოცემებითაც მომამარაგოს.

– დარეკვა და შემოვლა რა დიდი ამბავია, – მადლობას ირიდებს სტუმარი, – ვაჟაცობა ის იყო, თუ იყო, შინაპატიმრობამისჯილ გორგი შატბერაშვილს ყოველ კეირა რომ აკითხავდით თვალადში, თანაც მთელი ათი წელი. თქვენ გადაატანინეთ ის მძიმე, გაუხარელი ყოფა.

– ეს ჩემი მოვალეობა იყო, – მიუგებს მასპინძლი.

– ესეც ჩემი მოვალეობაა.

ქალბატონ ლამარას ვთხოვთ, რომ წულა წუხდება, წურაფრის შემომატებას წულა ფიქრობს, სუფრაზე ყველაფერია, თანაც ასეთი გემოვნებით მომზადებული, და ბარებ ჩვენს გვერდით დაბრძანდეს. ისიც ბოლოს-ბოლოს გვყაბულდება – გრიგოლ აბაშიძის პოეტური მუზა, მისი ჯიგითა-ხაური, რამდენიმე ლირიკული შედევრის შთამაგონებელი სხვა ლექსებშიც რომ გაიღვებს იღუმალად.

მასპინძლელ ვერაფერს ვატყობით ხანდაზმულობისას და კარგა ხანსაც არაფერი შეეტყობა, ქუჩაშიც ჩვეული სიმჭიდეცით მიაბიჯებს, შესვენება, სულის მოთქმა არა სჭირდება და გვინია, რომ არამცო ოთხმოცს, ოთხმოცდაათსაც თამამად გადაალახავს.

თურმე ზედ თხმოცის ზღურბლზე უნდა განშორებოდა წუთისოფელს.

სადლეობო სუფრა – წუთისოფელის განჩინებით – გლოვის სუფრად გადაიქცეოდა.

თავისი სადაც და სამდურავიც ჰქონდა წუთისოფელთან, მაგრამ მანიც გულმშვიდად გამოეთხოვებოდა მის ბრუნვა-ტრიალს:

**მე ჩემს წილ ტკივილს, ჩემს წილ წყენას
არვის ვუსურვებ,
რაც ჯავრი მქონდა,
სამარეშიც ჯავრად ჩავიტან.**

ჯერ კი მშობლიურ ანბანს ეალერსებოდა გულაჩვილებული: ავტობიოგრაფიული წიგნის კომპოზიციური აგებულება მაინც როგორ შთამაგონეო!..

* * *

ანბანზეც რომ არ განყობილიყო გრიგოლ აბაშიძის მე-მუარული ჩანაწერები, პირველი ფრაზა მაშინაც აუცილებლად ეს იქნებოდა, რომ:

– აბაშიძების გვერდი და საკმაოდ გავრცელებული – მთაუშეთიდან მოყოლებული და აჭარით გათავსებული.

გამოარჩევდა აჭარელ დიდგვაროვან აბაშიძეებს: მემედ ბეგს, ზია ბეგსა და პაიდარ ბეგს, რომელთაც ოსმალეთის

სანჯაყბეგობის პატივს ქართველი პატრიოტობა ამჯობინეს და ეს მხარე საქართველოს შემოუმტკიცეს.

გამოარჩევდა კახელ აბაშიძეებსაც, რომელთაც 1924 წლის საბედისწერო აგვისტო-სექტემბრამდე მოეღწიათ სოფელ ვეჟინში, ვიდრე კომკავშირლები დედაბუდიანად ამოულებდნენ. ჩვენი უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკული ეპიზოდის ფონზე მწერალს არ დაავიწყდებოდა, რომ ეს აბაშიძენი შესაძლოა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ მოხსენიებული იოანეს შთამომავალნი იყვნენ: თამაზ ენისელთ მოურავის ძე და იოანე კახთ აბაშიძე.

გმოარჩევდა XII-XIII საუკუნეების ზემო იმერეთში აბაშიძე-თა გვარის გაძლიერებას და მათ გავლენას სააბაშიო ქართლის ნაწილზედაც (ხაშურამდე), საერთოდ კაცხის თავადებს მნიშვნელოვანი როლი შეესრულებიათ იმერეთის სამეფოში, ერთ-ერთი აბაშიძე კი – გორგა – ცოტა ხნით იმერეთის ტახტზეც მჯდარიყო.

და საგანგებოდ შემოიტანდა მეტითხველის ცნობიერებაში პავლე ინგოროვას ნათევამსაც, პირადი საუბრისას გამჭღვნებულს:

– აბაშიძების გვარი იმ მუსაძედან უნდა მოლიოდეს, რომელსაც მონალობების შემოსევისას რუსუდან დედოფალმა თბილისის დაცვა მიანდო, როცა იგი იმერეთს იღტვოდა.

ბატონი გრიგოლი ჩაძიებია, რომელი ისტორიული წყარო გვამცნობს ამ გარემოებას, რამაც ასეთი ჰიპოთეზისაკენ გიბიდგათო.

იმას ერთბაშად ვერ გაუხსენებია, მერე კი აღარ მისცემიათ ამ თემაზე საუბრის საშუალება.

თუმც გრიგოლ აბაშიძეს ძალიანაც არ გამოუდევს თავი, რადგანაც პავლე ინგოროვას ამ ვარაუდმა ისედაც შთაგონა გორჩი მუხასძის სახე, საკმაოდ კოლორიტულად წარმოსახული „დიდ დამეში“, საკუთარ პიროვნულ თვისებებსაც რომ შეურევდა მის ხასიათს და მეფის კარის ხუროთმოძღვრად გამოაქანდაკებდა.

მას მინდობის სამეფო სასახლის მშენებლობა, რაკიდა დედოფალ რუსუდანის სურვილია, რომ მისი პალატები ულამაზესი იყოს არამარტო საქართველოში, არამედ მთელს წინააზიაში. და გორჩი მუხასძე აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუკეთესო სრა-სასახლეთა გეგმებს წინ დაიდებს, ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების მიღწევებსაც სახელმძღვანელოდ გაითვალისწინებს და ახალი სასახლის ბრწყინვალე გეგმას ასე შექმნის.

გრიგოლ აბაშიძე ხელიდან არ გაუშვებს შემთხვევას, რათა თხრობაში შეფარულად შემოიტანის ქართული მესიანიზმის იდეა, ხელახლა აღორძინებული XX საუკუნის 20-იან წლებში და იქვე ჩაფერფლილი კიდევ ერთხელ ფენიქსის სებური გასხივოსნების მოლოდინში; და საგანგებოდ ახსენებს საქართველოს ახალ რომად გადაქცევის მოქადაგეთ, რომელიც ხუროთმოძღვარს შეახსენებენ ძველ ლეგენ-

დას, ბაგრატიონთა სახლი თავის მოდგმას ბიბლიური დავითისა და სოლომონის უმუალო მემკვიდრედ რომ აცხადებდა, და მოსთხოვენ: რუსუდანის პალატები სოლომონის ზღაპრულ ტაძარს მიამსგავსე, იმ ტაძარზე დიდი, უკეთ შემკული და უფრო ბრწყინვალე ააგენ.

ისიც გულმოდგინედ ჩაუჯდება ძეველი აღთქმის მეფე-თა წიგნს და ზოგ რამიეს მართლაც საგანგებოდ გადმოიღებს სოლომონის ტაძრიდან, რათა ქართველი გვირგვინოსნის დავითიან-სოლომონიანი ნარმომავლობა მეფის ახალი სასახლის ყველა მნახველისათვის ნათელი გახადოს.

აგრე დედაქალაქი შემოდის ხუთი ცხენოსანი და იხილავენ თუ არა მტკვრის პირას მეტების კლდეზე დაშენბულ, ცა-

დატყორცნილ ახალ შენობას, ალტაცებას ვერ ფარავენ მისი სილამაზით, სიმსუბუქთა და პაეროვნებით და სიამაყთ გადახედავენ ერთმანეთს: გორჩი მუხასძის აგებულია, მისი ნაშენები ყველა ასე ლამაზია და ხელოუქმნელსა ჰგავს.

ხანი რომ გავა, ესეც უნდა ითქვას: საოცარია, რომ აქამდე არ აუშენებიათ ამ კლდეზე ქართველებს მსგავსი შენობა. თითქოს კლდე თავის ბუქებრივ დაბოლოებას თხოულობდა, მთებში ჩავარდნილი ქალაქი – თავის სანიშნოსა და უმაღლეს წერტილს.

ჯალალედინის მიერ თბილის აკლებასა და გადაბუგვის შემდეგაც ეს სასახლე უნდა გადაურჩეს ხანდარს და ცეცხლისაგან გამოშიგნულ, ჩაღამებულ შენობებს შორის სასაულივით

იდგეს – ლამაზი და ერთადერთი.

ეს სასახლე რომანში საქართველოს სულიერი ძლიერების სიმბოლოდ წარმოდგება, იმდეონებისა და მხნების საყრდენად ალზევებისას თუ დაცემის უმს. ის, რაც ისტორიის ქარტებილებმა უკალოდ გააქრო დედაქალაქის ლანდშაფტიდან, მწერალმა ალადგინა და შესაფერისი ადგილიც მიუჩინა საზოგადოებრივ ცნობიერებასა და მეტაფორისტიკში.

და კიდევ ერთხელ გააზოგადა ხელოვანის ბედისწერაც და მოვალეობაც.

ცხადია, გორჩი მუხასძე მარტოდენ ხუროთმოძღვარი ვერ იქნება და იმ მხრივაც უნდა ჩაერთოს სიუჟეტში, პირველი ბიძგი რაც აღმოჩნდა მისი ხასიათის შესაქმნელად. გარნისის ასერიგად მნიშვნელოვანი ბრძოლა ზაგებულია, ჯალალედინი თბილისისაკენ მოისწრაფის, ქართველთა ახალი ლაშქარი ჯერ ვერ შეკრებილა დედაქალაქის დასაცავად და, ვიდრე მეფე თავს მოუყრიდეს მეომრებს, მოსახლეობამ თვითონვე უნდა დაიცვას ქალაქი, იარაღი აისხას და სამრად გაემზადოს.

გორჩი მუხასძე ერთი მეომართაგანი მათ შორის და იქნებ მოთავეც, როგორც იგრძნობა თხრობის განწყობილებიდან.

ხელოვანი ხელოვანად და აბაშიძეთა გვარის საქვეყნო ლვანლიც შეზავებულა ამ პერსონაჟის ხასიათსა და სიმბოლურ გააზრებაში, და რათა ყოველმხრივ წარმოსახულიყო, არც თავ-



გრიგოლ აბაშიძე

განწირული და გაუზიარებელი სიყვარული დააკლო მწერალმა და არც საპტრობილეში მოხვედრა... მთავარი კი მანიც ისაა, რომ სამშობლოს ნაგრევებში ჩააყენა, მისი ტრაგდია განაცდევინა და მის გოდებას შეურია თავისი უზომო ტყივილიც.

გვარის ეპონიმი იმავე სახმილით იწვოდა, რითაც შთა-
მომავალი, რაკილა იმ ეპოქის შემდეგ ამდენა საუკუნე გა-
დავლილიყო და ჯერაც ვერ გავმართულიყავით წელში. და
გრიგოლ აბაშიძის პერსონაჟ ლაშა-გიორგის ხილვაში
უცხოთა ბატონობის უღელში შექმული თაობები თაობებს
რომ მისდევენ ოხვრა-კვენესითა და გოდებით, ციმბირის ყი-
ნულოვან ველებზე მიმავალი ბორკილგაყრილი შთამომავ-
ლობაც ამიტომ გაიღლვებს სახონარკვეთილის ზმანებაში.

წყალით, — ნატრულობს სვეგამწარებული მეფე, მაგრამ არსადაა წყალი, ტრომას სტერნზ ელიოტის ტრაგიკულა ხილვებისა არ იყოს, „ბერნი მინით“ ამოთქმულის — ოცნების დროსაც რომ ვერ გიშოვნია ერთი ყლუპიც კი გადახრუკულ, გაუდაბურებულ, ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში, უსას-ტიკესი პოლიტიკური რეჟიმი კიდევ უფრო რომ გიმძიმებას.

II. „ଭାବରେଣ୍ଡା“: ରମାତେଜିଙ୍କାରିଙ୍କ ରାଜୀନାଳିଙ୍କାରିଙ୍କ

ჩინანერთა იმ რკალის მიხედვით, რისი დაწერაც მოასწორო, ვერ იტყვი, რომ გრიგოლ აბაშიძე მაინცდამაინც გააშიშვლებდა ყველაფერს და დაურიდებლად გამოიტანდა სააძვრაოზე უამრავ დაფარულ ცოდვასა თუ მანკიერებას. თავშეკავებულ გახსენებას უფრო ამჯობინებდა, ყოველივეს გულდასმით ცხრილავდა, ანონ-დანონიდა და ისე გადმოჰქმდა ფურცელზე.

მინაშენებებს არ გაურბოდა, ხან უფრო გამჭვირვალეს, ხანაც მობურუსიანებულს, მაგრამ ეს მაინც არა კმარა საიმისოდ, გრიგოლ აპაშიძის მეტეარული ჩანანერები ერთ-ერთ უმთავრეს გზამკელეევად მოვიმარჯვოთ მეოცე საუკუნის საქართველოს ტრაგიზმის შეცნობის გზაზე, თუმც შეწევნით ძალიან რომ შეგვერევა, უდავოა. და კიდევ უფრო მეტადაც ამოგვიდგებოდა მხარში, ჩანაფიქრის გასრულება რომ დასცლობდა და თავის მრავალფეროვან სამწერლო მონაპოვართა შორის – ყველა ჟანრში რომ მიეღწნა უდავო წარმატებისათვის – დაეტოვებინა ავტობიოგრაფიული რომანიც, იმ ცხოველმყოფელობით აღძებეჭდილი, „ლაშარელს“ შემოქმედი ქეშმარიტი ხელოვნებით რომ აზიდავდა ამ ჟანრსაც.

მისი ეს პირველი ცდა ბელეტრისტულ ჟანრში ხელშე-სახებად ადასტურებს, ჩინებულ ლირიკოსს ეპიური ტა-ლანტიც რომ მომადლებოდა – ისტორიულ პოემებშიც შე-სამჩნევი, მაგრამ რომანის თხრობა მაინც სხვა გახლდათ და იმ ხელვნებითაც გაშლიდა „ლაშარელას“, მნიშვნელო-ვანი ტეხნილის შექმნას რომ შეკვერის ისტორიული რომა-ნის მსვლელობის გზაზე, მანამდე მაინც ერთ კალაპოტში რომ მიედინებოდა ეს ჟანრი ჩვენში და ელოდა, თუ როდის დაუდგინდა შინაგანი ფერისკვალების ჟამი.

„ისტორიულს“ პირობითად ვახსენებ, გარკვეულ ნაკად-ზე მისანიშნებლად, თორემ მაინცდამანც არ ვიზიარებ მხატვრულ ქმნილებათა ამგვარ დაყოფას, როგორც არა-არსებითაც და, მეტიც, შინაარსმოკლიბულსაც.

თვით კონსტანტინე გამსახურდიაკ, ვინც ვასილ ბარნო-

— ყველა რომანი ოდესმე ისტორიულად იქცევა. არც ტეკარების, არც ფლიპერს, არც ტოლსტოის არ უწოდებიათ თავიანთი ქმნილებისათვის „ისტორიული“, რადგან იმ ნუთში, როცა დიდი მწერალი გადაწვდება მრავალი საუკუნის წინათ მომხდარ მოვლენებს, ის წარსულს ანმყოფ აქცევს, თანადოროულად აქცევს. ასე რომ, თავადაც სალამბო უფრო ცოცხალია, ვიდრე რომელიმე ლამაზი ფრანგი მატ-რონა, რომელიც ახლა აკენიუ დელ ოპერაზე სეირნობს.

ყველა რომანი ოდესმე ისტორიულად იქცევაო...

XI საუკუნის საქართველოზე მეტად მწერლის თანადროულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფას წარმოსახავდა, ხანის გასვლის შემდგომ ისტორიული გახდებოდა XX საუკუნის საქართველოს 20-30-იანი წლების გაზრება-შეფასებისას კერძოდ და საბჭოთა ეპოქის შეცნობისათვის საერთოდ.

ამ ეპოქას სჩვეოდა ისიც, ისტორიული თემატიკის მომარკებას მნერალს ცოდვად რომ მიუთვლიდნენ და მკაცრადაც ითხოვდნენ პასუხს „თანამედროვეობიდან გაქცევისათვის“, რისი უფლებაც წართმეული გქონდა.

კონსტანტინე გამასხურდია ახსენებს საქართველოს ისტორიის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებასაც და რუსთველის, ილიას, მთელი ჩვენი წარსულის ნაციონალისტურად გამოცხადებასაც, ფეოდალური საქართველოს ტრფიალებად რომ უთვლიდნენ მწერლებს წარსულისაკენ გახედვას, ისტორიის იდეალიზებად და ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის მცდელობად.

ମାନ୍ଦିର କାଳିତଥିରେ ପାଇଁ ଦୂର ଦୂର ଦୂର ଦୂର ଦୂର
ମାନ୍ଦିର କାଳିତଥିରେ ପାଇଁ ଦୂର ଦୂର ଦୂର ଦୂର ଦୂର

მაგრამ ლიტერატურას თავისი კანონები აქვს.

და ისტორიული რომანი (—

ელოდა, თუ როდის დაუდგებოდა შინაგანი ფერისცვა-
ლების ჟამიო...

რატომაც არა — უნიკებშიც შეიგრძნობა ამგვარი მოლოდინი ერთფეროგნებისაგან თავდასალწევად, თუმც ადვილი არ არის კალაპოტიდან გადასვევა თუ სულაც ახალი ნაკადის გახსნა, ნიჭთან ერთად ამ არჩევანს ის გაბეჭდულებაც სტირდება, ურომლისოდაც სიახლე მკრთალდება. რაღაც მნიშვნელობა მასაც ენიჭება — თვით მკრთალსაც, ვილაც რომ შეამჩნევს და მარჯვედაც აზიდავს, მაგრამ ნამომწყები კი ჩრდილში რჩება და მარტოდებ ლიტერატურის მკვლევარებს დარჩებათ სამსჯაოდ თუ მისათხოვოდა სურათის სისრულისათვის.

გრიგოლ აბაშიძე არ შეეცუდოდა დიდ სახელებს, შინაგან პატივით გაუმართავდა და მათ მიერ დადგენილ ნაკადს თამამად აუქცივდა გვერდს.

ალექსანდრე ყაზბეგის, ვასილ ბარნოვის, შალვა დადიანის,

კონსტანტინე გამსახურდიასა თუ ლევან გოთუას ისტორიული რომანები და მოთხოვობები კვლავაც დიდებულ ქმნილებებად დარჩებოდნენ, სამწერლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მარადიულ თანამგზავრებად, მაგრამ ამ მიმართულებით დაუსრულებელი დენაც მიმბაძველთა ხელში სრულიად გაწყალებოდა, უკეთეს შემთხვევაში ვარიაციებსა და კალეირებას ვერ გასცდებოდა და მკითხველის შთაბეჭდილებაც ის ველარ იქნებოდა, ესა თუ ის ავტორი რომ ჩაითქვამდა.

ვასილ ბარნოვის იშვიათი ხელოვნებით ევროპული რომანის რანგში ამაღლებული ქართული ისტორიული ბელეტ-რისტიკა იმ გადახალისების აუცილებლობას გრძნობდა, „ლაშარელას“ მოვლინებას რომ უნდა დაედასტურებინა.

მანამდე გადახვევა ნიკო ლორთქიფანიძეს უკვე ეცადა. თუმც ასე რადიკალურადაც არა.

რომანტიკულ იერსა თუ განწყობილებას ერთიანად არ გაემიჯვებოდა, ხედვას კი შენაცვლებდა რეალისტურით, მაგრამ სტილს ხელს არ ახლებდა და კვლავაც იმ რომანტიკულ სურნელს შეუნარჩუნებდა, ვასილ ბარნოვის გავლენით რომ შეემუშავებინა თავის დროზე, და თუმც ისე დაეხვენა, თანდათან ორიგინალურ მანერადაც გამოეკვეთა, მაინც ბარნოვის სკოლის მწერლად რჩებოდა და რომანტიკული სურნელიც იქიდან მოჰყვებოდა.

ეგაა, „რაინდები“ თუ „მრისახან ბატონი“ როგორლაც მიიჩემალებოდა მისივე მინიატურებისა თუ ნოველების ფონზე, თანაც ორივე თხზულება მოთხოვობა გახლდათ და არა რომანი და კონსტანტინე გამსახურდით შედარებით ეგუებოდა მათ არსებობას, მაგრამ „ლაშარელა“ სხვაგვარად ამოიჭრებოდა საერთო სალიტერატურო მდინარებაში, მითუმეტეს, გრიგოლ აბაშიძის პირველულ გავლენასა და ადგილს საზოგადოებრივ იერარქიაში შეეძლო ძალიან წადგომოდა წიგნის გახმაურებას.

თვითონ უშუალო ჩარევა არც დაჭირდებოდა დითორამბიადის მოსამზადებლად.

საქებარი წერილი წერილზე გამოქვეყნდებოდა ქართულადაც („კომუნისტი“, „ლიტერატურული გაზეთი“) და რუსულადაც („ლიტერატურნაია გაზეთა“, „ზარია ვოსტოკა“). რუსულ პრესაში გასამარტინოდ შესაფერისი საბაბი ალმორჩდებოდა ქართული დღეების დეკადა მოსკოვში, მაგრამ უამისოდაც არ დარჩებოდა „ლაშარელას“ გამოცემა მარტოდნ ქართველთავის ცნობილი... რომანის საჯარო განხილვაც გაიმართებოდა თბილისის სამ უმაღლეს სასწავლებელსა და ერთ-ერთი რაიონის კომეკავშირული აქტივის თავირილობაზე.

ასეთი წარმატებული დასაწყისი კიდევ მეტ სიკეთეს უქადა და მომავალში, მითუმეტეს, ამ რომანს მხოლოდ პარველ წიგნად მიიჩნევდა და მისი გაგრძელების დანერაც განეზრახა, წარმატებით ფრთაშესმული ენერგიულად რომ შეუდეგებოდა დილოგის მეორე რომანსაც (მაშინ ჯერ კიდევ ვერ იფიქრებდა, რომ საბოლოოდ ტრილოგია უნდა გამოისვლოდა – „დიდ ღამეს“ მოჰყოლოდა „ცოტნე ან ქართველთა დაცემა და ამაღლება“).

ამასობაში ქუფრი ღრუბლები შეიყრებოდა „ლაშარელას“ თავს.

ცალკეული კრიტიკული შენიშვნები იმ შეერებებზეც მოესმინა, მაგრამ სამუალება პქონდა თავისი საბუთები და მოსაზრებანიც გაეცნო მსმენელთავთვის, ისინიც გულდასმით უკვირდებოდნენ ავტორის მსჯელობას, დისკუსიას მაინცდამანც ალარ ამწვავებდნენ და მწერალიც კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ („ჩვენი შეხვედრა ყოველთვის მეგობრუ-

ლი, სასარგებლო და შედეგიანი იყო“).

ეს თავყრილობანი იმ მხრივაც უმშვიდებდა გუნებას, რომ მასთანაც მიეღწია იმ მითქმა-მოთქმას, რაც „ლაშარელას“ გამოქვეყნებას გამოეწვია გარკვეულ წრეებში, მარტოდენ მონონება კი არ ხვდომოდა ნილად; და აგერ საჯაროდ შეეძლო განმარტება, თუ რას გამოეწვია იმ ორი-სამი სურათისა თუ სცენის ჩართვა თხრობაში, სულ რალაც 5-6 გვერდისა 22 თაბახიან რომანში, მკითხველთა ერთი ნაწილის გულისტკი-ვილსა თუ, მეტიც, გულისწყრომას რომ იწვევდა.

თანაც, თანახმა გახლდათ, რომ მეორე გამოცემისას შეერბილებინა ან სულაც ამოელო ის ეპიზოდები.

მაგრამ ქარტეხილს ვერ გადაურჩებოდა.

მკითხველთა იმ ნაწილის ამ კრიტიკული განწყობილებით შეეცდებოდნენ ესარგებლათ ირაკლი აბაშიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას.

ერთი თანამდებობრივი კარიერის გზაზე მიიჩნევდა თავის მთავარ მეტოქედ გრიგოლ აბაშიძეს.

მეორეს პოპულარობაში შეცილება და ისტორიულ თემატიკაში შემოჭრა გააღიზნებდა.

და „იმელის“ შენობაში გამართული დისკუსია აუტოდა-ჟედ დაატყვედებოდა თავზე მწერალს, ვინც ისეთი გულუბრყვილოც არა ყოფილა, წინასწარვე არ ეგრძნო თუ არ გამოეძია, უშფოთველად რომ არ ჩაიღლიდა ის თავყრილობა, მაგრამ მაინც თამამად გაუდეგებოდა გზას, რაც უნდა იყოს, განხილვა რალაც ფარგლებს არ გადაცდება და რომანის ლირსების დამფასებელთაც და მეც არამარტო მოსმენის, არამედ აზრის გამოთქმის საშუალებაც მოგვეცემა.

არადა, იქ ისეთი ადამიანებიც მიაწყდებოდნენ, რომელთაც ყურად ჩაწვეთებოდა, „ლაშარელას“ შექმნით გრიგოლ აბაშიძე რალაც დიდი დანაშაული ჩაიდანა ქართველი ერისა და ისტორიის წინაშე.

ეგზალტირებულ განწყობილებას ორატორთა გამოსვლები კიდევ უფრო გაამწვავებდა და გააშმაგებდა და მწერალს ისეთი განცდა გაუწინდებოდა, ცოტაც და იმისაკენ მოუწოდებენ, რომ ლინჩის წესით გასამართლებასაც რომ მოალანდებს და მოლანდებითაც დაზაფრავს; და უკვირს, მაინც რამ გადამარჩინა.

ამიტომაც არ ამყოლია ადვილად, როდესაც იმ დისკუსიის თაობაზე გამოხვატე ცნობისანადილი.

ის დრო გარდასულა, თუმც შთაბეჭდილებანი გაუხუნდებოდა გამორჩება მანიც დამაინც არ ეჭაშნიკება, რა ყოლა ყოველი სურათი თუ დეტალი მაშინდელი სიმძაფრით ცოცხლდება, და ურჩევნია, გამოეცალოს იმ განცდებს, ლინჩის წესით გასამართლებასაც რომ მოალანდებს და მოლანდებითაც დაზაფრავს; და უკვირს, მაინც რამ გადამარჩინა.

ამიტომაც არ ამყოლია ადვილად, როდესაც იმ დისკუსიის თაობაზე გამოხვატე ცნობისანადილი.

ერთხელ მომიგო: რად გინდა, რა საინტერესოა, ისედაც ათასი რამ გაქს საჩხრეკასაძიებელიო... მეორედაც... მესამედ დამპირდა, მე თვითონ დაგირეკავ და შინ მესტუმრე, სტენოგრაფიულ მასალებასაც გამოგატან და ზოგიერთი რემორდასაც გაგაცირდა.

დრო გადიოდა.

დამრეკავით კი დამირეკა ერთი-ორჯერ, რათა მოებოდი-შებინა: ვერა და ვერ მოვიცალე იმ მასალების მოსაძებნად და ნუ მიწყენ, აუცილებლად მოვახერხებთ შეხვედრასო.

ჯენტლმენური თვისებანი და მანერები იძთავითვე მოსდგამდა და მისი პირველული დახვეველობა და შინაგა-

ნი ლირსება სანიმუშო გახლდათ.

ამ ერთ დეტალშიც – ახალგაზრდა კაცთან ასე რომ ბოდობის და რაღაც მოჯადოებული წრის გარღვევას ლამობს მისი თხოვნის შესასრულებლად – თვალნათლივ ცნაურდება მისი კეთილშობილური ბუნება.

ახლა წინ ვუზიგარ, იგი კი საქალადლეს ატრალებს ხელში.

– ირაკლიმ მოამზადა ყველაფერი, თუმც თვითონ არ გამოჩენილა... როგორც სჩვეოდა... კონია მანამდეც მონდომებით იყო ჩარეული და განხილვაზეც მწვავედ გამოვიდა... ამ ორმა კაცმა განსაზღვრა ის დღე...

III. მასთატება

1959 წლის იანვარში მწერალთა კავშირის ყრილობაზე წარმოქმულ სიტყვაში ამ სახელთა გაშიფრვას მოერიდებოდა და განზოგადებას ამჯიბინებდა თავყრილობის საერთო სულისკვეთების წარმოსაჩენადაც და საყვედურის გამოსახატადაც:

– ასეთი აუდიტორიის წინაშე კამათში მონაწილე მწერლებსა და სწავლულებს დიდი ტაქტი და ბასუსისმებლობა მართებდათ, მაგრამ, სამწერაოდ, ყველამ როდი გამოიჩინა ეს პასუსისმებლობა. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ორატორმა დისკუსიაზე საკუთარი სახელის გათქმისათვის ეროვნული გრძნობით სპეცუალაცია გასწია, ტყუილი და მართალი განუსჯელად მომაწერა...

მემუარულ ჩანაწერებში კი გახსნილია მთავარ მეტოქეთა ვინობა:

– მწერალთა კავშირის მაშინდელი მეთაურის ინიციატივითა და სცენარით მოწყობილ დისკუსაში კონსტანტინე აღმოჩნდა მთავარი მოქმედი პირი, რომელიც არაობიერულად დამესხა თავს და ისეთი ცოდვები დამაბრალა, რომელთა მსგავსი მისავე რომანებში გაცილებით მეტი დოზით მოიპოვება.

„ლაშარელაში“ სექსუალურ და ეგზოტიკურ გარემობას რომ მიაქცევდა ყურადღებას, კონსტანტინე თვითონაც აღიარებდა: მე ყველაზე ცოდვილი ვარ ქართველ მწერალთა შორის ამ მხრივო, – მაგრამ თანამოკალმეს მაინც არ ააცდენდა მუნათს: ეს ეხებოდა ვიღაც ქალებს, თორებ როგორ შეიძლებოდა საქართველოს დედოფალი შევარდნილიყო აბანოში მდაბით გლეხთან.

სიტყვას კი იმით დაიწყებდა: მე ავად ვარ, მაგრამ მოვედი იმიტომ, რომ პატივს ვცემ მწერალთა კავშირს და პირადად გრიგოლ აბაშიძეს – ჩემს შემოქმედებით მეგობარსო.

„მეგობრად“ კიდევ არაერთხელ მოიხსენიებდა, თავის საყვარელ პოეტადაც, და გამოსვლის ცხარე პათოსი რომ გაემართლებინა, ამ მოტივს მოიმარჯვებდა: გადაწყვეტილი მაქსეს, რომ მის მიმართ ვიყო სასტივი, როგორც მოყვარული მამაო.

წყენას გულში ჩიაკლავდა გრიგოლ აბაშიძე და, არამც თუ სამაგიეროს გადახდას არ მოინდომებდა არასოდეს, ორჯერ სწორედ მისი შეუმდგომლობით მიიღებდა ხელისუფლება დადგენილებას კონსტანტინე გამსახურდიას თხშულებათა სრული კრებულის გამოცემის თაობაზე.

ასეთ გამოცემებში მწერლები იმუამად განსაკუთრებულ პონორარს ლებულობდნენ და ძალიან უადვილდებოდათ ცხოვრებაც და შემოქმედებით მოღვაწეობაც.

გულწილობა არ სჩვეოდა „მთვარის მოტაცების“ შემოქმედს, მაგრამ გრიგოლ აბაშიძის ეს საქციელი, თანაც

ორგზის, ძალიან ააღელვებდა:

– ვაჟუკაცი ყოფილხარ, კეთილშობილებით რომ მიხდი სამაგიეროს.

და მოინდომებდა გამოესწორებინა მაშინდელი მოქმედება. შესაფერისი შემთხვევაც გამოჩინდებოდა – როდესაც ის ტომი გამზადდებოდა გამოსაცემად, მის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სტატიებს, ესეებსა და საჯარო გამოსვლებს რომ უყრიდა თავს, „ლაშარელას“ შესახებ გამოსვლის დედანის გაუგზავნიდა და სთხოვდა: მიმითითე ის ადგილები, რომელთა ამილებაც სასურველად მიგაჩნია.

უთუოდ ხედებით, თუ ამჯერად როგორ მოიქცეოდა გრიგოლ აბაშიძე.

თავაზიანად დაუბრუნებდა უკანვე დედანს და შეუთვლიდა: საამისო სურვილი არ გამაჩინა და არც შეიძლება მქონდეს, რატომ უნდა ჩასწორდეს ის, რაც უკვე ისტორიას ეკუთხინსო.

ანკი როდის ყოფილა, დაწერილი თუნდაც ნაჯახს ამოეშალოს.

სასტივი, როგორც მოყვარული მამაო...

და შენიშვნას შენიშვნაზე რომ დაახვავებდა, ის მთავარსაც განსაკუთრებით დაიხვევდა ხელზე, ყველაზე დიდი ხმაური რასაც გამოეწვია და ლამის ჩასაქოლადაც არ დაენდოთ „ლაშარელას“ შემოქმედი. და თუ სხვათაგან მომენტის კიდევ ის ეფექტი არ ჰქონდა არაჯანსაღი აუიოტატის გასაღვივებლად – ხომ შეიძლება განგებ აზგიადებდნენ რომანის ამ მცირე თუ უნებლივ ნაკლ ლიტერატურის ნაკლებად ჩახედული ადამიანები – კონსტანტინე გამსახურდის დასტური სულ სხვა შთამბეჭდაობით გახმიანდებოდა და ცეცხლს მოუკიდებდა მდრტვინავ დარბაზს.

– ჩენე უფლება გვაქვს, ისტორიულ გმირს ზედმეტი სკეთე მივაწეროთ, მაგრამ ზედმეტი ცუდის მიწერს უფლება არ გაგვაჩნია, – შეაგონებდა სასტივი და მოყვარული მამა და გმობდა თანამოკალმეს ლაშა-გიორგისა და რუსუანის შეუფერებლად გამოხატვისათვის.

– მე ვიცნობ მის შესანიშნავ გემოვნებას და პირდაპირ გამაოცა ამ ამბავმა, როგორ შეიძლება თამარის შეიღების ასე განუკითხავად გამოსახვა, იმ თამარისა, რომელსაც ორმა დიდმა პოეტმა უმდერა და რომლის სახელი საქართველოში ყოველ ციხეს ჰქვია. ზოგიერთები ამბობენ, რომ თქვენი საქციელი ემსგავსება იმ კოსმოპოლიტი პროფესორის საქციელს, რომელსაც ჩვენ თავში ვურტყამთ.

„ზოგიერთებიო“ – თითქოს თვითონ თავიდან იცილებდა ამ შეფასებას, მაგრამ სათქმელს მაინც მკაცრად ეუბნებოდა და აგერ კოსმოპოლიტადაც აცხადებდა.

ლვთაებრივი შარავანდით შემოსლი თამარ მეფის შეილზე ღონავი გადაკრულიც კი არ უნდა თქმულიყო, თორემ ისტორიული ნარსულის შეურაცხმყოფელად შეირაცხებოდი, წინაპართა დავანების გამქიანებლად, სიყალბის მქადაგებლად. და რაიონა „ლაშარელაში“ საკმაოდ მოიპოვებოდა ამგვარი თვალთახედვისათვის შეუსაბამო პასაუები, მწერალი ცეცხლის შეუგულში ამიტომაც მოექცეოდა.

იმ შერისხვის ფისიქოლოგიურ-იდეოლოგიური მოტივები მოგვიანებით ასე გაშიშვლდება თამარ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში „ჩემი საგანე“.

გრიგოლ აბაშიძეს მთავრობა და ნომენკლატურული კრიტიკა დიდად რომ სწყალობდა, ისტორიული რომანი მაინც ვერ აპატიეს, რაკიდა რაც შეეძლოთ დევნიდნენ საქართველოს ისტორიასაც და ისტორიულ რომანსაც საქართ-

ველოში.

– რუსეთში არა. დიდ მოდაში გახლდა „პეტრე პირველი“. რუსეთში არა.

ჩვენში კი კონსტანტინე გამსახურდისასა და ლევან გოთუას რომ ჩადგომოდნენ კვალში ცოფიანი ძალლებივით, ერთხანს აკი შალვა დადიანსაც შეუჩნდნენ რომანისათვის „უბედური რუსი“: როგორ თუ რუსი და როგორ თუ უბედურიო. ხელახალი გამოცემისას „გიორგი რუსს“ რომ დაარქმევდა, მაინც არ დამშვიდებოდნენ: მხოლოდ სახელი შეუცვალა, მასების რევოლუციური აღმაღლობა არა ჩანს და არაო.

ბოლოსდაბოლოს დაეხსნებოდნენ.

– შალვა ადვილად არ ემეტებოდათ. ესახელებოდათ: ჩვენთან დას ძველი ინტელიგენციათ. იდგა. არც გრიგოლი ემეტებოდათ. ხმაურსაც ასეთს როდი ელოდნენ. განაგრძობდნენ ჩვეულებრივ დევნასა, ამისთვის რო გამაფრთხილებელა.

უჩვეულო კი გამოვიდოდა:

– აյ ჩაერია პატრიოტული განწყობილებანიცა: თამარის შვილები გაგვილანდა, „ლაშარელამაზა“, ჩვენი დიდი თამარისაო, ჩვენი წმიდა თამარისაო, ამ მოტივითა. საარჩელი მაინც ბევრად მეტი გახლდათ რალა თემა უნდა. თავის ისტორიას იცავდა ხალხი, ისტორიულ რომანს იცავდა ხალხი, რახან რო ისტორია წაართვეს, რომანებით რო მაინც შემოენახა. აკი ტრაბაზობდა კონსტანტინე გამსახურდიაცა: ქართლის ცხოვრებას ამოვუყენებ მე ჩემს რომანების სერიებსაო. ტრაბაზობდა. გრიგოლის მიმატება აღარ უნდოდა ნომერნების კრიტიკას.

უნებურად ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს ხელისუფლებისა და საზოგადოების ინტერესები. ისტორიის მდევნელი და ისტორიის დამცველი რაღაც უცნაურობით, ბედის უინიანი თამაშით მოკავშირენი აღმოჩნდნენ და შუაგულში კი „ლაშარელა“ მოიყოლეს.

გამაფრთხილებელი თავდასხმა აუტოდაფედ გადაიზარდა.

ბევრგვარი პარადოქსი სჩვევია მკაცრ პოლიტიკურ რეჟიმებს.

სასატიკს – მითუმეტეს.

საიდან რა გამოიხლართება, სად რა ამოპყოფს თავს!..

ესეც ერთი თვალნათლივი ნიმუში, რომლის ანალიტიკური დამტება და გააზრება ყოვლად წარმოუდგენელია, თუ ერთდროულად ორივე განზომილებიდან არ აკვირდები – შიგნიდანაც და გარედანაც.

მწერლის ვაჟი – დავით აბაშიძე კი – ამ განწყობილებას იმ გარემოებით ახსნიდა, რომ რომანის გამოქვეყნება და ემთხვა დესტალინიზაციის ხანასა და 1956 წლის მარტის ტრაგიკულ ამბებს, ეროვნული თავმოყვარეობა უკიდურესობამდე გამძაფრებულიყო და ყოველგვარი შეხება ისტორიულ პერსონაჟებთან თუ გარდასული უამის ეპიზოდებთან უაღრესი სიმტვავით ამიტომაც აღიქმებოდა.

ცხადია, ამგვარ ახსნაშიც შეიმჩნევა ჭეშმარიტების მარცვალი, თუმც ეს არაჯანსაღი აუკიოტაჟის გაღვივების ფსიქოლოგიურ საწყისას უფრო ესადაგება და არა საერთო სულისკვეთებას, რომელიც სხვა რეალობაში ასე უკიდურესობას არ მიაღწევდა, მაგრამ „ლაშარელა“ მაშინაც შემაცბუნებელი აღმოჩნდებოდა საზოგადოებისათვის და დავა-კამათსაც გამოიწვევდა მწერალთანაც და თვითონ მკითხველებს შორისაც.

ყველა ერთიანად ვერ იგუებდა მის გამოჩენას. ეგაა, დავა-კამათი ლიტერატურის ფარგლებს არ გადაცდებოდა.

გრიგოლ აბაშიძე მიხვდებოდა, რომ პასუხის გაცემის, განმარტების საშუალება აქ არ მიეცემოდა, და რაღაც უნდა ელონა შინ მშვიდობით დასაბრუნებლად – ერთი იმდენი, როგორმე გადარჩენოდა აბობოქრებულ მასას, ემანდ მართლა ლინჩის წესით არ გაესამართლებინათ.

* * *

– არავინ გამოგქომაგებიათ?

– რას ამბობ, რა გამოქომაგება... მეც კი აღარ მოვინდომე საკუთარი თავის დაცვა და შეხვედრის მიწურულს სიტყვა რომ მარგუნეს და აზვირთებული ხალხის წინაშე წარვდექი, ძალან კომპრომისული გზა ავირჩივ, ნაცარი დავიყარე თავზე და ვიბოდიშე ასეთი წიგნის დაწერისათვის... ვიძახე – სულ სხვა რამ მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მხატვრული ოსტატობა არ მეყოდა ასე იმიტომ დამემართა, უნებურად შევცოდე თამარ მეფის შეილების წინაშე-მეთქი... დავპირდი, რომ ხელმეორე გამოცემისას რომანს საგრძნობლად გადავამუშავებდი... გადავრჩენილიყავ და სხვა რას დაგიდევდი!..

* * *

საუკუნის დამდეგს იაკობ გოგებაშვილსაც წადავებოდნენ და საქმაოდ ცხარედაც, როგორ თუ რუსუდან დედოფაზი უხერხული სახით წარმოაჩინეო. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მოსთხოვდა, ან ეს პასუხი ამიშალე ისტორიული მოთხოვბიდან, ანდა მის გამოცემას ჩვენი სახელი ნუ წარმოერებაო.

არადა, იაკობს ბელეტრისტული თხზულება ხომ არ შეექმნა – საქართველოს საყმაწილო ისტორიას ადგენდა ქართლის ცხოვრებაზე დაყრდნობით და იქიდანვე გადმოეტანა სიუჟეტური ქარგა ისტორიული წოველისათვის „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“. არც რა მიემატებინა და არც რა გამოეკლო მემატიანის მონათხოვბისათვის, მხოლოდ სტილურად გადაემუშავებინა და ყმაზეოლის გონებისა და ინტერესებისათვის შეეფარდებინა. აბა, რა მისი ბრალი იყო, თუ რუსუდან დედოფალმა, სამეფო ტახტის დანარჩენების მიზნით, სასიყვდილოდ გაიმეტა თავისი ძმისწული, შემდგომში მეფე ულუ-დავითი; და მის გასაწირად ულმერთო ცილისწამებასაც არ მორიდებია – არამარტო ლაშა-გიორგის ვაჟი, თავისი ქალი თამარიც გახვია ამ საზიზლარ ქსელში და უმანკოს ჩირქი მოსცხოვ.

ისტორიული წოველის პირველ გამოცემას უმტკივნეულოდ ჩაევლო, მაგრამ ამჯერად თავი გამოედოთ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრებს და ცენზორის უფლებაც მიეტაცებინათ ბეჭდი მოთხოვნით: ან ამოშლი და ან უჩვენოდ მიხედე საქმესო.

იაკობ გოგებაშვილი ამოკლებით არ ამოაკლებდა იმ პასუხებს – ყველაფერს რომ თავი დავაზნებოთ, მათი წაშლით არამცთუ მთავარი კონფლიქტი გაქრებოდა, სიუჟეტი სრულიად დაინგრეოდა – მაგრამ გათვალისწინებით მაინც გაითვალისწინებდა მწერალთა და მოღვაწეთა იმ გუნდის განწყობილებასა თუ გემოგნებას და ნოველასა დააბოლოვებდა რუსუდან დედოფალის მონაწილით. მოგეხსენებათ, თვითყვედრება, სინანული ამსუბუქებს ჩადენილ ცოდვებს და მომზანიეს რაღაც სხივს სძენს, და მკითხველის მსმენელის გაგულის სებათანაგრძნობით ამიტომაც იცვლება ხოლომ მის მიმართ.

საზარელ ცოდვას გაქრობით რა გააქრობდა და რუსუ-

დანი მაინც საკმაოდ მრუმე სახით ჩაიბეჭდებოდა მყითხველის – განსაკუთრებით კი ყმანწვილი მყითხველის – ცნობიერებაში?.. იაკოპ გოგებაშვილს რა უნდა ეშველა მისთვის – ქართლის ცხოვრების მონათხრობს ხომ არ გადააკეთებდა რუსუდან დედოფალის სახის შესალამაზებლად?

შემდგომ – ეს უკვე საბჭოთა ეპოქის საქართველოში – რამდენჯერმე კიდევ გამოქვეყნდებოდა „საარაკო თავგადა-სავალი ტახტის მეტკვიდრისა“, მაგრამ უზუმრად ჩაიღონდა, არავითარი აყიოტაში არ მოჰყვებოდა, არავინ მოითხოვდა: ამოვილოთ ეს ნოველა იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ თხზულებათა (ციკლიდან... არავის ანუხებდა იაკობის სა-ხელი, არავის ალამფონთებდა და საბაბად ამიტომაც არ დაიხ-ვევდნენ ხელზე რუსუდან დედოფლის იმგვარი იერით წარ-მოსახვას, ეს სიუჟეტური ქარგა რასაც გვაუწყებდა. არც „ლაშარელას“ ირგვლივ ატეხილ ხმაურს მიუბრუნება ვინმე იაკობ გოგებაშვილისაკენ. ნეტა თვითონ გრიგოლ აბაშიძეს თუ წამოაგონდა ეს სიტორიული ნოველა? მაშინ ხომ კიდეც დაიმონმებდა – აგერ, რუსუდანი აქ გაცილებით უარესად გამოიყურება, ვიდრე ჩემს რომანშიო?! . თუმცა არა – თავს მაშინ ვერ უშველიდა, იაკობ გოგებაშვილის მიმართ კი უნე-ბურად გაალიზიანებდა არაერთ ადამიანს.

არადა, წარმოიდგინეთ, გრიგოლ აბაშიძეს ულუ-და-
ვითზე რომ მოენდომებინა რომანის შექმნა!

სწორედაც რომ სარომანე გმირი და სიუჟეტია.

როსულდან დედოფლის იმ სათაკილო მოქმედების აღწერას არც ის მოერიცებოდა, ცხადია; დეტალურადაც ჩაუდრმავდებოდა, ვრცლადაც გაშლიდა და, ამა, მაშინ იწვევდა თუ ინვენევდა ულმობელ თავდასხმას.

მობილურებაც, თავზე ნაცრის დაყრაც ვერ უშველიდა
და ვერც აღთქმა-დაპირებანი: ახალი გამოცემისას აუცი-
ლებლად გავასწორებო.

ისე მომნანიე რუსუდანის ეპიზოდს პირდაპირ გადმოტანდა იაკობ გოგებაშვილის ისტორიული ნოველიდან და ბელეტრისტული თხრობის კვალობაზე გააღმაცევდა, იქნებ კომპოზიციური ქარგაც მის ირგვლივ შემოიქსრო.

იაკობ გოგებაშვილსაც წადავებოდნენ და საკმაოდ ცხა-
რუდა(ღლა...)

ხომ ვამბობდით, ხომ ვაფრთხილებდით იაკობსაცო, — თავიანთი შექედულების სისწორეს დაბეჭიობით იორნმუნებდნენ გამგეობის წევრთა აჩრდილები, ნირნამხდარი გრიგოლ პაპიძისათვის რომ მოყვრათ თვალი ჯერ მაგიდასთან, მერე კი ტრიბუნასთან, შეშფოთებული რომ მიმოატარებდა მზერას, ნეტა გავალნენ თუ ვერ გავალნენ...»

* * *

კონსტანტინე გამასახურდია გრიგოლ აბაშიძეს რჩევას რომ უზიარებდა: ჩეცნ უფლება გვაქვს, ისტორიულ გმირს ზედმეტი სიკეთე მივაწეროთ, მაგრამ ზედმეტი ცუდის მიწერის უფლება არ გაგვაჩინია, – ამით მარტოდენ ზოგად შთაპეჭდილებას კი არ ამცნობს მყითხველს, არამედ უპირ-ველესად საკუთარ მხატვრულ-იდეულ მრნამსს მოაქცევს ესთეტიკურ ფორმულაში, ისტორიისადმი საკუთარ თვალ-თახედვას ამჟღავნებს, იმ სტილისტიკას ანიჭებს უპირატე-სობას, თვითონ რაზეც ამოუშენებია „დიდოსტატის მარჯ-ვენაც“ და „დავით ალმაშენებელიც“.

მხოლოდ უპირატესობას?

დიახ, არ კმარობს მარტოლენ ამას და ერთადერთ მხატ-

ვრულ მეთოდად აღიარებს, რომლისგან განდგომაც ლიტე-
რატურულ ერქსად თუ შეირაცხება.

რომანტიკული მზერა შეუცვლელ საწყისად უნდა დარჩეს ისტორიული რომანის სტილური მანერის განმსაზღვრელად და არქიტექტორის ასაგებად.

და ამ დადგენილ წესრიგში რეალიზმის შემოქრა ის უხეში ჩარევა იქნება, რაც საყრდენს გამოაცლის ნარსულისადმი ამაღლებულ დამოკიდებულებას, ამაღლებულობის გარეშე კი ისტორიულ ქმნილებას თავისი დანიშნულება ეკარგება.

„ლაშარელას“ გამოწენას ამიტომაც ვერ შეეგუებოდა ადგილად და ისედაც გამოედავებოდა ამ ახალი სტილისტიკის – არ დამკაიძრების სურვილს – სხვა დროსა და პირობებშიც.

უთანხმოება პრინციპული გახლდათ.

ისეთივე შეურიგებელი, როგორც თავისი დროზე ვერ შე-
თანხმდებოდნენ იაკონ გოგებაშვილი და ივანე ჯავახიშვი-
ლი, თუ რა გზა უნდა აერჩია ისტორიკოსს გარდასული ჟა-
მის მოვლენათა და ეპიზოდების შესწავლა-წარმოჩენისას –
გამოსარჩევითი, ადვოკატური თვალთახედვა და მეთო-
დი ემჯობინებინა თუ სრული მიუკერძოებლობით გამოეძი-
ებინა ყოველივე და კარგი და ავი წინაპართა ნამოქმედარი-
დან ერთხნიორად გამოეტანა სააშკარაოზე?

ზოგადი თვეულსაზრისით, ცხადია, ივანე ჯავახიშვილის ეთიკურ-იდეური მრნამსი – ისტორიული წარსულის კვლევისას მიუდგომლობის, პირუთვნებლობის აუცილებლობას რომ ქადაგებდა – არავითარ გადასინჯვას არ საჭიროებს, მაგრამ არც იყაონ გოგებაშვილს ესწავლებოდა მიუკერძოებლობის ღირსება და, რაკეთა შეაგონებდა ყველას, ადვოკატური, გამოსარჩევებითი მეთოდი გვერჩიოსო, ეს იმ და მხოლოდ იმ მყაცრი, მწარე სინამდვილისა და გარემოს გათვალისწინებით, საქართველო რომ ჩავარდნილიყო.

Ոմքերոյն կածալա და մրուսանց բարօպագագործոյն ձու-
ղութիւնա մինչանմիմարտույլագ լամոնձდա ჩիզեն զշշենիս և սփո-
րուլուն նարսուլուն და շնորհեած աս დա ցաւցաւուրեած, նմինդա-
նեած աս և զմուրցեած შեշրաւութեաց-ցածած պարույց աս დա
շուլուն ածամունա գասացաս սամშոնձլուն մոփունա եշլույց եած
დա մուտքու տագուցաց պարույց եած, րոտաց օմքերոյն եղու-
սացլուն լածաց ჩիզեն երազն ել տագուցաց արյունա և ամ-
պարույց եած նուլուն թմիս և սխլուրու ուլուն օնծ էած.

ასეთ დროს ცოტა სხვაგვარად უნდა განისაჯოს გამო-
სარჩევბისა და ადვოკატობის რაობა ისტორიასთან მიმარ-
თებით, ზოგად ფორმულაში კერძო ვითარებასაც უნდა და-
ეთმოს ადგილი – გასათვალისწინებლად; და ნიშანდობლი-
ვია, რომ მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილიც ამ სამზერი-
დან გადააფასებდა თავის ზოგიერთ შეხედულებას საქარ-
თველოს წარსულის ამა თუ იმ ეპიზოდზე.

რომანტიკულსა და რეალისტურ თვალთახედებას თავის-
თავად გამოეცერებიდა პოლიტიკური სარჩევი და მათი შე-
ჯახება კიდევ უფრო მძაფრი და შეურიგებელი ამიტომაც შე-
იწენდოდა **XIX-XX** საუკუნეება საქართველოს სინამდვილეში.

ომონდ ՂՏՂԴԱԳ -

ମାନିବୁ ସାଧାରଣେ ଶ୍ରୀପଦଙ୍ଗେବା ଗାନ୍ଧାର୍ଜୁଙ୍ଗେ ରାମାନ୍ତିକୁଳରୁ
ଅଲ୍ପମା-ଗାନ୍ଧାର୍ଜୁଙ୍ଗେବା, ରାମମଲିଲୁ କ୍ଷେତ୍ର ଗାନ୍ଧାର୍ଜୁଙ୍ଗେବାତ୍ ଉପରେ ବେଳାର
ନେବା ଫିଲାଫ ସାବିକେତେ କ୍ଷେତ୍ରନିଃସାତ୍ତ୍ଵରେ ଓ କୁଳୀରୋ ମାନଙ୍ଗେ-
ଦିଲାକୁଙ୍କ ନିର୍ମାଣ କ୍ଷେତ୍ରରେ ମାତ୍ରମେ ହେଲାମାନଙ୍କ ଦିଲାକୁଙ୍କରୁ

დიდების უინში გადაიზარდოს?

ანდა –

მაინც სადამდე შეიძლება გადაწვდეს რეალისტური აღმა-გააზრება, რომლის იქით გაბიჯებაც უკვე ვეღარ იქნება დიდად სასიკეთო ქვეყნისათვის და რომანტიკული შარავანდის შემოსაძარცვად სწრაფვა შესაძლოა გულგატეხილობასა და სასონარკვეთილებაში გადაიზარდოს?

ეს საფრთხე ორსაკ შემოხვევაში არსებობს და გულგარხინად არ უნდა უშუალებდეთ – თავისითაც მოგვარდებაო.

თავისით განა როდის რა დალაგებულა.

და ალბათ ყველაზე უკეთესი გზა ის აღმოჩნდება სამწერლო ცხოვრებაში, რომ ამ ორ თვალთახედვას მონაცვლეობის საშუალება ჰქონდეს – მაინცდამაინც რომელიმე მათგანი არ გამოცხადდეს უცომელად და ერთადერთად, მეორე კი ჩაიქოლოს.

და თუნდაც თვითონ ეს ნაკადები შეურიგებლად შეეჭიდონ ერთიმეორეს, მათი მონაცვლეობა დაიცავს იმ წინასწორობას, რაც ორივე მრნამსის მწერლებს შეაძლებინებთ, არ გადაცდნენ იმ უხილავ მიჯნას, რომლის მიღმაც განდიდების სცილა და სასონარკვეთილების ქარიბდა ჩასაფრებულან.

მოგონეპათა სკივრი

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

ო, როგორ ჩაერა, რად ჩაესვანა ეგავარსკვლავი მზიური შუალი?!!

მისი უდიდებულესობა XX საუკუნე!

რამდენი ვარსკვლავი აჩუქა საქართველოს ამ საუკუნეში!!!

სწორედ რომ ვარსკვლავთვენა იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: ვიზუალური ხელოვნების დარგებში – თეატრში, კინოში, საოპერო თუ საესტრადო სივრცეში, ასევე მეცნიერებასა და მწერლობაში, სპორტში.

სახელიოგანი რუსთაველის აკადემიური თეატრი! მაღალინიჭიერ შემოქმედთა ესოდენ ბრწყინვალე თანავარსკვლავედი: აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე და ეროსი მანჯგალაძე, გიორგი გეგეჭკორი და მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი და ზინა კვერენჩილაძე და კიდევ ვინ მოთვლის, — რამდენი დიდებული მსახიობი...

რუსთაველის თეატრის სცენაზე 55 წელიწადი კაშუშებდა გამორჩეული ვარსკვლავი რამაზ ჩხიკვაძე, ფანტასტიკიური, განუმეორებელი, ლეისაგან დაჯილდოებული და შემკული ყველა ღირსებითა და მადლით: შესანიშნავი გარეგნობით, ფრიად საუცხოო ხმით, გარდასახვის შეუდარებელი, დიდებული უსარით, მგზნებარე ტემპერა-მენტით, მომაჯადოებელი არაორდინალური იუმორით, ელვარე ტალანტით.

მასში იშვიათი ჰარმონიით იყო შერწყმული ქართული რაინდული სული, დიდი ბუნება, პირდაპირობა, შინაგანი სიმართლე...

„ოსკარისა“ და „ოქროს გლობუსის“ პრემიების ლაურეატი თანამედროვე მსახიობი ალ პაჩინო ხატოვნად შენიშვნავს: „თეატრში თამაში 100 ფუტის სიმაღლეზე გაბმულ თვალზე სიარულს ჰგავს, თანაც ყოველგვარი დაზღვევის გარეშე“.



რამაზ ჩხიკვაძე

აი, სწორედ ასეთ, 100 ფუტის სიმაღლეზე გაბმულ თვალზე იარა რამაზ ჩხიკვაძემ ნახევარ საუკუნეზე მეტხანს, იარა ტრიუმფალური გამარჯვებებით, იარა ხალისით, სიცოცხლის, თავისი პროფესიის და ხალხის დაუკავებელ სიყვარულით...

და აი, საქართველომ დაკარგა ეს უბრძყინვალესი შემოქმედი, მსოფლიო რანგის მსახიობი.

რამაზ ჩხიკვაძეს საშემსრულებლო ხელოვნებას, პროფესიულ ისტატობას უწევულოდ ფართო დიაპაზონი ჰქონდა... შეეძლო, ერთნაირი სიძლიერით, უდიდესი ექსპრესით და აღმაფრენით ეთამაშა როგორც ტრაგედიაში, ასევე დრამასა და კომედიაში.

მას ხომ მაყურებლის განუზომელი გაოცება და დატყვევება შეეძლო.

1951 წელს ცნობილმა რეჟისორმა დოდო ალექსიძემ დადგა „ფიგაროს ქორნიძება“. რამაზ ჩხიკვაძემ ამ პიესაში შესანიშნავი თამაშით ყველა აღარ-თოვანა და უდიდესი სულიერი სიამოვნება მოგვანიჭი.

1954 წელი... დაიდგა მიხეილ თუმანიშვილის „ესპანელი მღვდელი“...

დღესაც მახსოვს ეს საეტაპო სპექტაკლი... თეატრში იყო მხიარულების ნამდვილი დღესასანაული!.. რადგან მაყურებელი ზეიმობდა მსახიობებთან ერთად...

შემდეგ — ბერტოლდ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, სადაც რამაზ ჩხიკვაძე მექი-დანას განასახიერებდა უბადლოდ... ყველაფერთან ერთად დომინირებდა მისი ბრწყინვალე ვოკალი...

ამგვარად, იმდენად მაღალი იყო აქტიორული პროფესიონალიზმი, ვიზუალური და ხმოვანი ეფექტები, რიტმი,

ტემპი და სპექტაკლის მხატვრული დონე, რომ მაყურებელი იხიბლებოდა და ინუსხებოდა უკვე ამობრწყინებული ვარსკვლავის მაღალი ხელოვნებით...

საოცარი ნიჭის პატრონი იყო... ბრწყინვალე — თეატრშიც, კინოშიც, მაგრამ პრიორიტეტს მაინც თეატრს ანიჭებდა. „თეატრი მაინც სულ სხვააო“ — უმტკიცებდა რამაზ ჩხილები ასევე ცნობილ მსახიობს ლეილა აბაშიძეს.

დაუკინებარი, ჭეშმარიტად წარუშლელი შთაბეჭდილება დაგრეჩა მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლიდან „როცა ასეთი სიყვარულია“, რომელიც მომზადდა ჩეხი დრამატურგის პ. კოპერტის ნანარმოების მიხედვით. ამ პიესას ნარმართავდა მთავარი მოქმედი პირის — პეტრი პეტრუსის დრამატული როლი, — ამაღლებულად, შთამშეჭდვად, დიდი ვნებათალელვით შესრულებული რამაზ ჩხილების მიერ. მაყურებელი თითქოს სპექტაკლის მონაწილე იყო. მსაჯული — სერგო ზაქარიაძე, ლიდა მატისოვა — მედეა ჩახავა. მათი თამაში გვაოგნებდა, გვატყებობდა და, მე ვიტყოდი, ბედნიერია ყველა ის მაყურებელი, ვინც ეს სპექტაკლი ნახა.

1972 წელი... „სამანიშვილის დედინაცვალი“... კირილე მიმინშვილის დიდებულად შესრულებული როლი... რამაზ ჩხილები ისე თამაშობდა, რომ მაღალი ეპითეტები არ გვყოფის...

რაც შეეხება აზდაკა და რიჩარდ მესამეს, — ეს გმირები რამაზ ჩხილების შემოქმედების მწვერვალია, გვირგვინი, საოცარი გარდასახვის, ფანტაზიის ნიმუშები. მსახიობი თითქოს დაინის წვერზე გადის, მაგრამ გროტესკი ისეთი ზომიერი აქვს, რომ არ აჭარბებს...

რამაზ ჩხილების შემოქმედებას დიდი რეზონანსი ჰქონდა უცხოეთში გასტროლების დროს. აი, რას წერდა უცხოური პრესა:

„დიდი ხანია, არ მინახავს უფრო გამომსახველობითი მსახიობი, ვიდრე რამაზ ჩხილები... ყოველი უსტი მნიშვნელოვანია. საბედნიეროდ, ჩვენ ამ მსახიობს ვნახავთ მთავარ როლში დასის მეორე სპექტაკლშიც „რიჩარდ მესამე“. (ალენ რაიტი, „ტრიუმფი უდინბურგში“, 1979)

„ამ მსახიობს აქვს უდიდესი ძალა, რომლის წყალობით იქმნება შთაბეჭდილება, რომ სცენა თითქოს მხოლოდ მას ეკუთვნის.“

(გაზეთი „გარდიანი“ 1979)

„თეატრის ვარსკვლავი რამაზ ჩხილები შეიძლება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მსახიობად ჩაითვალოს“. („ტელეგრაფი“, „კვლავ დიდი გამარჯვება“, 1979)

„კავკასიური ცარცის წრე“ — ქართული თეატრის მწვერვალია“.

(კარლო ბენედეტი, გაზეთი „უნიტა“, 1979)

„...მრავალი სცენა — რიჩარდის სიყვარულის სცენა ანასთან, რიჩარდის მიერ გვირგვინის მოჩვენებითი უარყოფა — უბრწყინვალესია“. („ფეხზე ამდგარმა დარბაზმა 15-წუთიანი ოვაციით დააჯილდოვა სცენის ჯადოქრები. უკვე მეორე დღეა, ბრიტანეთის თითქმის ყველა გაზეთმა დაბეჭდა აღტაცებული რეცეპტიები. განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო მთავარი როლის შემსრულებელს რამაზ ჩხილებისა და სპექტაკლის დამდგმელს რობერტ სტურუას“).

დაუკინებარი სახეები შექმნა რამაზ ჩხილები აქტორულ კინოშიც. გავიხსენოთ კინოფილმები „ჭრიჭინა“, „სოფლის

აშიკი“, „ლონდრე“, „ნარსული ზაფხული“, „ნატვრის ხე“, „ბებერი მეზურნეები“, „ვერის უბნის მელოდიები“, „ნერგები“. „ნერგებსა“ და „ბებერ მეზურნეებში“ ხომ სულ ახალგაზრდამ შეასრულა მოხუცის როლი და მერე როგორ!

საოცარი მიბამვის ნიჭი ჰქონდა; ერთხელ 5 პერსონაჟის როლი გაახმოვანა და ეს კადრი შევიდა კიდეც ფილმში.

გვახსოვს საბავშვი ანიმაციური ანუ მულტფილმებიც: „კომბლე“, „კოჯორის ტყის სიზმრები“, „ჯადოსნური კვერცხი“ და სხვა.

ასევე სულ ახალგაზრდამ არაჩვეულებრივად შეასრულა დევის გამზრდელის — მოხუცი ქასიკოს — როლი „ჭინჭრაქაბიში“ (1963). ამასთან, როგორ გვატყობობდა თავისი ლამაზი არაჩვეულებრივი ვოკალით?! რა ლალი და უშუალო, ბუნებრივი და კვიმატი იყო სცენაზე?!

2006 წელი... რამაზ ჩხილები უკანასკნელად ითამაშა რუსთაველის თეატრში. ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეში“ ისე გააოცა მაყურებელი... ისევ მხურვალედ ქუხდა ტაში, ისევ ისმოდა „ბრავო! ბრავო!“ აღფრთოვანებული მაყურებელი ქედს უხრიდა უკვე 609-ეჯერ განსახიერებულ აზდაქს... ალსანიშნავია, რომ ეს სპექტაკლი მსახიობის დაბადებიდან 78 წლის იუბილესა და მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნას მიეძღვნა.

რამაზ ჩხილები იყო არაჩვეულებრივი ადამიანი: ზნეკეთოლი, უბრალო, თავაზიანი, მეგობრული, გულუხვი, მოყვასის მოყვარული, შესწევდა ამაღლებული ურთიერთობა, მეგობრის დახმარება, დაცვა... ჭეშმარიტი ქართველი იყო, მოქეიფე, ლალი, ზღვარდაუდებელი იუმორით... ლხინის უბადლო მოთავე...

ახლა როგორი თამადობა შეეძლო? სუფრაზე დღესასწაულს მართავდა, მასურობი, ამაღლებული განწყობა, სიცოცხლის ხალის შემოქმედა, საოცრად მზაარული პაროვნება იყო, შეეძლო, ბედნიერება მიენიჭებინა ადამიანებისათვის და ანიჭებდა კიდეც.

შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ რამაზ ჩხილები „ოსკარის“ პრემიასაც იმსახურებდა და პრიზსაც.

სიცოცხლის ბოლოს მსახიობმა ითამაშა „საკუთარი სიკედილი“ ცნობილი რეჟისორის ნანა ჯორჯაძის ფილმში „მეტეორიდიოტი“ — ბაბუა გიორგის როლში.

ეს როლი მისთვის გედის სიმღერა აღმოჩნდა.

რამაზ ჩხილების გარდაცვალებამ დიდი რეზონანსი, განუზომელი სულიერი ტკივილი გამოიწვია საქართველოში.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მსახიობის ოჯახს გაუგზავნა სამღლოვარი დეპეშა, რომელშიც წერდა: „დიდ მწუხარებას გამოვთქვამ გენიალური ქართველი მსახიობის, შემოქმედის რამაზ ჩხილების გარდაცვალების გამო.“

ბატონი რამაზი — ქართული კინოსა და თეატრის გამორჩეული, დიდი ვარსკვლავი და მთელი ეპოქის შემქმნელი იყო. მისი განუმეორებული ნიჭი, თვითმეტყვადი და აღტეჭდილი და გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობა, რომელზეც თაობები აღიზარდა, მუდამ დარჩება მაყურებლის მეხსიერებაში.

...ასეთი ქართველები, მართლაც, საუკუნეში ერთხელ იპადებიან“.

რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალური ქსელის „ფეხის ბუკას“ პირად გვერდზე ასე გამოეხმაურა დიდი აქტივორის ამ-ქვეყნიდან წასვლას: „გარდაიცვალა უდიდესი ქართველი მსახიობი, რუსთაველის თეატრის მშვენება და ბურჯი... რამაზ

ჩხიკვაძე რომ არა, ვერცერთი ჩემი სპექტაკლი ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა. რამაზის ნიჭი ყველგან იფრევეოდა“.

ქართველი ხელოვანი აღნიშნავენ, რომ რამაზ ჩხიკვაძემ შექმნა მთელი ეპოქა. მან ზღვა სიხარული და ბედნიერი წუთი აჩიქა რუსთაველის თეატრის ერთგულ მაყურებელს. მსახიობმა ჯემალ დაღანიძემ გაიხსენა, რომ ინგლისში რამაზ ჩხიკვაძეს „კავკასიელი ოლივი“ უწოდეს, რითაც იგი ცნობილ ინგლისელ კინოვარსკვლავს ლოურენს ლოივის შეადარეს.

ცნობილმა რეჟისორმა რევაზ ჩხიერიშვილმა რამაზ ჩხიკვაძე ქართულ თეატრალურ და კინოსივრცეში მოვლენას შეადარა და უსაზღვრო გულისტკივილით განაცხადა, რომ ეს გენიოსი ქართულ კულტურას უზომოდ დაკალიდება, რადგან მასთან ერთად გარდაიკვლა მსახიობის მიერ შესრულებული როლებიც.

ბრწყინვალე კომპოზიტორმა გია ყაჩჩელმა დიდი სინა-ნული გამოითქვა რამაზ ჩხიკვაძის არა მარტო როგორც დიდი მსახიობის, არამედ როგორც დიდი მუსიკოსის დაკარგვის გამო.

რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავაშ ქართული სცენის ჯადოქრის გარდაცვალება აღიქვა, როგორც დიდი ფენომენის დანაკლისი, ხოლო მსახიობმა კახი კავაძემ რამაზ ჩხიკვაძის გარდაცვალებით ქართულ თეატრში ეპოქის დასრულება აუზყა მთელ საზოგადოებას.

„ქართულმა თეატრმა დაკარგა გენიალური არტისტების უკანას ენელი მოპიკინი. ჩემი აზრით, იგი იყო ყველაზე დიდი ქართველი მსახიობი, ვინც კი სცენაზე მინახავს“, — წერდა რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი.

„რამაზი ნამდვილად საოცრება იყო და ამ სიტყვებში იოტისოდენაც კი არაფერია გადაჭარბებული“, — აღნიშნა მსახიობმა გივი ბერიკაშვილმა.

22 ოქტომბერი.

შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ნახევრად განათებული დარბაზი... სცენაზე დასვენებულია ყვავილებში ჩაფლული დიდი მსახიობის სასახლე... დადუმებულა ხელოვანი... ვინ იცის, რამდენი სიხარული მიუნიჭებია მას ამ სცენიდან მაყურებლისთვის... ლიცლიცებენ სანთლები... მთელ თეატრში რამაზ ჩხიკვაძის კოსტიუმებია გამოფენილი. აგრეთვე — ფოტოები სპექტაკლებიდან, კინოფილმებიდან... ულერს მსახიობის მიერ შესრულებული სიმღერები, ეკრაზე ერთმანეთს ცვლის როლები სპექტაკლებიდან, კინოფილმებიდან... ჩვენს თვალინი კიდევ ერთხელ გაიღვებს კალეიდოსკოპივით რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედება, მეხსიერებაში ცოცხლდება სამარადისოდ ალბერტილი თეატრსა და კინოში განსახირებული პერსონაჟები.

ლეანდროს, აკოფას, ბერები მეზურინის, ქოსიკოს, შოშიას სიმღერებს ენაცვლება ბრწყინვალედ შესრულებული რომანსები „შავი თვალები“, „ნაზი ბულბული“, „ნეროები“...

ხალხი მოდის უწყვეტ ნაკადად. ისევ ვისმენთ აზდაკის მონოლოგს, კვლავ ვიზიარებთ მეფე ლირის უსაზღვრო კაეშანს, სულიერ ჭმუნვა-მწუხარებას.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა.

განუზომელი ტკივილი გამოსჭვივის გამომსვლელთა სიტყვებში.

რეჟისორ გოგი ქავთარაძის შეფასებით, რამაზ ჩხიკვაძე იყო უბრნებინვალესი შემოქმედი, გამორჩეული — თავისი ვირტუოზული ხელოვნებით, უჩვეულოდ მომხიბლავი იუმორით,

გვერდში ამოდგომით. რამაზი იყო განუმეორებელი შემოქმედი. ჩვენ ქედი უნდა მოვიხილოთ მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

შთამბეჭდავი იყო თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძის გამოსვლა: „რამაზ ჩხიკვაძეში იდეალურად იყო შერწყმული სილამაზე, უსაზღვრო ენერგია, უდიდესი ტალანტი, სიკანსალე. მან თავის გმირებს დიდი კომპოზიტორის მოცარტის მუსიკის სიმსუბუქე შესძინა. დოდო ალექსიძის „ფიგაროს ქორნინებაში“ იყო ისეთი სილადე, სიკისკასე, რამაზი ნამდვილ ზემის ქმნიდა სცენაზე... მიხეილ თუმანიშვილის „ესპანელ მღვდელში“ რამაზის ლეანდრო იყო ისეთი მუსიკალური, პლასტიკური, გროტესკული, გარდასახვა იყო ისეთი ძლიერი, რომ რობერტ სტურუა ამბობდა — აი, სწორედ აქედან იწყება რამაზი.

ჭეშმარიტად ბედნიერი იყო რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის იშვიათი ტანდემი. რობერტ სტურუამ შექმნა ახალი თეატრი, ახალი ესთეტიკა, ახალი ეპოქა. რამაზი იყო მსოფლიო მსახიობი. რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის საუცხოო ტანდემის ნებალობით შეიქმნა რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედების გვირგვინი — აზდაკის როლი „კავკასიური ცარცის წერეში“ (1975) და რიჩარდ მესამე („რიჩარდ მესამე“, 1979). აზდაკი იყო თეატრის საოცრება. ასევე ბრწყინვალედ განსახიერებული რიჩარდ მესამის პერსონაჟი და შესანიშნავად შესრულებული, ფიქოლოგიური სილრმით ალსახესე როლი მეფე ლირისა“.

გამოჩენილმა მსახიობმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა განაცხადა: „რამაზის თამაშის ცეკვით ვერ ვძლებოდ. რამაზის ყვარყვარეში ჩატარი ყველა დიქტატორი. ასეთი პიესა შექმნა პოლიკარპე კაკაბექმ, ყველა დროისათვის აქტიური, ყველელთვის თანამედროვე.“

„კავკასიური ცარცის წერე“ და „რიჩარდ მესამე“ ვერ ჩატარი ჩვენი ქვეყნის ფარგლებში. იმდენად გენიალური სპექტაკლები იყო, რომ გასცდა საქართველოს საზღვრებს. დიდებულმა, ულამაზესმა ქალბატონმა ნატაშა ჩხიკვაძემ — მეცნიერ-მუშაქმა და საზოგადო მოღვაწემ (რომელმაც ითამაშა ფილმში „ყვავილი თოვლზე“) ღირსეული, იშვიათი მეუღლეობა გაუწია რამაზი.

სცენაზე წაკითხულ იქნა მრავალი ქვეყნიდან მიღებული დეპეშები.

ტაშის გრაიალით გამოეთხოვნენ დარბაზში შეერგებილი თაყვანისმცემლები თავისი სასიქადულო, გამორჩეულად საყვარელ მსახიობს...

ათასობით ადამიანი იდგა რუსთაველის გამზირზე... ქუჩა გადაიკეტა... სამგლოვიარო პროცესია ფეხით გაემართა დიდუბის პანთეონისაკერა...

განუმეორებელი მსახიობი ქალაქური პანგების ფონზე დაკრძალეს საყვარელი მეფელდილი გვერდით.

მუდამ იარსებებს საქართველოს და, ვიდრე იარსებებს საქართველო, იარსებებს ქართული თეატრი, იარსებებს ქართული გენი და მოდგმა, ძარღვანი და მადლიანი, კეთილი და ღრმააზროვანი, ღირსეული და ლამაზი, ტკილებმოვანი და ძლევამოსილი ქართული სიტყვა, — რამაზ ჩხიკვაძის სახელს დავიწყება არ უნერია!

P.S. რამაზ ჩხიკვაძის დაბადებიდან 84 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, 28 თებერვალს ძეგლს დაუდგამენ ლეგენდარული მსახიობის ასევე ლეგენდარულ აზდაკს (ავტორი ზურაბ წერეთელი). ეს იქნება ჩვენი დიდებული შემოქმედის „ქვაში გადასული უკვდავება“.

გურამ ყორანაშვილი

ფრიად საჭირო მონოგრაფია

საბჭოური პერიოდის მანძილზე ჩვენში ბოგინობდა შეხედულება, რომლის თანახმადაც ივანე ჯავახიშვილის ისტორიული შემოქმედების შემდგომ, ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმზე დაყრდნობით, ქართული ისტორიოგრაფია (საისტორიო მეცნიერება) უფრო მაღალ ეტაპზე ავიდა, რითაც თითქოს დიდად გაუსწორო დასავლეთის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას. სამწუხაროდ, ამ მითისა სჯეროდა ისტორიკოსთა უმრავლეობასაც. მაგრამ უახლესი ისტორიის მსვლელობამ საბჭოური სოციალიზმის კრახთან ერთად აჩვენა ამგვარი შეხედულების სიყალბეჭ. ასე რომ, ახლა მნარე სინამდვილის წინაშე ვდგავირთ.

რასაკვირველია, თვით საბჭოურ სინამდვილეშიც კი ქართულმა ისტორიოგრაფიმ გარკვეული პროგრესს განიცადა. მაგრამ ეს იყო განვითარება რაოდენობრივი თვალსაზრისით. თითქოს განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სიტუაცია რადიკალურად უნდა შეცვლილიყო. ფაქტია, რომ კვლავაც მოწმენი ვართ აღნიშნული ტენდენციისა.

ჩვენი ისტორიოგრაფია რომ თვისებრივი აზრით განვითარდეს, ამისათვის საჭიროა ისტორიის თეორიის — ისტორიის ფილოსოფიის, მეთოდოლოგიის სათანადო დონეზე დამუშავება, დასავლეთში (აგრეთვე რუსეთში) არსებულ საისტორიო მიმართულებათა, სკოლათა მიღწევების ათვისება. ამ თვალსაზრისით საინტერესო წიგნი გახლავთ პროფ. მერაბ კალანდაძის „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“, რომელიც წელს დაისტაბა გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ. საცხეშით ვიზიარებთ ავტორისეულ მთავარ პათოსს: „პროფესიონალი ისტორიკოსის ჩამოყალიბების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიის თეორიული საკითხების, ისტორიოგრაფიის, ისტორიის ფილოსოფიის, ისტორიის მეთოდოლოგიის სწავლებას. ფაქტობრივად ამით სრულდება ახალგაზრდა ისტორიკოსის პროფესიული დაოსტატების შენობის გადახურვა“ (გვ. 284).

სარეცენზიონ ნაშრომი არაა ვიწრო ხსიათისა, რაც თითქოს სათაურში იგულისხმება. ჯერ ერთი, ავტორი შორს დგას საბჭოური ყაიდის ისტორიკოსთა მიდგომისა-გან, რის მიხედვითაც ისტორიოგრაფია უმთავრესად წარმოადგენდა ცალკეულ ისტორიკოსთა ნაშრომების შინაარსის, დებულებების გადმოცემას. პროფ. მერაბ კალანდაძის სწორი მოსაზრებით, მსგავსი ნაშრომები უნდა შეიქმნას ავტორთა ისტორიულ-ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური პოზიციის ჩვენებით. მეტიც, მისივე აღიარებით, „ისტორიის ფილოსოფია, ისტორიის მეთოდოლოგიასთან ერთად

ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ“ (გვ. 91, აგრეთვე გვ. 275). შესაბამისად ამისა, წიგნში საკმაოდ არის წარმოდგენილი თვით ისტორიოგრაფიისა და მეთოდოლოგიის არსი.


მისასალმებელია, რომ ავტორმა მთლიანობაში კარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანას. მან საკმაოდ ფართოდ განიხილა დასავლური ისტორიოგრაფიული მიმდინარეობანი, სკოლები. გამოყენებული აქცევა მრავალი შესაბამისი ხასიათის ნაშრომი. თუმცა ამასთანავე ხაზგასმულია ობიექტური სიძნელეც — ასეთი ნაშრომების ნაკლებობა საქართველოში. წიგნში ნაჩვენებია ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიციაც, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის (რომელსაც ავტორი ყოველთვის „დიდის“ ეპითეტით მოიხსენიებს) შესაბამისი ღვიძლი. წიგნში ვაითხულობთ: „ქართულ რეალობაში ეკროპული ისტორიის მიღწევებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია აკაკდ. ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება. შემდგომ პერიოდში, ცნობილ მიზეზთა გამო, ეს ხაზი სათანადოდ ვერ განვითარდა. დღეს ქართული ისტორიოგრაფიაში ადგილი აქცევა მისი რეანიმაციის მცდელობას“ (გვ. 179-180).

არაა დავიწყებული შემდეგი გარემოებაც: „დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხების

ქართველი ისტორიკოსების დაინტერესების მშვერვალს წარმოადგენს პროფ. გივი კილურაძის წიგნი „ახალი ისტორია“. ეს იყო აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი და ეს წიგნი იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს“ (გვ. 277, იხ. აგრეთვე, გვ. 306). დიდად ეთიკურია ავტორისეული განცხადებაც, რომ სარეცენზიონი წიგნი „პირველ ყოვლისა, პროფ. გივი კილურაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკურ ძედეგად გვევლინება“ (გვ. 3).

წიგნში აღნიშნულია: „ჩვენი ლრმა რჩებით, ისტორიის მეთოდოლოგიის და ისტორიის ფილოსოფიის პრობლემების დამუშავება უნინარესად ისტორიკოსების საქმეა. ამ სფეროში პრიორიტეტის დაბრუნება ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად უნდა დავსხოთ“ (გვ. 186-87). ესეც ბატონ გივი კილურაძის მრნამსი გახლავთ და კარგია, რომ ჩვენი ავტორი ამ აზრს ადგას.

რაკვ სიტყვამ მოიტანა, აქცევად ვერებნოთ ივანე ჯავახიშვალის საისტორიო შემოქმედების ავტორისეულ შეფასებას. იგი წერს: „ჩვენ ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც უფრო იმ აზრისკენ ვიხებით, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის სახით საქმე გვაქვს რანგის მიმდევართან, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ კორიფესთან“ (გვ. 344). შეგახსენებთ, რომ როდესაც ჩვენი დიდი ისტორიკოსის განძიებას ცდილობდნენ, საბჭოური ყაიდის მეცნიერები (უნინ რომ ვაი-მეცნიერებს იტყოდნენ) მას რიკერტიანელად მოიხსენიებდნენ. თუმცა, რასაკვირველია, ამაში ცუდი არაფერია, პირიქით — დადებითი შეფასება იგულისმება, მაგრამ იმ შავბნელ ისტორიულ ვითარებაში მსგავსი რამ უარყოფითად აღიქმებოდა. ამ საკითხზე სპეციალუ-



რად ჩერდება წიგნის ავტორიც (გვ. 352-53). მართლაც, ივანე ჯავახიშვილი, როგორც ისტორიკოსში შეიძლება დავინახოთ პოზიტივისტიც და რიკერტიანელიც. თვითონ ჩვენს დიდ ისტორიკოსს ჩაფიქრებული ჰქონდა ისტორიის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის სპეციალურად, ცალკე წიგნის სახით, განხილვა, რაც, დიდად სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამოისობით, მან ეს უკრ განახორციელა. ამით ჩვენ დავკარგეთ შანსი დასმული საკითხის სრული ნათელყოფისა.

ავტორი ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული შემოქმედების პარალელურად განიხილავს ისტორიკოს გრიგოლ ნათაძის თეორიულ ნაზრევსაც. იგი სწორად დაასკვინის, რომ უკანასკელი ეკონომიკური მატერიალიზმის მიმდევარი გახლდათ და ამ პოზიტივიდან ცდილობდა მარქსიზმზე გადასვლას. პროფ. გრიგოლ ნათაძის წიგნი „ისტორიის მეთოდოლოგიის და მეთოდიების საკითხები“ გამოქვეყნდა 1931 წელს, მეორე ნაწილის გამოცემა კი ვეღარ განხორციელდა. ეს საერთო ისტორიული, კერძოდ იდეური, ვითარების გამოხატულება იყო.

წიგნში ვკითხულობთ: „XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მცველთა და იგრძნობა ამ თემატიკით ინტერესის დაქვეითება, რაც უძირველესად იმით აიხსნებოდა, რომ მოხდე ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, ფაქტობრივად ისტორიის ფილოსოფიას, მეთოდოლოგიას ჩამოართვეს მოქალაქეობის უფლება, ის ჩაანაცვლა ისტორიულმა მატერიალიზმა“ (გვ. 285, აგრეთვე გვ. 302). ამიერიდან „ტოტალიტარულ-ბოლშევიკურ სახელმწიფოში „განსხვავებული აზრი იდევნებოდა, სასტიკად ითარგმნებოდა — მოაზროვნე ისტორიკოსი არავას არ ჭირდებოდა. გაჩნდა მოთხოვნილება დოგმატიკის ისტორიკოსზე. მეცნიერულ გამოკვლევებში ფართოდ მოიკიდა ფეხი ციტატომანიამ, სადაც საკუთარი აზრი არსად არ ჭაჭანებდა“ (გვ. 297). ცხადია, რომ „ქართული ისტორიოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა საპქოთა იდეოლოგიის მძღვანილობის ქვეშ და XX საუკუნის ევროპულ-ამერიკულ ისტორიულ აზროვნებაში მიმდინარე პროცესებსა და სიახლეებზე არსებითად მცდარად იყო ინფორმირებული“ (გვ. 188).

მაგრამ ოდენ თბიექტურ გარემოებებზე ნუ შევჩერდებით. სურვილის შემთხვევები ქართველ ისტორიკოსებს პიზანტიული კოლეგა პროფესიი კესარიელის დარად შეეძლოთ თავიანთოვის, მომავალში გამოსაქვეყნებლად, დაეფიქსირებინათ ისტორიული მოვლენების საკუთარი, ოფიციალური იდეოლოგიისაგან განსხვავებული, ხედვები, მათ შორის ისტორიის სფეროში. მით უმეტეს, რომ სკაპ XX ყრილობის შემდგომ, ი. სტალინის ოფიციალური კრიტიკის კვალობაზე, აღნიშნული თვალსაზრისით რაღაც შეიცვალა, რის შანსიც კერძოდ რუსულმა ისტორიოგრაფიაშ შეძლებისდაგვარად გამოიყენა. ამ მხრივ მათ მიერ უფრო მეტი გაკეთდა 1960-იან წლებში. სამწუხარო ფაქტია, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ სათანადოდ ვერ აუბა მხარი რუსულსაც კი.

საერთოდ, საბჭოური სისტემის კრაშმა განაპირობა კერძოდ შესაბამისი ისტორიოგრაფიის კრიზისიც, რამაც, ავტორის მიხედვით, ლეტალური (სასიკვდილო) ხასიათი მიიღო (გვ. 159). აედან იღებს სათავეს ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი კრიზისიც (გვ. 221).

კარგია, რომ წიგნის ავტორის კრიტიკული პათოსი ამ საკითხზე შეჩერდა. წიგნში ვკითხულობთ: „მაგრამ რამდე-

ნად ხდება რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადაზრდა ძნელი სათქმელია. ის საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს და საჭიროა აუჩქაროთ (!) ნაბიჯს, რათა არ ჩამოვრჩეთ“ (გვ. 276, აგრეთვე გვ. 280, 368). 311-ე გვერდზე კი აღნიშნულია: „დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ ზოგიერთი ისტორიკოსის ნაშრომი ძალიან სუსტია და ისტორიის თეორიულ საკითხებთან ამაռდ შეჭიდების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად გვევლინება“.

სარეცენზიონი წიგნის დიდი ნაწილი ეთმობა ნეოკანტიანურ ისტორიოგრაფია-მეთოდოლოგიისა და ფრანგული „ანალების სკოლის“ განხილვას. ამათგან პირველი საკითხის თაობაზე ქართულ სინამდვილეში, ფილოსოფოსების წყალობით, რაღაც იყო ნათქვამი. მაგრამ ისტორიკოსთაგან დიდი ხნის განმავლობაში ამ მხრივ არაფერი არ ისმოდა. პროფ. მერაბ კალანდაძე (პროფ. ფარნაოზ ლომაშვილთან ერთად) ერთ-ერთი პირველია, ვინც ეს დუმლი დაარღვაო. ხოლო „ანალების სკოლის“ შესახებ ჩვენში ყველაზე ფართოდ სწორედ სარეცენზიონი წიგნშია საუბარი (ლირს შესენებად, რომ რუსულ ისტორიოგრაფიაში ეს გაკეთდა 1980 წელს, იური აფანასიევის მონოგრაფიის სახით „ისტორიზმი ეკლექტიკის წინააღმდეგ, „ანალების“ საისტორიო სკოლა თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში“).

ავტორის შეხედულებით, ორივე საისტორიო მიმართულება „XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპული ისტორიული აზროვნების ორი თვალშეუვლებელი სიმალეა, მწვერვალია“ (გვ. 84). თუ „ნეოკანტიანელებმა გრანდიოზული გადატრიალება მოახდინეს ეპისტემოლოგიის სფეროში“ (გვ. 60), ავტორის მიხედვით, „ანალების სკოლამ“ გააკეთა ისტორიული ყოფიერების კონკრეტული საკითხების დამუშავებისას. თუმცა „პრობლემის ონტოლოგიური მხარისადმი შედარებით გულგრილი დამოკიდებულება ნეოკანტიანელების შეხედულებების აქილევსის ქუსლია“ (გვ. 156); „ფრანგი ისტორიკოსები (იგულისხმებიან ანალისტები — გ. ყ.) შედარებით გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებნ ისტორიის ფილოსოფიისადმი და, როგორც თვითონ უყვარდათ თქმა, ეს თემატიკა მათ ნაკლებად „იზიდავდათ“ (გვ. 320). ასე რომ, ამთავითვე ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, თუ რატომ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ თოთოეულ ამ მიმდინარეობათაგანს ორივე სფერო მოეცვა.

დაისმის მეორე კითხვაც. ისტორიის ეკონომიკური და სოციალური (სოციალური სტრუქტურის მნიშვნელობით) მხარეების კვლევა-ძებია, როგორც ცნობილია, წინ წმოსნიერის მარქსიზმის (ავთენტური) კლასიკოსებმა. მაშარა რა განსხვავებულობა მათსა და ანალისტებს (ვიმბართ ამ გამოთქმას) შორის? აღვნიშნავთ იმასაც, რომ კერძოდ ეკონომიკური საკითხების შესავლის საჭიროების ხაზგასმას საქართველოს ისტორიის მაგალითზე ჩვენს სინამდვილეში ადგილი ჰქონდა მარქსიზმისაგან დამოუკიდებლად — დიმიტრი ბაქრაძის, ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის მიერ. ამ მიმართულებით ბევრი რამ გააკეთა ივანე ჯავახიშვილმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ტრადიცია გაგრძელებულ იქნა საბჭოური ხანის ქართულ ისტორიკოგრაფიაშიც.

რასაკვირველია, „ანალების“ სკოლის ისტორიოგრაფიული დამსახურების ხაზგასმა აუცილებელია, მაგრამ მაინც გაზიარდებული გვეჩვენება ამ მიმართულებით მიერ მოხდენილი „გრანდიოზული გადატრიალება ისტორიულ მეცნიერებაში“ (იხ. წიგნის მეორე კარის მეორე თავი, გვ.

144-163; აგრეთვე მესამე თავი (გვ. 188-231). სხვაგან ამ ვითარების შესაფასებლად ავტორი ხმარობს გამოთქმას — „კოპერნიკისეული გადატრიალება“ ისტორიკოსის პროფესიაში (მიაქციეთ ყურადღება წინწელების ხმარებას).

აღნიშნულის ფონზე როგორ გავიგოთ ის გარემოება, რომ უახლესი ისტორიოგრაფიის „ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიჩია მეცნიერული სკოლების საერთო დონის დაქვეითება და ისტორიული გამოკვლევების ინდივიდუალიზაცია. ამას აქვს თავისი პლუსებიც და მინუსებიც“ (გვ. 64; იხ. აგრეთვე გვ. 86, 113). თუ ასეა, მაშინ როგორ გავიგოთ „ანალების“ სკოლის დღეგანდელი მდგომარეობა?

ავტორის მიმართ ჩვენი მთავარი შესიტყვება მაინც შემდეგში მდგომარეობს. ფაქტია, რომ ისტორიის გაგების (როგორც შესაბამისი ყოფიერების, ისე შემცენების) საკითხში გვერდს ვერ ავულით ჰეგელიანურ-მარქსისტულ ტრადიციას. ამას თვითონ ავტორიც გახაზავს (გვ. 279). 99-ე გვერდზე აღნიშნულია: „ისტორიის ფილოსოფიის კონცეფცია თავის დასრულებულ სახეს იღებს ჰეგელის თხზულებაში, „ისტორიის ფილოსოფია“. ავტორი ლაპარაკობს ჰეგელსა და მარქსზე, როგორც პანლოგიზმის „თვალსაჩინი ნარმობადგენლებზე“ (გვ. 147-48). ამდენად, პრობლემა უთუოდ იმსახურებდა იმას, რომ მისადმი ცალკე თავი ყოფილყო მიძღვნილი. სარეცენზიონი წიგნში კი ამას ვერ ვხედავთ.

ავტორი აღნიშნავს: „მისი (პანლოგიზმის — გ.ყ.) მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ სამყაროს ობიექტური შემცნების გზაზე არანაირი დაბრკოლება არ არსებობს და ამიტომ ფილოსოფოს და მეცნიერს გააჩნია სამყაროს ადეკვატური აღქმის უნარი“ (გვ. 148). თუ ასეა, მშინ პანლოგისტები ყოფილან კერძოდ საბჭოთა ისტორიკოსებიც, რომელთა მცდელობები „ლეტალური კრიზისით“ დამთავრდა. მაგრამ მათგან განსხვავებით ხომ აღნიშნული ორი ფილოსოფოსის აზროვნება დიალექტიკას ეფუძნებოდა (ცხადია, არა იმ ფორმით საბჭოთა კავშირში რომ არსებოდა). გარდა ამისა, ხომ გვაქვს საქმე ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიასთან“, კ. მარქსის (ასევე ფ. ენგელსის) შესაბამის ნააზრეთან, რომელთაც საბჭოურ პერიოდში პრიმიტულად, გავულებარებული სახით ნარმობიდენდნენ.

308-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ავთენტურ მარქსიზმს გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. განსაკუთრებით მოიკოჭებს მისი ისტორიის ფილოსოფია“. მაგრამ ამ ლიტონი განცხადების იქთ წიგნის ავტორი არ მიდის. განა მარქსიზმის კლასიკოსები დამნაშავენი იყვნენ იმაში, რომ „მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია“ და ა.შ. (იხ. ზემოთ). არასწორია თქმა იმისა, რომ მარქსიზმი უარყოფდა ფაქტებს, რომლებიც არ ჯდებოდნენ წინასწარ შექმნილ სექტემბში (გვ. 117).

მარქსიზმის ერთ-ერთ დიდ ნაკლოვანებად ავტორი მიიჩნევს ეკონომიკურ-საზოგადოებრივი ფორმაციების სქემას, რომელსაც საბჭოთა ისტორიკოსები ისევე არგებდნენ ისტორიულ სინამდვილეს, როგორც პროკრუსტე თავის მსხვერპლს — თავის სარეცელს. მაგრამ ამაში რომ მარქსიზმის კლასიკოსები დამნაშავენი არ იყენენ, ეს დაამტკიცა აღნიშნულ საკითხზე ფართოდ გაშლილმა დისკუსიებმა როგორც დასავლეთში, ისე საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც. ასე რომ, გაუგებრობად ვთვლით ავტორის აგრესიულ გამონათქვამს: „ახალგაზრდა ისტორიკო-

სების თავები ყველაზე უფრო ნაკლებადაა დანაგვიანებული (სიც!) მარქსიზმით“ (გვ. 161).

წიგნში ავტორი მწვავედ უპირისპირდება ფილოსოფოს ედუარდ კოდუას. რა თქმა უნდა, თავის დროზე, 1966 წლიდან მოყოლებული, ისტორიოსოფიის საკითხების რეანიმაციით უკანასკნელმა სასარგებლო საქმე გააკეთა და ამას წიგნის ავტორიც აღნიშნავს. მაგრამ ამ ფილოსოფოსის ამბიცია ისტორიის ფილოსოფიის მაღალი განვითარების თაობაზე, ავტორის სწორი შეხედულებით, უსაფუძვლო გახლდათ. ისე, საერთოდ თუ ფილოსოფოს სურს სერიოზული სიტყვა თქვას ამ მიმართულებით, და იგი გაისარჯოს ისტორიის, განსაკუთრებით მსოფლიოს მასშტაბით, შესწავლით.

სარეცენზიონი ნაშრომის მიმართ გვაქვს შედარებით უმნიშვნელო ხასიათის შენიშვნებიც. ძველბერძნულ ისტორიოგრაფიაზე თხრობისას ჰეროდოტესა და თუეიდიფესთან ერთად უპრიანი იქნებოდა პოლიბიოსზე და პლუტარქოსზე მსჯელობაც. აღმოსავლური ისტორიოგრაფიის შესახებ თხრობისას წიგნში მხოლოდ არაბულ ისტორიოგრაფიაზე არის გამახვილებული ყურადღება, არაფერია ნათევამი კერძოდ ინდურ და ჩინურ ისტორიოგრაფიაზე. გაზიადებულია ვოლტერის ერთი ნათევამის მნიშვნელობა თავის თავის ნარმოსაჩინად (გვ. 33). თუ ერთი მხრივ სქლოიო პირველად გაჩნდა ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიაში (გვ. 54, აგრეთვე გვ. 77), მეორე მხრივ იგი გაჩენილა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე (გვ. 61).

მარკ ბლოკის „ისტორიის აპოლოგიის“ ქართული თარგმანი უკვე გვაქვს, რაც ავტორს, ჩანს, გამორჩა (გვ. 221). იგრვე ითქმის ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიის“ ქართულ თარგმანზეც (გვ. 16, 88). უხერხელია არა თუ მაქს ვებერის, არამედ პაულ ბარტის მკვლევრად გამოცხადება (გვ. 137). საერთოდ ენობრივად გამართულ წიგნში ყურს ხვდება „სჯერავთ“ (გვ. 206), „საკვლეო“ (გვ. 115). ცხადია, რუსული კალკია „პერეორიენტაცია“ (გვ. 234). რამდენჯერმე (გვ. 77, 80, 97, 111) არის ნახმარი სიტყვა „სარწმუნოება“ სარწმუნოობის აზრით.

წიგნში აქა-იქ გვხვდება უფრო წვრილმანი ფაქტობრივი და ენობრივი ხასიათის შეცდომებიც. 52-ე გვერდზე გამოჩენილი არაბი ისტორიკოს მოხსენიებულია „იბნ-ხალდუნის“ ფორმით (უდა იყოს იბნ ხალდუნი). ინგლისელი ისტორიკოსი ლუის ნემირა (ამიერ) ნახსენებია ნემერის სახით (გვ. 86), ბულგარელი ირიბაჯაკოვის სახელი ნიკოლათი (ფრანგული ფორმით) ფიგურირებს (გვ. 91), რუსი ვლადიმერ დიაკოვი „დიაკონოვის“ გვარ-სახელით (გვ. 100, 323), ჰაინრიხ რიკერტი — ჰაინსის სახელით (გვ. 135, 146, 153). 209-ე გვერდზე ორჯერ გვხვდება სიტყვა „მონასტრული“ მონისტურის მაგიერ. რობერტ ვინერის ნაცვლად (გვ. 323) უნდა იყოს გვარ-სახელი ვაპერი. 332-ე გვერდზე ერთდროულად ფიგურირებს „სუპერკრიტიკული“ და „ჰიპერკრიტიკული“, 337-ე გვერდზე — „ათროპირებული“ ატროფირებულის ნაცვლად.

მიუხედავად წიგნის მიმართ გამოთქმული შენიშვნებისა, უყოყმანიდ დავძინთ, რომ პროფ. მერაბ კალანდაძის „ისტორიოგრაფიული ეტიუდები“ საინტერესო წიგნია. იგი, რომ იტყვიან, მისწოდება არა მხოლოდ სტუდენტ-ისტორიკოს-თათვის, არამედ ხანდაზმული ისტორიკოსებისთვისაც და საერთოდ წიგნიერ ადამინისტატორის, რომელთაც სურთ სერიოზული წარმოდგენა ჰქონდეთ ისტორიის მუზის საუფლოზე.

ფრიდეშ კარინტი

ორ ტაეპს შორის

მან ესროლა ხელთათმანი სახეში,
მე წყალობა არ მჭირდება თქვენიო.
ფრიდრიხ შილერი „ხელთათმანი“

და, აი, აქ გახლავართ. სისხლის მძიმე და ცხელი ტალღა, წამის წინათ რომ საფეთქლებში მცემდა, უცრად უკუიქცა და ახლა აღბათ ძალზე გაფითრებული უნდა გამოვიყურებული. მართლაც და-მშვიდებული ვარ, რადგანაც მზე-რა მგონი ნათელი და არაჩეულებრივად მახვილი უნდა მეონ-დეს. ორი წამი სამ ნაწილად უნდა გავყო: შევიდე წრეში, ნელა და თავდაჯერებით, პირველი ვეფხვისგან ცოტა მარცხნივ და ლომთან ახლოს — შემდევ ნარნარად და ბუნებრივად დავიხარო, ორი თითოთ ავილო ხელთათმანი — მერე შემოვტრიალდე და ისეთივე ნაბიჯებით — ო, ეს ყველაზე მთავარი! — ზუსტად ისეთივე ნაბიჯით დავბრუნდე გისოსთან.

მე ვხედავ და სავსებითაც დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ხელს არ მახლებენ. ლომის ყვითელი და გაბურძგნული თავი სულ ახლოა: წირპლინი თვალები მოუჭუტავს, წითერი დინგი დანაოჭებია. ისიც კი შემიძლია, ადგილიდანვე დავუთვალო ულვაშების ბეწვები. დიდი, ძონძროხა, მძიმე სუნის მხეცი. მშიერია, ო, რა მშეირია და უბედური — საცოდავი, საბალო, დამშეული ლომი! მე მსწავლობს. ერთი ნაბიჯი წინა ნაბიჯზე სწრაფად რომ გადავდგა, ერთი წამით იმაზე ადრე რომ შეებრუნდე, რაც საჭიროა, თმაზე ხელის ერთი გადასმა ან კოლოს ფრთის გაქნევაზე ნაკლებად შესამჩნევი კრთომა ქუთუთოსი და გაშლილი ზამბარის სისწრაფით მებდლენება კიდეც, წამში დამიქუცმაცებს თავის ქალას. მაგრამ ეს ხომ ვიცი და მეშმის. საწყალი, სულელო, სულელი ლომი!

მე მესმის ეს. წელ-წელა და მშვიდად ვიღებ ხელთათმანს და უნდა გავსწორდე ასევე მშვიდად, თან თვალი არ მოვაცილო არენის ქვიშას. ტყავის შავი ხელთათმანია, სამლილიანი. ხელთათმანო, გიცნიო მე შენ. ახლა, როცა წელში გავიმართები, შენი სურნელი მეცემა ცხვირში. მე ვცნობ ამ სურნელს. ეს უნდა დავიმახსოვრო.

ახლა ზურგშექცევით ვდგავარ მეორე ვეფხვისგან და ის მიყურებს. უნდა უფრო წელ-წელა წავიდე: მსუბუქად, უხმაუროდ, და ოდნავ შესამჩნევად შეინძრა ხავერდის ტორი, გაიღვეს აქატის პწკალებმა. ერთი რამე მნადია

ახლა: არ დაირღვეს ირგვლივ ეს მკვდრული, დათალხული სიჩუმე და არ დასცდეს კივილი მეხუთე ლოჟის მეორე იარუსზე მჯდარი ახალგაზრდა კატალონელი ქალიშვილის პირს, შიშის ზარისგან მოღრეცილს... არ წავიბორძინო ფეხქვეშ გამოდებულ პატარა ბორცვზე, მის უდიდებულესობას ხელიდან არ დაუვარდეს გაშმაგებით ჩაბლუჯული ხავერდის ფუნჯი... მაშინ წამში ვიქწები გისოსთან.

ნელა და წყნარად ავდივარ კიბეზე. გიუური შეძახილები, ალიაქოთი ირგვლივ. ყველას უნდა ვაგრძნობინო, რომ მშვიდად ვარ. ეს რაღა? დუმილი — ჩემში. ასე მგონია, სუნთქვა შევწყვიტე და ვეღარასოდეს ამოვისუნთქავ. რა კარგია! ეს დასვენებაა. ეს დამშვიდებაა. თანაც სამარადისო.

ისინი კი ყვირიან თოთხივ კუთხით. მე ვხედავ ნოტიო საფლავების მსგავს დალებულ პირებს, ვხედავ ჰაერის მპობელ ხელებს, მაგრამ არცერთი სიტყვა არ მესმის. სისხლი ისევ მომაწვა ღანვებზე და ეს კარგია. გზა მეორე იარუსის ლოჟებისკენ მიღევს. რა გრძელი გზაა. ჩაბლუჯული მაქეს ხელთათმანი და უაზრო გოდების შუაგულში მისი ჯადოსნური არომატი ნაღვლიან ტალღებად მელამუნება გულზე. იქ, მაღლა, ჭრელი და დაგრეხილი გორგლის შუაში მიცდის ქალი ნახევრად გახსნილი ბაგებით და აგზებული სახით — მასთან მიმაქვს ხელთათმანი.

მასთან მიმაქვს ხელთათმანი. მასაც იგივე სურნელი აქვს, რაც ამ ხელთათმანს, რა ნაზი, რა ტებილი! ამ არომატს მასუნთქებდნენ მისი ძერები, ასეთი სურნელი ჰქონდა მის თვალებს ნახევრად ჩაბრელებულ ოთახებში. რა ვენა ახლა? დავუჩრიო და ვემთხვიო შა-

ვი კაბის ბოლოზე და ავქვითინდე, არად ჩავაგდო ჭრელი და ბრიყვი ბრბო. თითქოსდა ჩეენ ორნი ვიყოთ მხოლოდ ამქეცნად, თუ უსიტყვოდ მიგანოდო, შავი ხელთათმანი, შავი დორშავ, შემდეგ კი დავბრუნდე გალიის ვეფხვებთან და მივწვევ... ვაკოცო ხელზე, ამ ხელთათმანის დამგდებ ხელზე ისე, როგორც ვკოცნიდ მას, მარტონი რომ ვისხედით ნახევრად ბნელ ლოჟაში დიდიხნის წინათ... ძალიან დიდიხნის წინათ... გუშინ. ნაზ, სურნელოვან ხელზე, ნაზ, სურნელოვან მუხლებზე, საოცარ მუხლებზე. ო, მოწყენილობავ! ო, მდუმარებავ!

რა შორს არის ახლა ის ყველაფერი. საიდან მოვედი?

ჩემი დაღუპვა უნდოდა. ეს ადრევე ვიცოდი და მაცინებდა. მას შეეძლო მოვეებალი თავისი სიყვარულით, შეეძლო მოვეგუდე, მოებჯინა მუხლები ყელზე. მაგრამ ასე არ სურდა. უნდოდა ენახა, როგორ ფლეთდნენ და ძიგნიდნენ მხეცები ჩემს ხორცს, როგორ მაყრევინებდნენ გულღვიძლს. ამის ხილვისას მსუბუქი ურჟოლა დაუვლიდა მის ვერაგ, შეამიან სხეულს... ბარძაყებს... რა სანახაობა იქნე-



მხატვარი ნუგზარ მემარიაშვილი

ბოდა... დაემხობოდა ჩემს დასისხლიანებულ და დაგლეჯილ გვამს, მოეხვეოდა და აქვითინდებოდა, დაიწყებდა ყვირილს, შეშლილის ყვირილს, რომ მე მისი გულისთვის გავირე თავი... ო, საძაგლობავ! ო, მონებილობავ!

მაგრამ რა ხდება? საიდანლაც მუსიკის ხმა ისმის. მე ჯერ კიდევ გზაში ვარ. ჰო, ჰო, ჩაეხვეოდა ჩემს სისხლიან სხეულს, სწორედ იმ სხეულს, რომელსაც ხელს ლალი სიცილით ჰქრავდა ხოლმე, ცოცხალი რომ იყო. უნდოდა მოვეკალი. უნდოდა ეფათურებინა თავისი მოუსვენარი, მტაცებლური ხელები ჩემს ბედილბალში, ჩემს ბედ-ილბალში, ჩემს ბედ-ილბალში, რომლის ხმაც ახლა ზღვის მოქცევის შორეულ მუსიკად ჩამესმის. უგუნური ქმნილება. არარაობა. ქალი.

უგუნური, თახთახა სხეული. უგუნური, კუნჩხვითი ვწებები. უგუნური ქმნილება. მე ამოვდივარ უსასრულო სიმშვიდის სიღრმიდან, შეუცნობლობის პარმალიდან, იღუმალი წყლებიდან — ის კი მელოდება ვწებიანი კრუნჩხვებით და მიწვდის მოკლე ხელებს. უნდა, რომ გადამკოცოს. უნდა, რომ შემომხვიოს ხელები. უნდა, რომ შემომხვიოს ფეხები. უნდა, რომ იყოს ნაზა და დამზვას თავისი საშინელი, მგუდავი სიმბურვალით მე — მუნჯი სიმშვიდის ყინულოვანი ლაპირინთებიდან დაპრუნებული. ქალი. დემონური, საშიში ქალი! სასაცილოა.

სად ვიყვავ აქმდე? სად მოვხედი ახლა? სადღაც ფანჯარა ჩაიმსხვრა და ცივი ჰერით აივსო ცხელი, დახუთული დერეგნები. ფართოვდება შემჭიდროებული ჰორიზონტი და უდაბნოს ველები უსასრულოდ ინელება. შორეულ მთაგრეხილებზე წიფლის ტყეები წამოიმართნენ. თითქოს უკან დარჩა მშიბიარობის ტკივილები და მოსვერების ბედნიერი უამი ჩამოგა. ეს სიმშვიდეა, სამარადსო! ზღვაო თავისუფლებისავ, ძალის, სიმართლის! ო, მარტოობავ! ამ ხალხს მაღლიდან ცის სუფთა თალი და მშვიდი ვარსკვლავები თვითირად დასცექრიან, ის ვარსკვლავები, მამისუელ სახლს რომ მინათებდნენ ოდესლაც. განა შემიძლია ამის დავინცება? მე თვითონ ვარ უნაპირო ზღვა, ყოველმხრივ გარშემორტყმული ვარ თავისუფალი, ბედნიერი, მომაკვდინებელი მარტოობით. ორეულ ზღვათა სადღესასწაულო ჰანგები — ცივი და უნყინარი მუსიკა უნესრიგო და ქარიშხლიანი აკორდების შემდეგ. ო, მესმის შენი. მოვდივარ!

ვინ არის ეს ქალი? რა ნებავს ჩემგან, რა უნდათ მის შეშლილ სახეზე ანთებულ თვალებს? მე იქიდან მოვდივარ. ეს რა შავი და მყრალი ვირთა მიძაგაბებს ხელში? ვესვრი ამ სიდამბლეს ახლა სახეში. ამ ქალს ჩემი მოკვლა ეწადა!

უგუნურო დედაკაცო. არ მჭირდება თქვენი წყალობა.

თარგმნა
ჯემალ ინჯიაზ

ელგუჯა თავპერიძე

მოულოდნელი ფინალი

ფინალს ნებისმიერი უანრის თხზულებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მცირე ზომის ნანარმობებთათვის განსაკუთრებით, რამეთუ მათში ხშირად მთავარი სათქმელი აირეკლება ხოლმე.

ნოველა ფინალია, უთქვამთ.

მართალია.

ფინალმა შეიძლება მთლიანად შეცვალოს მკითხველის დამოკიდებულება. მანამდე ნაფიქრი თავდაყირა დააყენოს. თუმცა ფინალიცაა და ფინალიც. ყველაზე შთამბეჭდავი მოულოდნელი ფინალია. მოულოდნელს დიდ მხატვრული ეფექტი გააჩნია.

მარხაზ ფუტკარაძის მიერ თარგმნილი როალდ დალის ნოველა „კაცი სამხრეთიდან“ („ჩვენი მწერლობა, 28 ოქტომბერი, 2011 წელი) უპირველესად მოულოდნელი ფინალითაა საინტერესო. მართალია, თხრობის მდინარება რაღაცას გაფიქრებინებს, უფრო სწორად, გუმანით გრძნობ, მოულოდნელი და უცნაური რამ უნდა მოხდეს, მაგრამ ისეთს, როგორიც თხულების დასასრულია, ძნელად იწინასწარმეტყველებ.

ნოველა უცნაურ კაცასა და უცნაურ ამბავზეა და ამიტომ, ერთი შეხედვით, კველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ, ვიმეორებთ, ისეთი რამ ნაკლებად, რაც თხულების ბოლოს ელოდება მკითხველს.

ნოველის მთავარ გმირს კარლოსი ჰქვია. ჩია ტანისაა. „წყალწყალა, თითქმის უფერული, შავი, პატარა, მბზინავგუგებიანი თვალები“ აქვს. თეთრ კასტუმში გამოწევილს კრემისფერი, განიერფარფლებიანი პანამა ახურავს. ირმის ტყავის თეთრი, ნაჩრერტებიანი ფეხსაცმლები აცვია. გარეგნობის გარდა, ყურადლებას იმითაც მიგაცევინებს, რომ სამხრეთამერიკელ ტიპის ჰავას, ე.ი. იამაიკაზე, სადაც მოქმედება ხდება, რაღაც მიზნით ან მიზეზითაა ჩამოსული. ლაპარაკობს აქცენტით, იტალიურსაც რომ ჰავას და ესაბაურსაც, მაგრამ რომ ვერ გაარკვევ, უშუალოდ რომელია სიარულითაც უჩვეულოდ დაფის, კი არ დადის, ნაბიჯებს ჰაერში ადგამს, გევონება, ასახტომად ემზადებაო, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ზევით-ზევით იწევს. ამით ამჟღავნებს ცნობისმოყვარებას, თითქოს ყველაფერი ანთერესებს, ყოველ წვრილმანში სურს ჩაიხდოს, გაერკვეს, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ ისნი იმდენადაა მისთვის საინტერესო, რამდენადაც საბოლოო მიზანს მიაღწევინებს. მოკლედ, ძალიან უცნაური კაცია, უცცებ შეამჩნევ.

სანაძლეოსაც უცნაურსა და მაცთუნებელს სთავაზობს ამერიკელ კურსანტს. თუმცა აქამდე სავსებით ლოგიკურად ვითარდება მოქმედება. ამერიკელი კურსანტი სიგარეტს ამოიღებს და კარლოსსაც შესთავაზებს. ის იუარებს, სიგარეტს არა, სიგარას სიმოვნებით გავაბოლებდიო. ჯიბიდან ნიანგის ტყავის პატარა კოლოფს დააძრობს, სიგარას ამოიღებს, მაკრატლით ბოლოს მოაჭრის. ერთი სიტყვით, მოსაწევად გაამზადებს. მოგიკიდებთ, ეტყვის კურსანტი. ამ ქარში სანთებელა არ აითება, პასუხობს კარლოსა. როგორ გეკადრება, ჩემი სანთებელა ყოველთვის ინთება, — თავისას იმეორებს შემთავზებელი. ტანად პატარა სამხრეთამერიკელის ტიპი მამალივით წაიგრძელებს კისერს და გაურკვეველი აქცენტით ეტყვის: „კოველ-თვის“. თუ თქვენი სანთებელა ყოველთვის ინთება, ამზე ერთი კარგი, სერიოზული სანაძლეო დავდოთო — სთავაზობს. ამერიკელი კურსანტი თანახმა, მაგრამ ფსონში ამერიკულ ახალთახალ კადილაკს ჩამოვდივარო, რომ იტყვის კარლოსი, კურსანტი უარს ეტყვის — მეგონა, ათდოლარიანზე დავნიძლავდებოდით, კადილაკის სამაგიერო რა უნდა შემოგთავაზოთო. სწორედ აქ ხდება ძალიან უცნაური შეთავაზება, რი-

თაც პატარა კაცის უჩვეულო ქცევასა და მოქმედებასაც ეხ-
დება ფარდა.

კარლოსი ფსონში კადილაკს დებს. ბიჭი თუ ათჯერ ზე-
დიზედ შეუფერხებლად აანთებს სანთებელას, კადილაკი
მას რჩება, თუ არადა, „უმნიშვნელო“ რამ უნდა დათმოს,
კერძოდ, თუ სანთებელა არ აინთება, პატარა კაცი ბიჭს
მარცხენა ხელის ნეკს მოაჭრის.

უცნაური, თანაც მაცოტუნებელი სანაძლეოა.

მოიგიბ, კადილაკი შენია, წააგებ, მარცხენა ხელზე უნე-
კათითოდ დარჩება.

უჩვეულო ვითარებაა, მხატვრულად ძნელად დასახატი,
პატარა ნიუანსმაც შეიძლება არა-
დამაჯერებელი გახადოს ტექსტი,
მაგრამ „კაცი სამხრეთიდან“ იმი-
ტომ მოგვწონს, რომ ასეთ ლაფსუსს
თითქმის ვერ იპოვნი. პირიქით, ავ-
ტორი მარტივად, თითქოს თამაშ-
თამაშით გვარწმუნებს, თუ როგორ
იბუდებს ამერიკელ კურსანტში მო-
გების (აქედან გამომდინარე, კადი-
ლაკის დაპატრონების) სურვილი.
ყველა ადამიანში რაღაც აზარტის
მაგვარი თუ არა, უცებ გამდიდრე-
ბის (თუნდაც ნეკა თითის სასწორზე
შეგდების სანაცვლოდ მანქანის
დათრევის) დიდი წადილი კიანთობს
და იამიკაზე ჩამოსული ის ბიჭი რა-
ტომ იქნებოდა გამონაკლისი—
გვარწმუნებს როალდ დალი, ჰოდა,
დარწმუნებულებს უკვე გვჯერა,
ლირს სანაძლეო, ღირს ბედთან შე-
ჭიდება. მოიგებ ახალთახალი მწვა-
ნე კადილაკი შენია, წააგებ და მთელ
ხელს კი არა, „არც ისე დიდად საჭი-
რო“ ნეკა თითის მოგაჭრიან.

ბიჭი დარწმუნებულია, მოი-
გებს და ამ უცნაურ შემოთავაზებას ანანებს კარლოსს. ეს
კიდევ თამაშობს. ძნელია ახსნა მოუქებინ მის განაზრახს:
რისთვის აკეთებს, რატომ სიამოვნებს უთითოდ დატოვოს
ადამიანი?! უბრალოდ, შეიძლება იფიქრო, აზარტი იგივე
თამაში ავადმყოფობაში გადაზრდია. თამაშობს თამაშისთ-
ვის, დებს სანაძლეოს სანაძლეოსთვის.

აზარტული კარლოსი ყველაფერს ითვალისწინებს, სან-
თებელა რომ არ აინთოს, შესაძლოა ბიჭმა უარი სტკიცოს,
ალარ მოუნდეს თითის მოჭრა. ამიტომ მწვანე კადილაკის
შემთავაზებელი სიტუაციას ისე აწყობს, როგორც აწყობს:
ბიჭს მაგიდაზე, ორ ლურსმანს შორის უმაგრებს ხელს,
თვითონ დანა აქვს მომარჯვებული და თითის სანთებელას
აუნთებლობისთანავე მოაჭრის.

ამ ამბავს მთხრობელი და ამერიკელი კურსანტის, იგივე ბი-
ჭის, მეგობარი ინგლისელი გოგონა ესწრებიან. ორივე მიიჩნევს
„გაუური, სულელური სანაძლეოა, ბიჭიც თავდაპირებელად ასე
ფიქრობს, მის ყოფილისა და ორჭოფობას უმალ გრძნობს ის
ადამიანი, რომლის თვალებიც არაფერს ამბობენ (წყალწყალა,
უფერულ, არაფრისმეტყველ მბზინავ გუგებში ვერაფერს
ამოიკითხავ) ანუ კარლოსი და ახლა უკვე ნაციონალური ხასი-
ათის გაკილვით წააქებებს ბიჭს: ამერიკელები სანაძლეოს

არასდროს დებენ, მათ ყველაფერი გარანტირებული უყვართ,
სასწორზე არაფერს შეაგდებენ. ესაა ის ბოლო წვეთი, რაც
მოგების სურვილის გარდა, საბოლოოდ გადაწყვეტინებს ბიჭს
დაყაბულდეს პატარა კაცის შემოთავაზებულ სანაძლეოს. ერ-
თი ტიქა მარტინის დალევის მერე კი, ფაქტობრივად, კარლო-
სის თვალთახედვით ალიქვამს ყველაფერს და მეგობარ გოგო-
ნის ეუბნება: „...არ მახსოვს, ოდესმე ჩემს სიცოცხლეში, რაიმე-
ში დამტირვებოდეს მარცხენა ხელის ნეკი. აგერ არის. ბიჭმა ხე-
ლი წაავლო თავის თითს—აგერ არის და ჩემთვის არასოდეს
არაფერი გაუკეთებია. მაშ რატომ არ შემიძლია სანაძლეოდ ჩა-
მოვიდე? ვფიქრობ, ეს მშვენიერი სანაძლეოა.“

აი, როგორ მოაქცია ანუ სათა-
ვისოდ მოარჯულა კარლოსმა მსხვე-
რპლი.

სანაძლეო ყველა წესის დაცვით
შედგა. ერთხელ, ორჯერ და შვიდ-
ჯერაც აინთო სანთებელა. მერვე
ანთების მერე ვიღაც ასაკოვანი ქა-
ლი შემოვარდა, ეცა კარლოსს, გა-
მოსტაცა თითის მოსაჭრელად გამ-
ზადებული ხორცის დასაჩეხი დანა,
თავპრუდამსვევი სისწრაფით და-
უწყო წჯდორევა...

გაირკვა, სამხრეთამერიკელ ტიპს
ასეთი სანაძლეო სხვა დროსაც არა-
ერთხელ დაუდევია, სულ ორმოცდაშ-
ვიდი თითი მოუგია, ცამეტი მანქანა
ნაუგია, ბოლოს მოკვლითაც დამუქ-
რებანდ და არაფრის მქონე იმ ასაკო-
ვან ქალბატონს, რომლის საკუთრე-
ბაც ყოფილა მწვანე კადილაკი, იამა-
იყაზე წამოუყვანია.

ძალიან ვწერებ, ასეთი რამ რომ
მოხდა, ათი წუთით წავედი თავის და-
საბანად და ეს იმავეს აკეთებს. მას
არაფერი აბადია დედამინის ზურგზე

სანაძლეოდ დასადები, ყველაფერი მე მოვუგე დიდი ხნის წი-
ნათ, რასაც დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ მოვუგე, — უსწი-
და სანაძლეოს მონაწილესა და მაყურებლებს ქალბატონი.

კარლოსს ნიძლავი თამაშად მიაჩნდა. მქონებელი და
არაფრის მქონე ერთნაირი აზარტით თამაშობდა, სხვის მანქა-
ნას დებდა ფსონში, მონაწილის მარცხენა ნეკის სანაცვლოდ.

კარგად თამაშობდა.

თუმც ეს არაა მთავარი.

მთავარი ფინალია-მეტქი.


ასაკოვანი ქალბატონი მაგიდაზე მანქანის გასაღების
ასაღებად ხელს გაიწვდენს და აი, ბოლო ფრაზა:

„მე ახლაც თვალწინ მიღდგას ის ხელი, რომელზედაც
მხოლოდ ერთი თითი და ცერი იყო შერჩენილი“.

ამას, მართლაც რომ ძნელად ინინასნარმეტყველებ.
ისიც მომნუსხველია, ქალმა რომ მოუგო ყველაფერი და
არაფრის გარეშე დატოვა, მაგრამ კარლოსიც არ ყოფილა
გულხელდაკრეფილი.

მართლაც რომ მოულოდნელი ფინალია.

მოულოდნელი, მხატვრულად ზუსტი, მიზანში მოხვედ-
რილი. ნოველაც კარგია, თარგმანიც ჩინებული, ფინალი —
იშვიათი.



როალდ დალი

1999 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ თავის მოწყობილ რეფერენდუმში საუკუნის სპორტსმენთა შორის გურამ მინაშვილი გამოჰყო, მიანიჭა „საქართველოს საუკუნის სპორტსმენის“ წოდება და გადასცა შესაბამისი დიპლომი.

დავით ჭელიძე

ლეგენდა 75 წლისაა!

კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართულ კალათბურთს ლეგენდები არასდროს აკლდა. დიდი ითარ ქორქიადან დაწყებული (რომლის ვირტუოზულმა თამაშმაც 50-იან წლებში რუსები იძულებული გახადა, საბჭოთა კალათბურთის 75 წლის იუბილეზე საუკეთესო კალათბურთელად ეღიარებინათ), დღეს ნება-ში ბრწყინვალედ მოთამაშე ზაზა ფარულიათი დამთავრებული, ქართველი გულშემატევივარი განებივრებულია თავისი კერძების წარმატებებით. ასეთ კალათბურთელთა არცთუ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება 60-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებელი, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი და სსრ კავშირის წარმატების ერთ-ერთი ლიდერი, სპორტის დამსახურებული სტატი, ლეგენდარული გურამ მინაშვილი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ 75 წელი შეუსრულდა.

ნება მიძოძეთ, „ოლიმპიურ ენციკლოპედიას“ დავეხსეხოს სსრკ ჩემპიონატების პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1957, 59, 63), 1957 წლის ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ვერცხლის მედლის მედალობანი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), ორი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 1963 წელს ბრინჯაოს პრიზიორი იყო, 1959 წელს მეშვიდე ადგილი დაიკავა (სსრკ ნაკრები, ფაქტობრივად, პირველი იყო, მაგრამ, ვინაიდან პოლიტიკური მოტივით უარი ათემევინეს ტავანთან თამაშზე, მეშვიდე ადგილი მიეკუთვნა), 1960 წლის რომის XVII ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი (მონაწილეობდა 8 მატჩში)...

გურამი თბილისელი კაცია. სნავლა 32-ე სკოლაში დაიწყო. გაჭირვების მეტი არაფერი ახსოვს. მშობლები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. დედა დიასახლის ბრძანდებოდა, მამა – ეკონომისტი. მოგეხსენებათ, რა პერიოდი იყო, რეპრესიების ხანა, ომისდროინდელი უშმიერს წლები. ბავშვების უშრავლესობას, მათ შორის გურამაც, ფეხსაცმელიც კი არ ჰქონდათ, ზამთრობით სკოლაში რეზინის კალოშებით დადიონდნენ. პირველკლასელებს ბუფეტში აძლევდნენ ერთი ბენზ ჯემგარეულ ფუნთუშას, უფროს კლასელი „მეტელი ბიჭები“ კი იქვე იყვნენ ჩასაფრებული და „შეხკარმანს“ თუ რაღაც ოხრობა თამაში იყო, მოუგებდნენ და იმ ფუნთუშას წარათმევდნენ. არადა, მშორები იყვნენ, თეთრ პურს, სანთლით რომ გეებნა, ვერ მაგნებდი.

აბა, გის არ გახსოვთ ძეველი თბილისის ეზოები? ქართველები, სომხები, ქურთები, იტიდები, რუსები ერთმანეთში ვიყიდათ აზელილები. ბიჭად თუ არ ვარგოდი, გინდ ქართველი ყოფილიყავი და გინდ ესპანელი, გარჩევა არ იყო. ომის დაწყებამდე სახლებს ვინ კეტავდა, ეს მერე გაჩნდა ქალაში ქურდობა და აგაზაკობა.

ბიჭობა კი მუშტის ძალით და ჩებუბის ცოდნით იზომებოდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო, როგორ მღეროდი და უკრავდი. კარგი ბიჭი იყავი, ფეხბურთს თუ თამაშობდი, ასევე იყო „ჩილკა-ჯოხი“, „გრძელი ვირი“, „მოკლე ვირი“,

„ლახტი“ და უამრავი თამაში, ყველას ვინ გაიხსენებს. აი, ვინც ამეებში მაგარი იყო, ის ითვლებოდა კარგ ბიჭად.

ასეთ ეზოში და ასეთ გარემოში გაიზარდა და დაგაუკაცებდა ჩერენი წერილის გმირი. თუმცა ამას გურამისთვის სწავლაში ხელი არ შეუშლია, ის კი არადა, თითოთ საჩვენებელი მოსწავლე იყო და კიდევაც ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა. წიგნი უყვარდა და ლამეებსაც ათენებდა წიგნის კითხვაში. ხშირად თეატრშიც დადიოდა.

მერე მის ცხოვრებაში ერთი ძალიან კარგი კაცი გამოჩნდა, ცხონებული ვახტანგ მარსაგიშვილი. ფიზიულტურის ინსტიტუტში მუშაობდა. მაშინ ხომ პარადომანია იყო და იმ აღლუმებს დგამდა, ტანძოვარჯიშეთა გამოსვლის ნომრებს ადგენდა. კარგად ხატავდა და, სურთოლ, გემოუნებიანი კაცი ბრძანდებოდა. თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიებიც მის მხრებზე გადადიოდა. ჰოდა, ეს კაცი მოვიდა გურამის სკოლაში მასწავლებლად. მაშინ მინაშვილი უკვე მე-6 ვაჟთა, ანუ დღევანდელ 55-ე სკოლაში სწავლობდა, მეექვსეალისელი ბიჭი იყო. ვახტანგის სკოლაში მისვლა და სკოლის გამოცოცხლება ერთი გამოდგა. დიდი სპორტული მუშაობა გაჩაღდა.

უნივერსიტეტთან ახლოს ცხოვრობდა. ნიკო კეცხოველი იყო რეგისტრი და იქ ჩეხეფა თუ ჩეხეფა სპორტული ცხოვრება, სულ სპარტაკიადები და სხვადასხვა შეჯიბრებები იმართებოდა. ამიტომაც ბიჭები ხშირად შეეპარებოდნენ ხოლმე უნივერსიტეტის დარბაზებში და მოედნებზე და სტუდენტების თამაშის დადა ინტერსიონ ადევნებდნენ თვალს. უკვე იცოდნენ, ვინ იყო შალვა დიასამიძე, ნოდარ ჯორჯიავა, ოთარ ქორქას. ზოგიერთი სხვა მოთამაშის გვარიც იცოდნენ. იმ დროს ვინ იფიტერებდა, თუ ახლო მომავალში გურამი მათი თახაგუნდება ვახდებოდა, მათ შესარდამხარ ითამაშებდა. ბიჭებს დარბაზში ბურთი მაინც მიჰქონდათ, თუ ვინიციობაა არავინ დახვდებოდათ, თვითონ გააჩაღებდნენ თამაშს. თამაზ ტოგონიძე – „ჩენენი ცხონებული ტოგრიკა“ (ბატონ გურამის ცრემლი მოადგება თვალში), ბევრს იგი კინოფილმ „ცისკარადანაც“ ახსოეს, მთავარი როლის შემსრულებელი იყო, ვაჟა ინგირევლი, გურამი სულ ერთად იყვნენ...

ერთხელ ბატონი ვახტანგი შესულა გაკვეთილზე და, ბიჭები, შალვა დიასამიძეს მოველაპარაკე, პატარა ბიჭების გუნდს ქმნის, ვის გაქვთ იქ ნასვლის სურვილი, უკითხავ. აქედან დაიწყო გურამ მინაშვილის ნამდვილი სპორტული ცხოვრება.

„ცურვაზეც დავდიოდი, სანაპიროზე, ყოფილ რესტორან „არაგვის“ ადგილზე საცურაო აუზი იყო? ბავშვები „კუპალნიას“ ვეძახდით. მალალი, უხეში კედლები ჰქონდა. ბიჭები მტკვრის მხრიდან შეგძვრებოდით ხოლმე, ყარაულები გამოგვეიდებოდნენ, მაგრამ რას დაგვიჭერდნენ. თუმცა რამდენჯერმე მაინც ჩამავლეს ხელი, მაგრამ რას მიზამდნენ, ლანირაკები ვიყავით, ერთს წაგვითაქებდნენ და გამოგვიშვებდნენ. ერთხელ საღებავიც წამისვეს. ბათუმში ბიძა მყავდა და ცურვა იქ ვისწავლე, თუმცა არავითარი სტილი არა მქონია, ჯანანი ბიჭი ვიყავი და ჯანით გავდიოდი იოლას“ – იგონებს გურამ მინაშვილი.

„დინამის“ სტადიონის უზეში ბავშვთა შორის ქალაქის ზამთრის პირველობაშიც მიუღია მონაწილეობა და მესამე ად-

გილი დაუკავებია. თურმე შეჯიბრებას ლუკა იოკომიდი უყურებდა, ალბათ ბევრს ახსოეს, უკვე იმ დროს როგორი ცნობილი სპეციალისტი და მწვრთნელი იყო. და ერთ მშენიერ საღამოსაც შინ არ მიადგა?! არადა, უკვე შალვა დიასამიძესთან მეცადინეობდა. მშობლებისთვის უთქვამს, შენი შვილი ცურვაზე უნდა წავიყვანო, ჩემიონად გავზარდო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გურამი ერთ-ორ ვარჯიშს დასწრებია, მაგრამ შემდეგ გამოქცეულა, ცურვამ აღარ დააინტერესა.

მიხეილ კეკელიძემ, ყველა რომ ძია მიშას ეძახდა, გურამი მაშინ შენიშნა, როცა ის ქალაქის პირველობაზე ორჯონივიძის რაიონის (ახლანდელი ვაკე-საბურთალო) გუნდში თამაშობდა და თავისითან წაუკვანია, პიონერთა სასახლეში.

გურამი იცინის, ალბათ მსოფლიოში ერთადერთი კაცი ვარ, ახალგაზრდობის გამო რომ დაეჩიჩარეო. გურამი ხომ 1936 წელსაა დაბადებული. ძია მიშასთან უკვე ხუთეულში თამაშობს. მასთან ერთად არიან ტოგრიკა, ასაშეული აჩა, გიზო გაბისკირია, მირიან თოვზიმელი, უენია სლუსარევსკი, ავთო სილაგაძე, იგორ გოლუმბიევსკი (მომავალში გაზით „ზვესტიას“ მთავარი რედაქტორი)... 34-35-წლიანთა საკავშირო პირველობაა. და ეს ბიჭები წაიყვანეს, გურამი კი არა, პატარა ხარო. გაბრაზებულს ფეხი დაუკრავს და სიფეხლში გაქცეულა. ეს ბიჭები კი ჩემიონები არ გახდინენ! ნახეთ, რა ტაქტიანად მოიქცა ძია მიშა – გამარჯვებულ ბიჭებს საჩუქრები გადასცა, მაშინ ახალი შემოსული იყო კანტიანი პერანგები და ის შეიძინა. და არც გურამი გამოტოვა. თოთქოს ისიც ჩემიონი გამხდარიყოს, ისიც დააჯილდოვა პერანგით...

გაიზარდა ჩვენი გმირი და მიუხედავად იმისა, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) სწავლობდა, თამაში „დინამიში“ დაიწყო. კალათბურთის მხცოვან მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ 1953 წელს თბილისში საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა და ჩვენი „დინამი“ ჩემპიონი გახდა. მაშინ 14-კაციანი შემადგენლობები იყო, ყოველ სათამაშო განაცხადში კი მწვრთნელს 12-12 კაცი უნდა დაესახელებონა. ჰოდა, ცენტრალური თამაშებისთვის გურამ აბაშიძე (აპალიონი) და გურამ მინაშეილი შემადგენლობაში კი ჩასვეს, მაგრამ ცენტრალური მატჩების დროს მათ ვერ ენდობოდნენ და ამიტომ განაცხადშიც ვერ ხვდებოდნენ, მათ მხოლოდ შედარებით სუსტ მეტოქეებთან შეხვედრისას ეძლეოდათ პატარა შანსი, ისიც ერთი-ორჯერ, ამიტომაც ოქროს მედლებს ვინ მისცემდათ, იმ დროს ხომ ასეთი წესი იყო, მედლის ასაღებად მატჩების 50 პროცენტი მაინც უნდა გეთამაშა.

1956 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა მოეწყო, ჩვენს „დინამოში“ თაობათა ცვლაა, ოთარ ქორქიამ, ნოდარ ჯორჯიამ და ზოგიერთმა სხვა მოთამაშემ ამ ტურნი-

რის შემდეგ დაანებეს თამაშს თავი და გურამმაც ჯორჯიას ადგილი დაიკავა გუნდში. მას შემდეგ სულ „დინამოში“ თამაშობდა, მხოლოდ ერთი წლით გადაისროლეს ანზორ ლეჟავა და გურამი „ბურევესტინეში“, უმაღლეს ლიგაში გადასვლაში დაეხმარნენ გუნდს და მერე ისევ „დინამოში“ დაბრუნდნენ.

გიორგი ავალიშვილი იყო მაშინ მწვრთნელი. მოთამაშეები: ვაჟა გვანცელაძე, გურამ აბაშიძე, ალექსანდრე კილაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი, ლევან ინწკირველი, ილარიონ ხაზარაძე, რეზო გოგელია, ვალერი ალთაბაევი, ანტონ კაზანჯიანი. ამირან სხიერელი ცოტათი მოგვანებით მოვიდა. მერე ზურიკო საკანდელიძე...

1958 წლიდან გურამი უკვე გუნდის კაპიტანია...

როგორი უბადლო კაპიტანი იყო გურამ მინაშეილი, სტაუიან გულშემატკივრებს ყველას ახსოეს. ერთადვად პარტნიორს ეძებდა, რომ ბურთი მიეწოდებინა, პოზიციის შეჩევაში ეხმარებოდა, რომ ლამაზი კომბინაცია გამოსვლოდათ და, რა თქმა უნდა, შედეგიანიც. მაგალითისთვის ისიც კმარა, როგორი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებდა ხოლმე ზურაპ საკანდელიძე, გურამი რომ არ ყოფილყო, დიდ კალათბურთს ალბათ ვერასოდეს ვითამაშებდი, გუნდში სრულიად ახალგაზრდა მივედი და თითქოს დიდი ხნის პარტნიორი ვყოფილყავი, სულ თვალებით მეძებდა, არ მახსოვს, პასი დაევინაბინაო.

დისკიპლინის, რეჟიმის განუხრებად დაცვისთვის გურამ მინაშვილს „რეინის კაპიტანი“ შეაქვეს. ვის არ გვინახავს, გახურებული თამაშის შემდეგ წუთშესვენებაზე სპორტისმენები წყალს რომ დაეწაფებიან ხოლმე. გურამ მინაშვილი კი მხოლოდ ყურძნის წევნში ჩაწინაშედების პირს და ასე მოიკლავდა წყურებილს. მის საციიელი ხშირად პედანტიზმადე დადიოდა, მაგრამ სხვაგვარად ძნელია ის სიმაღლეების მილწევა, გურამ მინაშვილმა რომ მაიღნა.

1963 წელია, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში „დინამო“ მილანის „სამენტალს“ ხვდება. თბილისშია თამაში და 7 ქულას ვაგებთ, რაღაც წამების დარჩენილი, ბურთი კაპიტანს აქვს. გურამი შორიდან ზუსტი სროლებით მაინცდამინც არ გამოირჩეოდა. არადა, ცენტრალური გადასცდა თუ არა, ტყორცუნა და... ჩააგდო! „დინამომ“ შინ 5 ქულით წააგო.

საპასუხო მატჩი მილანშია, დრო უკვე იწურება, დამთავრებამდე დაახლოებით 20-30 წამით ადრე უკვე „დინამო“ იგებს 4 ქულას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ოთარ ქორქიამ წუთშესვენება აიღო. გეგმა ასეთია – კომბინაცია ისე უნდა გათამაშდეს, რომ ბოლოს ბურთი კილაძეს მიუვიდეს და მან ტყორცუნოს. შურა ხომ შესანიშნავი მსროლელი იყო. მილანელებმაც იცოდნენ კილაძის ბომბარდირობის



გურამ მინაშვილი

ამბავი და ამიტომ ის ჩაკეტეს, სამაგიროდ თითქმის თავისუფლად დატოვეს მინაშვილი. სამი წამია დარჩენილი და გურამი მარცხენა ფრთაზე დგას ბურთიანად. რა ქნას, ვის გადააწოდოს, კილაძე დაფარულია, ასეთ დროს სხვის ნდობაც სარისკოა, მოსაფიქრებელი დროც რომ აღარა აქვს! აიღო და ესროლა. ბურთი ისევ ჩაეშვა კალათში, ეს უკვე გამარჯვება იყო, ორი მატჩის ჯამში ერთი ქულით გაჯობეთ იტალიელებს, რაც მათთვის მძიმე გადასატანი იყო!

მართალია, ნახევარფინალურ ეტაპზე მოსკოვის ცსკა-სთან წაგეს და გათამაშებას გამოეთიშნენ, მაგრამ ამ მარცხის გამო მანაცდამაინც არ უდარდიათ. იმავე ცსკა-ს ხომ წინა წელს ორივე შეხვედრში კუდით ქვა ასროლინეს, მერე კი ფინალში, უნერვაში „რეალსაც“ მოახრევინეს ქედი. მართლაც უძლიერესი და, რაც მთავარია, ერთ მუშტად შეკრული გუნდი იყო. გაგახსენებთ, ფინალურ მატჩში ხუთმა მოთამაშემ დააგრივა 14-14 ქულა. ესე იგი, თანაბარძალოვანი გუნდი იყო, რაც სპორტულ თამაშებში ძალიან დასაფასებელია.

მანამდე, 1959 წელს, მოსკოვში, ხალხთა სპარტაკიადის ტურნირის ნახევარფინალში გუნდმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, როცა მოედანზე დარჩენილმა სამმა ქართველმა ლატვიის უძლიერესი გუნდის პირველ ხუთულს მოუგო მესამე, დამატებით დროში. შეგახსენებთ, იმ ხანად ლატვიელები ევროპის ჩემპიონთა თასს ფლობდნენ.

მართალია, ამ მატჩში მინაშვილი, ისევე, როგორც ჩევენი გუნდის სხვა ცხრა წევრი, ადრე გამოეთიშა იორთაპრძოლას, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ზერთ ნახსენები მატჩები თუ ტურნირები გურამ მინაშვილის კაპიტონით მოვიგეთ.

ნაკრებიდან კი ყველაზე მძიმედ მოსაგონარი 1959 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატია. საბჭოთა გუნდში ქართველთაგან ორი გურამი იყო – მინაშვილი და აბაშიძე. რაც მოხდა, ხომ ყველამ იცის, „ტაივანის გამო რომ გავიჰყლიტეთ, ნაუგებელი გუნდი რომ მეშვიდე ადგილზე დაგვსვეს“ – ესეც გურამ მინაშვილის რეპლიკაა.

მოკლედ გეტყვით, რაც მოხდა. ტაივანთან გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო საბჭოთა სპორტის მესვეურები ნაკრებს საერთოდ არ უშევებდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ხელმძღვანელები დაამშვიდეს – ტაივანი უსუსტესი გუნდია, ჯვუფიდან ვერ გააღწევს და რადგან ჩევენ სხვა ჯვუფში ვართ, ჩევენი გზები არ გადაიკვეთებათ. და იმ პირობით გაუშვეს გუნდი, რომ ტაივანს არ შეხვდებოდნენ. არადა, ვინ იფიქრებდა, რომ ტაივანი არგენტინას ერთი ქულით მოუგებდა და მის ნაცვლად მოხვდებოდა ფინალურ ეტაპზე. ასეა თუ ისე, საბჭოთა ნაკრებს ტაივანთან ბოლო შეხვედრა ჰქონდა.

მანამდე კი ამერიკელებს მოუგეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საბჭოთა ნაკრებმა ოფიციალურ ტურნირში დაამარცხა ამერიკის გუნდი! ახლა ტაივანთან 0:200-იც რომ წაეგოთ, მანაცდ მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ, რადგან ყველა მატჩი მოგებული ჰქონდათ. ორი თავი ვის ჟერნდა – არ გავიდნენ სათამაშოდ. არადა, აიკლეს ფოსტა მოსკოვში დებეშების გაგზავნით, რა ვქნათ, ხვალ ტაივანს ვხვდებით და როგორ მოვიქცეთ, მსოფლიოს ჩემპიონობას ვკარგვათ. გაგიქდო, თითქოს საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, არავინ პასუხი არ გასცა!.. ასე დააკარგინეს გუნდს ოქროს მედლებიც და მოთამაშებისთვის არც სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიუციათ, გურამს ცხრა წლის შემდეგ, 1968 წელს გადასცეს ეს წოდება.

ყველაზე კარგად მოსაგონარი კი რომის ოლიმპიურ თა-

მაშებში მოპოვებული ვერცხლის მედალია. ამერიკასთან მატჩი წაგებულია და ბოლო თამაშია იტალიასთან. წარმოიდგინეთ, 12 ათასი ტიფოზი რომ ერთად იბლავლებს მთელი შეხვედრის განმავლობაში. მოგებული მეორე ადგილზე გადის, წაგებული – მეოთხეზე. ის ბრძოლა თავიდან ბოლომდე გურამმა მოიგო, პირნმინდად გამოითიშა თამაშიდან იტალიელთა უძლიერესი თავდამსხმელი აღწინი.

მაირანის ტურნირი ცალკეა გამოსაყოფა. სულ სამჯერ ჩატარდა იტალიაში ეს შეჯიბრება, რომელშიც მხოლოდ ოთხი გუნდი მონაწილეობდა – ევროპის ჩემპიონატის სამი პრიზიორი და იტალიის ნაკრები. 1958 წელს ამ ტურნირში ჩემპინმა იუბილარმაც მიიღო მონაწილეობა და ორი მედლითაც დაჯილდოვდა – გუნდური გამარჯვებისთვის და, რაც ყველაზე ძვირფასია, ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის... სხვათა შორის, გურამი რომ გაქურდეს, ქურდებმა ყველაფერი წაიღეს და მის თოახში წითელ გობელენზე ჩამოკიდებულ ამ მედალს ხელი არ ახლევს...

ნბა-ში რომ ეპატიუებოდნენ!.. 1959 წელი იყო, საბჭოთა ნაკრები ამერიკაში ტურნეს მართავდა. კლივლენდში დამატებითი დრო გახდა საჭირო და გუნდის მოთამაშების მიერ მოგროვილი 10 ქულიდან 9 გურამის ანგარიშზე იყო. სწორედ ამის შემდეგ მოხდა, ამერიკელმა სელექციონერებმა „ნიუ იორკ ნიესიდან“ კონტრაქტის ფურცელი რომ მოურბენინეს ხელმოსაწერად – თანხა შენ თვითონ ჩანერე, ჩევენ ყველაფერზე თანახმა ვართო. 59-ში ვინ გიუ დარჩებოდა ამერიკაში, მთელ ოჯახს არ გაუციმბირებდნენ!

... აბა, რომელ ცოლ-ქმარს არ უყვარს ერთმანეთი, მაგრამ გურამს და თამარს მანცდ გამორჩეული სიყვარული ჰქონდათ. ასეთი ძლიერი სიყვარული რომ არ ყოფილიყო, ჩევენი გმირი უცოლოდ დარჩებოდა...

საინტერესო მათი ხელისმონერის ამბავი. ახალგაზრდები რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მთელმა ქალაქმა იციდა კონსტანტინე გამსახურდისა გარდა. ყოველ შემთხვევაში, ბატონი კონსტანტინე ამას არ ამხელდა. გადანერვიტეს, ხელი მოეწერათ. „ორჯონიკიძის რაიონმათან ახლოს ერთ პატარა მმარის ბიუროში მივედით. განცხადებას და პასპორტებს რომ დახედა, მმარის თანამშრომელმა ქალბატონმა იეჭვა, შენ ბატონი კონსტანტინეს ასული ხომ არ ხარო, – თამარს ჰქონდა. კონსტანტინეს თანხმობა თუ არ ავიღე, ისე ხელს არ მოგანერინებო. გეშმის, კაცო! შარი არ გინდა! მამამისმა ხომ არ იცის. რა ქნას თამრიკომ? შინ დარეკა და ყურმილი კონსტანტინე აილო, ეყყობა, ცოტა ნასვამი იყო. დალას თურმე თამრიკოს მამისთვის უთქვამს, ფული მომეცი, საბანი უნდა ვიყიდოო, და იმასაც მიუკია. ახლა ის ქალბატონი ეკითხება, ბატონი კონსტანტინე, თქვენი ქალიშვილი ხელს ანერს და თქვენ თანახმა ხართო? კონსტანტინეს უფირია, საბის გამყიდველი მირეკავს, ქვითარზე მოვანერინო თუ არა ხელია და, კი ბატონი, მოანერინეოთ!..

აი, ძვირფასი მეითხველო, ძალიან მოკლედ ბატონი გურამ მინაშვილის ისტორია, ჩევენი დიდი კაპიტნის, დიდი კალათბურთელის, დიდი მამულიშვილის, უერთგულესი მეგობრის... ბედნერი კაცია ბატონი გურამი, ასეთი ტიტულების პატრონი, ოქროს გულის ადამიანი, რომელიც სპორტის მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით წმინდა გიორგის ხატით და საქართველოს ნაკრების სამახსოვრო მაისურით დააჯილდოვა და პირობა მისცა, რომ უაბლოეს პერიოდში სპორტის რაინდის წოდებას მიანიჭებენ.

გენიალური ფასიიზიკატორი

აღარც წამლის ფული ჰქონდა, აღარც ექიმისა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ველარც წამალი გადაარჩენდა მომაკვდავს, ველარც ექიმი. სიკვდილს თავისი ბრჭყალები უკვე მაგრად ჩაევლო მისთვის და უკანდახევს არ აპრებდა.

იჯდა სვეგმანარებული კაცი სულთომბრძავი ცოლის სარეცელთან, ცრემლიც ამოშრობოდა და იმედიც გაცამტვერებოდა. იჯდა და დამზუხრებული ელოდა უსაყვარლესი არსების ალსასრულს.

რამდენიმე საათი გრძელდებოდა ქალის აგონია; ერთადერთი ახლობელი ადამიანი უკვდებოდა აღწერ დოსენას და იმ მძიმე წუთებშიც კი იძულებული იყო, რომ ეფიქრა არა იმაზე, უძეირფასესი ქლი სამუდამოდ მშორდება, ველარასოდეს გავიგონებ მის სათონ ხმას, ველარ დავინახავ მის აღერსიან ღიმილს, ველარასოდეს გავუზიარებ ჩემს ლენასა თუ ჭირსო, არამედ უნდა ეფიქრა, თუ როგორ მოეწყო დაკრძალვა, როდესაც ჯიბები ორიოდე სოლდილა უქცყოდა. სასწრაფოდ გავარდა თავის პატრონებთან, მაგრამ ალფრედო ფაზოლიმ და ჯოვანი პალეზიმ ცივი უარი სტეკეს, თავად ქესატადა ვართო. ამ გულექა ვაჭრუკანებს ტვინი რომ გაენძრათ და წუთით მაინც წარმოედინათ, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ესოდენ გაუგონარ წუწურაქიას, ეგებ გული მოლბობოდათ და რაღაც საკოდავი ასოდე ლირა კი არა, ასჯერ ასიც გაემტებინათ, მაგრამ ამ უსულეულო და უჯიგრო ვაჭრუკანებს სად ჰქონდათ ან ტვინი ან წარმოსახახა.

ის ხანმოკლე დამე მაისისა (იდგა 1927 წელი), დოსენამ რომ გაატარა საყვარელი ცოლის ცედებართან, სიცოცხლის ბოლომდე ალარ დავინიყბია. იმ ღამეს ერთბაშად დაბერდა და გაჭალარავდა, ხოლო ახალ დღეს შეხვდა არა უსიტყვი, უდრტვინველი, მორჩილი შემსრულებელი პატრონთა წება-სურვილისა, არამედ ვაეპით ნანჩრთობი და გამობრძმედილი მებრძოლი, რომელსაც სწუროდა შერისძიება. მეტი აღარაფერი ახსოვდა. ყველაფერი სულერთი იყო მისთვის, თუმცა შიშით არც არაფრის უნდა შეშინებოდა. თავად მას ვერავინ მოსთხოვდა პასუხს. თავად როდი ასაღებდა თავის ნახელავს წარსულის დიდებულ შემოქმედთა ნამჟევრებად — ამას სჩადიოდნენ ზემოსხენებული ანტიკვარები. მათი უსულეულობით შექრწუწებულმა აღწერად დოსებაშ მოგორულად თავის ბატონ-პატრონებს.

მთელი ევროპის გაზეთებმა აიტაცეს ესოდენ მყვირალა სენსაცია. ათასობითი ფურცელებიდან მკითხველს შეჰყურებდა ხნირი კაცის პირისახ ლრმა ნაოჭებთან და ნაღვლით თვალებით. ენამოსწრებულმა უურალისტებმაც და სიტყვაძირმა კრიტიკოსებმაც საზოგადოებისათვის აქამდე უცნობ პიროვნებას ერთხმად შეარქევს „გენიალური ფალითიკატორი“.

ევროპისა თუ აერიკისა სხეულმოხვეჭილო კოლექციონერები და მუზეუმთა გამოცდილი მუშავნი სასონარკეთილებამ შეიძიო. უზარმაზარი თანხები თურმე ქარისთვის გაუტანებიათ და კარიკატურების მოგეტად ყოველი რეპორტირო თავს მოვალედ თვლიდა, რომ სარკაზმის ისრები გაეტყორცნა შერცხვენილ-შეცდუნებულ ხელოვნებისმოდნეთა მისამართით.

ბევრს არცა სჯეროდა „გენიალური ფალითიკატორის“ ალსარება. ნიუ-იორკიდან რომში სპეციალურიდ ჩაბრძანდა უმსხვილესი ამერიკელი ანტიკვარი იაკობ გირში, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ ფრიად ძვირად შეეძინა ქალმერთ ათინას ქანდაკება ანტიკური ეპოქისა და დახეთ, თურმე ვიღაც დოსენას ნახელავი ყოფილა.

და აი, როგორ დასრულდა ამერიკელი ფულის ტომრის ვიზიტი: აღწერ დოსენამ თავის სახელოსნოში სტუმარს აჩვენა

ყველაზე დამაჯერებელი მტკი-ცებულება — მარმარილოს ხელი, ქალლმერთს რომ მოსტეხა, როგორც წესი და რიგი იყო. გირშმა დიდსულოვნად აღიარა თავისი მარცხი, ყველაზე მტკივნეული ხანგრძლივი მოღვაწეობის მნიშვნელზე.

უკანასკნელი ურწმუნო თომები დარწმუნა ფილმმა, რომელიც დოქტორმა პანს კუურლიბმა გადაიღო დოსენას სახელისნოში. კინოკამერის ობიექტივის თვალნინი იუპიტერთა შუქით გაჩახჩახებული მოქანდაკე წნარად და აუდელვებლად ქმნიდა თავის უკანასკნელ, ამჯერად ლეგალურ წაყალბევს — ქალმერთის „ანტიკურ“ ქანდაკებას.

მოელმა ქვეყანამ შეიტყო გრინიალური ფალითიკატორის ასაგალ-დასაგალი. როგორც გამოირკვა, პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული ოსტატი მალე მიხვედრილა, რომ დამოუკიდებელ შემოქმედებაში მას ბედი არ ეწერა და ყალბისმქნელობას მოჰკიდა ხელი. ანტიკერებმა ფაზოლიმ და პალეზიმ მყისევი იყნოს მისი თავისებური ნიჭი და ჩაებალურნენ უპრეტეზიო მსხვერპლს. დოსენასთვის ყალბისმქნელობა შეიქნა ერთობ მნირი, მაგრამ ერთადერთი წყარო არსებობისა. ორი გამოქექილი ანტიკვარი ურცხვად ძარცვავდა თვინიერ ოსტატს. პირველივე ქანდაკება, ორს ლირად რომ შეიძინეს ალჩოსგან, ათი ათასად გაყიდეს.

ყალბისმქნელობის ასპარეზზე დოსენა უაღრესად სარისკო ნაბიჯებს დგამდა და ბედი გამუდმებით სწყალობდა. თანდაყოლილი ნიჭი და დახვეწილი ალო შეზავბოდა ვირტუოზულ ტექნიკასა და დაუშრეტელ გამჭრიახობას. თავისი ქმნილებისათვის ძალუძა მიენიჭებინა გასაოცარი ელფერი სიძველისა. პროვინციელი ქვისმთლელის შეგირდმა არაერთი გამოცდილი ანტიკვარი და ღვანელმოსილი ხელოვნებათმცოდნე გააცურა.

და ნაყალბევთა კონვეიერში მოხვდნებ დონატელო, ვეროკიო, როსელინო და კიდევ სხვანი მრავალნი — დიდსატატები საჭრეთლისა.

მაძიებელი სულის ყალბისმქნელმა XIV საუკუნის იტალიელი ფერმენტი სიმორნე მარტინი, ერთი ხელის მოსმით, გადააქცია მოქანდაკე! მისი ნახატი „ხარება“ გამოიყენა ნიმუშად და შექმნა ღვთისმთბლისა და მახარობელი ანგელოზის ქანდაკებანი. მარიფათიანმა ანტიკვარებმა წარმატებით გაასაღეს დოსენას მორჩიგი ნახელავი და აძგვარად გააძლიდრეს კიდეც სახელგანთქმული მხატვრის ბიოგრაფია.

რამდენიმე წლის განმავლობაში ფაზოლიმ და პალეზიმ 70 მილიონი ლირა მოხვეჭებს დოსენას ნაყალბევთა გაყიდვით. თავად ავტორს კი გროვებს უშდიდნენ — ზუსტად მიდენს, რომ მისი მოკრძალებული არსებობა გაეხანგრძლივებინათ; ოსტატს შემშილით სული არ უნდა ამოხდომოდა და მუშაობის ხალის შეენარჩუნებინა.

მუდმივი გაჭირვება აიძულებდა დოსენას, რომ მუხლიასურელად ეშრომა, ახალ-ახალი „სიძველენი“ შეექმნა და თავისი ურცხვი პატრონების ჯიბე გაესქელებინა.

მაგრამ მაისის ერთმა ღამებ მკვეთრად შეატრიალა მისი ცხოვერება და ურინარი ყალბისმქნელი ევროპის ყველაზე თვალისა განასაზღვრავისა აქცია.

მისი პოსულარობა ახლა ნებისმიერ ფაზოლის შეშურდებოდა. დოსენას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ფილმს იღებდნენ, უურნალისტები ინტერვიუს ეველრებოდნენ, დოსენას ეძღვნებოდა ვრცელი სტატიები ხელოვნებათმცოდნეობის სექლ-სექლ უურნალებში. 1929 წელს ნეაპოლში მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა. მომდევო წელს ასელივე გამოფენები გამართეს ბერლინში, მიუნხენში, კოლონში.

გენიალურ ფალითიკატორს შიმშილით სიკვდილი აღარ ემუქრებოდა.

ოცენება და სიცავალი

„ვინჩენცო ალესანდრი, მოქალაქე ვენეციისა, კაცი, რომელმაც ჩინებულად იცის რამდენიმე უცხო ენა და, რაც მთავრია, თურქული, აგრეთვე ფრიად გამოცდილია მოგზაურობებში“, — ასე ახასიათებს ვენეციულ დიპლომატს XVI საუკუნის ვენეციელი მემატიანე ანდრეა მოროზინი.

სეფიანთა ირანში ჩასასვლელად გრძელი გზა უნდა გაევლო, რათა მშვიდობით მიეღწია დანიშულების ადგილამდე — გერმანია, პოლონეთი, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი და, ინგოზნიტოდ, მტრული ოსმალეთის ტერიტორია მცირე აზიაში, რაც დაკავშირებული იყო დიდ სირთულეებთან. ვენეციელი ელჩი თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა.

ვენეციის ხელისუფლების ინსტრუქციებითა და რომის პაპის ლოცვა-კურთხევით აღჭურვილი ვინჩენცო ალესანდრი მიეშურებოდა სეფიანთა ირანში და იცნებაში ჩარმოქანახებოდა სანატრელი მოკავშირის გამოლაშქრება ისმალეთის მძლევამძლე იმპერიის ნინააღმდევ, მთელი ერთობის სხის მატადანაური იკუპაციისგან, სტამბოლის გადატევა კვლავ კინსტანტინოპოლის და ზოგადი სამყაროს ახალ-ახალი გამარჯვებანი ზოგადა თუ ხელითაზე.

ვინჩენცო ალესანდრის დიპლომატიური მისია სეფიანთა ირანში აღწერილია იმ საიდუმლო უწყებებში, რომლებიც მას გაუგზავნია ვენეციიში კრაკოვიდან 1572 წლის 25 ივნისს, როდესაც უკვე ბრუნდებოდა სამშობლოში, აგრეთვე — იმ ოფიციალურ ანგარიშში, ვენეციის მთავრობას რომ ნარუდგინა 1572 წლის 24 სექტემბერს.

ალესანდრი ჩავიდა ქალაქ ყაზინში, სადაც იყო სეფიანთა ირანის ხელმიწის რეზიდენცია, 1571 წლის 14 აგვისტოს. აქ, ჯულფელი სომეხი ვაჭრების მეშვეობით, იგი მოხვდა მიღებაზე შაპ-თამაზის მესამე ვაჟთან — ჰეიდარ-მირზასთან, რომელიც „წარმართავდა თავისი მამის ყველა სავაჭრო ოპერაციას“. ვენეციელმა დიპლომატმა საფუძვლიანად გააცნო უფლისნულს ირანში თავისი ვიზიტის მიზანი და გადასცა ვენეციის მთავრობის ნერილი ჰაპ-თამაზის სახელზე.

ჰეიდარ-მირზამ ძალზე გულითადი მიღება მოუწყო ვინჩენცო ალესანდრის და დაამედა, რომ შაპი მოხარული იქნება მილოს იგი და მოუმიტონ, ლოროდ ყოველივე ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს და ვერავინ ვერ უნდა შეიტყოს ამ შეხედრის მიზანი და შინაარსიო.

ეს კიდევ ერთხელ მოწმობის იმას, რომ სეფიანთა ირანის ხელმიწი ისნრაფოდა მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას იმსალეთის იმპერიასთან, ამიტომაც უფრთხოდა ღია და ენარმო-

31 იანვარს ქართული ფოლებორის სახელმიწოდო ცენტრის გალერეაში ეთერ თათარაიდის „ასი ლექსის“ (გამომცემლობა „ინტელექტის“ განმარტინი პროექტი) წარდგინება გაიმართა.

„100 ლექსის“ პროექტი, თავისი პროფესიონალიზმის წყალობით, გარდა თავისთვავიდი ლირებულების ძალიან წაადგებათ ლიტერატურის მკვლევარებს XX საუკუნის ქართული პოეტური მოსავლის გადარჩევისას. ამიტომაც ვადევნებთ თვალს განსაკუთრებული გულისყურით ყოველი ახალი ნიმუშის გამოჩენას კახეთე კუდავას მიერ მარჯვედ მოფიქრებულ ამ სერიაში.

გთავაზობთ ზოგიერთ ამონარიდს ეთერ თათარაიდის კრე-ს ბულისათვის დართული ნერილებიდან:

„მოწმუნულებივით ვუსმენით უზევულო მუსიკას, რომელ-საც ჩვენამდე მოპქონდა დიდი, შეულახავი სამყარო. ყველაფრის გაცნობიერებასა და ბოლომდე აღქმას ნაუცდათეცად ვერც ვა-სერებდთ, მაგრამ ვერნობდით, რომ ეს იყო ჭეშმარიტი პოეზია“ (ვახუშტი კოტეტიშვილი).

„პოეტმა სადაცი ენა გარდამა პოეზიის იარაღად, აამაღლა იგი საყოფაცხოვებო დონიდან, დაძლია მისი უტილიტარიზმი, უზევულო განცდებისა და ფიქრების მიღვრით მის კალაპოტში გააღვია კუთხურობა“ (ზურაბ კიკნაძე).

ებინა მოლაპარაკება ოსმალთა საწინააღმდეგო გეგმებზე და-სავლეთის წარმომადგენელთან.

ვენეციელი დაპლომატი გვამცნობს სეფიანთა დიდ ინტერესს საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებისადმი, კერძოდ, ოსმალეთის წინააღმდევ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ძალთა გაერთიანებისადმი. როდესაც ვინჩენცო ალესანდრიმ აუნია ჰეიდარ-მირზას ინფორმაცია დასავ-ლეთში მძღვანი ანტიოქიალური კოალიციის შექმნის შესხებ, უფლისნული ჩაეკითხა, რომელი ქვეყნა ფლობდა ყველაზე ძლი-ერ სამხედრო-საზღვაო ფლობს, შედიოდა თუ არა ამ კოალიციაში პორტუგალია და როგორი პოზიცია ეჭირი საფრანგეთს.

ალესანდრიმ იმავე სომეხ გაჭართაგან შეიტყო, რომ ვენეციის დოფის ნერილი ჰეიდარ-მირზამ გადასცა შაპ-თამაზს, რომელიც ამ ნერილში აღძრული საკითხების ირგვლივ ესაუბრა კიდევც.

სეფიანთა ირანის ხელმიწი გულისყურით ადვენიბდა თვალს საომარ მოქმედებებს ვენეციას და ოსმალეთს შორის, მაღარამ ამასის ზავის (1555 წ.) შემდეგ ველარ ბედავდ კონფლიქტს ოსმა-ლეთთან და ცდილობდა მშვიდობის შენარჩუნებას. ამიტომაც არ სურდა გადამჭრელი პასუხი გაეცა ვენეციის წინააღმდებაზე და შეგნებულად აჭიანურებდა მოლაპარაკებას ალესანდრისთან. ვე-ნეციელმა დიპლომატმა მიმართა დიღვეზირს და მისგან შეიტყო, რომ ერთი-ორი წლით მოუწევდა ლოდინი, ვინაიდან „მოლაპარაკებასათვის, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სა-ჭიროა დიდი დრო“. ამასთან ერთად, აცნობეს, რომ შეფიორ გილ-ნის პროვინციაში და თავისთველ ხელისანთა ამბოხება საშუალებას არ აძლევდა შაპს, აქტიურად მიეხედა სხვა საქმეებისთვის.

როგორც ჩანს, სეფიანთა ხელისუფლება ცდილობდა, რომ და-ეყოვნებინა ვენეციელი ელჩი, რაც შეიძლება დიდი ხნით, და ამასობაში თვალი სჭროვად ვენეცია-ოსმალეთის იმის მსვლელობაზე.

ვინჩენცომ ყაზინში გაატარა სამი თვე და ვერ მიაღწია მი-ლებას შაპთან. და რაც მთავარია, მან ვერ მიიღო გარკვეული პა-სუხი — ენადა თუ არა სეფიანთა ხელმიწიებს, რომ ვენეციასთან ერთად ჩაბმულიყო რმითი ისტორიის წინააღმდევ. ამიტომაც ვინჩენცომ, იმავე სომეხი ვაჭრების მშვეობით, მოახერა მიეღლ წებართვა, დაეტოვებებინა სეფიანთა სახელმიწოდო და 1571 წლის 12 ნოემბერს ყაზინიდან გაემგზავრა სამშობლოსკენ.

ვენეციელთა ოცნებას ხორცესხსმა არ ენერა. მრუქე სინამდ-ვილე სძლევდა ფერად-ფერად ზმანებებს.

„ვაჟას პატრონი ეთერმაც გამაკვირვა ჩვენს დროში... ეთერის ლექსის მომხიბულებისა და მუსიკალობის ბევრი გრძნობას, გარე თვალმა შეიძლება ერთი-ორი სიტყვა ვერ გაიგოს, მაგრამ შეიგრძებებს. ეთერ ჩიტივით ლადად გალობს და არა მცონა, ლიტერატურული დონები ანალოგულდებს“ (თენკაზ მირზაშვილი).

„ჯერ მელოდია აგიყოლებებს. მერე თანდათან გადაიკარა სიტყვის მელოდიის ხილი და გადაისხება, მან ვერ მიიღო გარკვეული პა-სუხი — ენადა თუ არა სეფიანთა ხელმიწიებს, რომ ვენეციასთან ერთად ჩაბმულიყო რმითი ისტორიის წინააღმდევ. ამიტომაც ვინჩენცომ, იმავე სომეხი ვაჭრების მშვეობით, მოახერა მიეღლ წებართვა, დაეტოვებებინა სეფიანთა სახელმიწოდო და 1571 წლის 12 ნოემბერს ყაზინიდან გაემგზავრა სამშობლოსკენ.“

„ვენეციელთა ოცნებას ხორცესხსმა არ ენერა. მრუქე სინამდ-ვილე სძლევდა ფერად-ფერად ზმანებებს.“

„ვაჟას პატრონი ეთერმაც გამაკვირვა ჩვენს დროში... ეთერის ლექსის მომხიბულებისა და მუსიკალობის ბევრი გრძნობას, გარე თვალმა შეიძლება ერთი-ორი სიტყვა ვერ გაიგოს, მაგრამ შეიგრძებებს. ეთერ ჩიტივით ლადად გალობს და არა მცონა, ლიტერატურული დონები ანალოგულდებს“ (თენკაზ მირზაშვილი).

„სიტყვით გამოვიდნენ: წიგნის შემდგენელი ამირი არაბული ჰეიდარ-მირზი და ერეტები ჰეთევან შენგალა და ერეკლე სალლიანი; ლო-ტერატურათმცოდნე თბილია წონორია; გერმანისტი მარნებულიავა; ენათმეცნიერი მაია მანჯგალაძე, რომელთაც მნიშ-ვნელოვანი ლიტერატურულ მოვლენად შეაფასეს ამ წიგნის გამოსკოცადან და არალ კრებული და ფერად-ფერად ზმანებებს.“

დასასრულ, ეთერ თათარაიძემ მაღლიერებით მიმართა გამომ-ცემლობა „ინტელექტის“ მესვეურებს, სალამოზე შეკრებილ საზო-გადოებებისა და არალ კრებული და ფერად-ფერად ზმანების გამოსკოცადან და არალ კრებული და ფერად-ფერად ზმანებებს.“

„პოეტმა სადაცი ენა გარდამა პოეზიის იარაღად, აამაღლა იგი საყოფაცხოვებო დონიდან, დაძლია მისი უტილიტარიზმი, უზევულო განცდებისა და ფიქრების მიღვრით მის კალაპოტში გააღვია კუთხურობა“ (ზურაბ კიკნაძე).